

114  
1950



# მნათობი

4

კვილი



1950



# მნათობი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწიკლეების კავშირის ორბანო

წელიწადი ოცდამეუთხე

# 4

★

ს ა ბ ი უ ი



19


სახელგანი  
თვილინი

50

საქართველოს  
საბჭოთა  
პოლიტიკური  
კავშირის ორბანო



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ



პლ. მელიქიძე

## ვლადიმერ ილიას-მე ლენინი

ნაწყვეტი პოეზიიდან

★

მთელი მოსკოვი,  
 გათოშილი,  
 სწუხს გლოვის ზარით.  
 დამეს უთევენ,  
 კოცონების  
 ირგვლივ სხდებიან,  
 ვინ არის იგი,  
 რა კაცია,  
 საიდან არის?  
 პატივისცემა  
 ამოდენა  
 ვის ღირსება!  
 სიტყვას სიტყვისკენ  
 ვეზიდები,  
 ერთად ვალაგებ,  
 მაგრამ ამოღლ,  
 ყოვლისშემძლე  
 სიტყვა სად არი!  
 რა ღარიბია  
 კაცის ენა,  
 რა უბრალო,  
 ო, სად ვიპოვო  
 შესაფერი  
 და შესადარი!  
 ჩვენ შვიდი დღე გვაქვს  
 ჩვენს კვირაში,  
 მეტს ვერ დაატევ,  
 დღე კი თორმეტჯერ  
 საათებით  
 აღინიშნება;

ვერ გააგრძელებ,  
 ვერ გასკიმავე  
 დღეს და საათებს, —  
 შევმა სიკვდილმა  
 როდო იცის  
 მობოდიშება.  
 როცა საათი  
 დიდ მოვლენას  
 აღარ ეყოფა,  
 დღეზეც დიდია,  
 კვირაზედაც,  
 მოვლენის ელერა,  
 ჩვენ ვამბობთ მაშინ —  
 ეს მოვლენა  
 არის „ეპოქა“,  
 ჩვენ ვამბობთ მაშინ —  
 ეს მოვლენა  
 „ერაა“, „ერა“.  
 ჩვენ  
 ღამით  
 გვიძინავს,  
 დღისით ვიღწვით,  
 რა გაეჩნდით ერთხელ,  
 ჩვენს საქმეს მივდევთ,  
 ასე ოდით დაგვიდგენია,  
 მაგრამ ვინც გვიძღვის,  
 მას უწოდებთ  
 „წინასწარმეტყველს“,  
 ვინც ხალხს წარმართავს,  
 მასზე ვამბობთ: —



აი „გენია“.

ჩვენ ბევრს  
 არა გვაქვს  
 პრეტენზია არავითარი,  
 არვის ვეჩრებით,  
 ცოლს ვუყვარვართ? —  
 ჩვენ ვართ მდიდარი.

თუ ვინმე სულით  
 და სხეულით  
 შტკიცედ ერთია,

ვამბობთ: —  
 „მეფური ქმნილებაა“,

ვამბობთ: —  
 „ღმერთია“.

ვამბობთ ამგვარად  
 არც უგუნურს,  
 არცა ჰკვიანურს;

სიტყვა ასეთი  
 ალბათ ხშირად  
 გაგეგონებათ,

მაგრამ რას აძლევს  
 იგი ცოდნას  
 ადამიანურს,

რას აძლევს იგი  
 კაცის ხელსა,  
 გულს და გონებას?

ლენინს კი, ლენინს,  
 ვინ გაზომავს  
 ასეთი ადლით!

ყველა ჩვენთაგანს  
 ხომ უნახავს  
 საკუთარ თვალით,

ეს „ერა“ როგორ  
 შემოვიდა,  
 თავისი მადლით,

არც შეჭვებია  
 კარიბჭის ძელს  
 ოდანავედ თავით.

ნუთუ ლენინზეც  
 ვინმე იტყვის:  
 „დიდი ლენინი“

ღვთაებრივია,  
 ზელადია  
 ცით მოვლენილი“.

იგი რომ იყოს  
 ღვთაებრივი  
 ან თუნდ მგეტყვიან

მე სიბრაზისგან  
 ალბათ სახეს  
 დაეიზოკავდი,  
 გადვუდგებოდი  
 პროცესიას  
 აღვლევებულო  
 პატივისმცემლებს,  
 ხალხს, გზას  
 მყისვე გადვულობავდი.

მაგრამ ძერჩინსკი  
 მიაცილებს  
 კუბოს მღუმარე,  
 თვით მთელი ჩეკაც  
 გაყვებოდა  
 პატივისმცემლებს.

ცრემლი ყინულად  
 ეკიდება  
 მილიონ თვალებს  
 და მეც თვალებზე  
 ვერ ვიშორებ  
 გაყინულ ცრემლებს.

პატივისცემა  
 ღმერთს კაცთაგან  
 ბევრი მისვლია,

არა,  
 დღეს გლოვა გვაწერია  
 გულის ფიცარზე,

დღეს ვასაფლავებთ  
 ადამიანს  
 უფრო მიწიერს,

ვიდრე ოღესმე  
 ვინმე გვახსოვს  
 დედამიწაზე.

მიწიერია,  
 მაგრამ არ ჰგავს  
 იმ ხალხს წამითაც.

რომელთა თვალიც  
 ვიწრო გობს  
 ვერ გასცილებია.

ლენინის თვალი  
 სულ ჰხედავდა  
 მთელ დედამიწას,  
 რასაც დროთასვლის



გურომულებში  
 ჩასძინებიათ.  
 იგი შენა გვაეს,  
 მე მგაეს იგი,  
 სულ ასეთია,  
 მაგრამ იმდენად  
 უსახვეროა  
 მისი საქმენი,  
 რომ ნაოკები  
 მის თვალებთან  
 უფრო მეტია,  
 უფრო მტკიცეა,  
 ფოლადია  
 მისი ბაგენი.  
 არა სატრაპის  
 ტრიუმფალურ  
 ეტლის სრიალით  
 გთელავდა იგი,  
 ქედმაღლურად  
 გვერდზე გამდგარი;  
 არა, ის იყო  
 მეგობრებთან ალერსიანი,  
 მტრებთან —  
 რკინაზე უფრო მტკიცე,  
 უფრო მაგარი.  
 კაცურ ხასიათს,  
 ჩვენს სისუსტეს  
 იცნობდა კარგად,  
 ისიც ებრძოდა  
 სნეულებას,  
 როგორც ჩვენ ყველა.  
 მე თუ ბილიარდს  
 ვერ ვცილდები —  
 ის უჯდა ჭადრაკს.  
 ბელადისათვის  
 ეს კარგია,  
 უხდება ბელადს.

როს ჭადრაკიდან  
 გადვიდოდა  
 ნამდვილ ბრძოლაზე,  
 მცირე პაიკებს  
 ვაუკაცებად  
 აქცევდა ახლა  
 და კაპიტალის  
 ციხეებზე,  
 მტრის ფიგურებზე  
 მუშურ-გლეხური  
 დიქტატურით  
 ღებოდა მაღლა.  
 მის დიად დროში  
 მისგან დასტურ  
 განაკცებულნი  
 მუდამ მასთან ვართ,  
 მასთან ვდგევართ  
 ჩენი გონებით.  
 მე ჩემს სიცოცხლეს,  
 სიხარულით  
 აღტაცებული,  
 მის ერთ სუნთქვისთვის  
 გავიღებდი  
 დაუყოვნებლივ...  
 განა მარტო მე?  
 მე ვინა ვარ,  
 სხვას რით ვჯობივარ!  
 საკმარისია მოსახმობად  
 გახსნა ბაგენი,  
 რომ შესწირავდნენ  
 თვის სიცოცხლეს  
 ლენინს მშობლიურს,  
 თავს შესწირავდნენ  
 საბჭოეთის მოქალაქენი.

თარგმანი ირაკლი აბაშიძისა

## რ თ ვ ე ლ ი \*



მალე მივალწიეთ გორაკის ძირში გაშენებულ სოფელს, ჩაეუქროლეთ ეზოებს და, ის იყო უნდა გავცლოდით უკანასკნელ მოსახლეებს, როცა ერთ ჭიშკართან შედგა ჩვენი მანქანა.

შოფერმა შეათვალიერა მოტორი და სარქველი ახადა რადიატორს, საიდანაც შხუილით ამოვარდა ცხელი ორთქლი. ისმოდა, როგორ თუბთუბებდა აღუღებული წყალი.

— ხომ არაფერი დაზიანებია? — ვკითხვებ იმ ფიქრით შეშფოთებულმა, რომ ვაი თუ გზაში გავჩხერილიყავით.

— რაც ეს ნათრეგია, მიკვირს, კიდევ რისი სული უდგია, — ხელი ჩააქნია ლადომ. — სულ ჩავჩინებ, დროა დაასვენო მეთქი. არ ქნა სიკეთე. ქვეყანა ახალ მანქანებზე გადაჯდა, ის ოჯახაშენებელი კი არ ეშვება ამ საცოდავს.

შეფიქრიანებული იდგა და მიჩერებოდა ეზოს სიღრმეში ჩადგმულ სახლს. იქ არაფერი ჩანდა. აგერ როდისღაც აივანზე პატარა ბიჭი გამოვიდა, თვალი მოგვკრა, ჯერ შორიდან გვიცქირა, მერე ჩვენსკენ გამოიქცა.

— ბიძი, ვერ მომიტან წყალს? — ბრუნუნების ვედრო გაუწოდა ლადომ.

ბიჭმა ჩამოართვა და წასასვლელად შეტრიალდა.

— მამა შენი სადაა? — შეაჩერა ლადომ.

— ეგერაა, — ბავშვმა ხელი გაიშვირა იქითკენ, სადაც ერთმანეთში ტო-

ტებგადახლართული თუთის ხეები იდგნენ.

ლადომ რაღაც მოისაზრა, გამოართვა ვედრო და თითონ შევიდა ეზოში.

მანქანიდან გადმოვედი. ხანმოკლე გაჩერება და გზატკეცილის პირზე ბალახზე გასეირნება სასიამოვნოც იყო... თუ მანძილის მესამედი განვლილი გვექონდა, ერთ საათში ჩვენი მგზავრობაც დასრულდებოდა... დარი ავდარს ებრძოდა. ერთ ადგილას ღრუბლებში თითქოს სუფთა ცის ნაჭერი გამოჩნდა. იმედი მომეცა, რომ წვიმა აგვეცდებოდა.

— რას ვუცდიოთ აქ? — მომესმა დილიდან აღარ სმენილი გუგუნე.

გაბრიელს გაღვიძებოდა და გარშემო იხედებოდა. შოფერის მაგიერ რომ ქალის ზურგი დინახა, ვაკვირებულმა გადმომხედა.

— მანქანა გახურებულა, წყალს მოიტანს და ახლავე წავალთ, — ვუთხარი გულდაჯერებულად.

გაბრიელი ეზოს და სახლს მიაჩერდა.

— ისევე რა ვუთხრა იმ ცულულტს, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა და ბიჭს მიმართა, რომელიც მანქანას უტრიალებდა, — ქირიმე, შოფერს დამიძახე, ახლავე მოვიდეს!

ბავშვი ერთხელ კიდევ შეეხალისა მანქანას, შემოურბინა და მერე სახლისკენ გაიქცა. იმავე დროს თვალი მოგკარი მამაკაცს, რომელიც თუთის ხეების ტალღაირიდან გამოვიდა. როცა მან

ივიანს ჩაუარა, რაღაც შესძახა სახლში და შემდეგ ჩვენსკენ გამოემართა.

ერთ წუთში ყველაფერი შეიცვალა. აქამდე გაყუჩებული სახლი ერთბაშად გამოცოცხლდა. ოთახიდან ორი დედა-კაცი გამოვიდა. ორივემ სამზარეულოს მიაშურა.

არსად ჩანდა მხოლოდ შოფერი.

— ასე უნდა, ამხანაგო გაბრიელ? — ჯერ კიდევ შორიდან მიესალმა ოდნავ ჰალარაშერეული, მაღალი ტანის კაცი. — კიშკართან უნდა ვნახოთ ერთმანეთი? აბა, მობრძანდით! — ფართოდ გაშალა ხელები და სახლისკენ გვანიშნა.

— სხვა დროს, ჩემო ილია, სხვა დროს! — უარზე დადგა გაბრიელი, — ახლა შოფერი მინახე და გამომიგზავნე, ამას უფრო დაგიმადლებ.

სამზარეულოდან მოისმა, როგორ აპობდნენ შეშას. სახურავიდან და კედლის კუჭკუჭიდან მალე კვამლმაც გამოიკონა. ქათმის წრიაქიც ვაიფიგონებდა. თვალი მოვკარი ბიჭს, რომელიც კალათით ხელში ატმის ხეზე შეცოცდა.

არ თანხმდებოდა გაბრიელი, მაგრამ არც ილია იყო დამთმობი. არავითარმა მიზეზმა არ გასჭრა მასთან და გაბრიელი იძულებული გახდა ვადმოსულიყო მანქანიდან.

— ყველას გთხოვთ, ყველას! — გახალისდა ილია. — თქვენც, ქალბატონო! ოლიმპიადამ მადლობის ნიშნად თავი დააქნია, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

შოფერმა წყალი მოიტანა და რადიოტორში ჩაასხა. რაღაც უჩვეულოდ სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა ახლა ლადოს. ამავე დროს შეგნიშნე, რომ ღიმილმა გადაურბინა სახეზე, მაგრამ უმაღლეს დამალა და შეკრა წარბები.

— მერე გაგისწორდები, ვეებატონო! — ჩაბურტყუნა გაბრიელმა და შეუბღვირა.

ლადომ იგრძნო, რომ ნამდვილად გულობსული იყო, შეეცადა აღარ შეჩხროდა თვალში და, როგორც კი საქ-

მე მოათავა, მანქანის მეორე მხარეს საფეხურზე ჩამოჯდა გაბრიელი.

— ვრჩები ერთი პირობით, — გადაქრით თქვა გაბრიელმა — აგერ, მანქანასთან, სახელდახელოდ... ძალიანაც რომ გეწყინოს, შინ შემომსვლელი არ ვარ.

— კი შენი პირობე, როგორც გესიამოვნოს, — დათანხმდა ილია, რთცა დარწმუნდა, რომ სტუმარი მეტ დამომბაზე არ წაივლიდა. შებრუნდა ეზოში და ჩქარი ნაბიჯით სამზარეულოსკენ გასწია.

გაბრიელმა მიმოიხედა, ვერსად დინახა ვისაც ეძებდა და მუქარით ჩაიბობღინა:

— სადაა ის ეშმაკის ფეხი? სანამღი უნდა დამემალოს?

ცხადია, ლადოზე იყო გაბრაზებული, მაგრამ ვერ გამეგო რა დანაშაულის გამო.

— ეს საფრთხობელა სად იპოვა? — თვალთ მანიშნა ოლიმპიადაზე.

აპირებდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ როცა მისი ვინაობა გაიგო, მხოლოდ გოცეებით შეავლო თვალი და ჩაჩუმდა.

ტაბლა და სამფეხა დაბალი სკამები მოიტანა ილიას ქალიშვილმა, რომელსაც ეთერი ერქვა. ასეთი სახელი, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი მეჩვენებოდა. მის გარეგნობაში არაფერი იგრძნობოდა ჰაეროვანი, — პირიქით, მიწის მადლი უხვად აჩნდა მოქნილ ტანს და ლაქდავა სახეს.

განვეული ხელის სიმარდით გააწყო მან სუფრა, და როცა ილიამ საესე კოკაც მოიტანა, მეტი პატივი აღარ დაგვიპირებია და მაშინვე შემოვეუსხედით.

ლადო ერთხანს არ ჩანდა, მაგრამ მოთმინება დაკარგულმა და შეფიქრინებულმა, რომ არავინ უძახდა, თავი წამოყო, მანქანას შემოუარა, ჯერ შორი-ახლოს მიწაზე ჩამოჯდა, თანდათან მოჩინდა და ბოლოს ჩვენს გვერდით მოი-



კალათა. ჩემად იყო და მადიანად ილტვებოდა.

შემოგვიერთდა კიდევ ილიას ორი მეზობელი კოლმეურნი და ასე მოულოდნელად ბლომად მოვიყარეთ თავი პატარა სუფრის გარშემო. ეს გარემოება კიდევაც ახალისებდა ჩვენს მასპინძელს და მის ქალიშვილსაც, რომელიც დაფრიალებდა გზის პირისა და სამზარეულოს შუა და აღარ სჭირდებოდა უფროსის შესხენება, თუ როგორ ეზრუნვა ჩვენზე. ქართველ გოგონას ხომ აყენის ნანასთან ერთად ჩაესმის ყურში და შეთვისებული აქვს ძველთაგან წესად გადმოცემული სტუმართმოყვარეობა და მგზავრის პატივისცემა. ვხედავდი, რა ხალისით დაგვტრიალებდა თავს და აღარ ვგრძნობდი უხერხულობას, რომ გარჯა მივაყენეთ. არა, ის კიდევაც გახარებული იყო ამით... ვინ იცის, რამდენს ჩაუვლია ამ ძველ გზაზე და რამდენ უცხოს შეგებებია კეთილი ღიმილით და გულგამლილობით!

გაბრიელი არაერთხელ შეეცადა მალე მოეთაყვებია ჩვენი ნადიმი, მაგრამ ვისაც ქართული მასპინძლობის ამბავი მოეხსენება, მან იცის, რომ სუფრიდან ადგომა არც ისე ადვილი საქმეა, —ათასგვარ მიზეზს გამოძებნის გულუხვი მასპინძელი, ოღონდ დიდხანს არ გაუშვას სტუმარი.

ბოლოს მაინც გაიტანა თავისი, წამოვიშალენით, დავეშვიდობეთ გულდაწყვეტილ მამა-შვილს და გზას გაუღდექით.

ლადოს ახლა ხალისიანად მიჰყავდა თავისი არაბულა. თითქო მართლაც დასვენებას საჭიროებდა მანქანა და ძალა მოიკრიფავო, გაუჭირვებლად მიჰქროდა ვაშლოვანის ფერდობისკენ.

— გადაგეწევა, ჭირიმე, მოტორი? — ბრაზმორეული დაცინვით კითხა გაბრიელმა.

— მოფერმა, ვითომ არ გაუგონიაო, სინამდვილე არჩია.

და იქ გაგიფუტდება ყოველთვის, სადაც შენ გინდა?

— ლადომ ჩემად ჩაიციტუნა <sup>ერქიკეხე</sup> <sup>გული</sup> <sup>მოუვიდა</sup> <sup>გაბრიელს</sup>. — კაცი არ ვიყო, თუ მაგგვარ ოინებს არ გადაგაჩვიე!.. არა, რატომ მაინცდამაინც იქ გაუხურდება მოტორი, გამოელევა წყალი, დაეშვება საფარი და ათასგვარი სხვა უბედურება მოეწევა მანქანას, სადაც უკეთეს მასპინძელს ელის? ა?

ამის გაგონებაზე ლადომ ვეღარ შეიმარა თავი და გულიანად გადაიხარხარა.

— ჩემს არაბულას, ამხანაგო გაბრიელ, სიტყვის უნარი არა აქვს, თორემ ზოგ ადამიანზე უფრო მიხვედრილი და მგრძნობიარეა. ეცოდება თავისი მესაქე და იცის, სად წაიფორხილოს...

ახლა კი გასაგები იყო ჩემთვის, თუ რატომ ვაგჩერდით ილიას კომპარათან და რატომ ბრაზობდა გაბრიელი.

— ეს ამბავი ერთ შემთხვევას მაგონებს, — უკვე გათამამდა ლადო და თავის კალაპორტში ჩადგა. — ძველი ამბავია, ჩემი ბავშვობის დროინდელი. ერთი მეზობელი გეყავდა, სევასტი ერქვა. აი, რომ იტყვიან, ძველი დროის გადაწმინდული, სწორედ ისეთი კაცი იყო. ჰო და, იმ სევასტის თეთრი ჯოჯოი ჰყავდა დიდი ახირებული პირუტყვი იყო და ერთი საკვირველი ზნე სჭირდა: ხანდახან მთელ დღეს ისე ივლიდა სოფლის ორღობებში, რომ წუთითაც არასდ შეჩერდებოდა, ხანდახან კი მიადგებოდა რომელიმე მოსახლის ჭიშკარს და იმ ადგილს ვერაფრით ვერ მოამორებდი. ურტყამდა, უყვიროდა პატრონი, მაგრამ, არ შეგქამა ჭირმა, ფეხს არ მოიცივლიდა. სევასტისა და მისი ჯოჯოის ჩხუბზე სახლის პატრონიც გამოვიდოდა. ჩვენებური კაცი თავს როგორ შეირცხვენდა, კარზე მომდგარ მგზავრს უპატივცემულად ხომ ვერ გაუშვებდა, — გააღებდა ჭიშკარს და ჯოჯოიც მაშინვე კუნტრუსით შევიდოდა ეზოში. სევას-

ტი ძალუენებურად რჩებოდა იმ მოსახლესთან, მოილხენდა, გამოსისტიკინდებოდა და ამის შემდეგ ჯორიც გუნეზიერად შინ ბრუნდებოდა... ასე ხდებოდა წლების განმავლობაში, მაგრამ ბოლოს გაიგეს სევასტის ჯორის საიღუმლო. თურმე, ნუ იტყვი, თითონ პატრონი მიაყენებდა სახედარს იმ მოსახლის ჭიშკარს, სადაც კარგ მასპინძელს ელოდა. ურტყამდა, უყვიროდა ჯორს, მაგრამ ლაგამს ისე ქაჩავდა, რომ უკან გაბრუნების საშუალებას არ აძლევდა. მიუხედავად ამისა და ამის შემდეგ საქმე გაუფუჭდა ჩვენს სევასტისს, — როგორც კი ცემას დაუწყებდა თავის გახედნილ პირუტყვს, მაშინვე მიაყვირებდნენ: — მიუშვი, ლაგამი მიუშვი და წაყა... ასე დაღუპეს ის საწყალი კაცი, იმის შემდეგ ყურადღებას აღარავინ აქცევდა, თუნდაც მთელი დღე ჭიშკართან ყოფილიყო აყუდებული... მაგრამ მე კი ასეთი რამ არ დამემართება. თუ არაბულა თან ახლავს თავის პატრონს, ჩვენი მისვლა ყველგან და ყველას გაუხარდება!

მიუხედავად ლადოს რწმუნებისა, რომ ილიასთან შესვენების შემდეგ აღარაფერი დააბრკოლებდა, ერთ ადგილას მაინც ხანგრძლივად შევჩერდით. ეს უკვე აღარ იყო სევასტის ჯორის ამბავი. გაბრიელი ისევ შეეცადა თვალის მოტყუებას, ჩვენი თანამგზავრი ქალი კვ ნერვიულობდა, რომ მისვლა უგვიანდებოდა, — ის დღესვე აპირებდა გამობრუნებას.

შუაღლე იყო, როცა ველი ჩამოვიტოვეთ და აღმართს ავუდგექით. მთის კალთაზე გამოჩნდა კორტოხზე წამოდგარი თეთრი ეკლესია და მალე თითონ ვაშლოვანიც.

V

სოფელს რომ ვაშლოვანი ერქვა, ამ ამბავს, რასაკვირველია, საერთო არაფერი ჰქონდა იმავე სახელწოდების ხილთან.

მანქანამ დიდხანს იარა ორღობებში, სანამ საბჭოს შენობასთან მდგომარეობა და ატამი, მსხალ-დასაქმები ხარობდა ყველა ეზოში, გზის ნაპირებზე, ვენახებში, მაგრამ ვაშლი მხოლოდ აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა, და ისიც იმგვარი ჯიშის, რომელიც პანტას უფრო გავდა. ვერა, ვაშლოვანი ვერ დაიკვებინდა, რომ სამართლიანად ატარებდა ამ სახელს.

მაგრამ განა მართო ეს სოფელი ცოდავს ამაში? ვაზიანი, ცხრაწყარო, საბუე, მუხიანი? საესებით ბუნებრივია, თუ ვინმე იფიქრებს, რომ ვაზიანში სანაქებო ვენახი იცის და ცხრაწყაროში წყაროები მოჩუხჩუხებენ. მაგრამ რატომაა, რომ საბუეში ერთხელაც არავის გაუგონია ბუს კივილი, მუხიანში ვერცერთი მუხის ქვეშ ვერ მოიხრდილებს მგზავრი და ვაზიანის ღვინით ერთმანეთი არავის დაულოცია?

თავმჯდომარეს ვეღარ მიეუსწართ საბჭოში. დარაჯმა გეითხრა, რომ დიდიდან ელოდებოდა გაბრიელს და ესაა კოლმეურნეობის კანტორაში წავიდაო.

— თუ მანქანით წახვალთ, შეიძლება დაეწიოთ! — დაუმატა ბოლოს.

შოფერი მაშინვე გაუდგა გზას.

კიდევაც მიეუახლოვდით კოლმეურნეობის კანტორას და თავმჯდომარეც გამოჩნდა.

— აღარ მელოდი, ესტატე? — მანქანიდან გადასძახა გაბრიელმა. — გეგონა მოგატყუე?

— როგორ გეკადრება, ვიცოდი ამოხვილოდი რა დროც იქნებოდა, — გულთბილად შეეგება ქერათმიანი, გამხდარი კაცი.

შენიშნე რომ გახარებული იყო. მის მოგრო, მკრთალ სახეს ღიმილი არ შორდებოდა.

— შენთან აგერ კიდევ უცხო სტუმარი მოვიყვანე. — ჩემზე ანიშნა გაბრი-

ელმა. — თბილისიდანაა, არქეოლოგი... რაღაც ძველებური ნივთები გამოვნიათ და...

— დიახ, დიახ... როგორ არა! — დადასტურა თავმჯდომარემ. — ზოგი რამ ჩემთანაც ინახება... დღეს, ალბათ, აქ იქნებით და მობრძანდით საბჭოში, ნახეთ.

ესტატესგან გაგონილმა, ამასთანავე მისმა თავაზიანობამ, იმედი მომცა, რომ ტყუილად არ ჩამოვლიდა აქ ამოსვლა.

საუბრის გაბმა დავაპირე მასთან, მაგრამ გაბრიელმა არ მაცალა.

— მიიყვანე ეს მანდილოსანი, სადაც საჭიროა და მერე საბჭოს ეზოში დამოცადე, — მოფერს დაავალა ოლიმპიადას წაყვანა, ესტატეს ხელი გაუყარა და კანტორისკენ გასწია.

სოფელში გასეირნება სასიამოვნო იქნებოდა, რომ ასეთი ნაღვლიანი დღე არ ყოფილიყო. წუშპეში დამბალი ბამბის მსგავსი ღრუბელი ჩამოკიდებულიყო ციდან. გულის გამწყალებული იყო ეს ღრუბელი, დილიდან იმუქრებოდა და აქამდე ვერ მოწვიმა. ახალი ნაშუადღევ იყო, მაგრამ უკვე დაბინდებულს გავდა. ყველაფერი მოწყენილი ჩანდა.

ორლობეებში მარდად მიჰყავდა ლადოს თავისი არაბულა. გარშემო ახლად ძალაში შესული შემოდგომა იგრძნობოდა — ეზოში ჩალის კონები, ჩელტებზე გასახმობად დაყრილი ჩირი, წითელ-ყვითელში გახეული ტყე, ვენახებში შავი და ქარვისფერი მტევნები. ვენახი კი ყველგან, — სადაც ვაკეს და ფერდობს მზისკენ გული მიეშვირა.

— კარგ ადგილას ცხოვრობს თქვენი ქალიშვილი! — მივმართე ოლიმპიადას. ისე ამოვედი ვაშლოვანში, რომ ხმა არ გამოიცია მისთვის და ახლა, განშორების წინ, მინდოდა ერთი-ორი სასიამოვნო სიტყვა მიმცემოდა.

ჩემს თავაზიან მიმართვაზე სრულიად მოულოდნელად მკვახე პასუხი მომესმა:

— იქნებ კარგი იყოს, მაგრამ არავითარი სურვილი არ მაქვს, აქ ვცხოვროვო. ჩემმა ქალიშვილმა.

ისე თქვა, თითქოს ვილაცას უწყრებოდა. გაგონილმა ისე გამაოცა, რომ პირველ წუთში დავიბენი და ვერ მოვახერხე გულისწყრომის მიზეზი მეკითხა.

— ჩემი შვილი დღესვე დასტოვებს აქურობას, — კატეგორიულად განაცხადა მან. — მეც იმიტომ ჩამოვედი, რომ წაიყვანო...

მე ეკვი გამოვთქვი: ინჟინერს, პასუხისმგებელ მუშაკს, ვერ გაუშვებენ მანამდე, სანამ შემცვლელი არ მოსულა.

— ვერა, ვერ გააჩერებენ! — მომესმა კრიტიკი. — სამინისტროს ბრძანებთან მაქვს!

ვგრძნობდი, გარემოს გულგრილად უყურებდა ეს ახირებული დედაკაცი და გული მეტყინა, რომ ასე არაად თვლიდა ყველაფერს, რასაც აქ სიყვარულით აკეთებდა ადამიანი.

ერთხანს ხმა არ გამოიცია. სიჩუმეში ჩავათავებდით გზას, მაგრამ სულმა წამძლია და ჩემთვის ჩაველაპარაკე:

— ვერ გამოიგია, რა აქვს დასაწუნი აქურობას!

ამის გაგონება, როგორც ჩანს, არ ესიამოვნა ოლიმპიადას. ვიგრძენი ეს სიტყვებში და კილოში, რომლითაც მომმართა, — ასეთი თავშეკავებული ბრახით და მფარველური ტონით მიმართავენ ხოლმე მას, ვისაც თავის თავზე დაბლა თვლიან:

— დარწმუნებული ვარ, ჭკვიანი ახალგაზრდა ბრძანდებით და არ შეეცდებით დაამტკიცოთ, რომ მე არ მიყვარს ჩემი ქვეყანა. მერწმუნეთ, დიდად მოსურნე ვარ აყვავდეს და იხაროს. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს იმისა, რომ აქაურობა ელექტრონით გაჩირაღდნებული იქნეს, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვერაფრით ვერ შევირიგებებივარ იმ აზრს, რომ ამისათვის ჩემი შვილის მომავალი უნდა დაბნელდეს, — სათუ-

თად გაზრდილი ბავშვი გაველურდეს აქ, გახდეს ტლანჭი, უხეში, დაპაარგოს ყოველივე, რაც იჯახში და დიდ ქალაქში შეიძინა... რატომ?! ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, ნუ წავეინხებებით ტყუილუბრალოზე... თქვენი ყოველგვარი რჩევაც დაგვიანებულია, ბრძანება თან მაქვს და ჩემი ქალიშვილიც დიდი სიხარულით წავა აქედან!

ფიქრადაც არ მომსვლია რაიმე რჩევა მიმეცა, ლაპარაკიც აღარ მინდოდა მასთან. ხმა აღარ გამოცია. ჩემი სიჩუმე, ალბათ, აღიზიანებდა ოლიმპიადას. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ მომესმა კრიკინი:

— თქვენ, როგორც ყველა სხვა უცხო და შორეული, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებთ ჩემი გულისტკივილს... როდესაც კვდებოდა ჩემი ქალიშვილის დედა...

ამის გაგონებაზე კინალამ შევბტი.

— როგორ თუ დედა? განა თქვენი ქალიშვილის მშობელი თქვენ არა ხართ?

— არა, ჩემი და გახლდათ... მე მგონია, მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, თუ ვინაა მშობელი... საბრალო ჩემი და — ახ, ის სრულიად ახალგაზრდა იყო! — მშობიარობის რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. სიკვდილის წინ გოგონა მე ჩამაბარა და მოხოვა დედობა გამეწია მისთვის. შემძლია ვთქვა, რომ პირნათლად შევესრულე ჩემი მოვალეობა...

თუ ის ქალიშვილი-ინეცინერი დეიდასავით ურჯუკი არ იყო, მაშინ მზად ვარ ყოველგვარად ვუთანაგრძნო და შევიცოდო. ასეთი დეიდები სასტიკი ფანატისკები არიან, საშინელი გამწყალებლნი გულისა. შეუძლებელია უყვარდე დედას ისეთი ავადმყოფური გრძნობით, ისეთი გულჩაწყვეტით, როგორც აღშრდელ დეიდას.

თავი დაეანებოთ ამაზე ფიქრს და მხოლოდ გვიხსენ ჩვენ, უზუნაესო, შინაბერას ყოველგვარი სახის სიყვარულისგან! ვისაც ეს გამოუცდია, მას შე-

უძლია დაიკვებოს, რომ უმძიმესი რამ განსაცდელი გამოუვლია, უცხოვრებაში.

ლაღოსთვის, ცხადია, უცხოვრებაში ფილა აქაურობა. ძალიან გულდაჯერებულად მიჰყავდა მანქანა მიხვეულ-მობხვეულებში, ხანდახან ისეთ ადგილს გაძვრებოდა, რომ უცხო კაცი ვერც წარმოიდგენდა თუ იქ გზა იყო, და ბოლოს გაჩერდა ცისფერად შეღებილ ერთ ოღასთან. ეზოში მერხზე თოთო ბავშვით ხელში ახალგაზრდა ქალი იჯდა. დიასახლისი ყოფილიყო.

გულგრილი თავაზიანობით მიესალმა ის ოლიმპიადას, მაგრამ როცა გაიგო, თუ ვინ იყო, სიხარულით შესძახა:

— ჩვენი დოდონას დედა ბრძანდები? ძალიან გასახარელია, ძალიან! თქვენ მკითხეთ მედგაო, და უცბად ვერც კი მოვისაზრე, თუ ვის კითხულობდით... მედეას ჩვენ შინაურულად დოდონას ვეძახით, ასე ვიცნობთ აქ...

ამ სახელის გაგონებამ გუშინდელი დღის მოგონება გამიღვიძა. წარმოუდგენელი იყო, რომ ამ სახელს რაიმე საერთო ჰქონდა სავანეში ნახულ ქალიშვილთან, მაგრამ ყოველივემ, რაც შემდეგ თქვა ბავშვიანმა ქალმა, უნებურად მაფიქრებინა ეს შესაძლებლობა.

როგორც ჩანს, დიასახლისს ძალიან უყვარდა თავისი მღვმერი; ალერსი და ყურადღებაც, რომელსაც ახლა ოლიმპიადასადმი იჩენდა, ცხადია, დოდონასადმი კარგი განწყობილებით იყო გამოწვეული. რა თქმა უნდა ასე იქნებოდა, თორემ აბა რა სიმპატია უნდა აღეძრა ამ კუშტი სახის კრიკინას! როდესაც ჩვენ გვიყვარს ადამიანი, მაშინ მოწყალე თვალით ვუცქერთ ყველაფერს და ყველას, ვინც დაკავშირებულია მის სახელთან.

დიასახლისმა მწუხარება გამოთქვა დოდონა გუშინ გამგზავრა სავანეში თავის მეგობარ ქალიშვილთან და მხოლოდ საღამოს დაბრუნდება ვაშლოვანში.

ამისმა გავიწყობამ კიდევ უფრო გამიძლიერა ეჭვი, რომ ინტენური მედეა ავალიანი სწორედ ის ქალიშვილი იყო, რომელიც გუშინ საენეში საუცხოო ჩვენებად წარმოვიდგა.

ძალიან გულდაწყვეტილი იყო ოლიმპიდა, მაგრამ მეტი რა ღონე ჰქონდა — საღამომდე უნდა ეცადა გადმოიღო მანქანიდან საკვოიაცი და დაგვემშვიდობა.

ღადომ მაშინვე შეატრიალა თავისი მერანი და გაეზრუნდით.

მამ შესაძლებელი იყო, რომ დოდონას ვაშლოვანში ენახავდი!

ეს მოლოდინი ახლა გულწრფელად მალეღვებდა და მაფორიაქებდა.

ძველი დროიდან სოფელს ეკვროდა უშენი, გაველურებული ვრცელი ვაკეთაობები თაობებს ცვლდნენ, ეს ადგილი კი ყოველთვის ასეთი ახსოვდათ — ეკალითა და ჩირვით დაფარული. არავის გაუგონია, რომ აქ ოდესმე ტყე ყოფილიყო, ან ხეული გაველოთ. ეკლებში და ჩირვებში მხოლოდ მალაღი, თითქოს შხამით გაედნთილი, მწვანე გვირა იზრდებოდა. იქნებ ამიტომ ამ ადგილს გვიმრალს ეძახდნენ.

სოფელში ღობეებს ავლებდნენ კიყნა ყანებსა და ვენახებს, მტკაველი მიწისათვის სასიკვდილოდ იმეტებდნენ ერთმანეთს, ამოდენა სივრცეს კი გამკითხავი არ ჰყავდა. ყრულ, ზღაპრად იტყობდნენ ძველი კაცები, თითქოს გვიმრალის გამო სამკვდრო-სასიცოცხლო დავა ჰქონდა ორ სხვადასხვა გვარეულებას, რომ დავა დაუსრულებლად გრძელდებოდა და რომ უქმად დარჩენილი ადგილი ამიტომ უდაბნოდ იქცაო.

გადიოდნენ წლები და ბოლოს ადამიანი შეეჩვია იმ აზრს რომ გვიმრალი უდაბნოა და რომ ის სხვად არაფრად გამოდგება — უდაბნო იყო და უდაბნო უნდა დარჩეს.

გვიმრალის ბედი მხოლოდ მამის შეტრიალდა, როცა მიწა უქმად დარჩება გახდა. მაგრამ აქვე უქმად შეცვლილა ერთხანად. ერთხანს ისევე მიგდებული და მივიწყებული იყო. ვაშლოვანის არც ერთმა კოლმეურნეობამ არ შეიტანა ის თავის ფართობში, ყველამ უარი თქვა, რად გაეხადათ სადავიდარაბოდ და სალაპარაკოდ, რომ უქმად აქვთ. თუ კი ის არაფერში გამოსადეგი არ იყო?!

შემთხვევით თუ არა შემთხვევით, ბოლოს ერთ ვაშლოვანელ ქაბუკს ჩაუვარდა გვიმრალზე ფიქრი. ალბათ ის ბუნებით მეოცნებე იყო, ან და ძალიან უსაქმური, რაც თითქმის ერთიდაიგივეა, თუ ოცნება ფუჭია.

ქაბუკი დაეხეტებოდა ხოლმე გვიმრალის ჯაგებში და ფიქრობდა: ხომ შეიძლება, რომ ერთ დღეს მთელ ამ სივრცეზე ყანა აბიზინდეს და ვაზმა იხაროს?

ეს მეოცნებე გაბრიელი იყო. ვისაც არ გაანდო მან თავისი ფიქრი, ყველამ უსარგებლო ოცნებად ჩაუთვალა. მამამისმაც ხელი ჩააქნია — მოხუც მეურნეს კი ესმოდა მიწის ფასი და უყვარდა კიდევაც იმ ძლიერი სიყვარულით, რომელიც ჩვენებურ გლეხს აქვს.

ბოლოს თითონ გაბრიელიც დაეჭვდა და გულში ჩაიმარხა.

ამის შემდეგ წლები გავიდნენ. ინსტიტუტში სწავლა, მერე სხვა მხარეში მუშაობა, ბოლოს ფრონტი. თითქოს უნდა დავიწყებოდა გვიმრალზე ფიქრი, მაგრამ, როცა ფრონტიდან თავის სამშობლო კუთხეში დაბრუნდა, ძველმა ოცნებამაც გაიღვიძა.

ჯერ კიდევ ომის წლებში შამპანურის ქარხანა აშენდა ვაშლოვანში. ორი სოფელი — ვაშლოვანი და იგორეთი — ქარხნის გამო თავგამოდებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ვაშლოვანი იმის მაცოდინში იყო, რომ მის მიწაზე აშენებულ იყო, იგორეთი არ თმობდა და თავის-

კენ ეზიდებოდა; რაიონის ხელმძღვანელობამ ბოლოს უპირატესობა პირველს მისცა, ააშენა კიდეცა, მაგრამ იგორეთი არც ამის შემდეგ გამოეთხოვა თავის განზრახვას და ისევ იმის ცდაში იყო, რომ ქარხანა თავის სოფელში გადაეტანა.

იგორეთი ერთგვარი შურით უცქერდა ვაშლოვანს, — უკანასკნელის სახელი ყველას პირზე ეკერა რაიონში, განსაკუთრებით იმის შემდეგ, როცა იქ ელსადგურის აგება გადაწყდა. ელსადგურის საქმეში მეტოქეობას ვერ გაუწევდა, რადგან ვაშლოვანს თითონ ბუნება უწყობდა ხელს, მაგრამ, რაც შეეხება ქარხანას, არა, ამას არასვხით არ დასთმობს და რა დროც იქნება თავის მიწაზე გადაიტანს!

იმდენი იბრძოლეს და ისე შეუპოვრად, რომ ბოლოს რაიონის ცენტრში მომხრეები გაუჩნდათ. იგორეთლებმა ისიც კი შესძლეს, რომ შიგნიდან გასტეხეს ციხე — ქარხნის გამგე მიიმხრეს და ისიც ჩასჩინებდა რაიონის ხელმძღვანელებს, რომ უმჯობესი იქნებოდა ვაშლოვანიდან ქარხნის გადატანა. სწორედ ამ ხანებში წამოიჭრა საკითხი ქარხნის გაფართოებაზე. ამ მდგომარეობით ისარგებლეს იგორეთლებმა და დასაბუთებული წინადადება წარუდგინეს რაიონის ცენტრს: იგორეთმა გაადიდა ვენახის ფართობი და მომავალშიც საგრძნობლად გაადიდებს, ვაშლოვანს კი საამისო საშუალება არ გააჩნია, ის მცირედ ნაკვეთსაც ველარ შემოიმატებს; იგორეთის წინაშე ფართო ასპარეზი იშლება, მაშინ როცა ვაშლოვანი, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერაფერს ვაახერხებს... თუ მართლა განზრახულია ქარხნის გადიდება, ძველის გადაკეთებას ის აჯობებს, რომ იგორეთში ახალი აშენდესო...

რაიონის ცენტრში თანამგრძობლები გაუჩნდნენ ამ მოსაზრებას და იგორეთელებს იმედი მიეცათ, რომ თავისას მიალწევდნენ.

ეს ამბავი საგონებელში აგდებდა ესტატეს. ვერ შერიგებოდა იმ ფაქტს, რომ ქარხანას სხვაგან გადაიტანდნენ, თუ ღირსება აკლდებოდა სოფელს და, როგორცა, მისი საკუთარი თავმოყვარეობა ილაზებოდა.

თავისი შიში მან გაბრიელს გაუზიარა და მაშინ გაბრიელმაც ძველი ოცნება გაანდო.

— ფიქრი ნუ გაქვს, მოველები ამ საქმეს, — ამხნევებდა გაბრიელი. — აი, ეგერ გვიმრალი... გაწმინდე ის ეკლისგან, გააკეთილშობილე იქაურობა და ეებერთელა ნაკვეთი გექნება ხელში. ნახევარი დღე რომ იარო, ვერ შემოივლი... თავისუფლად გაშლი მაშინ ფრთებს... სხვა არა იყოს რა, სირცხვილია, რომ იმოღენა ადგილს ეკალი და პატრონებია...

ესტატემ მაშინვე ჩასკიდა ხელი ამ აზრს. მუდამ მშვედი თავდაბალი, გარეგნულად სუსტი ესტატე მტკიცე და შეუპოვარი იყო იქ, სადაც ამას საქმე მოითხოვდა.

გაბრიელი და ესტატე შეთანხმდნენ, რომ ერთ თავისუფალ კვირას (ამიტომ იყო, რომ გაბრიელი ასე ისწრაფვოდა დღეს ვაშლოვანში ამოსვლას) კიდეც ერთხელ და საბოლოოდ დათვალიერებდნენ გვიმრალს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მინაგო ბებურიძესთან ერთად შეიმუშაებდნენ საპიროლონისძიებებს.

მინაგო თავდაპირველად ეჭვით შეხვდა მათ განზრახვას.

— არ იქნებოდა ურიგო საქმე, მაგრამ...

— რაო მაგრამ? კითხა გაბრიელმა.

— ეგ რომ შესაძლებელი იყოს, რაღა აჯობებდა... ადგილი დიდია, მაგრამ... მაგრამ თუ მიწა არ ვარგა?

— ვინ გითხრა არ ვარგა? ვინ იცის ეგ? — თვალები მიანათა გაბრიელმა.

— უნაყოფო რომ არ ყოფილიყო, მამ საუკუნოებით ვინ მოაცდენდა?

— შენ გამოსცადე ის მიწა? შენ დარწმუნდი, რომ უსარგებლოა?

— არა, მაგრამ...

გაბრიელმა ველარ შეიკავა თავი და მკვახედ უთხრა:

— მაგრამ ათადან-ბაზადან მომდინარე სისულელეს იმეორებ, არა? ის ლაგაკლია ნაძრახ ადგილად გამოაცხადო!

— მე თუ მკითხავთ, უვარგისი მიწაა და ახლა თქვენ როგორც გინდოდეთ, ისე გადაწყვიტეთ, — უკმაყოფილოდ ჩაიბუბუნა მინაგომ. — შენ აგრონომი ბრძანდები და უკეთ მოგხსენება ყველაფერი.

— ვცადოთ მაინც, — თქვა ესტატემ.

— ვცადოთ, მაგრამ ვიცი, არაფერი არ გამოვა აქედან... მერე ისევ მე მეტყვეობთ საყვედურს, რომ ხალხი მოცდაო, მე გამოვალ დამნაშავე...

— ასე ყოველთვის და ყველაფერზე რავე უნდა იყო დაეკეზებული? — ღიმილით გადახედა გაბრიელმა. — არ ვარგა შენისთანა კაცი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ!

ესტატემ თვალი მიაჩერა მინაგოს:

— მაშ ზელი ავიღოთ?

— მე ასე მითქვამს და... თუ შენ მიბრძანებ...

— ეს საქმე უნდა გაკეთდეს! — მშვიდად, მაგრამ გადაჭრით უთხრა ესტატემ.

მინაგოს აღარაფერი უთქვამს. მან კარგად იცოდა, რომ ამ კაცთან თავისი ჯიუტობით ვერაფერს გაიტანდა.

— ჰო და ასე, — ბოლოს მეგობრულად ხელი ჩაჰკიდა ესტატემ. — ბრძანება არ გამოიჭირდება, ჩემო მინაგო, მაგრამ მე მინდა რომ შენც გიხაროდეს. მაშინ უფრო კარგად წავა საქმე. შენც აუ მოინდომებ, გაკეთდება. მერე მადლობასაც გვეტყვი.

იმ დღეს ასე შეთანხმდნენ: მოთავდებოდა თუ არა რთველი, უნდა გაეწმინდათ და გაეკაფათ გვიმრალზე საცდელი ნაკვეთი, მერე დაბარავდნენ და

პირგაზაფხულზე ეახს ჩაყრიდნენ... შემდეგ მიწას პასუხი უნდა გეცხადოთ მეოცნებისათვის.

მე და ლალო საბჭოში დიდხანს ველოდებით გაბრიელს და ესტატეს. ხალხით სავსენი დაბრუნდნენ ისინი. გვიმრალის ამბავიც მაშინ გავიგე მათგან... ამ დღიდან ის სიერცე უდაბნო აღარ იყო მათთვის, — ოცნების თვალთ. ისინი ხედავდნენ მწვანედ გადაშლილ ზეარს და მწიფე მტევნებით დასმულ ვაზს.

— გვიმრალის პირველი ღვინო იმ შენი თასით უნდა შეესვა! — ამ შეძახილით დაასრულა თავისი ამბავი გაბრიელმა.

რა თქმა უნდა ასეთი სურვილი ცუდი არ იყო, მაგრამ მისი შესრულება ძალიან საეჭვოდ მიმაჩნდა.

როგორც ესტატემ მითხრა, ყველაფერი, რაც თვალსაჩინო ყოფილიყო ნივთებში, სავანეში გადაეგზავნათ.

— ხომ არ იცით, მართლა იპოვეს თასი? — ეკითხე ბოლოს თითქმის სხვათაშორის, რადგან თავიდანვე ძალიან დაეკეზებული ვიყავი მის არსებობაში.

— როგორ არა, — რატომღაც გაელიმა, — მაგრამ იმ საქმეში, უნდა გამოვტყდე, ვერ ვიმარჯვეთ ჩვენ... ჯერჯერობით არსად არ ჩანს.

— ჯერჯერობითო? მაშ ნამდვილად იყო რაღაც თასი?

ის, რაც შემდეგ გავიგე ესტატესგან, სანუგეშო არ იყო: შემთხვევით მიწის გათხრის დროს ნივთები და თასი ეპოვა ერთ აქაურ კოლმეურნეს, თასი მას წაეღო ოჯახში, იქ ბავშვები დაატარონებოდნენ და სათამაშოდ გადაეჭყლიათ. ერთხელ ბავშვებს წყაროზედაც წაეღოთ და იმ დღიდან აღარც შინ მოუტანიათ, ვიღაც გამვლელს გამოუერთმევია მათთვის.

მხოლოდ ერთი გარემოება მაძლევდა რაღაც იმედს, ძალიან შორეულს, მაგრამ მაინც იმედს, რომ იქნებ კიდევ

მოძებნილიყო დაკარგულის კვალი: თასის წამლები ბავშვებს გამოლაპარაკებოდა და სხვათაშორის ეთქვა, რომ შინდოვანელი ყო.

გამოვკითხე ეს ამბავი ბავშვებსაც და ეთხოვე მათ აღეწერათ იმ ვილაც მგზავრის გარეგნობა.

ეს იყო და ეს, დანარჩენი ყველაფერი ბურუსში გახვეული იყო. პო, მაგრამ, საიდან წამოვიდა ამბავი, რომ თასზე გორგასალის სახელი იყო ამოჭრილი? იმის შემდეგ, რაც თასის არსებობა რეალური გამოდგა, ფუჭი ფანტაზიის ნაყოფად აღარც ის ამბავი შეჩვენებოდა.

მამე შესაძლებელი იყო, რომ თასი ვილაცას ჰქონდა შინდოვანში!

აქედან ახლო იყო შინდოვანი და მეც უმალვე გადავწყვიტე იქ გამგზავრება. ეს იყო სოფელი, სადაც ბავშვობა გავატარე და ჩემი დედობილი ცხოვრობდა. რომელს არ გიყვართ ის წმინდა ადგილი, სადაც მიწის თითოეულ მტკაველზე თქვენი ბავშვობის ტერფის ნაკვალევი აღბეჭდილია, იმ გარემოს მინდორი და გორაკი, სადაც თქვენი უღარდელი სიმღერა ისმოდა! ვინ იქნება ისეთი, ვისაც სიცოცხლის მიწურულში არ მოსწყურდება იმ სოფლის წყარო, ვისი გული არ აათრთოლოს სურვილმა ერთხელ კიდევ შეხედოს თავის ბავშვობის სუფთა ცას, გორაკებს და ხევს და იქ, თითქოს სახსოვრად შენახულ, წკრიალა ხმის გამოძახილი არ მოელანდოს!

იმ დღეს გაბრიელის სტუმრები ვიყავით. სახლი, სადაც მიგვიყვანა, მამისეული ყოფილიყო. ახლა იქ გაბრიელის ქვრივი და მერიკო ცხოვრობდა. მერიკოს ქმარი, სავანეში რაიონული ბანკის მოსამსახურე, იმის პირველ წელშივე დაღუპულიყო ფრონტზე. გაბრიელმა ვაშლოვანში აიყვანა მერიკო საცხოვ-

რებლად და ყოველგვარად შეუწყო ხელი, რომ ორი შეილის დედას გაჭირვება არ ეგრძნო. ერთდროულად მემდეგ გაბრიელიც ჯარში გაიწვიეს, მაგრამ ფრონტზე მყოფსაც არ დაეწყინა დის ოჯახი და იქიდანაც მასზე ზრუნავდა.

გაბრიელის დაბრუნების შემდეგ მერიკო იმის მაცადინში იყო, რომ ძმას საკუთარი ოჯახი გაეჩინა. გაბრიელი ეთანხმებოდა, რომ დრო იყო და საჭიროც, მაგრამ სხვა უფრო ძნელ საქმეში გაბედულს, ვერ იქნა და ვერ გაებედნა ამ ნაბიჯის გადადგმა. ძალიან სწუხდა მერიკო, რომ ვერაფერი გაწყობა გაჯიუტებულ ძმასთან.

და-ძმას გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი. გაბრიელი, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, ამოდიოდა ვაშლოვანში და მისი ნახვით გახარებული მერიკო ამ შემთხვევას ყოველთვის ოჯახის ზეიმად აქცევდა.

ასე იყო დღესაც, როცა გაბრიელმა მიგვიპატიჟა. გზაში ჩვენ შემოგვემატა ადგილობრივი ექიმი, უკვე ხანშესული, ძალზე ჰალარამორეული, მაგრამ მხნე და, როგორც მაშინვე შევატყვე, ხალისიანი კაცი. შეგვხვდა კიდევ შამპანურის ქარხანაში მომუშავე აგრონომი, რომელმაც პირველი შეხვედრისთანავე მიიქცია ჩემი ყურადღება იმით, რომ ძალიან წვრილი, წაწვეტილი ნიკაპი ჰქონდა და მოუშორებლად ღიმილი ეკრა სახეზე, ყველას უღიმიოდა და ყველაფერზე იკრიკებოდა. ვადამეტებული თავაზიანობით ჩამომართვა მან ხელი და გამეცნო:

— კასიანე ქორქაშვილი!

ამასაც ხელი ჩაჰკიდა გაბრიელმა და ყველანი შინ მიგვიყვანა.

დასახლისი სიხარულით შეგვეგება. ორი მეოცნებე შეგობარი, გაბრიელი და ესტატე, ამ დღეს თითონაც საზეიმო გუნებაზე იყენენ გვიმრალიდან დაბრუნების შემდეგ და ყოველივე იმას მოწმობდა, რომ სადილი მზიარულად ჩაივლიდა.



მერიკო ძალიან ჩამოგავდა თავის ძმას სახით და ტანადობითაც, მაგრამ ამავე დროს ფაქიზი და ნაზი ჩანდა, რაც ძალიან მიმზიდველს ხდიდა. რასაკვირველია, ის ლამაზ არსებად მიაჩნდათ აქ და თუმცა ორი შვილის დედა იყო, ალბათ არაერთს ევირა მასზე თვალი. როგორც მალე დაერწმუნდი, თავყანისმცემელთა შორის იყო ეს ჩვენი ექიმიც. თავისი ქადარის მიუხედავად ის... მაგრამ ნუ აჩქარდებით და ნუ წავეუსწრებთ ამბავის მსვლელობას, ჩვენ კიდევ მრავალჯერ შევხვდებით ამ სიმპატურ კაცს და გვექნება დრო და საშუალება ვილაპარაკოთ მერიკოსადმი მის ტრფიულზე.

ისე გულთბილად და უბრალოდ შემხვდა ჩვენი დიასახლისი, რომ მშინვე თავისუფლად ვიგრძენი თავი. მერიკომ თავისი ორი ვაჟიც გამაცნო. ბავშვები სრულიად არ გვანდნენ დედას — გამხდრები, თითქმის ჩამომხმარნი, უსიცოცხლო სახეებით. როგორც სტუმრის მოვალეობა მოითხოვდა, მიევალურსე მათ, გამოველაპარაკე, მაგრამ ისე გულგრილად და ნაღვლიანად მიპასუხეს, თითქოს მისაყვედურებდნენ რად შეგვაწუხეთ.

— ნამდვილი სიამაშეილია! — ერთ მათგანს თავში წაუტყაპუნა გაბრიელმა. — ესენი ჩემს გვარზე უნდა გადაეწერო... ბავშვობაში მე და მერიკოც ასეთივე ლოლუები ვიყავით. არაუშავსრა, ორსამ წელიწადში ლომივით ვახდებიან...

ერთხანს იდგნენ ისინი გაჩუმებულნი, მოდუნებულნი, მაგრამ სურათი უცერად შეიცვალა, როგორც კი დედამ წასვლის უფლება მისცათ — ჯარასავით დატრიალდნენ, მოსწყდნენ ადგილს, ისკუბეს კიბეზე, თვალის დახამხამებაში გაიბინეს ეზო, გაიჭრნენ შარაზე, ხოლო იქიდან კიენით გასწიეს საღდაც.

ნადიმმა თავიდანვე სასიამოვნო მიმდინარეობა მიიღო. ჯერ კიდევ შუასა-

დილზე ექიმი ისე გამხიარულდა, რომ გიტარაზე დაამღერა რეკრეაციულად მანგი, რომელიც მერჯულაძემ მქონდა და მიძღვნილი. თავისი ენამახვილობისათვის სამიზნედ დღეს გაბრიელს კასიანე ჰყავდა ამოჩემებული. მისი ხუმრობა თითქოს უწყინარი იყო, მაგრამ ზოგიერთზე, სწორედ ისეთზე, რომელიც სრულიად უენებელი და ენამახვილობასაც მოკლებული მეჩვენებოდა, ესტატე-ისე გულიანად და გემრიელად იცინოდა, რომ უნებურად სხვებსაც აიყოლებდა ხოლმე. როგორც ჩანს, გაბრიელი მტკივან ადგილს ურტყამდა და ესტატე ამიტომ იღებდა მას გულთან ასე ახლო.

— ვგრძნობ, ჩემო კასიანე, საჭირო აღარ იქნება შენი ქარხნის სხვა ადგილას გადატანა. — ხარხარებდა გაბრიელი. — ტყუილად აუბი მხარი შენს გამგეს. თუ გადატანაზე მიდგა საქმე, ეგერ, ჩემი ჩიტო-გვრიტო, გვიმრალზე ავაშნოთ ახალი და უკეთესი.

— გვიმრალი! — ხელი ჩააქნია კასიანემ. — თავი დაანებე მაგაზე ოცნებას. ვაზი კი არა, იქ ბუჩქიც ვერ ხარობს ხეირიანად.

— ველარ წაიღებთ, ჭირიმე, ვაშლოვანიდან, აქ იყო და აქ იქნება! — გუგუნებდა გაბრიელი. — ა, რას იტყვი, ესტატე, გავატანოთ?

პასუხის მაგიერ ესტატე გულიანად იცინოდა.

კასიანემ თავს ძალა დაატანა და გაღიმება სცადა, მაგრამ ამის მაგიერ სიბრაზისაგან მხოლოდ დაედრიჯა სახე. გაბრაზების დასაფარავად კასიანემ სიმღერა წამოიწყო, მაგრამ არავინ აძევა. ერთხანს ცხვირჩამოშვებული იჯდა, შემდეგ ისე ადგა და გავიდა, რომ არავის შეუშინებია.

უჩვეულოდ მოწყენილს ვხედავდი მხოლოდ ჩვენს შოფერს. მერიკომ გავვირეებაც გამოთქვა, რომ ლაპარაკის

მოყვარული და ხალისიანი ლადო ჩემად იჯდა.

— ასე იცის მაგ ვაებატონმა, სანამ მშვიერია, ლაქლაქით ტენის ამოგიღებს, მაგრამ გაძღება თუ არა, მაშინვე ენას ჩაყლაპავს, — ისევე გუგუნებდა ვაბრიელი. — წადი, ძამიკო, დაიძინე, ხვალ აღრე გასამზავერებელი ვართ!

როგორ დაგვადამდა, არც გავგივიდა. ერთი-ორჯერ გრგვინვა მომესმა. ეს არ იყო ზაფხულის ქექა-ქუხილი, როცა მიწა კი ვაიძივტივებს. მხოლოდ მკრთალად გაიღვია და აგერ როდისღაც ცამ ბებრული ყრუ ბანით ჩაახველა. რამდენიმე ხნის შემდეგ წამოწვიმა კიდევაც. წვეთავდა ფოთლებზე და გავიგონე ის თავისებური, იდუმალებით საესე შარიშური, რომელიც ყოველთვის გაისმის ტოტებში, როცა წვიმა ან ჰაერის ქროლვა პირველად დაარღვევს მათ სიმშვიდეს. მაგრამ დიდხანს არ უწვიმია, პატარა მოიცრემლა და ისევე გადაიღო.

მერიკო ცხოვრობდა იმ სახლის ახლო, სადაც დღით ოლიმპიადა დავტოვეთ. იქიდან ლამპის შუქს ვხედავდი და ერთხელ თვალი მოგკარი ვიღაც ქალის ლანდს, რომელმაც ოლიმპიადა მომავგონა.

ახლოვდებოდა ის დრო, როცა დღის განმავლობაში დაღლილი სოფელი საძილოდ ემზადება. სახლებში თანდათან ქრება სინათლე, სიჩუმე ეუფლება გარემოს. შემოდგომაზე ხომ აღარ ისმის კრიკინას ხმა და კალიას ძილისპირული, აღარსად ჩანს ციციანთელა. თუ სიჩუმეა, — ღრმა სიჩუმეა, თუ უმთვარო და უვარსკვლავო ცაა — ღრმა წყვედიადია.

ჯერ კიდევ სუფრას ეუსხედით, როცა მანქანის შორეული ხმა გავიგონე. ხმა თანდათან გვიახლოვდებოდა, შემდეგ ორლობე ფარების ძლიერმა შუქმა გააჩაღა და მალე მანქანა ჩვენს ახლო გა-  
2. „მნათობი“ № 4.

ჩერდა. თვალი მოგკარი, ვიღაც გადმოვიდა მანქანიდან, დაჯდომის შემდეგ დარჩენილ კაცს და იმ ქალს შევიხიდა, სადაც ოლიმპიადა ბინადრობდა.

ჩემი ფიქრი ამიერიდან სხვაგან იყო. აღარ მართობდა გაბრიელის ხუმრობა, მალავდა ექიმის გაუთავებელი ღირიული ოხვრა და მერიკოს გიტარა. რა უღვევი ენერჯის პატრონი იყო ეს ქალი! მთელი დღე საქმიანობის შემდეგ, ოდნავად არ ეტყობოდა დაღლილობა, მზიარული და გაბრწყინებული სახე ჰქონდა.


როგორც კი წუთი ვიხელთე, აივანზე გავედი. არაეინ მეგულებოდა იქ, მაგრამ, მოულოდნელად, სკამზე ჩამომჯდარი და აივანის მოაჯირზე თავით დამხობილი კასიანე დავინახე.

ოლიმპიადას ოთახში სინათლე ჩანდა. შევნიშნე ორი ლანდი დადიოდა. ერთი, ალბათ, ოლიმპიადა იყო. მაგრამ მეორე? თუ ის დიასახლისი არ იყო, იმ შემთხვევაში...

— ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენ გხედავთ! რომ სწორედ თქვენ გხედავთ და არა ვინმე სხვას! — სრულიად მოულოდნელად მომესმა კასიანეს ხმა. — ვერ წარმოიდგენთ, რა რიგ გამახარეთ!

რატომ და რის შემდეგ აღინთო ეს კაცი ჩემდამი ასეთი სიყვარულით, ვერაფრით ვერ გამერკვია. ორიოდ უმნიშვნელო სიტყვის გარდა აქამდე არაფერი არ მითქვამს მისთვის და არავითარი ყურადღება არ გამომიჩენია მისდამი.

— თქვენ მომეწონეთ შეხვედრის პირველი წუთიდანვე და მაშინვე გავიფიქრე: აი აღამიანი, ვისთანაც შემიძლია მეგობრობა, ვისაც შემიძლია გული ვადავუშალო და ვინც ჩემს გულის-



ტყვილს ჩაწვდება. დიახ, პატიოსნებას გეფიცებით, ასე ვიფიქრე და, დარწმუნებული ვარ, არ შეეცდარევი. ვგრძნობ, თქვენ ყოველნაირად მითანაგრძობთ მე. მადლობის ნიშნად ნება მომეცით ხელი ჩამოგართვათ!

იძულებული გავხდი ხელი გამეწოდა, თუმც არ მესმოდა რაში ვუთანაგრძნობდი და რისთვის მიხდიდა მადლობას.

— ჩვენ მეგობრები ვიქნებით, ხომ ასეა? ბედნიერი ვარ, რომ ვიპოვე გულწრფელი მახლობელი ადამიანი. დიახ, ნამდვილად ბედნიერი ვარ. ხომ გჯერათ ჩემი?

მოდი და უთხარი ასეთ საკვირველ კაცს და ამასთანავე აღზნებულ მდგომარეობაში მყოფს, რომ მისი მეგობარი არ გახდებით!

რალაც წავილულულდე, საიდანაც, ცხადია, ვერაფერს გაიგებდა. მაგრამ, ოი საკვირველებავ, კიდევ უფრო მხურვალე მადლობა მითხრა და ისევ ჩამომართვა ხელი.

— ვიცოდი ასე იქნებოდა! სულთა ნათესაობა, დიახ! ამიერიდან მე უფრო მხნედ ვგრძნობ თავს. და თამამად შემიძლია ანგარიში აღარ გავუწიო სხვათა ირონიას...

ხმას დაუწია, თითქოს საიღუმლოს მანდობსო:

— აი, მაგალითად, გაბრიელი უკმაყოფილოა, რომ მხარს ვუჭერ ჩემს გამგეს და საქიროდ მიმჩინია აქედან ქარხნის გადატანა. ნუთუ დაცინვა დავიმსახურე იმისათვის, რომ საქვეყნო საქმეზე გული შემტკივა? მაგრამ რას იზამ, ასეთი ყოფილა ჩვენისთანა ადამიანების ბედი. მე და თქვენ მუდამ მარტო ვიქნებით სულიერად, ასეთია ჩვენი მწარე ხედრი!

უნებურად გამეღიმა:

— მე არ ვგრძნობ სულიერ მარტოობას და არ ვიცი, რატომ ფიქრობთ ასე!

— არა, არა! — უმალვე შემომძახა. — თქვენ ახლა გულწრფელი არ

ხართ, თქვენ აპირებთ დამალოთ ეგ ჩემგან. მაგრამ ვერა, ჩემგან არაფერი დამალდება... მეც თქვენსეფივად ვიქნები. დიახ, სიკეთე მოვეუტანო და ამაში ხელს მიშლიან, ამ სურვილს დანაშაულად მითვლიან. ვინაო, იკითხავთ თქვენ? აი, ისინი! — ხელი გაიშვირა ოთახისკენ.

ოთახიდან გაბრიელის გუგუნე ისმოდა.

— მაგრამ განა მარტო ის... წარმოიდგინეთ, თვით ჩემი გამგეც... სადაც შენი საქმე არაა, იქ ცხვირს ნუ ჩარგავო, — აი რა მესმის მისგან მადლობის მაგიერ. იქაც დაცინვა... რატომ, რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნისათვის გული შემტკივა... ჩემი დანაშაული — ჩემი მგრძნობიარე გულია. ფაქიზი სული, აი მიხეზი! მაგრამ მე ცხოვრების მაჩანჩალად არ ვთვლი ჩემს თავს და შინდა ყველამ იცოდეს ეს. სდულს ჩემში ყველაფერი, ქაოსი დადის და მოძრაობს, სამყარონი იძვრიან... პო და, მე შინდა ერთხელდასამუდამოდ გავარკვიო ჩემი მდგომარეობა და ადვილი ამ ქვეყანაზე, — ვინ ვარ მე, რა ვარ მე?

არ ვიცი რამდენ ხანს გრძელდებოდა ამ აფორიაქებული კაცის ეს სულიერი ამბოხება. დიდიხანია აღარ ვუსმენდი. ჩემი ყურადღება მიპყრობილი იყო გზის გადაღმა სახლისკენ. ვებდავდი, იქ ფუსფუსი იყო. აივანზე ლამპით ხელში ვილაცამ გაიარა სწრაფად, ოთახში სამი ქალი ტრიალებდა, ხმამაღალი და შეშფოთებული ლაპარაკი ისმოდა. ლამის სიჩუმე უეცრად კვილმა გაჰკვეთა.

ხმა შემზარავი იყო და საშველად გვიმზობდა.

ცხადია, იქ რალაც უბედურება მომხდარიყო. უმალვე გაიქცეო იქითკენ. ჩვენებსაც გაეგონათ და ჩემს უკან მერიკო მორბოდა.

ოთახში ტანტზე იწვა გრძნობადაკარგული ოლიმპიადა. ვიღაც დედაკაცს თავის კალთაზე დაესვენა მისი თავი და საფეთქლებს უსრესდა. მმარის მძაფრი სუნი იღვავდა.

გარედან ისევ და ისევ შემოდინდნენ გაღვიძებული მეზობლები და ოთახი თანდათან ხალხით ივსებოდა.

ავადმყოფს გვერდით უჯდა ახალგაზრდა ქალი, თავდახრილი თვალებში ჩაპყურებდა, თმებზე უაღურსებდა და შეშფოთებული რაღაცას ჩაპკითხავდა ხოლმე.

როდესაც ერთხელ ოლიმპიადამ ამოიკენესა, ახალგაზრდა ქალმა თავი ასწია, მიმოიხედა და ნალვლიანი ხმით იკითხა: — წავიდა ვინმე ექიმის მოსაყვანად?

მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის მისი დანახვა, მაგრამ მაინც გასაკვირველი იყო, რომ ვხედავდი აქ და ასეთ გარემოში.

ახალგაზრდა ქალიშვილი დოდონა იყო.

— თქვენ გელოდებით, — შეეგება ის ექიმს, რომელიც ყველაზე გვიან შემობაკუნდა, — ძალიან ცუდათაა, მიშველეთ, გადააჩინეთ!

შეშინებული და სასოწარკვეთილი, დოდონა ახლა სულ სხვანაირი იყო, ვიდრე გუშინ, სავანეში პირველად ნახვისას, მაგრამ მაინც სავსე მშვენიერებით. მის სახეზე ტანჯვაც კი მომხიბლავი ჩანდა.

ღილით გაბრეილი მიემგზავრებოდა. გზატკეცილის ჯვარედინამდე მეც მივყვებოდი. იქიდან ახლო იყო შინდოვანი და ფეხით მისვლა გადაეწყვიტე.

კარგი დღე იყო მრსალოდნელი. გრძელი ღამის განმავლობაში ამიდი შეცვლილიყო. ჯერ ისევ ეფიდა ღრუბლები, მაგრამ ისინი დაფლეთილნი და გაფანტული იყვნენ, ზოზინით მიცურავ-

დნენ და თანდათან ქრებოდნენ. აქამდე სუფთა ლურჯი ცა ჩანდა მანქანა მზად პყავდებოდა და დასვენებული, ის ახლა კარგ გუნებაზე იყო.

— შინდოვანიდან, იცოდეთ, ისევ ჩემთან უნდა მობრძანდეთ! — მეპატივებოდა მერცხო.

ჩვენ ვსხდებოდით მანქანაში, როდესაც ეზოს ჭიშკარი გაიღო და დოდონამ შემოაბიჯა. აგურისფერი კაბა ეცვა, რომელშიაც პირველად სავანეში დავინახე. უძილოდ გატარებულ ღამის შემდეგ მქრთალი სახე ჰქონდა. მოგვესალმა და შემდეგ გაბრეილი გაიხშო. ორი-ოდე სიტყვა უთხრა მხოლოდ, როცა გუგუნი მომესმა:

— აბა რა სათქმელია, სრულიად არ შემაწუხებს. მეც იქით მხარეს მივდივარ და, იმედი გქონდეთ, პირდაპირ სადგურზე მივიყვან!

ოლიმპიადა გამზადებულიყო სამგზავროდ და დოდონა მის წაყვანას თხოვდა გაბრეილს.

ჩვენ უკვე ვიცოდით წუხანდელი ფორაიქის მიზეზი: სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს დეიდა და დისწული, მაგრამ ეს სიხარული უმაღლე გაქრა, როგორც კი ოლიმპიადამ თავისი ჩამოსვლის მიზეზი უთხრა და სამუშაოდან განთავისუფლების საბუთი გადასცა. თავდაპირველად მედეა შეეცადა ფრთხილად აეხსნა დეიდასათვის, რომ აქედან წასვლა შეუძლებელი იყო. მრავალი მოსაზრება მოუყვანა, თუ რატომ ვერ მიიტოვებს ელსადგურს, მაგრამ ოლიმპიადა არც ერთს მათგანს ანგარიშს არ უწევდა. აქამდე ის დარწმუნებული იყო, რომ ქალიშვილი სიხარულით შემოეხვეოდა ამ დათვის ბუნაგიდან დაბნისათვის, და უეცრად იგრძნო, რომ ამდენიხნის მაცადინმა, პროტექციამ და ნაცნობების შეწუხებამ, ფუჭად უნდა ჩაიაროს.

გაოცებული მიშტერებოდა და ველარცნობდა: მის წინ აღარ იდგა ის ყოველ-

თვის მორჩილი და ყოველი მისი სურვილის შემსრულებელი დოდონა. თითქოს სხვა იყო ვიღაც.

შეშფოთებულმა ოლიმპიადამ გადაჭრით მოთხოვა დაანებოს თავი აქ მუშაობას და ხვალვე ქალაქში გააყვას. ამ კატეგორიულ მოთხოვნაზე ისევ მტკიცე უარი მიიღო.

მაგრამ ოლიმპიადისათვის ყველაზე უფრო გულსაკლავი იყო ზიმის გაგონება, რაც ბოლოს უთხრა დოდონამ: ბედნიერად თვლის თავს, რომ მუშაობს აქ თავის სპეციალობაზე და საუცხოვო აღაშიანებს შორის; არასგზით არ გადადგამს სამარცხენო ნაბიჯს და არ დასტოვებს აქაურობას, და რომ შეუძლია დასთმოს დეიდა, მაგრამ სამუშაო კი არა.

ამის გაგონება და ოლიმპიადის გულისწასვლა ერთი იყო.

მეორე დღით ოლიმპიადამ მოითხოვა დაუყოვნებლივ გაემგზავრებიათ ვაშლოვანიდან. მას გაგონებაც არ უნდოდა იმისი, რომ დოდონა გააცილებდა.

— ლატარიაში ამომივიდა! — იკრიპებოდა ლადო. — ისე დაეარყე, რომ

მეორედ ვეღარ გაბედო მინდაში მოსელა!

ოლიმპიადა გვამს ვავდა, როცა მანქანასთან მოიყვანეს. მე და გაბრიელი მხრებში შევეუდექით და დავეხმარეთ ლადოს გვერდით დამჯდარიყო. დოდონა ნალელიანი იდგა შოფერის კაბინასთან, ცდილობდა გამოლაპარაკებოდა დეიდას, მაგრამ ის კრიჭაშეკრული და მრისხანე იჯდა.

— ფიქრი ნუ გექნებათ — ვაიმედებდი დოდონას, — თქვენს დედას არაფერი გაუტყირდება. ორიოდე დღის შემდეგ დაებრუნდები და გიამბობთ როგორ იმგზავრა!

— ძალიან დამავალბთ თუ მინახულებთ! — თითქმის მუდართ შემომხედა.

ოლიმპიადამ უარი თქვა გამოთხოვბოდა ქალიშვილს. ისე დაიძრა მანქანა, რომ ერთხელაც არ შეხედა.

როცა მოსახვევთან უკანასკნელად მოვიხედე, თვალი მოვკარი, რომ გზაზე ისევ იდგა დოდონა და ჩვენსკენ იჭიბებოდა.

(გაგრძელება იქნება)

ქონსაგონი გავსახარდი

## დავით აღმაშენებელი

ბრილოზია

კარი მისამი \*

★

X XIV

მდივარი

სალამოვდებოდა, მაგრამ ჩრდილის-  
ძვრაც არ იყო დაწყებული, როცა სა-  
ბიამ, მემამხალეთუხუცესმა, დაინახა  
ციხის სამშენიდან: შავით მოსილი  
ურემი უახლოვდებოდა ნაპარმაგვეის  
სასახლეს. ერთი ცხენოსანი წინ მოუძ-  
ლოდა, ექვსნი თან მოსდევდნენ ურემს.

აღმა-დაღმა ირბინა...

ირბინა საბიამ, პირველი გოდოლის  
ხვეულ კიბეზე ავიდა, ახლა აქედან და-  
უწყო თვალთვალი ურემს, მერე აღარ  
დააყოვნა და ციხის ეზოში ჩავიდა.

შემუწვართა წინამდგომი მზისაგარ  
შეეფეთა, შარვაშიძის ქალი, აქშინე-  
ბულ მოხუცს.

რა მოგვსლიაო, ბედშავო საბიავ?

ვილაც, შავი ნაბღებით შებურვილი  
მოკყავეთო ნაპარმაგვეში ცხენოსნებს?

!!!

დაცდილი ჰყავდა მზისაგარს საბია,  
უწყინარი ტყუილების გამოგონების  
მოყვარული, ამიტომაც არ ირწმუნა მო-  
ხუცის ნაამბობი, თავათ ავიდა პირვე-  
ლი გოდოლის თავანზე.

დიდხანს უტკირა მზისაგარმა ციხის-  
კენ მომავალ ურემს. გაუნძრევლად იწ-  
ვა გრძლივ გამოთილი იგი. ვინც შავ  
ნაბღებში გახვეული მოკყავდათ ცხე-  
ნოსნებს.

ციხე-სასახლე აფორიაქებული იყო

იმ დღეებში, დედისიმედის გაუჩინარე-  
ბის გამო. ხან მესათხველენი მობრუნ-  
დებოდნენ ამოა ძებნისაგან გასავათე-  
ბულნი, ხან მენადირენი და ხანაც მა-  
ღმესრბოლნი საერისთავოებში ცნობე-  
ბის მისაჩხრეკად წასულნი.

მოელოდნენ მხოლოდ-და შევიდოდე  
ჩუხჩს, ატენის ხეობაში წარგზავნილთ,  
ამიტომაც არ დააყოვნა მზისაგარმა და  
მარიამ დედოფლის პალატებისაკენ გა-  
ემურა გამალებული

•  
•

მარიამი გაცივდა მცხეთაში, სწორედ  
იმავე დღის ნაშუადღევს ჩამოიყვანეს  
იგი ეპისკოპოზებმა ნაპარმაგვეს. დასი-  
ცხული იწვა იგი, ქაფურის ტლეებს  
შუბლზე ადებდა გვანცა, ხოლო დავით  
მეფე და გვარამ ერისთავი სასთაულ-  
თან უსხდნენ. კუთხეში მკურნალი შე-  
რაქისძე იღვა გახვევებული.

დაეინებით უშლიდა მას აქიმი მღელ-  
ვარებას და ლაპარაკს, მაგრამ საერთო  
აუმღვრეველი და მშვიდი მარიამი მო-  
უსვენრად დრტყინავდა დედისიმედის  
გაუჩინარების გამო.

„გულდამშვიდებით წავედი. გეთაყვა-  
ნე, მცხეთას, სავსებით დარწმუნებული,  
რომ დედისიმედი და თეონა იქ დამხვედ-

ბოდნენ, ეუბნებოდა იგი დავითს, არც შენ და არც დიოფალ ელენეს არაფერი დაუბარე, აგრე ვიფიქრე, რად ავაფორიაქო-მეთქი ისედაც დაზაფრულნი და როცა მთელი მცხეთა და სამთავრო მოვაჩრეკინე, და მათი მნახველი ვერაფერ იპოვნეს, შევბრწყუნდი და მყისვე ვახშობინე ნიანია ბაკურიანი ზედაზენიდან.

მერმე ის იყო, ნიანიას ბრძანებისამებრ შეპკრეს გზები და ბილიკები ტფილისის საამიროს გარშემო, რადგან ნიანიას მყისვე აღძრა იქვი: ვამ თუ თურქთა მსტოვარებმა გაიტაცეს ორბელიანის ქალი.

მართლაც და შეუძლებელი აქ არაფერია, გეთყვანე, ამ რამდენიმე წლის წინად დღისით-მზისით გაიტაცეს თურქებმა ნიკომედიიდან კუროპალატის პუმპერტოპულოსის უმცოროსი ქალი და მხოლოდ ორი წლის ამო ძებნის შემდეგ მსტოვარებმა ამბავი მოიტანეს იკონიიდან: სულტანის პარამშანაში აღმოჩნდა იგი.

ისევ და ისევ ბერძნის ქალებს გაუტყუებიათ იგი ზღვისპირად და თურქები-სთვის მიუყიდნიათ თურმე“.

გვარამ ერისთავმა სიტყვა ჩაურთო: „მართალი მოგახსენოთ, თავდაპირველად მეც აგეთი იქვი აღმეძრა ავგუსტა, ვიდრე გავიგებდი რა რიგ სათნო დიაცი ყოფილა მექათმე თონა. სულო ცოდვილო, აგრე ვიფიქრე: ეგებ თურქებს მიჰყიდა-მეთქი ამ დიაცმა დედისიმელი“.

დავითმა სთქვა:

„რა თქმა უნდა, შეუძლებელი აქ არაფერია, ცხადია, მიყიდვით არავის მიყიდიდა დედისიმელს ის მექათმე თონა. ვინ იცის, ეგებ სადმე ტყის პირად შეიპყრეს ორივენი თურქის მსტოვარებმა და გაიტაცეს მართლაც:

მე ხელაზლა დავარბენინე მენადირეთ-უხუცესი, ბაზიერთუხუცესი, მეურმე, მეჯორე და მესამლენი, თავათ დავკითხე ისინი, მაგრამ მათი ჩვენებებიდან არაფერი ირკვევა ხელმოსაჭიდი“.

გვარამ ერისთავმა შენიშნა:

„ვთქვათ ის ორი ქალაქი, რომელთაშიც სამ მხედარს მიჰყავდათ, მტკვარს, ტფილისს, დედისიმელს, დედისიმელი და თონა იყვნენ, ხოლო სამივე ცხენოსანნი თურქნი, ერთი მიბრძანეთ, რად ივლიდნენ ატენის ხეობით ისინი?“

ცხადია, დაღმა დაძვებოდნენ მტკვარს და ტფილისის საამიროში გადავიდოდნენ, ზომა?“

მეფემ მიუგო:

„ჩვენ არ ვიცით გუარამ ბატონო, თუ მართლაც თურქნი იყვნენ ის ცხენოსნები, არც ისა თუ რა მოსაზრებით გაუხვიეს მათ სამხრეთისკენ ანაზღად?“

ვთქვათ, თურქნი იყვნენ, ეგებ გზად-მიმავალ ჩუხჩუბს, ან მონასპებს წაატანეს თვალი? ისიც შესაძლოა, ხალხმრავალ გზას მოერიდნენ ტფილისის საამიროსკენ მიმავალს“.

მარიამი შეეკითხა თავის ძმისწულს:

საერისთავებში თუ წარგზავნეთო კაცი?“

„იმავე დამეს, გიორგი ტყონდიდელმა მალემსრბოლები წარგზავნა ბეშყენ ჯაყელთან ჯავახეთს, წიგნი მისწერა მორჯნეველს შტორას, ფარცხისის ციხისთავს და თავის ძმისწულს თეოდორეს, რომელიც თრიალეთის საერისთავოს განმგებლად დანიშნული გყავს უკვე, იოანეს, ანაკოფიის ციხისთავს, შამადავლე ერისთავს ხუფთაში, კლარჯეთის ერისთავსა და თუხარისის ციხისთავს, ასე რომ მთელი სამეფოს მესამზღვრენი, ერისთავნი და ციხისთავნი გაფრთხილებული გყავს უკვე.“

მიუგო დავითმა.

გვარამ ერისთავმა დასძინა: •

„ცხადია, თუ მართლაც თურქთა მსტოვარნი არიან გამტაცებელნი, ისინი დღისით სიარულს ვედარ შესძლებდნენ ხანგრძლივად, ცხადზე უცხადესია, ღამ-ღამობით ივლიდნენ ხალხმრავალ გზებზე...“

ასე რომ დასავლეთისა და სამხრე-



თის სამზღვრებს ვერც ისე იოლად უწევდნენ, მე ეგ მაფიქრებს, თუ ტფილისის საამიროს უწიეს, ამ სამანებზე უფრო აღრე გადავიდნენ, ზომა?“.

დავითმა თავი ჩაღუნა და არაფერი სთქვა ამის საპასუხოდ, ხოლო მარიამმა აქიმი შერაქისძე დაითხოვა თავაზიანად, გვანცას ახმობინა ცინცილუკი და უბრძანა ამ უკანასკნელს:

არავინ მიიღოვო სტუმრების წასვლამდის, და თითქმის ჩურჩულით ეუბნება მეფესა და ერისთავს:

„მე სულ სხვა იქვი მღრღნის გეთაყვანეთ და არ შემოძლია თქვენც არ გაგიზიაროთ იგი. თქვენ მოსვლამდის მახო იყო ჩემთან, მასაც იგივე იქვი სდებია გულში: ზომ გულარძილია და უსჯულო კახთა მეფე აღსართან, ლოთი და დიაცთა მოყვარული ფრიად;

იგიც მიაბზო მახომ, თურმე ლიპარიტის განდგომამდის იგი სტუმრობდა ლიპარიტის უბანში, პურობის დროს ურცხვად გაუმოჯნურდა დედისიმედს, ბოლოს როგორც ლიპარიტის დაკითხვიდან გამოირკვა, მას შემდეგ, რაც რატი ფარცხისიდან გაიქცა, იგი დამოყვრებას ჰპირდებოდა კახთა მეფეს.

თავათ აღვიარა ლიპარიტმა თურმე: კრიტოგრაფი გავუგზავნეო წრეულს ზაფხულში რატის და ჩემი თანხმობაც დავემოწმეო ამ დამოყვრების გამო.

ეშმას თვალი არ უჩანს, გეთაყვანე, ვინ იცის, ეგებ აღსართან კახთა მეფემ მოატაცებინა თავის თავაყვეტილ თურქოპულეებს ღრბელიანთა ქალი? აა!“

სთქვა მარიამმა, მეფესა და ერისთავს მორიგეობით ჩაჰხედა თვალბეჭდში.

დავითმა მხრები აიჩეჩა, და არაფერი სთქვა, ხოლო გვარამ ერისთავმა ჩაიღუღუნა:

„რა მოგახსენო, ავგუსტა. აღსართან ისეთი გარეწარია, აღამიანის გონება მნიად წარმოადგენს, თუ რას არ იკადრებს იგი...“

• • • ე რ ც ი ნ ე შ უ ლ ი

როცა ასეთი საუბარით მისიძის მისაღებ დარბაზში, შარვაშიძის ქალი მზისაგარ ფრთაშესხმული აღმა მიჰყვებოდა სასახლის კიბეებს.

მას თავიდანვე სძავდა დედისიმედი, მაგრამ პატრონის შიშით ოსტატურად შეფარებული ჰქონდა ეს სიძულელი.

როცა დედისიმედის გაუჩინარებამ მთელი სასახლის ცხოვრება ააფორიქა, შარვაშიძის ქალი ქილიკობდა ჩუმ-ჩუმად: ზომ ვამბობდი თავის დროზე: ასკილის მორჩი არ გამოისხამს-მეთქი უროშანს?

ამ ამბავმა დიდი იმედები აღუძრა შარვაშიძის ქალს და სხვა შემუნვარებს, დასავლეთის დიდაზნაურთა ოჯახებიდან გამოსულთ.

საქმე ის იყო, რომ გვანცა დედის მხრიდან ენათესავებოდა შარვაშიძის ასულს. მზისაგარ აგრე ვარაუდობდა:

თუ შამან ერისთავის ქალი შეერთო დავითმა, გვანცა ახალგაზრდაა, დედოფალად ვახდომის შემდეგაც იგი ისევე გაერთობა ნადირობითა და მიმინოების წურთენით, როგორც დედოფალყოფილი რუსუდანი მუღდმივი ლოკვით იყო გატაცებული.

დიოფალი ელენე დასწევდა, ასე რომ მე დამრჩებაო საპარპაშოდ გეგუთის, ნაღვლისისთავის, დიდგორისა და ნაჭარმაგვეის სასახლენი.

გვანცას დანარჩენი შემხრენიც ძლიერ ვაახარა ორბელიანის ქალის გადაკარგვამ. მათ აგრე ეოცნებებოდათ: ეს ამბავი ტახტისაკენ გზას გაუხსნიდა გვანცას, ასე ვარაუდობდნენ ეს დიაცები, რადგან მათ არც კი იცოდნენ, თუ რა გადასწყდა დარბაზისერთა უკანასკნელ ბჭობაზე ყიფჩაღთა უმთავრესთან დამოყვრების გამო.

როცა შარვაშიძის ქალმა ნაბღებით შემბურვილ ურემს თვალი მოჰკრა, აგრე დაასკვნა: ალბათ ატენის ხეობაში წასულ ჩუხჩით მოაქვთო დედისიმედის



ცხედარი და სასახლეში მოასვენებენო. მზისაგარს გულის მანკი სჭირდა, მაინც მიჰყვებოდა აქვლებული სასახლის კიბის ხარისხებს სულ აღმა და აღმა, შესდგებოდა, მოაჯირს მოეკიდებოდა, შეისვენებდა, ძალას მოიკრფოდა და მიიჩქაროდა შეძლებისამებრ.

თითქმის უკანასკნელ ხარისხადის მიღწეული იყო, როცა არაქათი გამოვლია, დონიჯი შემოიდგა თემოს თავზე, შესდგა და დაფიქრდა:

როგორ და რა გვარად მოგხსენებინა ეს ამბავი მარიამისთვის? თანაც წინასწარ წარმოიდგენდა, თუ რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას ნაჭარმაგევის სასახლის ცხოვრებაში.

„აღამიანი ყოველივე სიივეს ურიგდებდა ბოლოს და ბოლოს, ფიქრობდა მზისაგარს, მამაკაცებისათვის სიყვარული ისევე იოლად მოსახდელია, როგორც სურდო, ან ჩუტყვავილა.“

ეს დიაცებს უმძიმთ მაგ ბედამწვართ, უიღბლო მიჯნურობის გადატანა, თორემ ვაკეაცი მოიწყენს მცირე ხანს, შესაძლოა იგლოვოს კიდევაც ერთ-ორ წელს, მერმე თავათ ვნება წაიყვანს მას თავის გზაზე.

მერმე?

მერმე გაივლიან კვირეები და თვეები, მარიამი არ დაიფიქრებს თავის სათაყვანებელ ძმისწულისათვის ზრუნვას, გვანცას შერთავს მას; ეგეც საგულისხმოა, ფიქრობდა მზისაგარს.

აქამდის გვანცას არც კი უშვებდა თავის პალატებში მარიამი, გაუჩინარდა თუ არა დედისიმედი, მეორე დღესვე აწვია იგი, მცხეთას თან წარიტანა, ვითომდაც დედისიმედის საძებნად, დავითის წაყვანასაც ლამობდა, მაგრამ ვერ მოიცალა პატრონმა.“

მზისაგარს სძაგდა მარიამ დედოფალიცა, მასვე სთვლიდა ყოველივე სიივის სათავედ. მზისაგარის აზრით, ეს მარიამმა გაჰყარა კანონიერი მეუღლე დავით შეფეს, მანვე წაჰკიდა იგი ლიპარიტისძეთა ოჯახს, ახლა რომელიმე დიდხანა-

ურს გადაჰკიდებს მეფეს, ეგებ ვინმემ ბოლო მოუღოს მას.

ეროვნულნი რისთვის მიელტვის ვინაა უფროსნი იმპერატრისსა?

რათა საქართველოს დედოფალი უნდა გახდეს როგორმე. ნიანია ბაკურიანს პირველ ვაზირობას მიუბოძებს და...“

ამ ფიქრებში გართულს კურდღლის ტყავის ფაჩუჩების ტყაპუნი შემოესმა შარვაშისძის ქალს ანაზღად.

უკან მიიხედა.

სამბია მოჩოჩავდა სვენებსვენებით კიბეზე.

შეეშინდა: მემამუხალეთუხუცესმა არ შემასწროსო მარიამის პალატებში, უკანასკნელი ძალი დაძაბა, კიბის ხარისხები აიარა ძლივს და გამალებული მიჰყვადერეფანს:

არა, არავის დაანებებს მზისაგარ ამ სიამოვნებას, მას ეგ სწადია: თვალეში ჩაჰხედოს იმ წუთებში იმპერატრისსას, როცა მას შეუცხადებს მზისაგარ: ნაბლებში შებურვილი ცხედარი მოაქვთო ჩუხჩუხებს.

უკვე მისული იყო მარიამის მისაღებ დარბაზთან შარვაშისძის ქალი და ეზოს-მოძღვარი ცინცილუკ წინ გადაეღობა.

შარვაშისძის ქალმა შერისხა ცინცილუკ:

სასწრაფოდ მოსახსენებელი ამბავი მომაქვსო, ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანი.

ცინცილუკი მოითხოვდა.

არ შეიძლებაო შესვლა, პატრონი სტუმრობსო იმპერატრისას პალატებში ამჟამად.

შარვაშისძის ქალმა ვერ გაართვა თავი ცინცილუკის ბერძნულს, იგი კარის რაზას წაეპოტინა.

ამ ხმაურობაზე გვანცა გამოვიდა კარიდან, როცა საუწყებელი მას ამცნო მზისაგარმა, გვანცა პალატებში შევიდა კვლავ და მცირე ხნის შემდეგ თავათ შეუძღვა შარვაშისძის ქალს მისაღებ დარბაზში.

საბიამ რა დაინახა ეს, გაბრუნდა და მახარას საძებრად გაემართა.

როცა დარბაზში შესულმა მზისავარმა დავით მეფეს მოჰკრა თვალი, დაფრთხა და უკუქცევას დაადგა ანაზღად.

შემზარავი ამბავის თავით მოხსენება ვერ გაბედა გვანცამ, ეს ლა უთხრა მარიამს: შარვაშისძის ქალს ფრიად დიდი ამბის შეტყობინება სწადიაო.

ახლა ეგზომ შემკრთალი შარვაშისძის ქალი რა დაინახა მარიამმა, თავათაც შეკრთა და ჰკითხა მას:

რა ამბავია, რა მოხდაო, მზისავარ? შავადშებურვილი ურემი მოჰყავთო ცხენოსნებს?

შეშფოთებული ზეწამოიჭრა მარიამი, ტლეები მოიშორა შუბლიდან და დაიკენესა:

„ვინ ცხენოსნებს, რას ამბობ, მზისავარ?“

„არ ვიცი ვინ არიან, აგვუსტა, წელან საბიამ ამიყვანა პირველ გოდოლის თავანზე და იქიდან ვნახე.“

„შენი თვალთ ნახე, მზისავარ?“

„ღმერთს გეფიცები, ჩემის თვალთ. აგვუსტა.“

შეშფოთდა გვირამ ერისთავი და ზეწამოიჭრა, მეფეც შესძრა ამ ამბავმა, საერთო მღელვარების პირისპირ არ შეიმჩნია ეგა, მაგრამ უცნაურად მოუღუნდა სხეულის იოგები, წელი ეტყინა და საკარცხლულიდან ვერ დაიძრა გაქარჩხულივით.

მარიამი უკაზმავი იყო, მაგრამ თანადამსწრეთ არ მოერიდა და სამზერს მივარდა. უკვე ჩრდილისძვრა დაწყებულიყო, მაინც გაარჩია მისმა თვალმა, ციხისთავის სამყოფლოს წინ შეეყენებინათ შავი ნაბღებით შებურვილი ურემი, მახარა იქვე დაფაცურობდა და აჩქარებდა, ურემის გარშემო მოგროვილ მანდატურებსა და ჩუხჩებს.

სულ რამდენიმე წუთიც არ გასულა, ციხისთავი და მახარა ამოვარდნენ მარიამის დარბაზში და მოახსენეს დავითს:

კახთა მეფე აღსართან გაკოჭილი შოგ-გვარესო ერისთავებმა არეშენეს და გარამისძემ.

ეს მოლოდინი საშინელისა, ეგზომ უეცარმა სიხარულმა შესცვალა ანაზღად.

შეპყრობილი აღსართანის ნაქარმაგვეს ჩამოყვანამ დიხაც გაახარა გიორგი მეფე და ორივე დედოფალი, მაგრამ ისინი აგრე ვარაუდობდნენ:

სისხლის წვიმების კვირძალი დგებაო.

მახარამ და ქარიშან სეტყელმა განხრახ მოაწყვეს ასეთი რამ: ურემზე დაცრული აღსართან მთელი ღამე ჰყავდათ ფარდულის ქვეშ, სახაბაზოს გვერდით.

მას საბურავი მოხსნეს, ურემს ნაბადი გადახადეს. მოდიოდნენ ხაბაზები, მესაბანჯენი. მესათხველენი, მეჯორენი, მეშინდენი, მეხამლენი და მრეცხავნი. ოტას<sup>1</sup> ასხამდნენ მენდილიან მოღალატეს თავზე, მოცუნცულვებდნენ ბალებში, სახეში აღუყებდნენ მას.

მოდიოდნენ დიაცები, რომელთა შვილები, შვილიშვილები, ქმრები და ძმები ემსხვერპლნათ თურქებს ფარცხისსა, ავქალასა და ზედაზენში. მოჰქონდათ ნაცარი და ზედაყრიდნენ სიჩაქლემიან მენდილს.

გიორგი მეფემ შერისხა მახარა:

„ნუ იჭმთ ასეთ მკვრებელობას, ვე-ყო, რაც უნდა მოღალატე არ უნდა იყოს, მაინც გვირგვინოსანია ეგ ოჯახ-ქორი“.

ბუზღუნით გავიდა მახარა დარბაზიდან და მერმე იურვა გაკოჭილი აღსართანის ურმიდან ჩამოთრევა და ერთი წუთითაც არ მოსცილებია ქარიშან სეტყელსა და მის ჩუხჩებს, ვიდრე ბორკილი არ დაადგეს აღსართანს ქედზე და ლიპარიტ ერისთვის, ძაგან ზედაზენის ციხის პატრონისა და მათი ამალის გვერდით, ნაქარმაგვეის ბნელ სადილეგოში არ დააბეს იგი ჯაჭვითა.

<sup>1</sup> ოტას დასხმა — გლოვის ნიშნად ნაცრის დაწრა თავზე.

ერისთავი არიშინი ხითხითებდა: „მე ჯაჭვი სწორედ მაჯის სიმსხვოა, აღსართანის მაჯისა.“

სწორედ ამოდენა ჯაჭვს უქადლა დავით მეფეს იგი“.

„უკვე ნაყარია წილი!“ მოშინობდა მახარა.

„აეაჲ, ჩემო დავსილო სიკაბუყევესხვის ომებში დალეულო მუხლთა სიმაგრე! აგრე ზდება მუდამ, კაცთაგანს სწორედ იქ მიაკლდება ძალა, როცა ყველაზე მეტად ესაჭიროება იგი.“

„არაფერია ჩემო მახო, ბებერი ხარის რქანიც ხნავსო, აგრე უბნობენ ჩვენში“. ანუგეშა იგი არიშინმა.

მოუთმენლობას იჩენდნენ ჰერეთელი ერისთავები და ხევისთავები. დაუყოვნებლივ შევიტრათო კახეთ-ჰერეთში, გიორგი მეფემ საუბრეზე აწვია იგინი. ამომშინებდა მამაშვილურად მათ:

„როგორმე შეეცადეთ, შვილნო, უსისხლოდ აიღოთ ციხენი და დაბანი, რა გამოვა მაგ შლეგ აღსართანს აცყვეთ და ჩვენივე ხალხი გაფწყვიტოთ ცხელ გულზე.“

არც დავით მეფე ჩქარობდა მაინც და მაინც. მას წესად ჰქონდა მიჩნეული: არასოდეს აჩქარებულად არ უნდა წამოიწყო დიდი საქმე, თორემ უთუოდ დააჩქარებ ხელისმოცარვას.

სწორედ ამიტომაც გულშევიდათ ადგა მეორე დღეს, ისაუზმა, რამდენიმე თავაზიანი სიტყვით გაეხუმრა ჰერეთელ ერისთავებსა და ხევისთავებს.

„მე აგრე მაქვს ეგ ამბავი დაცდილი, მტერს ურმით უნდა მიჰყვე უკან და თუ მუხლი გიჭრის, ბოლოს წამოეწევი მაინც, ოღონდ ეგაა, ენამ არ წაგისწროს და თმენამ არ გიღალატოს.“

ბებერი მინახავს კისრისტეხით ომში მოსწარაფებული კისრის ტეხითვე უკან რომ ბრუნდებოდა“.

გიორგი მეფემ სიტყვა ჩაურთო საუბარში:

„სულკურთხეული მამა იტყვოდა, მეფე ბაგრატი: ომი გამოცდელია ვიღაცთა ცხენისა, არამედ ვაეკაცთა თმენისაც...“

დავითი ადგა და ჰყონდიდელის პალატებისკენ გაემართა ჩაფიქრებული. და დაჯდა მწიგნობართუხუცესი წვევის წიგნთა საწერად.

ნინია ბაქურიანს ებრძანა: დღესვე თან გაჰყოლოდა ჰერეთელ ერისთავებსა და ხევისთავებს, ხორნაბუჯის ციხის მისადგომები გაეწმინდათ წითლოსან დუქისძის თურქობულებისგან და მანდვე მოეცადა დავით მეფის მისვლამდის. ჯონდი ერისთავს მიუთითეს: ლოკინის ხევიში დაბანკებული ათასეულნი დაუყოვნებლივ აეყარა და უჯარმას შემოწყობოდა.

ხოლო უფლისციხეში დაბანკებული შერგილ ლიპარტიანი ხორნაბუჯისკენ წასულიყო, ოღონდ მეფის მანდ ჩასვლამდის არ დაეწყო ციხის გარემოცვა.

ბეშქენ ჯაყელს ჯავახეთიდან ფარცხისში გადასვლა ებრძანა. აქ მოირთავდა იგი მორაქვევებს შტორას, ციხისთავობა აზნაურ მურჯიენელს უნდა ეურვა, თრიალეთიდან აღმოსავლეთით წასულთ ხორანთას გასწვრივ უნდა გადაეღაზათ მტკვარი, ხორანთას ციხე მხარმარცხნით დაეტოვებინათ და აჯინოურის ველის პირზე დაედგათ კარავები.

მათვე დავეალათ: მტკვრის ფონები შეეკრათ განძიდან მომავალ გზების პირისპირ. დღისით და ღამით ეთვალთვალათ ხორანთას ციხიონის მისვლამოსვლისთვის.

ერისთავებსა და სპასიარებს ებრძანა: კახეთ-ჰერეთის მკვიდრთა ერთობლივ დაზოგვა, თუ სადმე თურქობულებს მოახელებდნენ, ტყვეები უფლისციხეს წარეგზავნათ დაუყოვნებლივ.

• • •

მეორე დღეს უთენია ადგა დავითი, დილის ლოცვა რა მოათავა, გზა დაა-

ლოცვინა დედმამას, მამიდას და გვარამ ერისთავს. როცა მარიამ დედოფლის პალატიდან გამოდიოდა, მეფემ შენიშნა მის მუხლის თავებთან მოფორთხდა თალხი ლანდი, მეფე შეერთა ოდნავ, დაწინაურდა მის უკანმოშავალი მახარა, აგრე იფიქრა:

მონაზონი ვინმე გზის დასალოცად ხლებიაო მეფეს. ცალი ხელით დასწვდა ლანდს, გაჯიქდა, დიაცი, მეფის საბარკულუმებს წაებოტინა. როცა დავითმა წამოაყენა იგი, გვანცა შერჩა ხელში.

„გვედრები, მეაბჯრედ წამიყვანე. მეფეე ბატონო, თან.“

კენსოდა ქალი.

დავითი განკვირდა, შეეცადა აღტყინებული ქალწულის დაშოშმინებას. მახარა მამაშვილურად გადაეხვია შამან ერისთავის ქალს და უთხრა:

„რას ამბობ, ქალავ, გმირი მამის შვილი ხარ, მაგრამ ჯერ არც ისე გაგვკვირვებია, დიაცი ვიახლოთ ოში“.

მთელი ღამის უძილარი გიორგი ჭყონდიდელი კარის ალაგთან შეეგება მეფეს, ჯერ დალოცა იგი, მერმე ხელი ქედზე შემოაჭდო და ორივე თვალი ამოუკონცა თავის გაზრდილს.

არც გიორგი ჭყონდიდელს მოსწონდა მახარას წასვლა ოში, მაინც გაჯიქდა ქოსა. დავითი დერეფნიდან გამოზრუნდა. ხელახლა შეახსენა ვაზირთა უპირველესს:

ქარიმან სეტიელს გიტოვებ, ჯერ შოიციადეთ და ნახეთ, რა ამბავს ჩამოიტანს ატენის ხეობიდან ვარდოსანისძე. თუ აქედან არადერი გამოვიდა, თურქებთან მოსამზღვრე საერისთავოებში წარგზავნეთო მდევარნი სამსტოვროდ.

სამგზავრო სამზადისს რა მოათავებს გვარამ ერისთავი, ნუ, დაყოვნდებაო დიდხანს.

როგორც გიორგი მეფე, ისე ორივე დედოფალი ლოგინად ჩავარდნენ. გვანცამ და კუროპალატისსა მელიტამ იურ-

ვეს აედმოყოფობის მოვლა, მკურნალი შერაქისძე საკმაოდ შემოთრებული იყო ელენე დედოფლის მკურნალობისთვის.

ჯინჯრის ციება განუახლდა დედოფალს მარიამს. მაგრამ მას თვით სიცხის ყოფნისას არ ავიწყდებოდა ვარდოსანისძისა და მისთა ჩუხჩითა ლოდინი.

წარამარა ხმობილობდა გვანცასა და მელიტას:

ხომ არ მობრუნებულანო ატენის ხეობიდან ჩუხჩნი.

გვარამ ბეჰისციხის პატრონს დიხაც ეწადა ვარდოსანისძის ჩამოსვლამდის ნაჭარმაგვეს დაყოვნებულიყო, მაგრამ დავით მეფის წასვლიდან მესამე დღეს ჭყონდიდელმა თავაზიანად შეახსენა მას: პატრონმა დაგვიბარა: დაუყოვნებლივ უნდა წაბრძანდეთო შარალანს.

კიდევ სამ დღეს იყოყმანა ბეჰისციხის პატრონმა, ამაღა უკვე მოგროვილი იყო და როგორც იქნა დაადგა გზას.

გაზაფხულის ქარები გახელბული აწყდებოდნენ ნაჭარმაგვეის ციხეთა ქონგურებს, დიაცებსა და მოხუცებს გული ელეოდათ ცრემლისა და ლოდინისაგან.

წავიდა დავით მეფე სპიანად და დაცილიერდნენ გზები.

ნაჭარმაგვეი მოსწყდაო თითქოს მთელს ქვეყანას.

ღმუოდა ქარბორბალა ციხის ქონგურებში, ნაჭარმაგვეის ველზე უკანასკნელ ორთაბრძოლას იხდიდნენ ზამთარი და გაზაფხული.

მარიამ დედოფლის პალატებში ამოდ შეჰქონდა მოხუცებულ საბიას ნაზამთრალი ხილით დატვირთული ხონჩა დილდობით.

ღარდისაგან გულგასენილ გვანცასა და დასიცხულ მარიამს ეს და ესმოდათ:

„როგორც მდინარენი მიდიან და აღარ მოდიან, ისე ილევინან დღენი და თან მიაქვთ ნატამალნი ჩვენი სულისა და ხორცისა.“

როგორც იყო მოადწია ვარდოსანისძემ, ქონდაქართუხუცესის ნაცვალმა.

კიდევ ერთი ლაზვარი ჩაჰსცა მზისავარ. შარვაშიძის ქალმა მარიამ დედოფალს: ვითომდაც გულნაწყენმა ამცნო:

ვარდოსანისძე ჩამოვიდა, მაგრამ ისე მოლუშული მიდიოდა გიორგი მეფის პალატებისკენ, სასიკეთო ვერაფერი შეუტყვიანო..

მარიამ დედოფალი ზეწამოიჭრა, ჩამაცვითო, უყვირა მელიტას. აქიმი შერაქისძე ყალყზე შესდგა.

„რასა ბრძანებ, ავგუსტა, რა დროს ადგომია, იცით თუ არა, რა სუსტი მავჯა გქონდათ წუხელ“.

როცა შალეებში შეფუთვნილი მარიამის შემოსვლა შეიძინო დედოფალმა ელენემ, თავი წამოჰყო ბურანში მყოფმა და დაიკვნესა: „ეს რა გიქნია, მამიკო?!“

მარიამმა დაამოშმინა რძალი. გვერდით მიუწვა და ორივემ ყური მიუგდეს გიორგი მეფის წინაშე თავმოდრეკილად მღვარ ვარდოსანისძეს.

.....ტანას ხევისთავმაც დაამოწმა, რომ სიავის იმ დღეს, ტანას ხევში მართლაც გაუვლიათ სამ ცხენოსანს, რომელთაც ორი მტირალი დიაცი მიჰყავდათ სამხრეთით“.

ასე დაიწყო თავისი სათხრობი ჩუხჩარხის ნაცვალმა.

„გზად შეხვედრილმა მეცხვარეებმა დაადასტურეს, ალერსის ციხისკენ მიმავალნი ვნახეთო ჩვენცა.“

კითხვა-კითხვით ვიარეთ ალერსის ციხემდის.

ციხისთავმა აგრე გვიჩვენა: გასულ კვირას მე თავით ჩამიარეს მაგ ცხენოსნებმა, შევაყენე კიდევაც კვითხევიო, თუ რად სტირიან მეთქი, ეგ დიაცები.

უხუცესმა ცხენოსანთა შორის ახლგაზრდა დიაცზე მიაშვირა მათრახხ და აგრე მომიგო: მაგ დიაცს რატომ უხუცესდა და სატირალში მიგვეყვანო!

სადაური ხართო?

უკითხავს თურშე იმ ციხისთავს მხედრებისთვის.

„სარბიელას სოფლისანი ვართო“.

„გვარები ხომ არ უკითხავს მაგ ციხისთავს მხედრებისთვის?“

შეეკითხა გიორგი მეფე.

„არა, არ უკითხავს ჩვენდა საეგალოდ გვარნი“.

მიუგო ვარდოსანისძემ.

„მერმე რა ჰქენით, სარბიელამდის არ იარეთ?“

მოუთმენლად იკითხა მარიამ დედოფალმა.

„დიდხანს ვეძიეთ ეს გადაკარგული სოფელი, გზა ავევრია, სამი დღე ვიხეტიალეთ მთა ჯამჯამას დაბნელებულ ორწოხებში, ბოლოს ერთ ბრუტიან დიაკონს გადავეყარეთ.“

ვაგლახად დავარდნილ ჯორზე იჯდა დიაკონი იგი და მხოლოდ მესამე დღეს მივაკვლიეთ სარბიელას.

სოფელს ყვავილი დარეოდა, დიდი და მცირე კარგამოკეტილ მიწურებში კენესოდნენ, დაგვესიენ ძაღლები, ხმლით მოგერიება დაგვეპირდა მათი.

მანდაურ საყდარში ერთი მიხრწნილი ხუცესი ვიპოვეთ, ყრუ აღმოჩნდა ის ოჯახქორი, როგორც იქნა შევასმინეთ თუ რას მიველტოდით.

შინ წაგვიყვანა ხუცესმა და კერასთან დაგვსვა.

დიდხანს აკანტურა ბერიკაცმა თავი და მერმე ეს გვითხრა:

„ამ სოფელში, როგორც მსმენია, ამ თვეში არავინ მომკვდარა მსცოვანთაგანი.“

მართალია, ყვავილმა დაგვრია ხელი, მაგრამ მართო ბაღლების კუბო გავიტანეთ ბარე ორმოცი, ხოლო ისეთი დიაცი, რომელსაც მოწიფული ქალი ჰყო-

ლოდეს, ამ სოფელში არვინ მომკვ-  
დარა“.

როცა ამ ბებერ ხეცეს ყურში ჩაე-  
ყვიროდი, კერის პირად ერთი ვაგლა-  
ხად მოკუტულო ბერი ეგდო, მან თავი  
წამოპყო, დაწირბული თვალები მო-  
იფშენიბა, დაამტქნარა, და ტაბით  
გვიბზრა შემდეგი:

„ერთი კვირიაკეს წინ ეშმაკის უბან-  
ში ვიყავი საროჟიკოდ, მანდ ერთი ღია-  
ცი მიიცვალა ოთხმოცი წლისა, დიდძა-  
ლი ხალხი დაესწრო ტირილს, ასზე მე-  
ტი ცხენოსანი ჩაეიდა მანდ ქალი და კა-  
ცი, სულ ჩჩეულ ცხენებზე აღმხედრე-  
ბულნი“.

ეშმაკის უბანი სადღაა მეთქი ვკით-  
ხე იმ ბერს.

პეტრეს ციხის სანახებშიაო.

ჩვენ არც პეტრეს ციხე ვიცოდით სად  
იყო, ისევე ავადირეთ თავი და კითხვა-  
კითხვით ვიარეთ დღისით და ღამით.  
ბოლოს მივაგნეთ, როგორც იქნა იმ  
ოჯახს, სადაც ოთხმოცი წლის დედა-  
ბერი მიეღო გამჩენს.

მხრები აიჩეჩა ამ სახლის უფალმა.

სტუმრები ღია მოგვივიდა ამ წინებე-  
ში, როგორც ცხენოსანნი, ისე ქვეითნი,  
მაგრამ ჩვენ ჯავახელი გახლავართ და  
შიდა ქართლიდან არავინ მოგვსვლიაო  
სატრალში.

ამ ოჯახში ერთი ჯავახელი მელორე  
სტუმრობდა და სთქვა იმ მელორემან  
შემდეგი:

„მე და ჩემი დედისძმის შვილნი ღო-  
რის კოლტს ვაძოვებდით გღლის ტბას-  
თან. გადაყირავებულ ნავებზე სამი ვაჟ-  
კაცი და ორი ღიაცი ისხდნენ.“

სამი კაცი პურსა სჭამდა ორი ღიაცი  
სტიროდა, მე აქეთვე მოვიჩქაროდი  
და არაფერი მიკითხავს არც იმათთვის  
ვინცა პურობდა, არც იმათთვის, ვინცა  
სტიროდა“.

სთქვა და დადუმდა ვარდოსანისძე.

გიორგი ჭყონდიდელი შეეკითხა  
მთხრობელს:

„თუ შეამოწმეთ თავათ იმ მელორის  
ჩვენება, როგორმე?“

ვარდოსანისძემ მიუღო პასუხი:

„ჩვენ ორი დღე ვიარეთ ვაგლას ტბის  
სამხრეთ სანახებში. მეცხვარენი შემოგ-  
ხდნენ, მელორენი და ღორ-ხბოთა  
მწყემსნი, ვილაც მეთულუხჩეს გადაე-  
ყარეთ ვალაშკერტიდან მომავალს, სამი  
ვაჟარიც გზად შემოგვხვდა კარის ციხი-  
დან ჯავახეთისკენ წარმოსულნი, ყვე-  
ლანი დავკითხეთ, მაგრამ არავის არა-  
ფერი სმენოდა სამი მხედრისა და ორი  
მტირალი ღიაცის გამო.“

ისევე დავადეგით გზას თეთრ ციხემდის  
ვიარეთ, ტბა პალაკაციოს გარს შემო-  
ვუარეთ, მაგრამ სანუგეშო ვერაფერ  
ვერაფერი გვამცნო“.

ახლა დიოფალ ელენეს უნდოდა ასე-  
თი რამ გავგო:

ღიაცთა ჩაცმულობის გამო თუ ჰკით-  
ხეთო რაიმე ტანას ხევისთავს, ალერსის  
ციხის პატრონს, ან იმ მელორეს?

„სამივემ ერთი და იგივე მოგვიგო:  
შავოსნები იყვნენ“.

კითხვა მოუნაცვლა ელენემ:

„ხნოვანების გამო თუ ჰკითხეთო  
რაიმე?“

„ღიაცთა ხნოვანობა ალერსის ციხის  
პატრონს და ვკითხეთ და მან აგრე  
თქო:

დაღრეჯით იყვნენ მტირალნი, ამი-  
ტომაც ვერაფერს გეტყვითო ამის  
გამო“.

ახლა ეს აიჩემა ელენე დედოფალმა  
გოლის ტბის პირად ნახულნი ღიაც-  
ნი დედისიმედი და თეონა იქნებოდნე-  
ნო უთუოდ.

გიორგი მეფე კვლავ წაეპაექრა მას:

„როგორც ვარდოსანისძის ჩვენებიდან  
ირკვევა, შესაძლოა ის ორი ღიაცი, მე-  
ხამლეთა მიერ ატენის ხეობაში ნახულ-  
ნი, იგივენი იყვნენ, ვინც ალერსის ცი-  
ხის პატრონს უნახავს.“

მართალია, მათ უსწორო პასუხი მის-  
ცეს ამ უკანასკნელს, ალბათ გატაცე-  
ბულნი ჰყავდათ ის ქალები და ამიტო-

მაც ამცნეს: ეშმაკის უბანში მივდივართო, და ნაცვლად ეშმაკის უბნისა, გოლის ტბისკენ გაემართნენ.

სავალალოა, იმ მელორეს მსხდომარენი რომ უნახავთ იგინი, ამიტომაც ჩვენ ვერ ვიტყვით, თუ საით წაიყვანეს ის დიაცები.

ყოველ შემთხვევაში, რაკი არც მათი ასაკის, არც მათი გარეგნობის გამო არავითარი ნიშანდებანი დადგენილი არაა, არც ის შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მაინცდამაინც ის ორი მტირალი დიაცი ორბელიანის ქალი და თეონა უნდა იყვნენ, ხომარა?

ესა სთქვა და მარიამ-დედოფალს შეხედა.

მარიამ დედოფალი არ დაეთანხმა ძმას და იგიც შეუდგა მტკიცებას: ის ორი დიაცი უთუოდ დედისიმედი და თეონა იქნებოდნენო, ამიტომაც მოითხოვდა უფრო მრავალრიცხოვანი მღვვარის წარგზავნას.

გიორგი ჭყონდიდელმა ყველას მოუსმინა და მერმე ბრძანა:

„მეც აგრე მგონია, ჯერხნობით საკმარისი საბუთი არ უნდა გექონდეს მაინც და მაინც ვირწმუნოთ, რომ ატენის ზეობიდან გოლის ტბისაკენ, ესე იგი, სამხრეთით წაყვანილ ორ დიაცში ვიგულისხმობთ ორბელიანის ქალი და მექათმე თეონა.

ასეთი დარწმუნება ხელაღებით, უთუოდ დაახშობდა ჩვენს სიფხიზლეს. ვგონებ აჯობებდა, კვლავ განვაგრძოთ გაუჩინარებულთა ძებნა სამეფოს ჩვენის მოსამზღვრე საერისთავოებში, როგორც ეს დაგვიბარა პატრონმა.

ბოლოს როცა ამას მოვათავებთ სამეფოს შიგნით განვაგრძოთ ძებნა, უკეთუ არც ამისაგან გამოვიდა რაიმე, წარგზავნავნოთ კაცი სომხეთს, ირანსა და მესოპოტამიას, მოსულს, ბაღდადსა და მექას, ვინძლო ამ გზით მივაკვლიოთ დაკარგულთ“.

მეორე დღესვე გზას დადგნენ ქარიმან სეტყელი და ნაცვალე მისი. ვარდოსანისძე ასიოდე ჩუხჩუი ვაჟი წაიყვანეს მათ.

ქარიმან სეტყელმა რამდენიმე ჯგუფად დაკყო ჩუხჩინი. ათი კაცი ვარდოსანისძეს გაატანა. ესენი ისევ გოლის ტბიდან თეთრი ციხისაკენ უნდა წასულიყვნენ.

აქედან აბოცს ჩავიდნენ, აბოცის მთები გადალახეს და გუმბრს უწიეს. ანისის მისადგომებამდის იარეს ღამლამობით, მაგრამ ორ სამჯერ თურქ მესამზღვრეებს გადააწყდნენ და უკან გამობრუნდნენ ამაო ძებნისაგან დამაშვრალნი.

ათმა ჩუხჩმა ჭუმურლუსის ციხეს უწიეს მეხუთე დღეს, ყალნუს მთა გარდავლეს, ბანას მონასტერში წირვა მოისმინეს.

დაჰკითხეს მანდაური წინამძღვარი, ებისკოპოზი, ბერნი და მლოცველნი.

ფანასკერტს ჩავიდნენ, ციხისთავსა და ციხონებს ჩვენება ჩამოართვეს. ბოლოს მიაღწიეს ნიალის მინდორს, სწორედ იმ ადგილს, სადაც მას უამსა შინა გიორგი პირველმა დაამარცხა ბასილი ბულგართა მმუსვრელი.

აქედან მიჰყვნენ არსიანის მთას, შემოვლეს მანდაურნი მონასტერნი, ციხენი და გოდოლნი, ქოლბაქნი და ფუნდუნი.

კიდევ სხვა ათმა ჩუხჩმა გადალახა ირიჯლუს მთა, ესენი ჳოროხზე გავიდნენ. ზეარაშხის ზიდამდის იარეს, მანდაურ სოფლებისა და დაბნების მკვიდრნი დაჰკითხეს.

შვილმა ჩუხჩმა ფორჩხის ზევამდე მიაღწიეს, მოსჩხრიკეს ჳოროხისა და ისპირის არენი; მთა ბაიბურდისა გადაიარეს და ქანეთს მიმავალ გზათა დამცველნი ციხენი და გოდოლნი მოჩხრიკეს.

ჩუხჩების სხვა დასტა ანაკერტისა და ფანაკარის შეუვალი ციხენი მოვლეს, აქაც დაჰკითხეს ციხისთავნი და ცი-

ბონნი, ხუცნი და ბერნი, სოფლელთა და დაბათა მკვიდრნი.

ხუთი ჩუხნი ოპიზას ჩავიდა, ოპიზის მონასტრის წინამძღვარსა და მანდაურ ბერებს ბერძენი შეხვედრით ერთი, რომელსაც ენახა: შეიდ კაცს რომ მიჰყავდათ ერთი გატაცებული დიაცი.

ის ბერძენი გამოსჩხრიკეს, ბოლოს მიაყვლიეს გამტაცებლს ოჯახს, გამტაცებელს ცოლად შეერთო ის დიაცი კანონიერად.

სამი ჩუხნი შავშეთს ჩავიდა, მათ მოვლეთ კილოვანის ხევი, ტბეთის დიდებული ტაძრები და შეუვალი ციხენი.

ესენი ტბეთიდან არტანუჯს ჩავიდნენ, თუხარისის ციხისთავსა და ანაკერტის ეპისკოპოსს ეწვიენ, აქაც ამაბავი ჰკითხეს დიდსა და მცირეს.

მერმე მიჰყვენენ არსიანის მთას და კოროხამდე იარეს დღისით და ღამით. გზა და გზა დაჰკითხავდნენ მეჯორეებს და მეცხვარეებს, მექარავენებსა და მეფუნდუკეთა.

ართვინის მისადგომებს უწიეს. გზა და გზა ამოდ დაჰკითხავდნენ მეწისქვილეებს მეხამლეებსა და ვაჟრებს.

აქიდან ლიგანის ხეობაში გადავიდნენ, იშხნელ ეპისკოპოსსა და იშხანის ციხისთავს შევლა თხოვეს, ამ უკანასკნელთ ბერნი და მსტოვარნი წარგზავნეს თორთომსა და ბაიბურდს.

ბოლოს არტანუჯს ჩავიდნენ, მერის, შინდობის და ახიზის მონასტრენი მოიარეს. ერთი კვირის შემდეგ კალმახის ციხეს უწიეს. აქედან ოლთისსა და ნარიმანს ჩავიდნენ.

ერთი დღე ტაოს-კარში დაჰყვეს, ბასიანი გადაიარეს და სომხეთის მთებს უწიეს.

შეტცხვარედ გადაცმული ქარიმან სეტეელი ათი ჩუხნის თანხლებით საქართველოს ყელს<sup>1</sup> დაადგა.

გზა და გზა მას არ დღუღუღებია არც ერთი მონასტერი, ციხე, გოდოლი, თვით წისქვილიცა, რომ შეგ<sup>მწიქ</sup>მწიქლუცო და არ გამოეკითხა სამხ მსუღბისა და ორი მტირალი დიაცის ამბავი.

შემდგომ ამისა ხენძორისა და დევაბოინის მთანი მოვლო, მეცხვარეთ, მეჯორეთ და მეღორეთ დაჰკითხავდა გზა და გზა, ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდა ამოდ.

ქარიმანმა ასიოდე ცხვარი იყიდა, წინ გაიგდო და ბაიბურდს ჩავიდა ღამით, სამი დღე დახეტიალებდა ბაზრებში. სავაჟრო ქოლბაქებსა და წისქვილებში მორიალე მონებს, გლეხებსა და მონასპებს, თურქებსა და ლაზებს დაჰკითხავდა. ისევ გამორეკა ბაიბურდიდან თავისი ცხვრები, აჰარა ეზინგის მთები გადავლო, რკინის პალოს უწია, სწორედ იმ დაბას, რომელშიაც საქართველოსა და ბიზანტიის მესამზღვრენი იდგნენ ხოლმე.

ლათერია, ჩუხჩთა ასისტავი არზრუმს წარგზავნა ქარიმანმა, სიტყვავი ქორა და ერთი ჩუხჩიცი თან გაატანა მას. ამ სამმა გამოცდილმა ჩუხჩმა ყველი ჩაიტანეს არზრუმში.

ვითომდაც ყველის ვაჟრები იყვნენ, დღისით ყველს ყიდიდნენ ბაზარზე, ღამღამობით მეჩეთებში დადიოდნენ. ეგებ ვინმესგან რაიმე გაეგოთ, გაუჩინარებულ ორბელიანის ქალის გამო.

სიტყვავი ქორამ ერთი ანისელი სომეხი გაიყნო და ამ სომეხმა ასეთი ამბავი ამცნო ქორას: სამი ფრიალ ღამაში ქართველი დიაცი პარამხანაში ჰყავსო და წყვედრული არზრუმის ამირას აღის.

ლათერია იმარჯვა, ამ სომეხს ერთი ბერძნის ქალი გამოაჩხრეკინა, ეს დიაცი მისწვდა ამირა აღის პარამხანის წინამდგომს — ასინეთ ხათუნს.

<sup>1</sup> საქართველოს ყელი — აწინდელი გჯორჯი ბილაზი, საქართველოს გზა ახალციხიდან ოსმალეთს მიმავალი.



ქრთამები მიაჩვენებს მას.

ამ ქალმა დაადასტურა: სამი ქართველი დიაცი დიახაც ჰყავსო ამირას თავის ჰარამხანაში, მაგრამ გამოირკვა ეს დიაცები ამ ხუთი წლის წინად გაუტაცნიათო ბასიანიდან თურქებს.

ბოლოს რკინის პალოში შეხვდნენ ურთიერთს ლათერია და ქარიშხან სეტელი, აქედან სპერის ზღვისკენ გაემართნენ, სამი მენავე ლაში დაიჭირავეს ოფაში.

იარეს ზღვა ზღვა ოფადან მაგარამდის, მაფავრიდან ათენისკენ ჩველდნენ. მოვლეს არტაშენი, ხუთჯგუფი მწყემსი.

დააკითხავდნენ ბერძენ და ლაზ მენავეებს, მეხელანდებესა და მეთევზეებს, მაგრამ ვერც ამათგან გაიგეს სანუგეშო რაიმე.

ასე რომ ნაჰარმაგვეს მიბრუნებულ მდევართ სრულიად არაფერი წაუმატებიათ იმ ძუნწი ცნობებისთვის, რაც უკვე ცნობილ იყო მათ გამგზავრებამდის.

(გაგრძელება იქნება)

## თავისუფლების გზა

ბარბოლა \*

★

როგორ ინახულა ბილიონ ჯამსონმა ერთი დასაწყისი კაცი.

გილიონმა საათი ამოიღო და დაჰხედა. სამს ოცი წუთი აკლდა; იგი ორი საათიდან აქ იცდის. მას იმედი ჰქონდა, რომ მიღების შემდეგ ხუთ საათსა და თექვსმეტი წუთისთვის რკინიგზის სადგურზე იქნებოდა ჯეფის შესახვედრად, რომელიც ნიუ-იორკიდან მოდიოდა. კაცმა რომ თქვას, გილიონს ძალიან ცოტა აქვს ახლა აქ სათქმელი და დარწმუნებულიცაა, რომ რაც არ უნდა თქვას, დიდ შედეგს მაინც არ გამოიღებს.

გარეთ თებერვლის დღე იყო; თოვდა. უაშინგტონის თოვლის დიდი, სველი ფარტენები ფანჯრის მინებზე ეფინებოდნენ და უმაღლე ცივი წყლის ბურთებად მიგორავდნენ დაბლა. გილიონმა ტყავის სავარძელში მოიკალათა და ხელები კალთაში ჩაიწყო. ახლა მან იგრძნო, თუ რა სიამოვნებით დაიძინებდა; დიდხანს, დიდხანს იძინებდა ისე, როგორც უკანასკნელი თვეების განმავლობაში ერთხელაც არ უძინია, არაფერზე არ იფიქრებდა, მერე კი მხნე და ენერგიით სავსე გამოიღვიძებდა. თუმცა რა მხნეობა უნდა ჰქონდეს ორმოცდახუთი წლის კაცს? გილიონმა თავი გაიქნია, გაიღიმა და ჯეფზე დაიწყო ფიქრი — სხვა რამეზე ფიქრს, სჯობია. ჯეფზე იფიქროს. ჯეფი რეალობა მაინცაა. იგი მატარებლიდან ჩამოხტება და ფართო, მტკიცე ნაბიჯით გამოსწევს მისკენ. ვაი

თუ არა? იქნებ ყოყმანით შესდგეს და ცქერა დაუწყოს გილიონს, და იქნებ მათ შორის სრულებით არაფერი აღარ იყოს საერთო. მაგრამ ეს შეუძლებელია; შვიდი წელიწადი ასე არ სცვლის ადამიანს. ეი, მაგრამ ედინბურგში გატარებული შვიდი წელიწადი, რომელთა განმავლობაში ბეჩავი შავი ბიჭი მედიცინის დოქტორად იქცა, უბრალო საქმე ხომ არაა!

გილიონს მოაგონდა ის დღე, როცა ექიმმა ემერიმ საკითხის გადაწყვეტა მას მიანდო, და ჩაეცინა. კარგი იქნებოდა უფრო ახლოს გაეცნო ემერი, უფრო ახლოს გაეცნო უენტი; ახლა ორივე მკვდარია. გილიონმა მეხსიერებაში აღადგინა ის სურათი, როცა იგი დისპანსერში იდგა, ემერის ელაპარაკებოდა, აცახცახებულ შიშველ რახიტთან ბავშვს შეჰყურებდა და ძველი მოგონებები თანდათან გაცოცხლდნენ, სანამ ამ სურათების დინება არ დაარღვია კუთხეში მდგარი ძველებური მაღალი საათის რეკვამ: ერთი, ორი, სამი, ჩასმინებია! მის წინ მღივანი იდგა.

„პრეზიდენტს ახლა შეუძლია თქვენი მიღება, მისტერ ჯეკსონ“.

გილიონი ადგა, თვალები დაახამხამა და კაბინეტში შეჰყვა მღივანს. გრანტი თავის მაგიდას უჯდა წელში მოხრილი, დალილი, თვალებდაწითლებული. ეს იყო დამარცხებული, გზაბნეული კაცი,

\* გაგრძელება. „მნათობი“ № 3.

3. „მნათობი“ № 4.

რომელიც უიმედოდ, უხალისოდ, შესცქეროდა მომავლის გრძელ და უშინაარსო წლებს. მან თავი დაუქრა გიდიონს და სთქვა:

„დაბრძანდით, გიდიონ!“ და მერე მდივანს მიუბრუნდა: „მე მინდა, რომ არაფერს შეგვიშალოს ხელი“.

„თუ სენატორი გორდონი...“

„უთხარით, რომ ჯანაპირის გზა ჰქონია! მასთან ლაპარაკი არ მსურს, გაიგეთ? მე მინდა, რომ არაფერს შეგვიშალოს ხელი!“ მდივანმა კარი გაიხურა. პრეზიდენტმა გიდიონს მიმართა: „სიგარას ინებებთ? არა ხომ? დანაფიქვდა, რომ არ ეწვევით. შეიძლება მოეწიო?“ მან სიგარას ბოლო მოაყენებდა, ასანთი გაკერა და დიდი, ღრმა ნაფაზი დაარტყა. გიდიონი შეჰყურებდა პრეზიდენტს, ეს უკანასკნელი კი თვალს არიდებდა მას. ხანს ერთბაშად და შეუბრალებლად გაეტეხა ულისის სიმპსონ გრანტი; თვალეზი ჩაეკვეთა და წვერში ჰქალარა გამოერეოდა პრეზიდენტს; თამბაქოს წვეც კი ნერვიული ჰქონდა მკვეთრი, დამაბული მოძრაობებით; როცა გიდიონს ელაპარაკებოდა, თითქოს ჰყეფდა:

„ეიცო რისი თქმაც გინდათ“.

„მამინ რატომ დამრთეთ ნება მოვსულიყავი და მეთქვა?“ რბილად შეეკითხა გიდიონი.

„რატომ?“ და გრანტმა დაფეთებული თვალეზი გიდიონს მიაპყრო. გიდიონმა თანაგრძნობა და სიბრალული იგრძნო ამ გატეხილი, უმწეოდქმნილი კაცის მიმართ, რომელიც ცოტა ვინმეს თუ ესმოდა, მაგრამ გამოსადეგი იყო ბევრისთვის, რომელიც ბევრს სძულდა, ბევრს ეზიზღებოდა, და რომელიც ბედისწერი-სა და გარემოების წყალობით უნუგეშო და განმარტოებულ დიდებამდე ამაღლდა.

„რატომ მოხვედით აქ?“ — დაქანცული ხმით იკითხა გრანტმა.

— იმიტომ, რომ თქვენ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ხართ ჯერ კიდევ“, ფრთხილად მიუგო გიდიონმა.

„იმიტომ, რომ თქვენ ჩუხი მეგობარი ხართ, და მე თქვენი.“

„მამ მე მეგობრები გყავთ?“

„და იმიტომაც“, განაგრძო გიდიონმა,

„რომ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს თქვენი ქვეყანაა და თქვენ იგი ისე გიყვართ, როგორც ცოტა ვინმეს თუ უყვარს ჩვენს შორის; თქვენ იგი ისეთი სიყვარულით გიყვართ, რომელიც გასაგებია ჩემთვის, იმგვარად, რასაც არაფერი აქვს საერთო იმ უსინდისო და ცრუ კაცუნების აზროვნებასთან, რომლებსაც თავი არ დაუზოგავთ, რომ ეს ქვეყანა დაეღუპათ“.

გრანტმა სევდიანად გაიღიმა: „ქადაგების წაკითხვას ხომ არ აპირებთ ჩემთვის, გიდიონ?“

„არა, მე ვაპირებ ჩვენს ქვეყანაზე გელაპარაკოთ, გელაპარაკოთ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელადაა, როცა მე შესაძლებლობა მომიქცა შეერთებული შტატების პრეზიდენტს ველაპარაკო. ორი კვირაა თქვენს ნახვას ვცდილობ“.

„არა მცალოდა, გიდიონ.“

„არ გცალოდათ, ბატონო პრეზიდენტო. — სთქვა გიდიონმა. — ჩვენი მტრები რატომღა არიან მოცლილნი? რატომ?“

„სულ ერთი და იგივე!“ — ცივად ჩაილაპარაკა გრანტმა.

„თქვენ ამის ხელშეორედ გაგონება არ გსურთ. ვნახოთ, იქნებ სხვანაირად გამოვთქვა. თავი რომ დავანებოთ იმას, რასაც ვაზეთები ამბობენ და რასაც ისტორიის წიგნები იტყვიან ამ რვა წლის შესახებ, როცა თქვენ პრეზიდენტი იყავით, სიმართლე რაღაა?“

„თქვით, ნუ გეშინიათ, რომ სათამაშო ვიყავი!“ — ხმას აუწია გრანტმა.

„მე არ ვიტყვოდი ამას. ეს ჩვენი სამშობლო მხარეა, მისთვის ვიბრძოდით. ჩვენ სამშობლოს გარეშე არ ვარსებობთ, არც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთ მთლიანს ჰქმნის, მაგრამ მაინც რაა სამშობლო? გიდიონი შე-



ყოყმანდა, მერე განაგრძო. — რაა ამერიკის შეერთებული შტატები? ეს ოცნებაა, იდეალია, ქაღალდის ფურცელია, კონსტიტუცია რომ ჰქვია, კოალიციაა თუ რაა? გაიძვერებია, მექრთამეებია? ყაჩაღებია? ეს მორგანია, ჯეი ვულდია თუ სენატორი გორდონი? თუ ეს ის კაცია, ქუჩაში რომ დგას და „თეთრ სახლს“ შეჰყურებს? მთელი ეს წლები, რაც მე კონგრესში ვზივარ, ამაზე ვფიქრობ, როცა პატარა კაცუნებს ან დიდ ადამიანებს ვუცქერ, როცა პეტერსონის მსგავს ბრიყვებს ან სამნერის მსგავს გმირებს ვუსმენ. ან იქნებ ეს მე და თქვენ ვართ და ის, რაც ჩვენშია შეზრდილი, განუყოფელი ჩვენგან? რადგან ამერიკა ხომ ისაა, რაც ჩვენ ვართ, რაც ჩვენ ვაგვაჩნია, რაც ჩვენ შეგვიქმნია, რაზედაც ვვიოცნებია!“.

\* გრანტის სიგარა ჩამქრალიყო. მსხვილ, მოკლე თითებში ჩაებლუჯა იგი პრეზიდენტს და უაზროდ დაშტერებოდა. მერე ნელა, თითქოს მექანიკურად გადააქნია თავი — „ჩემი საქმე გათავებულა, გიდიონ“.

„თქვენ პრეზიდენტი ხართ“.

„რამდენიმე დღე კიდე“.

„ეს კი საკმარისი ღრთა, რომ მათ დაარტყათ!“

„რომ არ ვიცი, გიდიონ?! დავიღალე!“ — უსათუოდ სთქვა გრანტმა, — გათავებულა, მინდა შინ წავიდე და მოვისვენო. რამდენი ხანია ტალახში მათრევენ! მინდა შინ წავიდე და ყველაფერი დავივიწყო.“

„ვერ დავივიწყებთ“, — სთქვა გიდიონმა.

„შესაძლოა, მე სოლომონი არა ვარ, მე ღმერთი არ ვარ განკითხვისა. ეს ამბავი მე არ მითხოვნია. ომში ბრძოლებს იმიტომ ვიგებდი, რომ თავის წაგების არ მეშინოდა. მაგრამ განა პრეზიდენტობისათვის ეს საკმაო იყო? გამოვდგებოდი მე ამით მათ ბინძურ გათახსირებულ პოლიტიკურ თამაშში?“

„ბრძოლა არ დამთავრებულა“ შენიშნა გიდიონმა.

— კი, მაგრამ, როცა შენ ვინაა მტერი? როცა არ ვიცი ვინ იბრძვის ჩემს მხარეზე?“

„კი, მაგრამ, როცა მაგ სკამზე, თქვენ რომ ზიხართ ახლა, ჰეიზი<sup>1</sup> მოოკალათებს და სისხლის მორევი დატრიალდება, — მაშინ ადვილად მოისვენებთ?“

„ღმერთმა დასწყევლოს, გიდიონ, ფაქტები მიჩვენეთ. ჰეიზი რესპუბლიკელია, მეც რესპუბლიკელი ვარ, ასევე უქვენცი იგი კანონიერი გზით იქნა არჩეული პრეზიდენტად. სულ უბედურებას წინასწარმეტყველებთ, ამის ატანა შეუძლებელია. ცხოვრება თავისი გზით წავა; ჩვენი ქვეყანა იცოცხლებს.“

„კარგი,“ სთქვა გიდიონმა და ფეხზე წამოდგა.

„მიდიხართ?“.

„ღიას!“.

„რისი თქმა გინდოდათ?“.

„რატომ სწუხდებით? მნიშვნელობა არა აქვს.“

„ღმერთმა დასწყევლოს, — სთქვით! დაიღრიალა გრანტმა, — სთქვით და გაათავეთ!“.

„გინდათ მომისმინოთ?“.

„პრიმადონობას თავი დაანებეთ და სთქვით.“

„კარგი, — თავი დააქნია გიდიონმა. — ისინი წინასწარ მორიგდნენ.“

„საბუთი სად გაქვთ?“.

„საბუთი მაქვს, ბატონო,“ — დამშვიდებით მიუგო გიდიონმა. — დამიგდებთ უფრს ცოტა ხანს?“.

„უფრს გიგდებთ.“ — გრანტმა სიგარას მოუყიდა. გიდიონი კვლავ დაჯდა. გრანტის მაგიდაზე საათი ოთხის თხუთმეტ წუთს აჩვენებდა. — ცოტა ძველი ამბებიდან დავიწყებ, — წამოიწყო გიდიონმა. — გახსოვთ სამხრეთ კეროლიანის კონვენტი? ცხრა წლის წინათ იყო.“

<sup>1</sup> რუთერფორდ ბარტერდ ჰეიზი (1822—1893) ა. შ. შ. პრეზიდენტი 1877 — 1881 წ.

„მახსოვს.“

„ეს ამბავი, ასე ვთქვათ, რევოლუციური დასაწყისი იყო. მე კონვენტის დელეგატი ვიყავი. ორი წლის შემდეგ შტატის სენატში ვიჯექი ერთი ვადით, და ხუთი წლის წინათ კი კონგრესში ამირჩიეს. თუ ამ გზას მივიღებთ მხედველობაში, მე მგონია, შემოძლია, გარკვეული ცოდნით ვილაპარაკო იმაზე, რაც მოხდა. სიტყვა „რევოლუციია“, რომელიც ყოველივე ამის აღსანიშნავადაა ხმარებაში, რაც 1868 წლიდან მოყოლებული სამხრეთში ხდებოდა, მეტისმეტად ზოგადია, უზაროა. არსებითად საქმე რევოლუციის პრობლემაში კი არ მდგომარეობდა, ან იმაში, თუ როგორ უნდა მიეღოთ კავშირში მემხოხე შტატები ხელახლა. ყველაფერი ეს მე უკვე განვაცხადე პალატაში; არაერთხელ მილაპარაკებია ამის შესახებ განვლილ ხუთი წლის განმავლობაში. ახლაც ვამბობ, ალბათ ისტორიისთვის, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან დიდი დრო გაივლის, სანამ ზანგი, როგორც თავისი ხალხის წარმომადგენელი, შეერთებული შტატების პრეზიდენტთან დაჯდება კვლავ“.

გრანტმა სიგარიდან ფერფლი გადაარეკა; ახლა მისი სახე ჩრდილში იყო მიმალული.

„რას წარმოადგენს რევოლუციია? რა იყო იგი აქამდე, რა შინაარსი ჰქონდა მას თავდაპირველად? რატომ ჩაიშალა იგი? მე თქვენ გეკითხებით, რადგან თქვენ ის ერთადერთი კაცი ხართ ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც შეუძლია სამშობლოს სიცოცხლე დაუბრუნოს და ამავე დროს ის გამოუთქმელ ტანჯვასა და უბედურებას გადაარჩინოს იგი რაც მომავალში მოეღოს“.

„რევოლუციია ახლის დასაწყისი იყო და ძველის აღსასრული. პლანტაციების მონათმფლობელური სისტემა ის ფეოდალური მოვლენა იყო, რაც ჩვენი ქვეყნის ხალხში ზიზღს იწვევს; იგი სულ რამდენიმე წლის წინათ ამხედრდა

იმ მიზნით, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა დაეპყრო და დაემორჩილებინა. იგი ჩნდა განადგურებულიყო, თორემ ჩვენი განადგურებდა დემოკრატიას. იგი განადგურებული იქნა და მისი სტრუქტურის პროცესში ჩემმა ხალხმა თავისუფლება მიიღო. განვაგრძო?“.

„განაგრძეთ!“ სთქვა გრანტმა.

„ძალიან კარგი. რევოლუციია ამ საშინელი ომის შედეგი იყო; იგი არსებითად გამოცდა იყო დემოკრატიისა, გამოცდა იმისა, შესძლებდნენ თუ არა ერთად არსებობას, ერთად მუშაობას და ახალი ცხოვრების ერთად შენებას განთავისუფლებული ზანგები და განთავისუფლებული თეთრები. განთავისუფლებული-მეთქი, რადგან ლარიბი თეთრი ომამდე ისეთვე მონა იყო, როგორც შავი. მე ვამტკიცებ, რომ ამ გამოცდამ წარმატებით ჩაიარა, რომ სამხრეთში დემოკრატიამ ფესვი გაიდგა, ფესვი გაიდგა მიუხედავად დამახინჯებებისა და შეცდომებისა, მიუხედავად უკუყო ყოყორობისა და ბრყვეული ტრაბახისა! ჩვენი ხალხის ისტორიაში ეს პირველად იყო, რომ შავები და თეთრები ერთად ჰქმნიდნენ დემოკრატიას სამხრეთში. თქვენ ამის საბუთი გაქვთ. ესაა სკოლები, ფერმები, მართლმსაჯულება, მთელი თაობა შერაკითხვის მცოდნე მხნე ახალგაზრდობისა. მაგრამ ყველაფერი ეს იოლად არ კეთდება და ბოლომდე არც გაკეთებულა; პლანტატორებმა თავიანთი არმია შექმნეს — ათასობით შეჭრიბეს თეთრ-პერანგოსანი არამზადები. მათ იარაღი არ დაუყრიათ. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ თავად აღნიშნეთ, რომ მხოლოდ კავშირის ჯარის ყოფნა უზრუნველად-პყოფს წესრიგს სამხრეთში. მე გეუბნებით: რა დღესაც რუთერფორდ ბ. ჰაზი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება, ჯარი იმ დღესვე იქნება გამოყვანილი სამხრეთიდან და კლენი დაარტყამს; სხვადასხვა ფორმებში, მაგრამ დარტყმით კი ყველგან დაარტყამს; და ისეთი ტერორი იმპინეირებს, რო-

გორსაც ჩვენი ქვეყანა ჯერ არ მოსწრე-  
ნია — მკვლელობა, ნგრევა, ცეცხლი,  
ძარცვა-გლეჯვა. სანამ ჩვენს მიერ შექ-  
მნილი დემოკრატიისაგან ნაკვალევით კი  
არ დარჩება. ასე წლით დავიხვეთ უკან  
და მრავალი თაობის მანძილზე ხალხი  
უარამსა და სიკვდილს ვერ დააღწევს  
თავს“.

გრანტის ხმა ისე უილაჯოდ გაისმა,  
თითქოს შორი მანძილიდან მოდისო: —  
„კიდევ რომ დავიჯერო ყველაფერი,  
რაც თქვენა თქვით, გიდიონ, — მე კი არ  
მჯერა, — რა გამოსავალი არსებობს?  
მუდამ ეამს ხომ ვერ ვიყოლიებთ ჯარს  
სამხრეთში?“.

„მუდამ ეამს კი არა, კიდევ ათი წლით  
მხოლოდ, რომ საშუალება გვქონეს შვე-  
ბისა და თეთრების ის თაობა დავგივთა-  
კაცდეს, რომლებმაც უკვე ისწავლეს ერ-  
თად მუშაობა და ერთმანეთისთვის მხა-  
რის დაქერა. მერმე კი დედამიწის ზურგ-  
ზე ვერავითარი ძალა ვერ წაგვართმევს  
მას, რაც ჩვენ აგვიშენებია“.

„არ მჯერა ეს ამბავი, გიდიონ, არ მჯე-  
რა თქვენი ფანტასტიკურად ვაზიადე-  
ბული წარმოდგენა კლენის ძლიერება-  
ზე. ეს 1877 წელისა“.

„თქვენ საბუთი გინდოდათ, — სთქვა  
გიდიონმა, — საბუთიც მაქვს. მან რა-  
ღაც ქაღალდები ამოიღო ჯიბიდან და  
ლამპასთან გაშალა ისინი მაგიდაზე. —  
აქაა არჩევნების სტატისტიკა. საერთო  
ხმათა რაოდენობა ტილდენისათვის  
4.300.000, შეადგენს. ჰეიზისათვის —  
4.030.000, ეს პირველი სიტყუეა; მე ვამ-  
ტყვიებ, რომ ნახევარი მილიონი ზანვი-  
სა და თეთრის ხმა, რომელიც სამხრეთში  
რესპუბლიკელთა ბილეთისთვის იყო მი-  
ცემული, განადგურებული ან გაყალბე-  
ბული იქნა, ანდა სულაც არ დასთვალეს.  
არა, ამის დამტკიცება საბუთით არ შე-  
მიძლია; მაგრამ ზოგ რამეს კი დაგამტყი-  
ცებთ. სინამდვილეში სულერთია —  
ტილდენიცა და ჰეიზიც, ორივე სინდის-  
გარეცხილი ადამიანია და სავალალო მაჩ-  
ვენებელი იმისა, თუ სანამდის დავცა

ჩვენი პოლიტიკური სისტემა; ორივენი  
ერთ თარგზე არიან გამოჭრილი“.

„ჯერჯერობით, — თქვა გრანტი, — მხო-  
ლოდ უსაფუძვლო ბრალდებებს აყე-  
ნებთ. მეტი აღარ მინდა ამის მოსმენა,  
გიდიონ“.

„თქვენ ბრძანეთ, რომ მომიხმენთ. სა-  
ბუთოსაც მალე გიჩვენებთ. ნება მომცეთ  
ჯერ ფაქტები ჩამოვთვალო. ჩვენი კონ-  
გრესიც კი, რომელსაც ქვეყანაზე ყვე-  
ლაზე უფრო დემოკრატიისა და ხალხის  
ეშინია, — ისიც კი მომცემს ფაქტების  
ჩამოთვლის ნებას, როცა სიტყვას ავი-  
ლებ. ამას მალე მოვრჩები. ხუთ საათსა  
და თექვსმეტი წუთის მატარებლით ნიუ-  
იორკიდან ჩემი ბიჭი ჩამოდის, რომე-  
ლიც დიდი ხანია არ მინახავს; გარწმუ-  
ნებთ, რომ მანამდე დავასრულებ ჩემ  
სათქმელს“.

ლამპის ყვითელი შუქის წრის მიღმა  
მთელი ოთახი ბნელში იყო ჩანთქმული  
ახლა, „განაგრძეთ“, სთქვა გრანტმა.

„გადავიდეთ ამომრჩეველთა მიერ მო-  
ცემულ ხმებზე. დემოკრატმა ტილდენმა  
184 მიიღო, რესპუბლიკელმა ჰეიზმა —  
166. ერთი ხმაც რომ მიეღო ტილდენს,  
იგი იქნებოდა პრეზიდენტი; მაგრამ  
ჰეიზმა პრეტენზია განაცხადა სამხრეთ  
კეროლიანის, ლუიზიანის და ფლორიდის  
ხმებზე, რაც სწორედ საკმარისი იქნე-  
ბოდა 185 ხმის შესაგროვებლად, რომ  
იგი გასულიყო პრეზიდენტად. და ჰეიზი  
არ სტყუოდა — ამ შტატების ხმები მას  
ეკუთვნოდა. როგორც მოგახსენებთ ეს  
ხმები გააყალბეს, ანდა საფხვებით მოს-  
პეს. როგორი სიტუაცია შეიქნა? წარმო-  
მადგენელთა პალატაში უმრავლესობა  
დემოკრატებისაა, სენატში — რესპუბ-  
ლიკელების; პირველი ტილდენის გაყვა-  
რის აპირებს, მეორე — ჰეიზის, და მთე-  
ლი ქვეყანა მეორე სამოქალაქო ომზე  
გოდებს, ხმა ვრცელდება უაშინგტონზე  
სამხრეთელთა მოსალოდნელი გამოლაშ-  
ქრების შესახებ. ბატონო პრეზიდენტი,  
დაიჯერეთ თქვენ ეს ამბავი? დი-

ჯერეთ, რომ ამ ორ უსინდისო ადამიანს შორის მართლა იყო განსხვავება?“

„ღმერთმა დაგწყევლოთ, ვიღონ, ისევ იმას მეუბნები!“

„ახლა გადავდივარ დასაბუთებაზე, ბატონო პრეზიდენტო, ნება მომეცით ეს საბუთო წარმოვადგინოთ და მერე კი წავალ. მე მგონია ჩვენ ორივენი ვამთავრებთ მოღვაწეობას. როგორც თქვენ ბრძანებთ, თქვენ მხოლოდ ორიოდ დღე დაგრჩენიათ პრეზიდენტობისა და არც მე დამრჩენია ბევრი დრო.“

„განაგრძეთ“, ჩაიბუტბუტა გრანტმა.

„დიახ, ეტყობა ჩვენმა სამხრეთელმა დემოკრატებმა იცოდნენ, რომ ისინი ორივე ერთი ტიპისა იყვნენ. მათ ტილდენი თავიდან მოიშორეს, მეტად სახათაბალო საქმე იყო: მათ ერთხელ ვაპბედეს სამოქალაქო ომის გაჩაღება და დამარცხდნენ; ახლა ისინი მზად არ იყვნენ, რომ კვლავ გაეხედათ ასეთი ავანტურა. მათ ამჯობინეს ჰეიზს მორიგებოდნენ: ჰეიზი მიიღებდა სამხრეთ კეროლიანის, ფლორიდის, ლუიზიანის ხმებს და აგრეთვე, უფრო დამიდებულნი რომ ყოფილიყვნენ, ორეგონის ხმებსაც. სამაგიეროდ ჰეიზი პატარა, უმნიშვნელო დათმობაზე წავიდოდა. მათ სასარგებლოდ: სამხრეთ კეროლიანისა და ლუიზიანში მათ გადასცემდა სადავეებს და სამხრეთიდან გამოიყვანდა კავშირის ჯარს. ნუთუ ასეთ წვრილმანს უნდა დაებრკოლებინა კაცის პრეზიდენტობა? დაებრკოლებინა რესპუბლიკური პარტია, ლინკოლნის პარტია ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისაგან? აი საბუთი, მისტერ ჰეიზის ორი მეგობრის — სტენლი მეტპიუსისა და ჩარლ ფოსტერის მიერ დაწერილი წერილი. წერილი გადმოგვცემს იმ მოლაპარაკებების არსებით მხარეს, რომელსაც ეს ორი აწარმოებდა ჯორჯიელ სენატორთან ჯონ ბ. გორდონთან და კენტუკელ კონგრესთან მისტერ ჯ. იანგ ბრაუნთან. ეს გახლავთ ზუსტი პირი, რომელიც მისტერ ფოსტერის ერთმა ზანგმა მსახურმა

გადაიღო და მე მომიტანა; შემოიღო და ვიფიციო. წავიკითხავთ: *გრანტის*...

„იმ საუბრის გამო, რომელიც თქვენთან გეჭონდა და რომლის დროსაც განხილული იქნა გუბერნატორ ჰეიზის პოლიტიკა სამხრეთის ზოგიერთი შტატის სტატუსის მიმართ, სასურველია მოგახსენოთ შემდეგი: შეგიძლიათ ახსოვდეთ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ იმაში, რომ ჩვენი მისწრაფებაა გუბერნატორი ჰეიზი ისეთ პოლიტიკას დაადგეს, რომელიც სამხრეთ კეროლიანისა და ლუიზიანის მოსახლეობას უფლებას მისცემს თავიანთი საქმეები საკუთარი წესით განაგონ, რაც მართოდენ შეერთებული შტატების კონსტიტუციას და მისგან გამომდინარე კანონებს დაექვემდებარება; მისი მთავრობის პოლიტიკა რომ სწორედ ასეთი იქნება, ამაში ჩვენ საცხებით ღრმად ვართ დარწმუნებული, რადგან კარგად ვიცნობთ გუბერნატორ ჰეიზს და მის შეხედულებებს — „აი საბუთი, ბატონო პრეზიდენტო.“

ხანგრძლივი სიჩუმე, ჩამოვარდა; დაბოლოს გრანტმა ყრუ ხმით იკითხა: „რატომ არ გინდათ პალატაში ამხილოთ ეს ამბავი?“

„იმიტომ, რომ ამის დედანი ხელთ არა მაქვს; იმიტომ, რომ ჩამდვილ მხილებას ვერ წარვადგენ, თუმცა მზად ვარ ათას სახარებაზე დავიფიციო ამ ამბის ქვეშაირიტება; არ შემეძლია საწყალი ზანგის, მოხუცი მსახურის ჩვენება დავუპირისპირო შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჩვენებას. მე რომ პალატაში წამოვდგე და ის ვთქვა, რაც თქვენ გითხარით, ჩვენი კულტურული არისტოკრატ დეპუტატებიდან ათი მაინც მორთავს ღრიალს — ამ წყეულ ზანგს, ამ თავხედსა და მატყუარას ლინჩი მოუხდებო!“

„მე რატომღა უნდა დაგიჯეროთ?“

„იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბეწვზე ჰკიდია; იმიტომ, რომ, როცა რევოლუციაში ვიბრძოდით, როცა სამოქალაქო ომში ვიბრძოდით, ამით ჩვენ

ამყად მივაბიჯებდით დიდების გზაზე, როგორც ჩემი ხალხი ამბობს — ჰალი-ლუიას გზაზე. ახლა ჩვენ ამ გზის დატოვებას ვაპირებთ. რამდენი ხნით, ბატონო პრეზიდენტი? რამდენი უნდა მოკვდნენ, სანამ შესაძლებელი გახდება, რომ ჩვენ მთავრობას სახალხო, ხალხის მიერ უფლებამოსილი და ხალხისთვის შექმნილი ვუწოდოთ?“.

„არც ასე ცუდია“, დაიწყო გრანტმა.

„არა, ცუდია!“

გრანტი სკამის სახელურებს დაეყრდნო და მძიმედ წამოძგა. ლამის შექნე გადაიხარა. გიდიონს დააცქერდა, მერე სწრაფად მოშორდა მაგიდას და გულმოსული ნაბიჯით გაიარა ოთახში.

„ესაა სულ?“ შეეკითხა მას გიდიონი. „მე რისი გაკეთება შემიძლია?“ წამოიძახა გრანტმა და გიდიონისაკენ შემოტრიალდა. — ეს თქვენი ნაამბობი გიქურო ზღაპარი მართლაც რომ იყოს, ღმერთო დიდებულო, მე რისი გაკეთება შემიძლია?“.

„ყველაფრის. თქვენ ჯერ კიდევ პრეზიდენტი ხართ. უთხარით ხალხს ეს ამბავი. პრესკონფერენცია მოიწვიეთ ხვალვე. ისეთი ვაზეთები კიდევ არიან, რომ ამის დასაბეჭდად გამბედაობა ეყოთ. და, ჰეიზმა დაამტკიცოს ბრალდების სიყალბე. სააშკაროზე გამოიტანეთ მთელი ეს სიბინძურე, ხალხს დაინახეთ. ხალხი მიხვდება, როგორ უნდა მოიქცეს. ჩვენ ამერიკელები არა ვართ ცუდი ხალხი; ჩვენ უმეტესი ხალხი არა ვართ. არაერთხელ შეგვირყევია ქვეყანა; ცუდიც გაგვიკეთებია, მაგრამ კარგი უფრო მეტი. კონგრესში გამოდით და სიმართლე მოითხოვეთ“.

გრანტმა თავი გააქნია „გიდიონ“.

„გეშინიათ?“ დაიყვირა გიდიონმა, — რას ჰკარგავთ? ვისაც ის დღეები ახსოვს, როცა თქვენ გამარჯვებისაკენ მიგყავდათ ხალხი, ყველა მხარს დაგიჭერთ. დანარჩენები კი“... გიდიონს ხმა გაუწყდა...

მან თავი მოუყარა ქალაქებს და ჯიბეში ჩაიღო. „კარგი, წავალ“.

გიდიონის წასვლის შემდეგ გრანტი დიდხანს იჯდა მაგიდასთან, სამეცხვებში ჰქონდა ჩამალული და გაშტერებით მისჩერებოდა დახურულ კარებს.



გვიან იყო, როცა გიდიონი სადგურზე მივიდა. მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო, სადგურის ბაქანზე გიდიონმა ჯეფი დაინახა მაღალი, მხრებგანიერი ჰაზუკი, თითქოს გიდიონის გამოსახულება იყო სარკეში. იგი ჯიბეებში ხელეჩაწყობილი იდგა ორი აბჯის შუა. მამა და შვილი ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ხელი ჩამოართვეს. გიდიონმა მომდგარი ცრემლი გადაყლაპა, ჯეფმა ნელა გაიღიმა და მამას მკლავზე წაელო ხელი.

„უფრო დიდად მეჩვენები“, სთქვა ჯეფმა.

„შენც დიდი ხარ,“ თავი დააქნია გიდიონმა.

„ცნობით კი მიცანი.“

„ჰო, კარგია, რომ დაბრუნდი, ჯეფ.“

„მიზარია, რომ დაებრუნდი, სთქვა ჯეფმა. გიდიონი აბჯების ასაღებად დაიხარა. „მე წამოვიღებ,“ არ დაანება ჯეფმა.

„ერთი მე, ერთი შენ“.

„კარგი“, გაიღიმა ჯეფმა და თან ცნობისმოყვარეობით შეალო თვალი გიდიონს, ვითომ სხვათაშორის, მაგრამ თავიდან ფეხებამდის ჩაათვალიერა იგი და თან შეეცადა, რომ გიდიონს მის მზერაში მოწონება ეგრძნო. ისინი ერთად იდგნენ ტოლებად, ორი ახოვანი ვაჟკაცი; მათი მიხვრა-მოხვრა ნელი, გაუბედავი იყო, რადგან ორივენი ცდილობდნენ ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ ყოველი მოძრაობა, ყოველი ფიქრი და სურვილი ერთმანეთისთვის შეეხამებიათ. მათ გაიარეს ბაქანი, სადგურის შენობა, და ჯეფმა დაგვიანებით იკითხა დამნაშავეის კილოზე: „დედა როგორაა?“



„კარგად“, მიუგო გიდიონმა და დაურთო: „ვებერდებით“. „შენ არ გეტყობა“. სთქვა ჯეფმა. გიდიონს კები უცდიდა; ისინი შიგ შეძვრნენ; კები დაიძრა და მათ მოესმათ დაჰვედილი ფლოჭვების რბილი თქაფუნე თოვლზე.

„ეს ორი წელიწადია ერთი პატარა სახლი მაქვს აქა“, სთქვა გიდიონმა.

„დღეა?“

„მარშან სცადა, უპასუხა გიდიონმა, მე მგონია კარუელში უფრო კარგად გრძნობს თავს.“

„ისევე კარუელს ეძახით?“

„კარუელს“, ცოტა არ იყოს გაოცდა გიდიონი. „პო, არასოდეს არ გვეფიქრია სხვა სახელი გვეწოდებინა. ვიწროდ ხომ არ ხარ?“

„ძალიან კარგად ვზივარ“, იყო ჯეფის პასუხი.

„მშვიერი იქნები“.

„ცოტათი“.

„შინ ვისადილებთ, ჩვენ ორი ვიქნებით მხოლოდ, არავინ არ მომიწევია“.

ჯეფს ვერ გაეგო, რატომ სთქვა მამამისმა ეს სიტყვები.



გიდიონის სახლი პატარა ხუთოთახიანი ხის შენობა იყო, თეთრად შეღებილი. სიბერისაგან სულერთიანად დამკუნარი ზანგის ქალი ალაგებდა ოთახებს და საჭმელს უყეთებდა გიდიონს. სადილი უბრალო იყო: ცხელი სუპი ცერცვისა, დაბეგვილი ხორცი, მწვანელი და ერბოიანი ღომი. „რამდენი ხანია ღომი არ მიჭამია“ გაიღიმა ჯეფმა.

„შოტლანდიაში, მართალია, ვერ ჰპატი, გაახსენა გიდიონმა“.

ერთი წელიწადი ექიმ კენდრიკთან ვმუშაობდი; უფასო დისპანსერი აქვს ჰალაროებში. კარგი გამოცდილება მივიღე: უბედური შემთხვევები, დამსხვრეული კიდურები, ცეცხლისაგან დამავებულნი, რთული ჭრილობები და ინფექ-

ციები: ხუნავი, წითელა და მრავალი წერილმანი, რაც ასე ძნელად ეფიქსირებოდა დასაწყისში“. გიგლინიძე

„თეთრებს ექიმობდი?“

„მთელს საგრაფოში ერთადერთი ზანგი ვიყავი. ამაშია განსხვავება“.

„კარგად გეპყრობოდნენ?“

„სულ სხვანაირად, ვიდრე აქ. უფრო ცნობისმოყვარეობას ვიწვევდი. ისინი მარტივი ხალხია და მათი მიში და ეჭვებიც მარტივია“.

ისინი გიდიონის კაბინეტში შევიდნენ; პატარა ოთახი წიგნებით იყო სავსე და მისაღები ოთახის მაგიერობასაც სწევდა. ისინი დასხდნენ, ფეხები ნაკვერცხლებით გავარვარებულ ბუხრისკენ გაიშვირეს და საუბარი გამართეს. რაც ახლა უფრო ადვილად ხერხდებოდა.

ჯეფმა მას არჩევნების შესახებ ჰკითხა და გიდიონმაც ჯერ ნელა, შემდეგ და შემდეგ კი სულ უფრო მეტი მღელვარებით უამბო მას ყველაფერი, თავიდან ბოლომდე აუხსნა მოვლენათა თანმიმდევრობა უქანასკნელი რვა წლის განმავლობაში და ისიც უთხრა, თუ როგორ იყო დღეს პრეზიდენტის სანახავად. „არაფერი არ გამოვიდა“, დაასრულა გიდიონმა.

„დარწმუნებული ხარ? განა შეიძლება რამე ამგვარად დასრულდეს, ასე უეცრად, თითქოს ყუმბარა აფეთქდა? ხდება ხოლმე ასე?“

„უეცრად კი არა“, სთქვა გიდიონმა, ასეთი დასასრული დიდი ხანია მზადდება. რვა წლის წინათ, თუ ცოტა უფრო ადრეც კლენი ჩვენებს დაესხა თავს კარუელში. თავდასხმა უხამსი, ლაჩრული იყო. ბოსელი გადასწვეს და ერთი პატარა ბიჭი მოჰკლეს. მაგრამ ეს მაშინ დასაწყისი იყო მხოლოდ. ჩვენი განადგურება მათ თავიდანვე ჰქონდათ გადაწყვეტილი. ის იყო ომი დამთავრდა, რომ ისინი, ვინც იგი დაიწყო, ახალი ომისთვის შეუდგნენ მზადებას; ახალი ომი ამჯერად სხვანაირი იყო: დამეში მოთარეშე ჯარები, იატაკქვეშა ორგანიზაცია, და-

შინება, მუქარა, ტერორი. ახლა ეს მზადება უკვე დამთავრებულია; ისინი მზად არიან“.

„დაუჯერებელია“.

„ნეტავ მე თავით არ მჯეროდეს“, სთქვა გიდიონმა, მაგრამ არ ვცდები“.

„რას აპირებ?“.

„ჯერ კიდევ არ ვიცი, მინდა მოვიფიქრო. ყოველ შემთხვევაში შინ უნდა წავიდე. მათთან მინდა ვიყო“. ჯეფმა თავი დაუქნია. „მე მგონია ჩემთვის ეს იქნება სწორი“, — განაგრძო გიდიონმა, მაგრამ აუცილებელი არაა, რომ ის, რაც ჩემთვის სწორია, შენთვისაც სწორი იყოს. გესმის, ჯეფ?“.

„რისი თქმა გინდა?“

„მე ამ რამდენიმე დღეში წავალ, მიუგო გიდიონმა. არ მინდა, რომ შენ ჩემთან ერთად დაბრუნდე კარუელს. არავითარი აზრი არ ექნება შენს წასვლას. თუ ყველაფერი კარგად იქნა, გაზაფხულზე“.

„რასაა რომ ლაპარაკობ?“ ამხედრდა ჯეფი.

გიდიონმა თავი გადააქნია. „ნუ ფიცხობ, ჯეფ. მომისმინე, ერთი დრო იყო, შენ ჩემი გესმოდა“. გიდიონი ერთი წუთით წამოდგა. თავისი გრძელი თითები მოიფშენიდა, ვაჟისკენ დაიხარა და მერე ამქარებით დაჯდა კვლავ. იჯდა მდუმარედ, მზერა სივრცეში გახევებოდა, ცეცხლის შუტი ეცემოდა მისი გრძელი, გამხდარი სახის ამობურცულ ნაკვეთებს. ჯეფმა შეხედა მამას და დაინახა, თუ როგორ მოკუმულიყვნენ მისი დიდი, სავსე ტუჩები, როგორი დაღლილობა გამოკრთოდა ღრმად ჩაცვენილ დაწითლებულ თვალებიდან; ფართო მხრები რომლებიც ხშირად უნახავს ჯეფს თავის ბავშვობაში, გაშიშვლებულნი რომ იწვოდნენ თაკარა მზეში. როცა რკინის კუნთების ერთმანეთში გადაწულ ფენებს, საოცარ ღონეზე რომ მეტყველებდნენ, ოფლი ფარავდა, ეს ფართო მხრები ახლა მოხრილნი, მოღუნებულნი იყვნენ. მოკლე წვრილად დახუჭუჭებულ

თმას, რომელიც თავს შემოსრულვით ქუდივით ჰფარავდა, ჭაღარა გარეოდა.

„გისმენ, სთქვა ჯეფმა მსგავსებით, როგორ მოვიქცევი, შემქნა ყოველთვის მოვისმენ“.

„მე კარუელს ვბრუნდები“, დიწყო განმარტება გიდიონმა; იგი ნელა, წყნარად ლაპარაკობდა, რადგან ჩემი ადგილი იქაა. მთელი ჩემი არსება. ჯეფ შევიღო, ყველაფერი, რაც ვიყავი და რაცა ვარ, ჩემს ხალხთან მაკავშირებს. მე მათი შვილი ვარ, ძალას ისინი მაძლევენ. მათთან უნდა დავბრუნდე, რადგან უდიდეს ბედნიერებას ეს მომანიჭებს სწორედ, კაცის ბუნება კი ასეთია, ჯეფ. — გინდ პატარა საქმეებს აკეთებდეს, გინდა დიდს, ყველაფერში ბედნიერებას ელტვის.

„შენი საქმე კი სხვანაირადაა. დიდ ხანს იყავი წასული, გასწავლეს, გაგწრთვნეს და დღეს ექიმი ხარ. ექიმი კარგ წიგნს მიაგავს; მისი დანიშნულება, მისი ღირებულება აღემატება ამ შრომასა და ენერჯიას, რომელიც მის შესაქმნელად დახარჯულა. ჩემი დანიშნულება და ღირებულება იმით განისაზღვრება, რაც ხალხისაგან მიმიღია, შენი კი არა. რა ცუდადაც არ უნდა წავიდეს საქმე, ჩემი ხალხი მეორე გიდიონ ჯეკსონს იპოვის, როცა ამის საჭიროება დადგება. შენი საქმე კი სხვანაირადაა. როცა მე დღეს პრეზიდენტ გრანტს ვუთხარი, დარწმუნებული ვარ მრავალი წელი გაივლის სანამ შავი კაცი დაელაპარაკება მეტი პრეზიდენტს, — მე ისა ვთქვი, რაც მჯერა; მე ისიც მჯერა, რომ მომავალი წლების განმავლობაში შენსავით განსწავლული ზანგები ცოტა გვეყოლება აქ დარჩი; შეგიძლია ამ სახლში იცხოვრო, ავადმყოფები აქაც ბლომად იქნებიან. შენი დაბრუნება ჩემთან ერთად კი ზარალი იქნებოდა მხოლოდ“.

როდესაც გიდიონმა ლაპარაკი დაამთავრა, ისინი ერთხანს ჩუმად ისხდნენ. ჯეფმა თავისი ჩიბუხი გამოფერთხა, ხელახლა აავსო, მაშით პატარა ნაკვერცხა-

ლი აიღო ბუხრიდან და რბილ, სურნელოვან თამბაქოს დაადო. გიდიონმა ღვინო დაისხა მცირედით.

„მითხარი, შეეკითხა მას ჯეფი, თუ საქმე ისე წავიდა, რაგორც შენ ვარაუდობ, იბრძოლებო?“.

„არ ვიცი“. — სთქვა გიდიონმა.

„მარკუსი მწერდა, როცა ვინმე ავად ხდება, მოხუც ექიმ ლიდს ეუძახითო. ხან მოდის და ხან არა თურმე“.

„მეტწილად მოდის“.

„ამიერიდან აღარ მოვა, სთქვა ჯეფმა, თუ მართალია, რაც შენ მიაბზე, ამიერიდან იგი აღარ მოვა“. ჯეფი ადგა ფანჯარასთან მოვიდა და ფანჯრის მინაზე დაცვარული ორთქლი მოსწმინდა. „ისევ თოვს, შენიშნა მან, უცნაურია, რომ ამდენი ხანია წასული ვარ და სხვა ადგილის სიყვარული კი მაინც ვერ ვისწავლე. გაჩვენებდა ხოლმე — ალენში ჩემს წვრილებს, ელენისთვის რომ უნდა წაეკითხა მას?“.

გიდიონმა თავი გააქნია. „მოხუცი გასულ თვეში გარდაიცვალა. მე შეგონა, შენ იცოდი ეს ამბავი“.

„არ ვიცოდი, სთქვა ჯეფმა. მამა, მეც შენთან ერთად მოვდივარ“.



უაშინგტონიდან წასვლის წინ უკანასკნელი საქმეების მოგვარებაში გიდიონი რადიკალიზაციის კომპრომისის იჩენდა, — ეს იყო, ერთის მხრით, რწმენა, რომ იგი სამუდამოდ სტოვებდა უაშინგტონს და, მეორე მხრით, ბუნდოვანი იმედი, რომ შესაძლოა კვლავ ჩამოსულიყო საგაზაფხულო სესიაზე. დროდადრო ფიქრობდა კიდევ, ჯეფი მართალიაო უთუოდ, რომ ქვეყანა ასე უბრალოდ ყუმბარასავით ვერ აფეთქდებაო. ერთხელ, ჯეფის, ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მდივანმა მოახსენა, რომ სენატორ სტივენ პოლმსს ჰსურსო სთქვენი ნახვა.

„გთხოვთ გადასცეთ სენატორ პოლმსს, მიმართა მდივანს გიდიონს და მარკუსს. უნდა ითქვას, რომ თქვენთან არ მცალია, თუ შენსგან არაა წასვლამდე რამდენიმე დღე დამარჩენია და არავის არ ვლებულობ“.

მდივანი უკანვე მოვიდა და მოახსენა, სენატორი პოლმსი დაქინებით თხოულობსო თქვენს ნახვას.

„ქარგი, — თავი დააქნია გიდიონმა, შემოვიდეს“. პოლმსი შემოვიდა; გიდიონი არც კი წამოიწია სკამიდან, არც ხელი გაუწოდა. მომღიშარე პოლმსმა ნახად დაუსვა ხელი თავისი ქულის ხაოს, პალტო ფრთხილად გაიხადა. ჯოხი და ხელთათმანები გიდიონის მაგიდის კუთხეზე დააწყო და დაჯდა.

„რა გნებავთ“ იკითხა გიდიონმა.

„მე მინდოდა თქვენი ნახვა, გიდიონ, რადგან ჩვენ ორნივე ცივილიზებული ადამიანები ვართ და ამ საფუძველზე შეგვიძლია ზოგ რამეზე მოვითათბოროთ; ბრიყვებით, იდიოტებით, კაცუნებით და ქკუამოკლე ხალხით საცხე ქვეყანაში ჩვენ ორს მაინც შეგვიძლია სიმართლე ვალიაოთ. მდგომარეობა ავწონ-დავწონოთ და ამის შესაბამისად აუღელვებლად მოვირიგდეთ კიდევ“.

„სთქვენ ასეთი შესაძლებლობა გწამთ, არა?“ შეეკითხა სენატორს გიდიონი. აგერ აქ იჯდა ეს ტანწერწეტი, თავაზიანი კაცი და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა; მას საუცხოოდ ეცვა და ძველებურად მშვიდი, აუღელვებელი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა; წლებს ვერაფერი დაეკლო მისი ფაქიზი, კრიალა და ოდნავ მოყვითალო კანისთვის; ასკეტური სახე გამოუცნობიც იყო. მიწვიდელიც და როგორც ეხმაურებოდა კიდევ გიდიონის ყოველ სიტყვას, მის განწყობილებას. ეს იყო სწორედ ცივილიზაციის პროდუქტი.

ამავე დროს იგი თავისებურად ალაღმართალი კაცი იყო, არაჩვეულებრივად ალაღმართალი და პირდაპირი თავის არაჩვეულებრივად ყალბ და თვალთმაქც გარემოცვაში. და მაინც ამ

წუთში გიდიონმა მის მიმართ ისეთი ზიზღი იგრძნო, როგორც მას არასოდეს ეგრძნო აქამდის ცოცხალი არსების მიმართ — გულისამრევი ზიზღი და სიძულვილი; გიდიონ ჯექსონი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე — მონობაშიც და თავისუფალ მდგომარეობაშიც — სიძულვილს გაუბრძოდა, რომელიც ცდილობდა გაეგო, თუ რის გამოა, რომ ზოგი კარგი ადამიანია და ზოგი ცუდი, ზოგი ლმობიერია და ზოგი გულქვა, რომელიც მაშინაც კი, როცა ზურგს მათრახით უჭრებდნენ, იმას ცდილობდა, რომ ამის მიზეზი გაეგო, ლოგიკა და რაღაც ქემშარიტება ეგრძნო ამაშიაც, ეს გიდიონ ჯექსონი, რომელიც იბრძოდა და ჰკლავდა ისე, რომ სიძულვილს არ განიცდიდა მათ მიმართ, ვისაც ებრძოდა, ვისაც ჰკლავდა — ეს კაცი, გიდიონ ჯექსონი, ახლა უყოყმანოდ მოჰკლავდა სტივენ ჰოლმსს და არავითარ სინანულს არ იგრძნობდა ამის გამო. და გიდიონმა გაიმეორა. „თქვენ ასეთი შესაძლებლობა გყავთ, არა?“

„მწამს, გიდიონ, მშვიდად მიუგო ჰოლმსმა; და მერე სრული გულწრფელობით დაურთო: „გარწმუნებთ, გიდიონ, რომ მე ჩემი კლასის იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ვეკუთვნი, რომელიც ელდანაცემი უკან არ იხევს ადამიანის ფერადი კანის წინაშე. ხომ გესმით, მე, ძირითადად, გონიერი და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანური არსება ვარ; ასევე თქვენც. უნდა გამოვტყდე, რომ ნშირად თავს უფლებას ვაძლევ ჩემს უტყინო მეგობრებს, — თავცარიელი იდიოტებს დაეცინო, რომლებიც თქვენი რასის ყველა ადამიანს და ჩემი რასის ძალიან ბევრ წარმომადგენელსაც დაბალი ჯიშის არსებებად სთვლიან. ღმერთმა იცის, რომ მე კარგად მესმის მათი ფასი, მაგრამ მე მათთან ვარ დაკავშირებული. გიდიონ, ნაწილობრივ წარმოშევებით, ნაწილობრივ ჩემი საკუთარი სურვილით. ჩვენებმა ბევრი რამ დაჰკარგეს ომის წყალობით, არა მარტო ძალა-უფ-

ლება, რაც თავისთავად ბატარა ამბავი არაა, არამედ ის მატერიალური დოვლა-თი, რომელიც ძალა-უფლების მფლობელი თავისებური ყაიდა ცხოვრებისა. მე მინდოდა ყველაფერი ეს დამებრუნებინა, და ამინათვის დიდი სიფრთხილით ვიბრძოდი“.

„და ყველაფერი დაიბრუნეთ?“

„არა სავსებით, — აღიარა ჰოლმსმა. — ზოგი რამ კიდევია მოსაგვარებელი, მაგრამ ნაწილობრივ ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ. თავის მოკატუნება რა საჭიროა! თქვენ კარგად იცით, რატომაა, რომ ჭრთერფორდ პეიზია სწორედ ახალი პრეზიდენტი, და ისიც იცით, რომ მას ჯენტლმენობა მაინც ეყოფა იმისათვის, რომ თავისი სიტყვა შესარულოს. ასეა თუ ისე, რესპუბლიკურმა პარტიამ ჩვენთან ზავი ჩამოაგდო და ზოგი რამ უეჭველად გაკეთდება“.

„თქვენ ჰირდაბირი და ჰკვიანი კაცი ხართ“, — სთქვა გიდიონმა, რომელიც ნამდვილი ცნობისმოყვარეობით შესტკეროდა ახლა ჰოლმსს. „თქვენ ამით ამაყოობთ, არა?“

„ნაწილობრივ, დიახ“.

„და თქვენ აქ ნიშნის მოსაგებად არ მოსულხართ. თქვენ მეტისმეტად ცივილიზებული ხართ, რომ ასეთი რამ იკადროთ“.

„მეტისმეტად ცივილიზებული, გიდიონ. მეტისმეტად ცივილიზებული, რომ შავი კაცის ირონიამ რაიმე შთაბეჭდილება მოახდინოს ჩემზე. და მე მგონია, რომ თქვენც მეტისმეტად ცივილიზებული ხართ, რომ ჩემი გარეთ გაგდება იკადროთ“.

„მზად ვარ მოვისმინო, რისი თქმაც გსურთ“, — წყნარად უბასუხა გიდიონმა.

„მეც ასე ვიფიქრე, რომ მომისმენდით. გადაკრულ სიტყვებს თავი დავანებოთ. მე აღფრთოვანებული ვარ თქვენით. მე თქვენ თვალყურს გადევნებდით კონვენტის დროს და მომდევრო წლების განმავლობაში. გასაოცარი ევოლუცია

მოხდა. თქვენ დიდი უნარისა და შესანიშნავი ნიჭის კაცი ხართ; ქვეიანი ხართ, თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოფილი მონა, რომელიც უმეცარი სოფელის ლულულით მერყველებდა, იმ კულტურულ ადამიანად აქცა, რომელსაც ახლა მე ვე-ლაპარაკები — თავისთავად დაუჯერებელი რამაა. მე თქვენ გისმენდით კონგრესში; ხშირად აღფრთოვანებაში მოვდიოდი. თქვენი ენაშქვრობა, რომელსაც კეთილგონიერებისა და გრძნობიერების ესოდენ იშვიათი კომბინაცია ახასიათებს, უაღრესად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და არაჩვეულებრივად აღელვებს ადამიანს“.

„ეს პირმოთნეობაა,“ — შენიშნა გიდიონმა, — განაგრძეთ“.

„მე ვფიქრობ, თქვენ რომ იმ საოცარი და სულელური დოკუმენტის დედანი გქონოდათ, რომელიც პრეზიდენტ გრანტს უჩვენეთ, შესაძლებელია, კონგრესში გამოიტანდით მას და ისტორიის მსვლელობას შესცვლიდით. თუმცა ვინ იცის: პალატაში უმრავლესობა ჩვენს პარტიას ეკუთვნის, და საეჭვოა, რომ ერთმა კაცმა ერთის ხელის დაკვრით შესძლოს ასე თუ ისე შესამჩნევად შესცვლოს ისტორიის მსვლელობა“.

„მაშ თქვენ ამის შესახებაც იცით? რაც არ უნდა ითქვას, მუშაობა ზედმიწევნით ორგანიზებული გქონიათ“.

„ზედმიწევნით ორგანიზებული უნდა ვყოფილიყავით, გიდიონ. ჩვენ დამარცხებული მხარე ვიყავით. ჩვენი ქვეყანა ოკუპირებული ქვეყანა იყო“.

„თქვენ ფიქრობთ, რომ ის თქვენი ქვეყანაა?“.

„არსებითად, დიახ. იგი რამდენიმე რჩეულ ადამიანს ეკუთვნის, რომელთაც უნარი აქვთ მართონ იგი. ამაზე უნდა დათანხმდეთ, გიდიონ. არც გადაგვარებულ თეთრ ნაძირალას, რომელსაც ჩვენ კლენში ვიყენებთ, და არც დაბეჩავებულ, ბავშვური ფსიქიკის ზანგ მიწის მუშას არ გააჩნია მმართველობის ნიჭი. ამიტომაც, რომ მე თქვენ მოგმარ-

თავთ გულწრფელი და ლოგიკური წინადადებათ. სხვა გზებიც არსებობს, მაგრამ რამდენად უფრო უკეთესია ვიყავით, თუ თქვენ ჩვენთან ვადმოხვალთ, თუ ზოგიერთი თქვენი კოლეგა ჩვენ შემოგვიერთდება. ზანგი თქვენ გამოგყვებათ, უწინაც მოგყვებოდათ და შემდეგშიც გამოგყვებათ. საბოლოო ჯამში ჩვენი გზა საუკეთესოა. მერწმუნეთ, რომ მე არ მიყვარს ძალის ხმარება, არ მიყვარს ძალადობას მიემართო; მაგრამ, თუ აუცილებელი გახდა, ძალასაც გამოვიყენებ, მაგრამ რამდენად უკეთესი იქნებოდა ისე განვახორციელებდეთ ჩვენს მიზნებს, რომ მასიურ ძალადობას არ მიემართოთ. მიზანი კი ქვეყანაა, სადაც დოვლათიანი ცხოვრება და წესრიგი ყველას საკეთილდღეოდ იქნება შექმნილი, სადაც მიწის მუშას საკმედი არ შემოაკლდება და სახვალის ლუკმა პურზე ფიჭვი ძილს არ გაუტეხს“.

„ამას მე მთავაზობთ?“ — თითქოს სმენამ უმტყუნაო, გაოგნებით იკითხა გიდიონმა.

„თანახმა ხართ?“.

„იმაზე, რომ ჩემი ხალხი უკან. პონობაში დავაბრუნო?“.

„თქვენი ნებაა, როგორ გამოვსთქვამთ“.

„თქვენ წარმოუდგენელი რამ ხართ, — წყნარად სთქვა გიდიონმა. — მე ეს მაშინვე უნდა ვამეგო, როცა თქვენს სახლში მოვედი. მაგრამ მე თქვენ ადამიანად ვთვლიდით. მე ყველა კაცს ადამიანად ვთვლიდი. ვერ მიგხვდით, რომ აურამე შესაძლებელია ადამიანის გონება განუკურნებელი სენით დაავადდეს. არ მესმოდა, რომ ზოგიერთი დაავადებულნი არიან და შეუძლიათ თავიანთი სწეულებით დედამიწა გაბრწინან. ჩვენ ყველა ჩვედივართ შეცდომებს, ხომ ასეა? ჩემის აზრით ჩემი ბანაკის ხალხმა ერთი უდიდესი შეცდომა ჩაიდინა: როდესაც ომში მიწა სისხლით ირწყვებოდა, მათ ეგონათ, რომ ბოროტება უკვე გასრესილი იყო. მაგრამ დაავადებულთა, სწეულთა

და გათახსირებულთა სისხლი სრულე-  
ბით არ დაღვრილა. მარტოოდენ კარგი,  
კეთილი აღამიანების სისხლი დაიღვარა,  
რომლებიც მოატყუილეს და სასაკლავო-  
ზე გარეკეს. ჩვენ თქვენისთანები ცოც-  
ხალი დაეტოვეთ“.

გიდიონს აქამდის არ ენახა სენატორი  
ჰოლმსის გაბრაზება. მოკუმული ტუჩები,

რამდენიმე ვერტიკალური ნაოჭი მთლად  
ფაქიზ შუბლზე. სენატორი ჰოლმსი აღ-  
გა, პალტო ჩაიცვა, ქუდი შემოიკრა და წელ-  
თათმანები და ჯოხი აიღო მაგიდიდან.

„მე მინახნია, რომ ეს თქვენი პასუხი  
გაბლავთ“, — სთქვა მან.

„შეგიძლიათ ასეთად მიიჩნიოთ“, —  
დაეთანხმა გიდიონი.

როგორ დაბრუნდნენ კარუბლს ბიდიონ ჯემსონი და მისი ვაჟი.

მეორე დღეს გიდიონი და ჯეფი სამი  
საათის მატარებელს უნდა გაჰყოლოდ-  
ნენ სამხრეთისაკენ. გიდიონს ბევრი არა-  
ფერი მიჰქონდა თან; პატარა აბჯა და  
ტყავის ჩანთა, რომელშიაც უიტმენის  
ლექსების ძველი წიგნი ჰქონდა, ჩარლ  
სამნერის მიერ სიკვდილის წინ ნაჩუქარ-  
ი მისივე სურათი ავტოგრაფით და ერ-  
თი რვეული. გიდიონს განზრახული  
ჰქონდა მოხსენება დაეწერა ჰეიზტილ-  
დენის მთელს აფიორაზე, და ფიქრობდა,  
რომ დროის მოსაკლავად მატარებელში-  
ვე შეუდგებოდა მუშაობას.

ჯეფთან ერთად მან მთელი ბაქანი გა-  
იარა მატარებლის ბოლომდე. „უკანასკ-  
ნელ ვაგონში, — სთქვა მან.

„რატომ?“

„არ იცი, არა? მიხვდა. გიდიონი  
და ვაჟს შეხედა. „გახსოვს, რომ ვითხა-  
რი, ყველაფერი ეს უეცრად არ ხდება-  
მეთქი, ყუმბარის აფეთქებასავეთ. ხომ  
გესმის, ეს ამბავი დიდი ხანია მოდის“.

ისინი უკანასკნელ ვაგონთან მივიდ-  
ნენ; ეს იყო ძველისძველი და საპატორი  
ვეტერანი რკინიგზის სამსახურისა. ფან-  
ჯრები ჰუჭუყიანი იყო, ორი მათგანი  
ფიცრებით იყო ამოკედილი. კარებზე  
წარწერა მარტივად ამბობდა: „ხანგები-  
სათვის“. ჯეფმა წაიკითხა და მამას მი-  
უბრუნდა:

„არა, არა, ეს შეუძლებელია! ეს სა-  
ზიზღრობაა, გესმის, საზიზღრობაა! შენ  
კონგრესის წევრი“.

„შედი ჯეფ, სთქვა გიდიონმა. — ეს  
ახალი ამბავი არაა. საყოველთაოდ ხდე-  
ბა; კაცი ეჩვენება“.

ისინი შიგ შევიდნენ და ხის ძველ  
მერხზე ერთად ჩამოსხდნენ. ვაგონი  
ზანგებით ივსებოდა. თავის დროზე მა-  
ტარებელიც დაიძრა. გიდიონმა სთქვა:

„ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ ცო-  
ტა ხნით; მალე შინ ვიქნებით, კარუ-  
ელში“.

სადგურზე მათ მარჯესი შეხვდათ.  
ჯეფისთვის სავსებით უცხო იყო ეს ლა-  
მაზი და კოხტა ზანგის ბიჭი, ჯემსონებს  
შორის ყველაზე უფრო ღია ფერისა.  
გიდიონს იგი მხრებამდის წვედებოდა,  
მაგრამ პროპორციული აღნაგობის იყო:  
წელში ვიწრო, ბეჭებში ფართო და ისე-  
თი მსუბუქი და მოქნილი მიხვრა-მოხვ-  
რისა, რომ ჯეფს უმაღლეს რაღაც გარეუ-  
ლი ნადირი მოაგონდა — უშიშარი, მარ-  
დი და სრული მთლიანობის განსაზიერე-  
ბა. მას ლურჯი შარვალი და ყავისფერი  
ტყავის კურტაკი ეცვა და ერთცხენიან  
ეტლთან დარდიმანდულად იდგა: მან  
გიდიონს ფართოდ გაუღიმა, ხელი დაიქ-  
ნია და მერე დაუფარავი ცნობისმოყვა-  
რეობით შეუდგა ძმის შესწავლას.

„გამარჯვება, შეილო, — მიესალმა  
ვაჟს გიდიონი და საპარტო ყუთში აბჯე-  
ბის ჩალაგება დაიწყო. იმ უბრალოებით,  
რომლითაც მამა-შვილმა ერთმანეთს ხე-  
ლი ჩამოართვა, ჯეფმა შეატყო, რომ  
მათ შორის რაღაც განსაკუთრებული,  
გულთბილი ურთიერთობა იყო.

„კარგი ამინდი შეგხვდათ, — შენიშნა მარკუსმა და მერე: ჰელლო, ჯეფი! ვერა მცნობ, არა?“

„გაზრდილხარ, — აღიარა ჯეფმა. — მან თავისი აბგებიც გიდიონის ბარგთან ერთად ჩააწყო და მერე ძმას ხელი ჩამოართვა; ისინი იღვნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. მარკუსი ილიმებოდა.

„ეტლს მე წაიცივან, — სთქვა გიდიონმა, — დასხედით!“

„ექიმო ჯექსონ!“ გაიღიმა მარკუსმა. „სწორია“, — მიუგო ჯეფმა. „ღმერთო ჩემო, რამდენი წლის ხარ?“

„ესეც დაგაიწყდა? — ოცის“.

„ოცის“, გაიმეორა ჯეფმა.

„დასხედით“, სთქვა გიდიონმა, მარკუსმა ჯეფს მიმართა: „ჯერ თქვენ დაბრმანდით, ექიმი!“ მარკუსი წელში მოიხარა და ხელი დასაჯდომისკენ გაიშვირა: „კარგი“, — დააჩქარა ისინი გიდიონმა. სამივენი ერთ დასაჯდომზე მოთავსდნენ და ჯეფმა მარკუსს ხელი მოჰხვია. „როგორ გრძნობდი თავს შოტლანდიაში? „მოწყენილად“, — მიუგო ჯეფმა. მარკუსმა უცმაყოფილოდ შენიშნა: „უცხოელივით ლაპარაკობ. დასარჩენად ჩამოხვედი? „ალბათ“. „ჩვენთან ყველაფერი გამოცვლილი დაგხვდება, სთქვა მარკუსმა. — უქმად არ ვმსხდარვართ“.

გიდიონი ყურს უგდებდა მათ. დიდებული რამ იყო ძველებურ ეტლში ვაეებთან ერთად ჯდომა, როცა ხელში სადავე გიჟირავს და ბატარა შავ ფაშატს გზაზე მიერეკები. როდესაც ეტლმა მტვრიანი თემშარიდან ძელფენილზე გადაუხვია, რომელიც კვიპაროსების ქაობს ჰყვოდდა, გიდიონმა ამაყად უთხრა ჯეფს:

„ეს ჩვენ გავაკეთეთ ოთხი წლის წინათ. რკინიგზამდე სანახევროდ ამოკლებს მანძილს“.

„ჩვენ ბევრი სხვა რამეც გავაკეთეთ“, — შენიშნა მარკუსმა და ხმაში ვერ დამალა კმაყოფილების ოდნავ მედიდური კილო. გიდიონმა ვაეებს აღმაცერად

გადახვდა და სთქვა: „ჯეფი დასარჩენად მოდის შინ“.

„მართლა? კარუელში? <sup>ერქვესული</sup> <sup>ქალიჩქმებსწ-</sup> <sup>ყინდება“.</sup>

გიდიონმა ჯეფს უამბო, როგორ გაიყვანეს ეს ძელფენილი. კარუელების უმრავლესობა რკინიგზის ვაკისზე იყო ნამუშევარი და საქმის ტექნიკა პრაქტიკულად იცოდა. ეს ისარივით სწორი ხაზი გზისა მათ თავათ გაიყვანეს, ინეინრის დაუხმარებლად, მთელი ერთი მილი და ნახევარი. „როდესაც ეს ამბავი პალატაში გაკვრით აღენიშნე, — სთქვა გიდიონმა, — ჩემს კოლეგებიდან მხოლოდ ერთმა გამოიჩინა ინტერესი: მან მკითხა, მთავრობის კუთვნილ მიწაზე მშენებლობის უფლება ვინ მოგცათო“.

მარკუსმა მამას შეხედა. ჯეფი დღინებდა: „მამა სანადიროდ არი, ოი, და, და! სანადიროდ არი, ოი, და, და!“

„ეს კიდევ გახსოვს?“.

„სხვაც ბევრი რამ გახსოვს“ წარმოსთქვა ჯეფმა.



ჯენი გაზრდილიყო, დაქალებულიყო: კაბის ქვეშ სავეე მკერდი ებურცებოდა; ჯეფმა დასა და დედას ხელები მოჰხვია. რკინიგლი მოზღვავებულ ბედნიერებისაგან სტიროდა. მას გიდიონზე მეტად დასტყობოდა ხანში შესვლა. იგი ნაზად უსვამდა ხელს ჯეფს სახეზე, თითები თვარაცხნიდა ხუჭუჭ თმას.

გიდიონი და მარკუსი მოშორებით იღვნენ. ვაემა მამას უთხრა: „გაზეთებში წავეითებე“.

„ჰო“.

„როგორ მოხდა? ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ?“.

„მეც არ ვიცი კარგად. — გააწყვეტინა სიტყვა გიდიონმა. — ამაზე მერე ვილაპარაკოთ“.

— „ეტყობა იქ, უაშინგტონში არ გვიცნობენ, თუ ჰგონიათ, რომ ჩვენი

გაქრობა ერთი კალმის მოსმითაა შესაძლებელი“.

„ამაზე მერე ვილაპარაკოთ“.

„არ გვიცნობენ“, ჩილაპარაკა მარკუსმა.

ჯეფი წაიყვანეს და ყველაფერი ანახეს. სახლი უბრალო ხის შენობა იყო ხეთოთახიანი. გარედან თეთრად შეღებული. რეიჩელმა სამზარეულო უჩვენა; კედელზე მოკალული ქვაბების მთელი კომპლექტი ეკიდა, სხვადასხვა ზომის სუფთა, კრიალა ქვაბები პატარებიდან მოყოლებული გათავებული დიდებით; აქვე იყო რკინის ზედადგარი; მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი წყლის საქაჩავი ტუმბო იყო. „სხვა სახლებიც ასეთია? სხვების? — იკითხა ჯეფმა. — შენ კონგრესმენი ხარ და“.

— „სახლებიც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც მათი პატრონები. ბედს არ ვუჩივით. მიწა ყველასთვის ბარაქიანია, ვისაც იგი უყვარს და ვინც მუშაობა იცის“.

რეიჩელმა აღარ იცოდა რა ექნა: ჯეფისთვის გაჰზადებული ქათამი და ცხელი ქაღები გამოეტანა, თუ ჯერ დანარჩენი ოთახები ეჩვენებინა მისთვის. რკინის ზამბარებიან ნამდვილ საწოლებზე არაფერს ეტყვის, დე, ჯეფმა თავის თვალით ნახოს. და რეიჩელი ვაჟს საწოლ ოთახებისაკენ გაუძღვა.

„ელენი სად ცხოვრობს?“ იკითხა ჯეფმა.

„ძმა პიტერთან. ალენის ბავშვები ყველანი ძმა პიტერთან არიან“.

„ძალიან გაუჭირდა, როცა მოხუცი გარდაიცვალა?“.

„ელენი აქ მოვიდა“, — სთქვა მარკუსმა. — აქ უნდოდა დარჩენა“.

„მერე მაინც წავიდა?“.

„პო, წავიდა“.

„იცოდა, რომ მე მოვდიოდი?“.

„კი, იცოდა, ყველამ იცის, მალე აქ მოვლენ“.

რეიჩელმა სწრაფად გაატარა ჯეფი მეორე საწოლ ოთახშიც და სასტუმრო

ოთახში შეიყვანა. ეს იყო კონტრირანული რბილი ავეჯით, მაგიდითა და გიდიონის წიგნებით სავსე პატარა უფლები; მერე ყველანი სამზარეულოში წავიდნენ და მაგიდას შემოუსხდნენ. რეიჩელმა კვლავ ტირილი დაიწყო; იგი შეპყურებდა ჯეფს, სახეზე ხელს უსვამდა. „კარგი, დედა, ახლა რაღა გატირებს. ყველაფერი კარგადაა“, მაგრამ რეიჩელი ცრემლს ვერ იმაგრებდა.

გიდიონი და მარკუსი აივანზე გავიდნენ. „ცხენს გამოვხსნი“. — სთქვა მარკუსმა.

„ელენთან მოინდომებს წასვლას“.

„ეითომ?“.

„მე ასე მგონია“.

„კი მაგრამ; ყველანი აქ აპირებენ მოსვლას; სჯობია აქ მოიცადოს. ცხენს გამოვხსნი“.

გიდიონმა თავი დააქნია: მარკუსმა ცხენი წაიყვანა; გიდიონი აივანის სვეტს მიეყრდნო, გულს რაღაცნაირი კაეშანი შემოსწოლოდა. ეს დასაწყისი უნდა ყოფილიყო და ამის ნაცვლად დასასრული აღმოჩნდა, მან გამწარებით გადააქნია თავი; არა, სულელი უნდა იყოს კაცი, რომ ასე იფიქროს. უაშინებტონი ერთია — მშვიერი, უილაჯო და პატივმოყვარე კაცუნებით სავსე გახრწნილი ქალაქი; ეს კი სხვაა, ეს მისი სახლ-კარია. უაშინებტონი კი არაა ამერიკა, არამედ ეს კარმიდამო მრავალ მილიონზე გადამრავლებული, ეს პატარა ხის სახლი, შინაურული, სადა ავეჯით, რომაა სავსე, ეს მუხები და თეთრი აკაციები, რომლებიც სახლს თავზე დასდგომიან და მზისაგან იცავენ, მთის ფერღობები, ველუბი, სადაც მალე ბამბა, სიმინდი და თამბაქო აყვავდება, გუთანი, რომელიც აგერ იქ. სახლიდან რამდენიმე ასეული იარღის მოშორებით მიუტოვებია მარკუსს თავდაყირა, პირზე შერჩენილი მარტის მძიმე, ხველი მიწით, — ყველაფერი ეს მისია, მისი საკუთრება. ამისთვის იბრძოდა, მონობაში იყო, იზრომა; ამის იმედით ცხოვრობდა; კაცი იმ მიწას



ვერ მოშორდებდა, რომელსაც მისი სისხლი უგემნია, რომელზედაც მას თავისუფალი ნაბიჯი გადაუდგამს, როცა კაცს ფესვები მიწაში აქვს გადგმული, იგი მაგრად ღვას.

\*  
\*  
\*

მარკუსი სახლში შევიდა და ჯეფს უთხრა: „მოდი“. და თავით კარებისკენ ანიშნა. ჯეფი მარტო გავიდა გარეთ. სახლისაკენ საღამოს ჩრდილებში ძმა პიტერი მოაბიჯებდა; მას ელენის მკლავზე ეკიდა ხელი. მას შემდეგ, რაც ჯეფმა იგი უკანასკნელად ნახა, ძმა პიტებს წვერი მოეშვა; იგი ახლა სამოც წელს იყო მიახლოებული; ხმელ და მაღალ ტანს პატრიარქალური იერი აშვენიებდა, წვერი სულ თეთრი იყო; იგი კოკლობით მოდიოდა. მის გვერდით მომავალი ყმაწვილი ქალი კი ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის, როგორც ჯეფს ახსოვდა იგი, ესაა მხოლოდ — უფრო მომწიფებული, უფრო დამრგვალებული ნაკეთებით. უფრო დასრულებული, მაგრამ მაინც ისეთი, როგორც ჯეფს ახსოვდა იგი, — ყელმოღერებული, შავად მოელვარე ნაწინაგები ზურგზე რომ სცემდნენ.

ჯეფი მათკენ გაემართა, ძმა პიტერი და ქალი შედგნენ. ჯეფმა დაინახა, რომ მოხუცი ელენისკენ დაიხარა და ხმადაბლა რაღაც უთხრა. ქალი გაუნძრევლად იდგა. ძმა პიტერმა ჯეფს გაუღიმა და სთქვა:

„კეთილი იყოს შენი დაბრუნება, ჩემო შვილო“.

ჯეფი რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე შეჩერდა, ელენის სახე მისკენ იყო მიბურობილი. მერე ჯეფი მასთან მივიდა, ხელი ხელში მოჰკიდა და უთხრა: „ელენ, გამარჯვება. გახსოვარ?“ ქალმა თავი ოდნავ დააქნია.

„მე სახლში შევალ და ძმა გიდიონს მივესალმები“, — სთქვა ძმა პიტერმა.

„თქვენ კი, როცა გესიამოვნებათ მაშინ წამოდით“.

ჯეფმა თავი დაუქნია. მუხუცხარა და ჯეფი ადგილიდან არ ამხდებოდა. ხელი კვლავ თავის ხელში ეკიდა; არც ქალი შერხეულა. იგი იდგა წყნარი, ტანში გამართული, მას მწვანე ჩითის კაბა ეცვა, მხრებზე ლურჯი მოსასხამი, შავი წინდები, შავი ფეხსაცმელი ბოლოს ქალმა სთქვა: „არ გამოვეცვლილვარ, ჯეფ? ისეთი ვარ, როგორც შენ გინდოდა, რომ გენახე?“.

„სწორედ ისეთი“.

„არავითარი ცვლილება არაა, ჯეფ?“.

„ცვლილება ყოველთვისაა ხოლმე, მაგრამ შენ ისეთი ხარ, როგორც მე მინდოდა, რომ გენახე“.

„წლები მომემატა, ჯეფ“.

„ორივეს მოგვემატა“.

ჯეფმა მას მკლავში მოჰკიდა ხელი და ისინი წავიდნენ. ვაჟმა ქალი ფერდობზე ჩაიყვანა და მერე ორივენი მარკუსის მოხნულ მინდვრისკენ გაემართნენ. როგორც ძველად, ჯეფი ახლაც იმაზე ელაპარაკებოდა ელენს, თუ როგორ ჩადიოდა მზე. ჯეფი სავსე იყო კარუელით, განცდები აბრჩობდნენ მას. შოტლანდიის კვამლიანი, ნისლიანი, ბურუსის ქანგით შექმული ცა მეხსიერებაში ბუნდოვანად შერჩენილი წარსულის ნაწილი იყო უკვე; აქ ცა მარტის სილურჯით კამკამებდა და, ჩამავალი მზის, ოქროს, ფორთოხლის, ვარდის ფერებით მოხატული; მიწა აქ თბილი, წვნიანი და ნაზი იყო; ჯეფი და მისი მსგავსნი ხრიოკი, ტიტველი მთებისთვის არ იყვნენ განენილი. „რა კარგია, რომ დაბრუნდი, მაგრამ შენ ახლა სხვანაირი ხარ, ჯეფ. მამაკაცი ხარ, ექიმი ხარ. მამაჩემიც ექიმი იყო. იცოდი, ჯეფ?“.

„რა თქმა უნდა, ვიცოდი“.

ისინი ფერდობს აუყვნენ სახლისკენ. გზაზე იმ ადგილას შეისვენეს, სადაც მარკუსს სკამი გაეკეთებინა. ზემოდან ვილაცამ გადმოსძახა:

„ჯეფ-ოჰ! სად ხართ?“.

„ჩვენ გვეძახიან“, — სთქვა ელენმა.

„ახლავე ავალთ“.

ისინი ისხდნენ; ბნელდებოდა, სად-ღაც განუწყვეტლად ყვფდა ძალი. დაბოლოს ჯეფმა სთქვა: „გიდვიტრია იმაზე, რომ როცა დაებრუნდებოდი, ცოლად გამოწყებოდი?“.

„გინდა შემირთო?“.

„მინდა“, — სთქვა ჯეფმა.

„უსინათლო ქალი?“.

„ოდესმე იმასაც ვისწავლი, რომ თვალის სინათლე დაგიბრუნო“.

„ჩვენ გვეძახიან.“ უთხრა ქალმა ვაეს.

ჯეფმა ელენს ხელი მოჰკიდა და სახლისკენ გაუძღვა.



მთელი კარული აქ იყო. დაფალმან-ღებული ცხენები და ჯორები თავლის შემორაგულის გასწვრივ ჩამწყრივებულ-იყვნენ. ჯეფს ხალხი გარს ეხვევოდა; უფროსები იმდენ შეკითხვებს აყრიდნენ, რომ ჯეფი პასუხის გაცემას ვერ ასწრებდა. გოგოები თვალს არ აშორებდნენ მას. ქალები რეიჩელთან ერთად ტყრემლებოდნენ. ჯეფი გაოცებული იყო იმ ამბით, რომ ზანგებს შორის ამდენი თეთრი ერია, რომლებიც თავისუფლად, ყოველგვარი უხერხულობის ამ უცნობის გარეშე მასლაათობდნენ მათთან. ზოგ მათგანს ჯეფი იცნობდა — ახმახსა და წითურ ებნერ ლეიტს, დაბალ, ჩასკენილ წვრილთვა-ლა ფრენკ კარსონს; სხვებს არ იცნობდა. მათ შორის იყვნენ მისი ტოლი ჰაბუკები — ყაქისფერთმიანი, მზისა-გან დამწყვარი ბიჭები, რომლებიც ცნობისმოყვარეობით, მაგრამ ყოველ-გვარი მტრობის გარეშე ათვალეირებ-დნენ მას. ახალი მასწავლებელიც აქ იყო — როდ-აილენდელი იანკი. სახე-ლად ბენჯამინ უინთროპი. მან ჯეფს მიმართა: „თქვენი აქ ყოფნა, ექიმო

4. „მნათობი“ № 4.

ჯეკსონ, განუზომელ სარგებლობას მო-უტანს მთელს თემს. ვეფხვებ, რომ დარჩებით“. „მინდა გეგეტოვოთ თუ ვი დაუქნია ჯეფმა. ერთმა ჩია ტანის ხმელხმელმა თეთრმა, სახელად ფრედ მაკჟიმ ჯეფს უთხრა: „ქალი შეუძ-ლოთ მყავს; იქნებ მოხვიდეთ და ნა-ხოთო?“. „ხვალ მოვალ“, დათანხმა ჯეფი. „ისე სტივია მუცელი, თითქოს შიგ გველი ჰყავდესო“, — სთქვა მაკ-ჰიმე; „მოვალ“, — გაიმეორა ჯეფმა.

მარკუსს აცორდენი ჰქონდა. იგი აივნის კიდეზე ჩამოჯდა და დაუჯრა: „დედამ სახლში დამაბრუნა, ატლანტა-ში, ეხ, ატლანტაში“. მას გარშემო შე-მოკრებილი ახალგაზრდები მიწაზე ფე-ხის ბაჟუნს და ტაშის ცემას აყოლებ-დნენ სიმღერის რიტმს. გიდიონმა სამი ხელადა არაყი გახსნა. ყველას უნდა დაეღია. რეიჩელი და დანარჩენი ქალები ღუმელთან ტაფებსა და ქვაბებს დასტრიალებდნენ. ბნელ ველებს კი სიმღერა გუგუნით ეღებოდა: „დედამ სახლში დამაბრუნა, ეხ ატლანტაში“.



მეორე დღეს ჯეფმა მარკუსს უთხ-რა: „წამომყევი“.

„ზოგი მოცილილია, ზოგმა კი უნდა იმუშაოს“.

„მუშაობისთვისაც გეყოფა დრო“.

„წაყევი“, სთქვა გიდიონმა, „სახნა-ვად მე წავალ“. გიდიონს ისევ თავისი ძველი პერანგი ეცვა. „წაყევი“, უთხრა მან მარკუსს. მარკუსმა ფაშატი ეტლში შეაბა და ძმები სკოლისაკენ გაემართ-ნენ. სკოლა ერთოთახიანი ხის შენობა იყო, თეთრად შეღებილი, ერთ ბოლო-ში სამრეკლო ჰქონდა მიშენებული და ამგვარად სკოლაც იყო და საყდრის მაგიერობასაც სწევდა. ოცდაათამდე სხვადასხვა ასაკის გოგო-ბიჭები უსხდ-ნენ მერხებს; უინთროპის პრობლემა მეტად რთული იყო: — სხვადასხვა ასა-

კის ბავშვებისათვის მას სხვადასხვა საგნები უნდა ესწავლებინა და ამავე დროს წესრიგიც უნდა დაეცვა. ისედაც გაწვალებული, იგი ახლა განსაკუთრებულმა მღელვარებამ შეიპყრო და თანაც ესაიამოვნა, რომ ჯეფი, ასე მალე მოვიდა სკოლის სანახავად. სტუმრების გამოჩენამ დისციპლინას ბოლო მოუღო და უინთრობი, უსსნიდა რა ჯეფს თავის მეთოდებს, ცდილობდა ამავე დროს წესრიგი აღედგინა კლასში.

ძმებმა გზა განაგრძეს. ჯეფმა სთქვა: — „მაკიუს სახლთან უნდა გავჩერდეთ, იცი სადაა?“.

„ვიცი. მისი ცოლი რომ ავადია. იმიტომ?“.

„მაკიუს უნდა, რომ მე ენახო“.

მაკიუს სახლი პლანტაციის ძველი სახლის მახლობლად იყო, პატარა შენობა, მაგრამ მზრუნველი ხელი ეტყობოდა. როცა ჯეფი სახლში შევიდა და მიხვდა, რომ ავადმყოფს არავითარი მოვლა არ ჰქონდა. მაკიუს ჰკითხა: „რამდენი ხანია, რაც ავადია?“.

„ერთი წელიწადია ხანგამოშვებით ავადმყოფობს. ბოლო დროს ლოგინიდან ვეღარ დგება. წუხელი აღარ უყვირია, მხოლოდ კენესოდა და სლუკუნებდა“. იგი ვიდიონს საწოლ ოთახში შეუძღვა, სადაც ორმოცი წლის გამბდარი, ფერწასული ქალი იწვა. „ეს ვიდიონის ბიჭია, ჯეფი. ინგლისში სწავლა მიიღო და ახლა ექიმია. კარგი ბიჭია, სალი, გაგშინჯავს. სალი, გენაცვალე“.

ქალი არაფერს არ ამბობდა, იწვა მხოლოდ და უაზროდ მიმტერებოდა ჰერს. „თქვენ გარეთ გადით, თუ შეიძლება“, სთხოვა ჯეფმა მაკიუსს.

ჯეფმა ავადმყოფს მუცელი გაუშინჯა; ქალი ტყვილისაგან დაიკლავა და გმინვა აღმოხდა. ოთახიდან გამოსულ ჯეფს მაკიუს ელოდებოდა. „ექიმი ლიდი თუ გყავდათ ქალაქიდან?“.

„მყავდა“.

„რა სთქვა?“.

„სთქვა მოკვდებო“. წაიხრებულა მაკიუსი.

„გაიგო კი რა, სკირსს“.

„ექიმ ლიდს კაცის მტრად მტკიცედ ვერ ჰკითხავს“, — სთქვა მაკიუსი. „ქარულელები არ მოვწონვართ. სთქვა, მოკვდებო, ეს იყო და ეს“.

იქვე მდგომმა მარკუსმა ჯეფს ჰკითხა: „შენ იცა, რაც სკირს ჯეფი?“.

„მე მგონია, ვიცი. მე მგონია ეს ის უნდა იყოს, რასაც ტიფლიტს უწოდებენ — ერთ-ერთი ნაწლავის ანთება. პატარა, თითისმაგვადი წანაზარდისა. ხშირად ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მასში ანთების პროცესი იწყება და თუ ზომები არ იქნა მიღებული, ანთება განგრენაში გადადის. განსაზღვრულ საფეხურზე ყინული შველის. ამ საფეხურზე კი ვეღარ“.

„გამოდის. რომ ვერ გადაჩნება. არა?“.

ჯეფმა თავი დააქნია.

„ნუთუ ვერაფერს ვერ იღონებ?“

„მახსოვს, როცა ექიმ ემერისთან ვიყავი“, სთქვა ჯეფმა, — „მაშინ ენახე, როგორ ამოჭრა დოსტაქარმა ეს ნაწლავი. ავადმყოფი მორჩა; მაგრამ ოპერაცია დოსტაქარმა გააკეთა. მეორე, ასეთი ოპერაცია არასოდეს არ მსმენია. ედინბურგში აღიარებენ, რომ ტიფლიტი უიმედო რამაა“.

„შენ შესძლებდი ასეთი ოპერაციის გაკეთებას?“ ჰკითხა მას მარკუსმა.

„არ ვიცი“.

„ღმერთმა დასწყევლოს, ცლა ხომ შეგვიძლია? სულერთია, მაინც, სიკვდილი ელის!“.

„არ ვიცი, როგორ, სთქვა ჯეფმა, „ცდითაც ვერ ეცდება კაცი, თუ კი არ იცის, როგორ“.

„რატომ არა?“

ჯეფი მარკუსს შეაცქერდა. მაკიუს თვალს არ ამორებდა ძმებს; მას ზედა ტუჩი უთრთოდა. „ჯეფ, გამოიხედე, — სთქვა მან. ვიდიონს დიდი ხანია ვიცნობ; ერთი დრო იყო, მეუბნებოდნენ,

ღმერთმა დაგწყევლოს, მაკპიუ, იმ ზანგს ჩამოშორდიო. ხომ იცი, როგორც იციან ხოლმე, — ბარათი გამომიგზავნეს, ზედ სისხლი იყო, — იმ ზანგს ჩამოშორდიო. მერე გიდიონი მოვიდა ჩემთან და მიწის ყიდვაზე მელაპარაკა; მეც მას გავყევი. ყოველთვის მასთან ვიყავი. ეიკენში არჩევნების მეთვალყურედ წავედი, ეს მაშინ, როცა ერთი თეთრი კუბრში ამოსვარეს და ბურტყულში აავორეს იმისათვის, რომ ზანგებს ხმა მისცა. გიდიონს ჰკითხე, ერთი ჰკითხე, თუ უკან დამხივია. ჰკითხე როგორ ვუთხარი იმ მამაძალ ჯეისონ ჰიუგარს“.

„კარგი“, დააქნია თავი ჯეფმა. „თქვენს ცოლს თავი რომ დაეანებო, მას რამდენიმე დღის სისიცოცხლე დარჩენია კიდეც და მთელი ეს დრო ტკივილი დასტანჯავს, საშინელი ტკივილი, მარკუს, ეტლით შინ გაეშურე; ჩემი პატარა ჩანთა მომიტანე, რამდენიმე სუფთა ზეწარი და პირსახოციც წამოიღე; დედას უთხარი წამოგყვეს. უისკი გაქვთ?“ მიუბრუნდა იგი მაკპიუს. უკანასკნელმა თავი დააქნია, „კარგი. შედით. ავადმყოფს დაუყვავეთ და უისკი მოასმევიეთ, რამდენჯერმე ცოტა-ცოტა, ოღონდ ეცადეთ არ აწყინოს, არც იმდენი მისცეთ, რომ დათერეს — სულ ნახევარი ფინჯანი მეტი არა. დაიცადეთ ერთი წუთით! ჯერ ცეცხლი დაანთეთ ღუმელში და წყალი აადუღეთ. ვისთან უფრო მეგობრობს თქვენი ცოლი ქალებიდან?“.

„ჰელენ ლეიტან“, მიუგო ფერწასულმა, შეშინებულმა მაკპიუმ.

„ისიც მოიყვანე მარკუს. ავადმყოფს წამოდგომა შეუძლია? გესმით მაკპიუ რა უნდა გავაკეთო? თქვენ ცოლს მუცელი უნდა გავუქრა და დაავადებული ნაწლავი ამოგვეთო. ეს ამბავი ძალიან მტკივნეულია, საყურებლადაც კი მძიმე იქნება. თუ გაკეთებაა, ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა გავაკეთო“.

მაკპიუმ თავი დააქნია.

„მე თქვენი ნებართვა მჭირდება; მე მინდა, თქვენ სთქვიეთ, რომ თანახმა ხართ“.

გიგლინიძე

„თანახმა ვარ“, ამოიღულღულა მაკპიუმ.

„გაიგეთ — ეს ისეთი რამაა, რაც აქამდე არ გამოიკეთებია. არც კი ვიცი, როგორ უნდა გავაკეთო. ერთი შეცდომაც რომ დავუშვა, თქვენი ცოლი ვერ გადარჩება. სწორედაც რომ გავაკეთო ოპერაცია, შესაძლებელია განგრენა მაინც დაიწყოს და ავადმყოფი მოკვდეს. ყოველი ოპერაცია ასეთ რისკს ნიშნავს, აქ კი, ამ პრიმიტიულ პირობებში კიდევ უფრო უარესია“.

„თანახმა ვარ“, გაიმეორა მაკპიუმ.



ჯეფის დაბრუნებას გიდიონი აივანზე ელოდებოდა. თენდებოდა. ჯეფმა დაღლილი ხმით ჰკითხა მამას: „არ გიძინია?“

„არა; ათას რამეზე ვფიქრობდი, ქალი კიდეც ცოცხალია?“

ჯეფმა თავი დააქნია. „ახლა წყნარად სძინავს. მგონია კარგად უნდა იყოს. არა, ვიცი, კარგადაა“.

„წადი. ეცადე დაიძინო“.

ჯეფმა გაიღიმა და თავი გააქნია. იგი აივნის კიდეზე ჩამოჯდა გიდიონის გვერდით. დღის სინათლე მატულობდა. ბოლოს მზის დისკომაც ამოჰყო თავი. სადღაც მამალმა დაიყვილა. ჯეფმა წყნარად სთქვა: „ღმერთო, ჩემო, წარმოგიდგენია, მთელს მსოფლიოში მხოლოდ ორ კაცს აქვს ეს ოპერაცია გაკეთებული! წარმოგიდგენია, რა ადვილი ყოფილა თურმე, როცა იცი წარმოგიდგენია — ეს მე გავაკეთე აქ, ცარიელი ხელებით, გესმის, ცარიელი ხელებით!“

„მეც ამაზე ვფიქრობ“, სთქვა გიდიონმა.

„იცი, რამდენი კვდება ყოველწლიურად ტიფლიტით? ალბათ ათასები. სოფლის ექიმი მას მუცლის მწვავე გვრემას უწოდებს, ან მოწამლვას, ან სიმსივნეს. ეს კი ტიფლიტია“.

გიდიონმა თავი დაუქნია და მხარზე ხელი დაადო ჯეფს.

„და შენ კი არ გინდოდა, რომ მე აქ ჩამოვსულიყავი“.

„არ მინდოდა და მიზეზიც მქონდა, ჯეფ“, აღიარა გიდიონმა.

„არაფერი მიზეზი არ არსებობს, — სთქვა ჯეფმა, — იცი, რა უნდა გითხვას? ბიჭი ვიყავი, შურიანი ვიყავი, შენ გიყვივით იყავი, ახალ ქვეყანას აშენებდი. ახლა შურით აღარ გიყურებ; მე მგონია გიცნობ. ახლის შენება მე უნდა გაეაგრძელო, აქ უნდა ავაშენო“.

„წადი ეცადე დაიძინო“.

„ახლა ძილი არ შემიძლია“, გაიღიმა ჯეფმა. „ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ახლა ჩემი ძილი?“.

თარგმანი ინგლისურიდან ზინი მვანიასი.

(დასასრული იქნება)

## ლექსები

★

ნიუ-იორკის ცათამბლროში ზრილში

- აილე  
სახლი ვეებერთელა  
და ამ საგანსა  
კედლების შიგნით  
გამჭვირვალე  
მზერით დაეცა.  
რას დაინახე?  
სოროებსა  
და ძველ საკანსა,  
ვით ოქტომბრამდე  
კონოტოპი,  
ანდა ელეცი.  
ოქრომჭედლები,  
გუშაგები  
დგანან პირველში.  
დარაბას ჰშვენის  
ბოჭლომები  
ძნელგასაღები,  
პოლისმენები —  
კინოს გმირნი  
გასაკვირველნი  
სხვის ქონებისთვის  
თავს დასდებენ,  
როგორც ძაღლები.  
მესამე კიდევე  
გაუესიათ ბიურო-კანტორით,  
სად ქაღალდები  
გაცვეთილა  
მონების ოფლით.  
და რომ ახსოვდეს  
მთელ მსოფლიოს  
მისი პატრონი,  
აგარაყებენ  
წარწერასა —  
„ვილიამ შპროტი“.
- თუ რა მოიგო  
პერანგებში,  
ითვლის მეხუთე,  
ქალი ხნიერი,  
თან ნატრულობს  
საქმროს იღბლიანს.  
სათუთი მკერდი  
იმშუშნება,  
თითქოს შეხუთეს,  
გაიზმორება  
ხელს დაუსობს  
მსუქან იღლიას.  
მეშვიდე: —  
სახლის მბრძანებელის  
აქ ხმები ისმის,  
კაბუკობიდან  
ვინაც კუნთი  
სპორტით აღიდა, —  
სერმა  
საკუთარ,  
კანონიერ მეუღლეს—მისისს  
ღალატისათვის  
ცხვირპირიდან  
სისხლი აღინა.  
მეათე: —  
წყვილი.  
ქორწილის შემდეგ,  
თბილი დაისი.  
აღამ და ევა  
ვით ედემში,  
ისევე მარტო.  
წვანან.  
რეკლამას კითხულობენ  
გაზეთ „ტაიმსში“:  
„ფასის გადახდით ნაწილ-ნაწილ იყიდეთ  
ავტო“.



ოცდამათე: —  
 აქციონერნი, —  
 არამზადები  
 ჰყოფენ მოგებას.  
 და სიხარბით  
 დორბლი მოსცევიათ.  
 მოგება ტრესტის  
 „ქარგი შაშხის დამამზადებნი  
 საუკეთესო  
 ჩიკაგური  
 ძაღლის ხორციდან“.  
 ჰა მეორმოცე...  
 მომღერალ ჭაღის სანთიობო  
 შუქით ბრწყინდება.  
 კლიტის ნასვრეტში  
 უცქერიან  
 დგანან ლოდინში.  
 და რომ კულიჯმა  
 მისცეს ნება  
 განქორწინების  
 დედექტივებმა  
 დაიჭირონ  
 უნდა ლოგინში.  
 თავისუფალი მზატვარია,  
 ხატავს თქმობს,  
 მეოთხმოცეში  
 ეყვინთება,  
 ოცნებობს ამას,

ვით ვეარმყო  
 პატრონის ქალს — ურკუნულნი  
 ამ ჩემს მეზობელს რჩენას  
 ისე რომ ტილოც  
 შევაჩეჩო ლამაზის მამას.  
 სახურავზე — კი  
 სუფრასავით  
 თოვლი მოცოცავს.  
 და რესტორანში  
 აქ რომ ცაში  
 არის ნაგები,  
 დამლაგებელი ზანგი  
 ეძებს  
 მომსხო ნამცეცებს  
 და მომცროს  
 ტყვერენ  
 კი ვირთაგვები.  
 ვუცქერ  
 და ბოღმა  
 ყელში ამომდის.  
 ვხედავ ყველაფერს:  
 ფასადები დამდგარან უქმად.  
 7.000 კილომეტრით  
 წინ ვესწრაფოდი  
 და 7 წლით — კი  
 დაებრუნდი უკან.  
 თარგმანი მიმელ პატარიჩინა

\*  
 \*  
 \*

„საღამოთი, მუშაობის შემდეგ ეს კომკავშირელი თქვენი ამხანაგი უკვე აღარ არის, თქვენ მას ბორისს ნუ დაუძახებთ, არამედ მიჰბაძეთ საზიზღარ ფრანგულ აქცენტს და უწოდეთ მას „ბობი“.

„კომ. პრავდა“.

ერთხელ ჩვენი თამარ-ქალი  
 თურმე ვანოს შეუყვარდა.  
 მუშა იყო,  
 ზეინკალი,  
 მაგრამ ვანა მუშას ჰგავდა!  
 ლამაზი ხალი  
 ჰქონდა ტუჩებთან  
 როგორ შენოდა.  
 ენა ვერ აღწერს!  
 თმას  
 თვეში ორჯერ  
 იხუჭუჭებდა  
 \* ამჟღავნებს შემოცლებით.

და იღებავდა  
 ულვაშებს — ყანწებს  
 იცოდა მხოლოდ  
 ანი და ბანი,  
 მაგრამ მოუნდა პარიზელობა.  
 ადგა  
 დაირქვა  
 ტექნიკი ქანი  
 და ფრანციცულად  
 იწყო მსჯელობა.  
 დაჰყვება თამარს  
 და ტკბილად გალობს.



„ჩემი ღვთაება  
მხოლოდ შენა ხარი  
დღეს  
მეშინაობა  
იქნება, ქალო.  
უმანკობის  
ასე შენახვა“.

და ჰა...  
შეჰფიცეს  
ტყვილად ერთმანეთს.

მაგრამ  
„ტიქნიკი“  
კვლავ თვალებს ნაბავს.

ერთი შეხედვით,  
ლილის, ღმერთმანი,  
ჩაუცვამს  
უფრო

ლამაზი კაბა.  
და იმ უბედურ  
თამარიკოს  
წუხელ

მან გაუმზილა  
გულის ნადები:

„უნდა გავეჭვე  
ოჯახის უღელს,  
თორემ

მეშინანებს  
დავემგვანები“.

ო. განშორების  
დღეც  
მალე დადგა.

კვლავ  
უდარდელად  
ქალებში დაჰქრის.

გაშორდა თამროს.  
გაშორდა, რადგან  
ქალს ფეხსაცმელი

არ ჰქონდა ლაქის.  
ფული არ არი,  
ფული არ არი,

რომ ფეხსაცმელი  
ჰქონდეს ლამაზი...

ჰამინ  
იყიდა  
თავის შაქარი.

მწარე სამსალა  
ერთი აბაზის.  
ველარ მიუსწრეს,  
სული დალია...  
ეროვნული  
გრაფიკული

ჰა,  
ვარდებიან  
კუბოში სძინავს.

ეს როგორ მოხდა?  
ვისი ბრალია,  
ქანგი რად სკამდეს  
კრიალა რკინას?

შემოდის ჩუმაღ  
და სულს აბნელებს  
იმ რომანსების

შხამი და ცოფი.  
ნიღაბჩამოხდილ  
მტერს

და მავნებლებს  
უფრო  
ადვილად

მონახავს თოფი.  
მაგრამ იპოვნე  
მტერი ცბიერი.

ხერეღში რომ ჩაძვრა,  
დამალა თათი.

იგი  
მით არის  
ახლა ძლიერი,

რომ ჯერ გვაცვია  
ნაცეამი მათი.

ზოგი რეგვენი  
დადის და მუდამ  
მათი კულტურის  
ნასუფრალს კენკავს.

არც ჩვენებური  
ნადიმი უნდა,

არც ჩვენებურად  
მღერის  
და ცეკვავს.

აღარ კადრულობს  
უბრალო  
ხალათს.

არ უნდა კაბა  
უბრალო თარგის.  
ქუდს დაიხურავს  
გადარევეს ქალაქს,



კაბას ჩაიცვამს —  
 მთელ ქუჩას დაგვის.  
 შენთვის  
 კინოში  
 მახვს აგებენ,  
 კილაც ჯამბაზი  
 გარი პილები.  
 სხვა ქვეყანაში  
 მიგაქანებენ  
 მათი მაცდური  
 კინო-ფილმები.  
 ო, უზრდელ  
 სიტყვას  
 როგორ გაკადრებს  
 შთაშობაელი  
 ლორდების  
 ქვეყნის!  
 მოვა,  
 გაგძარცვავს,  
 ლუკმას წაგართმევს  
 და მერე ტბილად  
 მადლობას გეტყვის.  
 აგერ ქალიშვილს  
 ნამუსს ახდიან,  
 მერე ეტყვიან:  
 „ქალო, ბოდიში!“  
 მათი ღეთაება  
 ოქროს ტახტია,  
 ბედნიერება,  
 ოქროს ლოდინში.  
 ეანის  
 ოცნებაც  
 მათკენ მისცურავს,  
 გაურბის ოჯახს,  
 გაურბის ტოლებს...  
 ნახავს კინოში  
 იქაურ სურათს  
 და მერე დასდევს  
 ნებჰანის ცოლებს.  
 დღეს  
 ჩემი გული  
 წყრომას ვერ ფარავს,  
 უსმინე,  
 რასაც  
 პოეტი გეტყვის!

გახსოვდეს მარად,  
 გახსოვდეს მარად,  
 ხარ მშენებელი  
 ახალი ქვეყნის!  
 ტრფობას,  
 სიყვარულს  
 გულს ვინ დაუშლის,  
 დე, მისი ცეცხლი  
 ძლიერად ჰქროდეს,  
 მხოლოდ გახსოვდეს,  
 იმ სიყვარულში  
 შენ შინაარსი  
 ახალი გჭონდეს!  
 კარგია, ძმაო,  
 ლამაზად ჩაცმა,  
 ფეტრის ქუდი და  
 ხელთათმანები.  
 შეგხედოს ქალმა,  
 შეგხედოს კაცმა  
 და ყველას  
 შენზე  
 დარჩეს თვალები!  
 მაგრამ ტანსაცმელს  
 ქვეყნად  
 ვერ ნახე.  
 ჯანსად კუნთებზე  
 უფრო ლამაზსა!  
 მაშინ ლამაზი  
 კაციც შენა ხარ,  
 ეთამაშები  
 ცაში  
 ვარსკვლავსა  
 გეცვას  
 ხალათი  
 ფერგადასული,  
 მხოლოდ იყავი  
 სპეტაკი,  
 წმინდა, —  
 საუკეთესო  
 ჩვენი  
 ასულის  
 თუ სიყვარული  
 და ტრფობა გინდა!

## ლიბერალური კრიტიკის გაუნამებლის წინააღმდეგ

★

ჩვენს დროს საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა ამოცანები დგას. ამ ამოცანების წარმატებით შესრულება შეუძლებელია ისე, თუ გადაჭრით არ გავაძლიერებთ ლიტერატურული კრიტიკა. თვითკრიტიკა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ჩვენ გვესაჭიროება როგორც პაერი, როგორც წყალი. კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონია. ჩვენ გვესაჭიროება პრინციპული, მაღალ თეორიულ დონეზე მდგომი ლიტერატურული კრიტიკა, მომთხვენელი და მწვავე, მაგრამ გულსხმიერი და ამხანაგური, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ოსტატთა იდეურ-მხატვრულ ზრდას.

ჩვენ ყოველგვარი კრიტიკა როდი გვესაჭიროება. ამხანაგი სტალინი 1928 წელს აღნიშნავდა: „გააკრიტიკეთ ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, მაგრამ სახელს ნუ გაუტეხთ თვითკრიტიკის ღირსებას და ნუ გადააქცევთ მას იაფფასიანი სენსაციების საშარეულად“.

მაგრამ ჯერ კიდევ დღემდე ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკოსებს შორის შეხვედრებით აღაშინებს, რომლებიც თავიანთ სტატიებში ნამდვილ, ბოლშევიკურ კრიტიკას სცვლიან შეურაცხმყოფელი, ვულგარული „კრიტიკით“, რომელიც უცხოა ჩვენი საზოგადოების სულიათვის, და მოაქვს არა სარგებლობა, არამედ ზიანი.

ასეთი კრიტიკული გამოსვლების რიცხვს ეკუთვნის ა. ბელიკის სტატია „ზოგიერთი შეცდომების შესახებ ლიტერატურათმცოდნეობაში“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ოქტაბრის“ 1950 წლის № 2-ში. ამ მავნე და აბნეულ სტატიას ბოლშევიკურ ლიტერატურულ კრიტიკასთან საერთო არა აქვს რა.

პარტიის გადაწყვეტილებანი, ლენინისა და სტალინის მითითებანი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით მხატვრული შემოქმედების განუწყვეტლივ ამაღლებისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დიადი ამოცანების გადასაწყვეტად ყველა მწერლის დარაზმებისათვის.

ამხანაგი სტალინი ყოველთვის გადაჭრით უჭერს მხარს სერიოზულ შემოქმედებითს შეჯიბრებას, წინააღმდეგია ლიტერატურასა და ხელოვნებაში აღმინისტრირების ცდებისა. ჩვენი პარტიის მზრუნველი დამოკიდებულება მხატვრული შემოქმედებისადმი ნიმუშია მთელი სოციალისტური ლიტერატურული კრიტიკისათვის. ჩვენ ულმობლად უნდა ვაძილოთ ყოველივე მტრული, ზოლო ამავე დროს მზრუნველად დავუჭიროთ მხარი ყოველივე იმას, რაც ხალხის სასარგებლოა, ყოველივე მზარდსა და ნიჭიერს.

დატუქსებითა და შეურაცხმყოფელი კრიტიკით არ შეიძლება სოციალისტური ხელოვნების შექმნა.

ხოლო ა. ბელიკის სტატიას რომ კითხულობ, უწინარეს ყოვლისა გაოცებს მისი ტონი. ეს სტატია უხეში ადმინისტრაციული დატუქსვის მუქმანქანის მაგალითია. ბრძანებითი ინტონაციები — „კრიტიკოსები მრავალნი არიან“, „ვალდებული არიან“ და სხვ. უხეად მოიპოვება სტატიაში. მაგალითად, მისი ტონისათვის დამახასიათებელია ასეთი სრულიად მოურიდებელი, პრეტენციოზული სტრიქონები: „ჩვენ ვიმეორებთ ამ აზრს, ვინაიდან გესურს, რომ იგი შეითვისოს, დაიხსომოს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია სოციალისტური ლიტერატურის ინტერესები, არა მარტო თანამედროვე, არამედ მომავალიც“.

სტატიის დასაწყისშივე ა. ბელიკი აცხადებს, რომ მისი მიზანია მთელი რიგი წიგნების ანალიზის საფუძველზე გამოამკლავნოს „ყველაზე არსებითი მათი შეცდომები“. ავტორი საკუთარ თავზე მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს და წერს: „...ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს არა ის, თუ რა გაკეთდა, არამედ ის, რაც ჯერ არ გაკეთებულა ან ისე არ კეთდება, როგორც საჭიროა“. საბჭოთა კრიტიკოსის გადაქცევა მოხიბვით, გესლიან „შეცდომების დამპყრად“ ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენი კრიტიკის მთელ მიმართულებასა და სულს.

ა. ბელიკს ჭკუის დამრიგებლის პოზა მიუღია და უსაყვედურებს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეებსა და კრიტიკოსებს, რომ ისინი ცუდად იყენებენ, ხოლო ზოგჯერ ამახინჯებენ კიდევ ლენინისა და სტალინის აზრებს ლიტერატურის შესახებ.

მაგრამ თვით ა. ბელიკის სტატია სწორედ ნიმუშია ვ. ი. ლენინის სტატიის „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ძირითად დებულებათა უხეში დამახინჯებისა და ვულგარიზატორული განმარტებისა.

ლენინის სტატიის „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ გენიალური იდეები აღაფრთოვანებდნენ და აღაფრთოვანებენ მწერლებს მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური სოციალისტური ლიტერატურის განვითარებისათვის ბრძოლაში. გამყიდველი ბურჟუაზიულ ლიტერატურის საწინააღმდეგოდ ლენინმა წამოაყენა ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან ამკარად დაკავშირებული, სოციალიზმის იდეებით გამსჭვალული ლიტერატურის პრინციპი. ეს ლიტერატურა მოწოდებულია ემსახუროს „მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს წარმოადგენენ“. ამ მიმართულებით ვითარდება საბჭოთა ლიტერატურა. მას არა აქვს სხვა ინტერესი, გარდა ხალხის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესისა.

მაგრამ ამაში როდი ხედავს ა. ბელიკი საბჭოთა ლიტერატურის კომუნისტური იდეურობის არსს. მან დამახინჯა ლენინის სტატიის ძირითადი აზრი, არასწორად, ცალმხრივად განმარტა მისი შინაარსი. ა. ბელიკს თვითნებურად, როგორც სქოლასტიკოს მედავითნეს მოყავს ცალკეული დებულებანი ლენინის სტატიიდან იმ კონკრეტული ისტორიული ვითარების გაუთვალისწინებლად, რომელშიც დაიწერა ლენინის სტატია, და მექანიკურად იყენებს მათ თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის მიმართ.

ლენინი ამხილებდა ბურჟუაზიული, ანტიხალხური ლიტერატურის გამყიდველობას, ვაჭრულ ხასიათს, კარიერიზმს, გახრწნილ ჩვევებს, ლიტერატურისა, რომელიც მთლიანად დამოკიდებული იყო მოსყიდვაზე, ფულზე.

უვიც და არაკეთილსინდისიერ კრიტიკოსს ა. ბელიცს მოურიდებლად ვადა-  
აქვს ბურჟუაზიული ლიტერატურის ლენინური შეფასება საბჭოთა ლიტერატურა-  
ტურაზე. „დღევანდლამდეც, — წერს იგი, — ზოგიერთი ლიტერატორის მგ-  
ნებაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ჩარჩული ურთიერთობის, ბიურო-  
კრატიზმის ნაშთები, კარიერისმის ელემენტები“.

ასეთი ვულგარული, არსებითად არასწორი შეხედულება განსაზღვრავს  
ა. ბელიცის არაკეთილმოსურნე, შეურაცხყოფელ დამოკიდებულებას საბჭო-  
თა ლიტერატორებისადმი.

1905 წელს, როცა უპარტიოების დროშას ეფარებოდა ყოველგვარი რეაქ-  
ციული პოლიტიკური მიმდინარეობა, ლენინი წერდა: „გაზეთები სხვადასხვა  
პარტიული ორგანიზაციების ორგანოები უნდა გახდნენ. ლიტერატორები აუ-  
ცილებლად უნდა შევიდნენ პარტიულ ორგანიზაციებში“. სიტყვებით „ძირს  
უპარტიო ლიტერატორები!“ ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქმე ეხე-  
ბოდა პარტიულ ლიტერატურას და პარტიას შეეძლო გაერეკა ის ადამიანები,  
„რომლებიც პარტიის ფირმით სარგებლობდნენ ანტიპარტიული შეხედულე-  
ბების საქადაგებლად“.

ლენინური სიტყვების რეალური, კონკრეტულ-ისტორიული აზრი ვერ შე-  
უგნია ყოფილი ვაი-კრიტიკოს ა. ბელიცს. მექანიკურად ვადააქვს რა ბურჟუა-  
ზიული უპარტიოების ლენინური კრიტიკა საბჭოთა ლიტერატურაზე, ა. ბელი-  
ცი ამახინჯებს ლენინურ დებულებათა აზრს, იძლევა არასწორ წარმოდგენას  
პარტიის პოლიტიკაზე უპარტიო მწერლების მიმართ.

ახლა ვითარება ჩვენს ქვეყანაში ძირეულად შეიცვალა. სოციალიზმის გა-  
მარჯვების შედეგად ჩამოყალიბდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლი-  
ტიკური ერთიანობა, ჩვენში შექმნილია კომუნისტებისა და უპარტიოების ურ-  
ღვევი ბლოკი.

„წინათ კომუნისტები უპარტიოებს და უპარტიოებს ერთგვარი უნდობლო-  
ბით ეპყრობოდნენ, — ამბობს ამხანაგი სტალინი. — ეს იმიტ აიხსნება, რომ  
უპარტიოების დროშით ხშირად თავს იფარავდნენ სხვადასხვა ბურჟუაზიული  
ჯგუფები, რომლებისთვისაც ხელსაყრელი არ იყო უნიღბოდ გამოსულიყენენ  
ამომრჩეველთა წინაშე. ასე იყო წარსულში. მაგრამ ახლა ჩვენი სხვა დროა.  
ახლა უპარტიოებს ბურჟუაზიისაგან ბარიერი ჰყოფს, რომელსაც საბჭოთა სა-  
ზოგადოებრივი წყობილება ეწოდება. იგივე ბარიერი აერთიანებს უპარ-  
ტიოებს კომუნისტებთან საბჭოთა ადამიანების ერთ საერთო კოლექტივად.  
ცხოვრობენ რა საერთო კოლექტივში, ისინი ერთად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის  
ძლიერების განმტკიცებისათვის, ერთად მომბდნენ და სისხლს ღვრიდნენ  
ფრონტებზე ჩვენი საშობლოს თავისუფლებისა და სიღიადისათვის, ერთად  
ჭედდნენ და გამოჰედეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მტრებზე. განსხვავება მათ  
შორის მხოლოდ ის არის, რომ ერთნი პარტიაში არიან, მეორენი კი არა. მაგ-  
რამ ეს განსხვავება ფორმალურია. მნიშვნელოვანია ის, რომ ერთნიც და მეო-  
რენიც აკეთებენ ერთ საერთო საქმეს“.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში საბჭოთა მწერლების მთელი  
მასა დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო. ლენინ-სტალინის პარტიის  
ყოვლისმძლე იდეები, საბჭოთა ხალხის ცხოვრება და ბრძოლა ადამართოვანე-  
ბენ საბჭოთა მხატვრებს, შეადგენენ მათი შემოქმედების მთავარ შინაარსს.  
საბჭოთა ლიტერატურა კაცობრიობის ახალი, კომუნისტური მორალის მათწყე-  
ბელი გახდა.

დღეს დაუსაბუთებელი და მავნეა დაუპირდაპირთ პარტიული მწერლები უპარტიოებს, ეს კი სწორედ ასე გამოუდის „ოქტიაბრში“ მოთავსებული სტატიის ავტორს, რომელიც ჯამბაზობს ციტატებით და არ ესმის, რატომ უნდა ეს ციტატები.

ა. ბელიკის მსჯელობა მოწმობს, რომ მას სრულიად არ ესმის პარტიის პოლიტიკა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. იგი არსებითად ცდილობს აღორძინოს ჩვენი პარტიის მიერ დიდი ხნის წინათ მხილებული და დაგმობილი „რაპელების“ სექტანტური გეზი, რომლებიც კომუნისტ მწერლებს უპირდაპირებდნენ უპარტიო მწერლებს, ნერგავდნენ ჯგუფობრიობას. „ახალრაპელი“ ა. ბელიკი უგულვებელყოფს მხატვრული შემოქმედების თავისებურებას და მექანიკურად გადააქვს მხატვრულ ლიტერატურაზე შინაპარტიული ცნებები.

ბოლ-ბელოცერკოვსკისადმი გაგზავნილ წერილში ამხანაგი სტალინი 1929 წელს აღნიშნავდა, რომ უცნაური იქნებოდა გამოგვეყენებინა შინაპარტიული ცნებები „ისეთი არაპარტიული და გაცილებით უფრო ფართო დარგისადმი, როგორცაა მხატვრული ლიტერატურა, თეატრი და სხვ.“.

ცნობილია, რომ სოციალისტური რეალიზმის განსაზღვრა მოცემულია საბჭოთა მწერლების კავშირის წესდებაში. სოციალისტური რეალიზმის ამ სწორ და ღრმა განსაზღვრას ა. ბელიკი ცვლის დაბნეული და მოგონილი მსჯელობით, თავისი შეთითხნილი განსაზღვრებით და მუდამ უგულვებელყოფს სოციალისტური რეალიზმის ძირითად მოთხოვნას — ცხოვრების სიმართლის მოთხოვნას.

ა. ბელიკის მანკიერმა კონცეფციამ, რომელიც აღორძინებს ჯგუფობრიობის ჩვევებს, შემთხვევით როდი ჰპოვა მხარდაჭერა და აღვილი ეურნალ „ოქტიაბრში“, რომლის რედაქციაც ბევრჯერ სამართლიანად გაუკრიტიკებიათ ჯგუფობრიობისათვის. როგორც ჩანს, ეურნალის რედაქციას დღემდე არ სურს ბოლშევიკურად გამოეხმაუროს კრიტიკას, გააკეთოს იქიდან სწორი დასკვნები.

ა. ბელიკი ლიტერატურათმცოდნეობის ნაშრომების პრინციპულ გარჩევას ცვლის წვრილმანი, ზერელე, არაკეთილსინდისიერი კრიტიკით. იგი არ ერიდება ფაქტების პირდაპირ დამახინჯებას, უხეშ სიცრუეს, განსაზღვრული ნაშრომების კონტექსტიდან ამოგლეჯს ცალკეულ ფრაზებს და ფრაზების ნაწყვეტებსაც კი. თუ ერთი ლიტერატურათმცოდნე წერს, რომ გორკიმ ახალი ისტორიული ეტაპი დასაბა ლიტერატურის განვითარებაში, ა. ბელიკი მას მაშინვე იჭერს „დანაშაულის ადგილზე“ და გესლიანად შენიშნავს: ჩვენ კი დღემდე მიგვაჩნდა, რომ გორკიმ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას და არა დასაბა იგი. საკმარისი იყო მეორე ლიტერატურათმცოდნეს განეცხადებინა, რომ საბჭოთა ლიტერატურა წარმოადგენს „წინადადებულ ნაბიჯს კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში“, რომ ა. ბელიკს იქვე ჰკუის დამრიგებლის ტონით დავგმო იგი: რა ნაბიჯი, რა საფეხური, — ეს ხომ ახალი ეპოქაა!

იმის შეუფასებლობა, რომ ხელოვნებისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების სიმართლით ასახვას, იწვევს სხვა შეცდომებსაც ა. ბელიკის სტატიაში. მასში გამოხმაურება ჰპოვა წარსულის ხელოვნებისადმი „პროლეტკულტულმა“ და „რაპულმა“ ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ. სტატია ამტკიცებს, რომ წარსულის მწერლები ვითომდა მხოლოდ „ჭერეტით ასახავდნენ სინამდვილეს“. ა. ბელიკი იქამდე მიდის, რომ უსაყვედურებს ლიტერატურის

კლასიკოსებს „უსულგულო ამწერლობას“, იმას, რომ ისინი „არსებითად ლიტერატურული“ არ არიან ცხოვრების გარდაქმნით. „ტყუილად დიქტანტად წერს სტატიის ავტორი, — მისი (რევოლუციური მოძრაობის) მხარეზე მხატვრულობის ძებნას ისეთი მწერლების ნაწარმოებებში, როგორცაა ჩეხოვი და ლ. ტოლსტოი“. ავტორი აქ იჩენს პრინციპულ, ვულგარულ-სოციოლოგიურ მიდგომას ლ. ტოლსტოის რეალიზმისადმი. ლენინი ლ. ტოლსტოის აფასებდა როგორც „რუსეთის რევოლუციის სარკეს“ და აღნიშნავდა, რომ მის შემოქმედებაში აისახა „ხალხის დიდი, აზვირთებული ზღვა...“

ა. ბელიკი დაცინის სწორ მტკიცებას, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა საბჭოთა მწერლის შემოქმედებას კლასიკოსების გავლენის კვალი აჩნევია. „არის თურმე, — ირონიულად წერს იგი, — მანერა ლევ ტოლსტოისა, ვოგოლისა, ჩეხოვისა, ტურგენევისა, რომანტიკულად აღფრთოვანებული, ზუსტად დოკუმენტური, ლირიკულ-ინტიმური და სხვ“. უბადრუკი კრიტიკოსის ლიტერატურული ცოდნის სიღარიბე და მისი თეორიული მსოფლმხედველობის პრინციპულობა ნათლად ჩანს განცხადებაში, თითქოს საბჭოთა მწერლებზე კლასიკოსების შემოქმედებითი ზეგავლენის აღიარება იწვევს „აშკარა შეუსაბამობას: შემოქმედებითი მეთოდი არსებობს მისი მხატვრული განსაზივრების საშუალებათა გარეშე“.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოველოთ ბოლო ბელიკების უბადრუკ ცდებს — ჩამოაცილონ საბჭოთა ლიტერატურა დიდ რუსულ კლასიკურ ლიტერატურას, ბოლო მოველოთ კლასიკოსებისაგან სწავლის ნიჰილისტურ უგულებელყოფას, დიდი რუსი მწერლების მხატვრული ოსტატობისადმი ანარქისტულ დამოკიდებულებას.

თავის სტატიაში ა. ბელიკი შემთხვევით როდი უვლის გვერდს მხატვრული ოსტატობის საკითხებს. ამით თვალსაჩინოდ მტკიცდება არა მარტო ა. ბელიკის მიერ ლიტერატურული კლასიკის უდიდესი გამოცდილების შეუფასებლობა, არამედ მისი სრული არაკომპეტენტურობაც ლიტერატურის საკითხებში.

მთელი ჩვენი მწერალთა საზოგადოებრიობის, ეურნალებისა და გაზეთების ვალია ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჯანსაღი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, რომელიც ეხმარება ჩვენს ლიტერატურას წავიდეს წინ. შეურიგებლად ებრძოლოს უდიდობასა და აპოლიტიკურობას, იბრძოლოს ჩვენი დიადი ეპოქის ღირსი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის. ეურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე ადგილი არ უნდა იყოს ისეთი სტატიებისათვის, რომლებიც აუხამებენ და სახელს უტეხენ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის პრინციპებს.

(„პრავდა“ 1950 წ. 30 მარტი)

პრ. პრეზიუმ

## ლენინიზმი გვინათებს კომუნიზმის გზას

3. ი. ლენინის დაბადების 80 წლისთავისათვის



80 წლის წინათ, 1870 წლის 10 (22) აპრილს, ქ. სიმბირსკში (ახლა ულიანოვსკი) დაიბადა კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი, საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადი და მასწავლებელი. მარქსისა და ენგელსის უკვადავი საქმისა და მოძღვრების განმგრძობი, ლენინიზმის შემოქმედი ვლადიმერ ილიაძე ლენინი.

3. ი. ლენინის ცხოვრების და მოღვაწეობის მთელი სახელოვანი გზა უდიდეს აღმაფართოვანებელ მაგალითს აღწევს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ყველა მებრძოლს.

დიდი ლენინის ყველაზე უფრო სრული, ყველაზე უფრო ნამდვილი სახე და მთელი მისი სიდიადე ყველაზე უფრო ადრე შეიცნო და შესანიშნავად დაგვიხატა ი. ბ. სტალინმა.

„ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის გაცნობამ 90-იანი წლების დამლევდიან, — ამბობს ი. ბ. სტალინი, — განსაკუთრებით კი 1901 წლის შემდეგ, „ისკრის“ გამოცემის შემდეგ, დამარწმუნა, რომ ლენინის სახით ჩვენ არაჩვეულებრივი ადამიანი გვყავს. ჩემს თვალში ის მაშინ პარტიის უბრალო ხელმძღვანელი როდი იყო, ის იყო მისი ფაქტიური შემქმნელი... პლენარნოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები —

მთელი თავით დაბლა დგანან ლენინზე, რომ ლენინი მათთან შედარებით მარტო ერთ-ერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმადლესი ტიპის ხელმძღვანელია, მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უვალ გზებზე გაბედულად წინ წამყვანი“.<sup>1</sup>

შემდეგ ამხანაგი სტალინი განაგრძობს:

„პირველად ლენინს 1905 წლის დეკემბერში შევხვდი ბოლშევიკების კონფერენციაზე ტამერფორსში (ფინეთში)... მიღებულა, რომ „დიდმა ადამიანმა“ ჩვეულებრივ უნდა დაიგვიანოს კრებაზე... როგორ გამიცრუვდა იმედი, როდესაც გავიგე, რომ ლენინი დელეგატებზე უფრო ადრე მოსულა კრებაზე და, სადღაც კუთხეში მიმდგარი, უბრალოდ საუბრობს, სრულიად უბრალოდ საუბრობს კონფერენციის სრულიად ჩვეულებრივ დელეგატებთან... ლენინის ეს უბრალოება და თავმდაბლობა, ეს მისწრაფება შეუქმნიველი დარჩენილიყო ანდა, ყოველ შემთხვევაში, თვალში არ მოჩვედროდა ყველას და ამით ზაზი არ გავსება თავისი მაღალი მდგომარეობისათვის, — ეს თვისება ლენინის, როგორც ახალი მასების, კაცობრიობის უღრმესი „ქვედა-

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 63.

ფენების“ უბრალო და ჩვეულებრივი მასების ახალი ბელადის ერთ-ერთ უმღიერეს მხარეს წარმოადგენს.

დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის სიმარტივე და სიცხადე, მოკლე და ყველასთვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანკვა-გრეხა, არავითარი თავბრულამხვევი ექსტები და ეფექტიანი ფრაზები, რომელთა მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა... ლენინის სიტყვების ეს თავისებურება მისი ორატორული ხელოვნების ყველაზე ძლიერ მხარეს წარმოადგენს“...

„არ უნდა იწუწუნო დამარცხების გამო“ — ეს სწორედ ის თავისებურებაა ლენინის მოღვაწეობაში, რომელიც ეხმარებოდა მას თავის გარშემო შემოეკრიბა ბოლომდე თავდადებული და თავის ძალაში დარწმუნებული არმია...

„არ უნდა იყოყიო გამარჯვებით“ — ეს ლენინის ხასიათის სწორედ ის თავისებურებაა, რომელიც ეხმარებოდა მას ფიზიკად აეწონ-დაეწონა მოწინააღმდეგის ძალები და დაეზღვია პარტია შესაძლებელ მოულოდნელობათაგან“...

„პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა“ — ეს სწორედ ის ფორმულაა, რომლის საშუალებით ლენინი იერიშით იპყრობდა ახალ „მიუვალ“ პოზიციებს და რევოლუციური მარქსიზმის მხარეზე გადმოჰყავდა პროლეტარიატის საუკეთესო ელემენტები...

მასების შემოქმედებითი ძალების აღმშენებელი — ეს სწორედ ის თავისებურებაა ლენინის მოღვაწეობაში, რომელიც აძლევდა მას შესაძლებლობას — შეეცნო სტიქია და პროლეტარული რევოლუციის კალაპოტით წარემართა მისი მოძრაობა...

გენიალური შორსმჭვრეტელობა, მოახლოებული ამბების შინაგანი აზრის სწრაფად მიწვდომისა და გამოცნობის უნარი — ეს ლენინის სწორედ ის თვისებაა, რომელიც ეხმარებოდა მას რევოლუციური მოძრაობის მოსახვევებზე

დაესახა სწორი სტრატეგია და მოქმედების გარკვეული ხაზი“.<sup>1</sup>

ვ. ი. ლენინი რევოლუციური მოღვაწეობას იწყებს ისეთ პერიოდში, როცა მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთ ევროპიდან თანდათანობით გადმოინაცვლა რუსეთში. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთი წარმოადგენდა იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა უდიდეს საყვანძო პუნქტს, რუსეთში კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში ვითარდებოდა რევოლუციური მოძრაობა. რუსეთის პროლეტარიატი სარგებლობდა მსოფლიო მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებითა და რუსეთის მრავალტანჯული გლეხობის რევოლუციური მხარდაჭერით. ამავდროს რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში უნდა გაენადგურებინა იმპერიალიზმის ისეთი საზიზღარი წარმომადგენელი, როგორც იყო დახავსებული მეფის თვითმპყრობელობა და შედარებით სუსტი, პოლიტიკაში ნაკლებად გამოცდილი, რევოლუციური პროლეტარიატის სიძლიერით დაშინებული რუსეთის ბურჟუაზია, რომელსაც არ ჰქონდა რევოლუციურობის არავითარი ნასახი და პირდაპირ დაკავშირებული იყო სახელგატეხილ მონარქიასთან.

ამრიგად, რუსეთში არსებობდნენ რევოლუციის ხელსაყრელი პირობები და რეალური ძალები იმისათვის, რომ რუსეთის მუშათა კლასი გამხდარიყო მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდად, რომ ჩვენი ქვეყანა გადაქცეულიყო კომუნისტებისაგან გზის გამკაფავ ქვეყნად. მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა პროლეტარიატის ნამდვილად რევოლუციური, მარქსისტული პარტიის გარეშე. ამიტომ ვ. ი. ლენინი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე აჩაღებს ბრძოლას

<sup>1</sup> ვ. ი. სტალინი თხზ., ტ. 6, გვ. 64—75.



მარქსისტული პარტიის შექმნისათვის რუსეთში. ლენინი ანადგურებს მარქსიზმის უბოროტეს შტრებს — რეაქციულ ნაროდნიეცებს და 1895 წელს ჰქმნის პეტერბურგში „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირს“, რომელიც მარქსისტული რევოლუციური პარტიის პირველ სერიოზულ ჩანასახს წარმოადგენდა.

ახალი ეპოქის უნიკიერესმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ მოხდენილად სთქვა ლენინისა და ჩვენი პარტიის ურთიერთობის შესახებ:

„ჩვენი პარტია და ლენინი  
ტყუპნი არიან.  
ვის ამჯობინებს  
ისტორია სამართლის მჩენი?  
ჩვენ ვამბობთ — ლენინი  
და ვვულისხმობთ  
მუდამ პარტიას,  
ვამბობთ პარტია  
და ვვულისხმობთ  
ჩვენი ლენინი“.

ვ. ი. ლენინის „ბრძოლის კავშირმა“ პირველმა დაიწყო რუსეთში ენერგიული ბრძოლა მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების განხორციელებისათვის. ამავე პერიოდში ი. ბ. სტალინი 15 წლის ასაკიდან ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. ახალგაზრდა სტალინი გულმოდგინედ სწავლობს მარქსის „კაპიტალს“. „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ და მარქსისა და ენგელსის სხვა ნაშრომებს; დიდი ყურადღებით კითხულობს ვ. ი. ლენინის ნაშრომებებს, მიმართულს ნაროდნიეკების, „ლევალური მარქსისტებისა“ და „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ. ლენინის ნაშრომებმა უდიდესი გავლენა, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს სტალინზე. „რაც არ უნდა დამიჯდეს უნდა ვნახო იგი“, — განაცხადა სტალინმა ლენინის ნაშრომის წაკითხვის შემდეგ. ი. ბ. სტალინი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე განიმსჯელა ლენინის რევოლუციური გენიის ყოვლისმძლე რწმენით და გადაჭრით გაპ-

ყვა ლენინურ გზას. 1898 წელს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით თბილისში ჩაისახა და ემართებოდა რევოლუციური მარქსისტული კავშირი, რომელიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩანასახი გახდა.

1900 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გამოვიდა მარქსისტული რევოლუციური გაზეთის „ისკრის“ პირველი ნომერი. „ისკრამ“ გამოსვლისთანავე ენერგიულად დაიწყო დიდი ლენინური იდეების ფართოდ გავრცელება და გააჩაღა დიდი მუშაობა პროლეტარიატის ერთიანი მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ლენინური „ისკრის“ დროშის ქვეშ დგებოდა. ი. ბ. სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1901 წლის სექტემბერში იწყო გამოსვლა გაზეთმა „ბრძოლამ“, რომელიც თანმიმდევრულად იცავდა და ატარებდა ლენინურ იდეებს. სტალინური „ბრძოლა“ ლენინური „ისკრის“ შემდეგ ყველაზე უკეთესი გაზეთი იყო მთელს რუსეთში. სახელოვან „ბრძოლის“ ფურცლებზე სწერდა ამხანაგი სტალინი შთამაგონებელ სიტყვებს: „დიდი ენერგია მხოლოდ დიდი მიზნისათვის იბადება“.<sup>1</sup>

ლენინმა სტალინთან მჭიდრო თანამეგობრობით მოამზადა ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლები. ლენინმა და სტალინმა მენშევიკების, ტროცისტების, „ოტზოვისტების“, „ღვთის მაძიებლების“ და ყველა ჯურის მოღალატეების წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლის პროცესში უზრუნველყვეს პროლეტარიატის ახალი ტიპის პარტიის — ბოლშევიკური პარტიის შექმნა და მისი საბოლოოდ გა-

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 20.

ფორმება დამოუკიდებელ მარქსისტულ პარტიად.

ლენინმა და სტალინმა აღზარდეს და გმირულ ბრძოლებში გამოაწრთეს ბოლშევიკური პარტია, რომელიც მთელს მსოფლიოში ყველაზე ძლიერს, ყველაზე ავტორიტეტულსა და ყველაზე დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს წარმოადგენს. არც ერთ პარტიას კაცობრიობის ისტორიაში არ შეუძლია თავის ბრძოლის გზაზე მიუთითოს ისეთ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებზე, როგორც ჩვენს პარტიას.

ლენინმა უდიდესი განძი შეიტანა მეცნიერული კომუნისტური თეორიაში. ლენინმა იმპერიალიზმის მარქსისტული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინა კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კონონი, საიდანაც გამოიყვანა ეპოქალური დასკვნა თავდაპირველად რამდენიმე ან ერთს, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისა და ყველა ქვეყანაში სოციალიზმის ერთდროის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. სოციალისტური რევოლუციის ეს ახალი თეორია ძირფესვიანად განსხვავდებოდა იმ შეხედულებისაგან, რომელიც გავრცელებული იყო მარქსისტებს შორის იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმის ეპოქაში. ლენინი, როგორც შემოქმედებითი მარქსიზმის მედროშე, არ მოერიდა მოძველებულ ფორმულას, რომელიც უარყოფდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას და ამით უარესად წინ წასწია მარქსიზმის განვითარება. აი, რას გვასწავლის ამხანაგი სტალინი ამის შესახებ:

„რა მოუვიდოდა პარტიას, ჩვენს რევოლუციას, მარქსიზმს, რომ ლენინს ქედი მოეხარა მარქსიზმის ასოს წინაშე. რომ მას არ ჰყოფნოდა თეორიული გამბედაობა — უკუეგლო მარქსიზმის ერთ-

ერთი ძველი დებულება — და შეეცაოლა იგი ახალი დასკვნით ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც შეეფერებოდა ახალ ისტორიულ ვითარებას? პარტია დიბნეოდა წყვიდი-ადში, პროლეტარული რევოლუცია ხელმძღვანელობას დაკარგავდა, მარქსისტული თეორია დაუძლეობას დაიწყებდა. წააგებდა პროლეტარიატი, მოიგებდნენ პროლეტარიატის მტრები“.

თავდაპირველად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინურმა თეორიამ შეაიარაღა ჩვენი პარტია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების წარმატებით ამენებისათვის საბრძოლველად.

ლენინმა აღმოაჩინა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო სახელმწიფოებრივი ფორმა, როგორც დემოკრატის უმაღლესი ტიპი. ამით ლენინმა შემდგომ განავითარა მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და მოამზადა პირობები ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისათვის.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს მსოფლიოში პირველი ძლევაოსელი სოციალისტური სახელმწიფო. 1917 წლის ოქტომბერში, საბჭოების II ყრილობაზე, კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭოს სახით, რომლის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი, ხოლო თავმჯდომარედ ეროვნებათა საქმეების დარგში — ლენინის უერთგულესი თანამებრძოლი, ლენინთან ერთად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ი. ბ. სტალინი.

ჩაუდგა რა საბჭოთა მთავრობას სათავეში, ლენინმა მისთვის ჩვეული

ენერჯითა და გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ყოველმხრივ განმტკიცებასა და მშენებლობას. კაცობრიობის ისტორიამ ლენინამდე არ იცოდა პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწის ასეთი უზარმაზარი ფიგურა. ლენინში საუკეთესოდ იყო შეთავსებული უდიდესი თეორიული ცოდნა, პოლიტიკური სიბრძნე, მეცნიერული შორსმჭკვრეტელობის განსაცვიფრებელი უნარი, უდრეკი ნებისყოფა, ყოვლისმძლე სიმამაცე, გულკეთილობა, ხალხის ცხოვრებისა და მისწრაფებათა ღრმა ცოდნა. არც ერთი სახელმწიფო მოღვაწე ლენინამდე არ იყო ხალხთან ისე მჭიდროდ დაკავშირებული და ხალხის ენერჯისადმი ისე ძლიერი რწმენით აღჭურვილი, როგორც დიდი ლენინი.

ახლადშექმნილ საბჭოთა სახელმწიფოში აუცილებელი იყო პოლიტიკური, სამეურნეო, სამხედრო, ორგანიზაციული, პროპაგანდისტული, ადმინისტრაციული, პედაგოგიური. კულტურულ-საგანმანათლებლო და მთელი რიგი სხვა პრობლემების გადაჭრა. პრაქტიკული გამოცდილების მიღება არსაიდან შეიძლებოდა; ყველაფერი ახლად უნდა შექმნილიყო მსოფლიოში პირველ, გამარჯვებულ, ახალი ტიპის სახელმწიფოში. ლენინმა მოჰკიდა ხელი ამ ახალი საკითხების დამუშავებას, მან დაამუშავა სახელმწიფოებრივი ცხოვრების საკითხთა საფუძვლები და გენიალურად განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. მან თავისი დიდი იდეებით გაგვიანათა გზა ძლევამოსილი სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად და აი, ასეთი გენიოსი მოულოდნელად გარდაიცვალა 1924 წლის 21 იანვარს. ეს იყო უდიდესი დანაკლისი საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში —

„პარტიისადმი, ყველა მშრომლისადმი“ — ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო უდიდესი გლოვის დღეა ჩვენი ენერჯითა და გულმოდგინებით:

„21 იანვარს თავისი ცხოვრების გზა დაასრულა ამ ხანაგმა ლენინმა.

გარდაიცვალა ადამიანი, რომელმაც დააარსა ჩვენი ფოლადისებური პარტია, წლიდან წლამდე აგებდა მას, მიუძღოდა მას ცარიზმის მხრივ დარტყმების ქვეშ, ასწავლიდა და დაწვრთნიდა მას გააფთრებულ ბრძოლაში მუშათა კლასის მოლაღატეთა წინააღმდეგ, ორქოფთა. მერყევთა, გაღამრმბენთა წინააღმდეგ... გარდაიცვალა ადამიანი, რომლის საბრძოლო წინამძღოლობით თოფისწამლის კვამლში გახვეულმა ჩვენმა პარტიამ მტკიცედ აღმართა ოქტომბრის წითელი დროშა მთელ ქვეყანაში, წაღეკა მტრების წინააღმდეგობა, მტკიცედ დაამტკიცებდა მშრომელთა ბატონობა ყოფილ მეფის რუსეთში. გარდაიცვალა კომუნისტური ინტერნაციონალის დამაარსებელი, მსოფლიო კომუნისტების ბელადი, საერთაშორისო პროლეტარიატის სასიყვარულო და საამაყო ადამიანი, ჩაგრული აღმოსავლეთის დროშა, რუსეთის მუშათა დიქტატურის მეთაური.

ჯერ არასოდეს მარქსის შემდეგ პროლეტარიატის დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას არ წამოუყენებია

ისეთი გიგანტური ფიგურა, როგორცაა ჩვენი განსვენებული ბელადი, მასწავლებელი, მეგობარი. ყველაფერმა, რაც პროლეტარიატში ნამდვილად დიდი და გმირულია, — შეუპოვარმა გონებამ, რკინისებურმა, შეუდრეკელმა, მტკიცე, ყოველსმძლეველმა ნებისყოფამ, წმინდათაწმინდა სიძულვილმა, უსაზღვრო სიძულვილმა მონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლუციურმა მგზნებარებამ, რომელიც მთებს აშოქრავებს, მასების შემაქმედებითი ძალებისადმი უსაზღვრო რწმენამ, უდიდესმა საორგანიზაციო გენიამ, — ყოველივე ამან თავისი საუცხოო განსახიერება კპოვა ლენინში, რომლის სახელი ახალი სამყაროს სიმბოლო გახდა დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე”<sup>1</sup>.

დიდი ლენინის გარდაცვალების გამო მშრომელთა და ჩაგრულთა მთელი მსოფლიო ძაბით შეიმოსა. დიდი რუსი მწერალი, მ. გორკი სწერდა:

„ვლადიმერ ლენინი, ამა ქვეყნის დიდი ნამდვილი ადამიანი — მოკვდა. ამ სიკვდილმა მეტად დიდი ტკივილი გამოიწვია იმ ადამიანებში, ვინც მას იცნობდა, მეტად დიდი!

მაგრამ სიკვდილის შავმა ხაზმა კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა ქვეყნის თვალში მისი მნიშვნელობა, როგორც მსოფლიო მშრომელი ხალხის

ბელადის მნიშვნელობა... არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩრდილი მიაყენოს იმ ჩირაღდს, რომელიც აღმართა ლენინმა გრძნობადი კარგულ ქვეყნის დახუთულ წყვიდადში...“

ვლადიმერ ლენინი მოკვდა. მისი გონების და ნებისყოფის შემკვიდრებები ცოცხალი არიან და მუშაობენ ისეთი მიღწევებით, როგორც არავის არსად შეეყანაზე არ უმუშავია”<sup>2</sup>.

ლენინის დაკრძალვის დღეს პროლეტარიატმა მთელს მსოფლიოში გამოაცხადა ყველა სამუშაოს ხუთი წუთით შეჩერება. შეჩერდა მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში და რკინიგზებზე, შეწყდა ავტომობილებისა და გემების მოძრაობა. მთელი მსოფლიოს მშრომელნი ლენინის გარდაცვალების ფაქტს შეხედნენ, როგორც უმძიმეს დანაკლისს.

საბუთოთა კავშირის მუშათა კლასმა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო კიდევ უფრო მეტად და მეტად შეამკიდროვა თავისი რიგები და პარტიაში 240 ათასზე მეტი თავისი საუკეთესო შვილი გაგზავნა. ეს იყო ლენინური გაწვევა, რომელმაც ბოლშევიკური პარტიის განმტკიცების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა.

დიდი სტალინის მზრუნველობით უკვდავი ლენინის ცხედარი წმიდათაწმიდად ინახება მავზოლეუმში. მრავალმილიონობით მშრომელნი ჩადიან ჩვენს საყვარელ მოსკოვში, რათა ნახონ ლენინი, უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემის გრძნობით დახარონ თავი მის წინაშე და სთქვან — ლენინი ცოცხლობს!

ლენინი ცოცხლობს დიადსა და უკვდავ ლენინიზმში, რომელიც წარმოადგენს იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს,

<sup>1</sup> ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი, თბილისი, 1944 წ., გვ. 323—329

<sup>2</sup> მ. გორკი. ვ. ი. ლენინი, სახელგამი, თბილისი, 1932 წ. გვ. 76.

ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქის მარქსიზმს, მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის უმაღლეს მიღწევას, კომუნისმისაყენ გზის მანათობელ ბრწყინვალე შუქურას. ლენინმა მარქსიზმის განვითარებას, ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშაებას მიუძღვნა უდიდესი მნიშვნელობის ნაშრომები, რომლებიც 40 ტომს შეადგენენ. ლენინის ნაშრომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის იდეურ ცხოვრებაში. ლენინიზმის საშუალებით ბოლშევიკები ეყრდნობიან საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნას და უნარიანად მართავენ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს ხალხის ინტერესებისათვის. ლენინიზმი უდიდესი მნიშვნელობის იარაღია სინამდვილის მართებული შეცნობისა და მისი პროგრესიული გარდაქმნისათვის.

ლენინი ცოცხლობს მის მიერ და სტალინის მიერ შექმნილ და ისტორიულ ბრძოლებში გამოწრთობილი ბოლშევიკური პარტიის, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და ყველაზე ავტორიტეტული პარტიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

ლენინი ცოცხლობს ბრწყინვალედ გამარჯვებულ სოციალიზმში, რომელიც ლენინის ანდერძის განხორციელების შედეგად და ლენინის ძლევაშისილი დროში აშენდა ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში, დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით.

ლენინი ცოცხლობს დიად სტალინურ კონსტიტუციაში, რომელიც ყველაზე მტკიცე ძირითადი კანონია მთელს მსოფლიოში.

ლენინი ცოცხლობს ჩვენი საყვარელი სამშობლოს მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებელთა და მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა გულსა და გონებაში.

„ლენინი ცოცხლობს ყველგან, სადაც კი რევოლუციონერები ეფრენენ. მაგრამ შეიძლება ითქვას: არააფსოხვეუქვე არის განსახიერებელი ლენინის აზრი და სიტყვა, როგორც სტალინიში. სტალინი — ეს არის ლენინი დღეს“ (ანრი ბარბუსი).

ი. ბ. სტალინმა 1924 წლის 26 იანვარს საბჭოების სრულიად-საკავშირო II ყრილობაზე ლენინის წინაშე დადო დიდი ფიცი მთელი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელით. ამ ფიცში სტალინმა შესანიშნავად დასაბა დიდი ბრძოლისა და გამარჯვების პროგრამა.

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ ფიცში აღნიშნა, რომ ლენინმა გვიანდერძა ჩვენ — მაღლა გვეკიროს და წმინდად დავიცვათ ბოლშევიკური პარტიის წევრის დიდი სახელი, თვალის ჩინივით დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა, მთელი ძალღონით განვაშტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა და მისი ურყევი საფუძვლები: მუშათა და გლეხთა კავშირი, ერებს შორის თანასწორუფლებიანობა და ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები. განვაშტკიცოთ და გავაფართოოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობა კომუნისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

თვალს გადაავლებენ რა განვიღვზას, საბჭოთა ადამიანებს უდიდესი სიამაყის გრძნობით შეუძლიათ განაცხადონ, რომ ეს ფიცი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით, ღირსეულად სრულდება.

უდიდეს სიმაღლეზე დგას და წმინდად არის დაცული ლენინ-სტალინის პარტიის წევრის დიდი სახელი. საბჭოთა ხალხის ახალ-ახალ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა შედეგად სულ უფროდაუფრო საპატიო ხდება მსოფლიოს მშრომელთა თვალში ჩვენი პარტიის წევრის სიდიადე. თვალის

ჩინივითა დაცული ლენინ-სტალინის პარტიის ერთიანობა იმის შედეგად, რომ დიდი სტალინის მეთაურობით ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ განადგურებული და მოსპობილი არიან ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდები და ყველა ჯურის ოპორტუნისტები. რაც უფრო წინ მივდივართ კომუნისმისაკენ, მით უფრო მეტად მტკიცდება ჩვენი დიდი პარტიის ერთიანობა და ყოვლისმძლე ძალა.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით გაფართოვდა და უაღრესად განმტკიცდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ლენინის გარდაცვალებისას იგი 4 მოკავშირე რესპუბლიკისაგან შედგებოდა, ახლა კი 16 მოკავშირე რესპუბლიკაა გაერთიანებული მშურ საბჭოთა ოჯახში. ამავე დროს სოციალიზმისაკენ ძლევამოსილად მიმავალ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს მტკიცე კავშირი აქვთ ჩვენს ქვეყანასთან. ამჟამად ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლო ისე დიდია, რომ მას მზე აქა თუ იქ ყოველთვის ანათებს, როცა კალინინგრადის დასავლეთ მიდამოებს დროებით სტოვებენ შვის სხივები, მაშინვე ამოანათებენ ისინი საბჭოთა კურილის კუნძულებზე. ჭეშმარიტად დიადი მომავალია გადაშლილი ჩვენი სამშობლოს წინაშე.

კომუნისმის უდიდესმა თეორეტიკოსმა ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ და ღრმად დაამუშავა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრობლემა, ცხადყო ისტორიული განვითარების ეპონომიკური გენიალურად განავითარა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია ახალ ეპოქაში, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში, როცა მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად, ორ სისტემაში — მომაკვდავ კაპიტალისტურ სისტემაში და ძლევამოსილ სოციალისტურ სისტემაში, როცა სოციალიზმმა გამარჯვება ჩვენს ქვეყა-

ნაში და ხდება ახალ-ახალი ქვეყნების გარდუვალი ჩამოშორებულ კონტინენტური სისტემისაგან. ვმხარობით ჩვენს ნაშრომები ხელმძღვანელ მითითებათა დაუშრეტელი წყაროა ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიებისათვის. ამჟამად მსოფლიოში კომუნისტთა რაოდენობა 25 მილიონს აღწევს. ეს არის კომუნისმის საბოლოო გამარჯვებისათვის მებრძოლი ავანგარდი, რომელიც თავის გარშემო იკრებს მრავალმილიონიან რევოლუციურ მასებს. ის ფაქტი, რომ უკვე 800 მილიონი ადამიანი განთავისუფლებულია მსოფლიო იმპერიალიზმის ბორკილებისაგან, ლენინისმის იდეების გამარჯვების ბრწყინვალე დემონსტრაციაა.

„ასე იმარჯვებს ლენინისმი, — აღნიშნა საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანმა ხელმძღვანელმა, ერთგულმა სტალინელმა კ. ნ. ჩარკვიანმა, — ასე სრულდება დიადი ფიცი, რომელიც ამხანაგმა სტალინმა 25 წლის წინათ დასდო უკვდავი ლენინის კუბოსთან. აი რატომ არის, რომ მთელი საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ნდობით მოსაეს ლენინ-სტალინის პარტიას, აი რატომ არის, რომ იგი მსურვალე სიყვარულითა და მადლიერებით მიაპყრობს თვალს ყველა თავისი გამარჯვების შემოქმედს — დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!“

ამხანაგმა სტალინმა გენიალურად განაგრძო ის დიდი საქმე, რომელსაც მან ლენინთან ერთად ჩაუყარა საფუძველი. სტალინმა იდეურად შეაიარაღა საბჭოთა ხალხი, წინ წასწია, განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა და ახალი დებულებებით გაამდიდრა ლენინისმი, რომელიც წარმოადგენს ყოვლისმძლე იარაღს მშრომელთა მტრების განადგურებისა და კომუნისმის საბოლოო გამარჯვებისათვის გმირულ ბრძოლაში.

დიდმა სტალინმა ლენინისმის დაცვის, დასაბუთებისა და განვითარების ისტორიულ საქმეს მიუძღვნა თავისი

თეორიული ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა. მასში მოცემულია ლენინიზმის ოსტატური გამოქვეყნება და ღრმა მეცნიერული დასაბუთება. ამ ნაშრომმა შეაიარაღა მამინ და იგი აიარაღებს ახლაც კომუნისტებს მთელ მსოფლიოში მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით.

აღნიშნულ ნაშრომში შესანიშნავად არის მოცემული ის ახალი და განსაკუთრებული, რაც დაკავშირებულია დიდი ლენინის სახელთან, რაც შეიტანა ლენინმა მარქსიზმის საფუძვლში. ამ ნაშრომში ლენინიზმის საკითხების განვითარება აყვანილია უდიდეს პრინციპულ სიმაღლეზე. აქ სტალინმა მოგვცა ლენინიზმის კლასიკური განსაზღვრა და გვიჩვენა, თუ როგორ განავითარა ლენინმა მარქსიზმი ახალი ეპოქის პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის პირობებში. ამავდროს სტალინმა ყოველმხრივ განავითარა და გაამდიდრა ლენინიზმი.

სტალინმა განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ, შესანიშნავად მოგვცა ბოლშევიკური პარტიის, როგორც ახალი ტიპის პარტიის თავისებურებათა ღრმა და ვაშლილი დახასიათება, განსაზღვრა პარტიის გადაწყვეტი ბელმძღვანელი როლი მუშათა კლასის დიქტატურის სისტემაში, კომუნისმის მშენებლობის პირობებში. სტალინმა მეცნიერულად დაამუშავა პარტიის პოლიტიკური ხაზისა და ორგანიზაციული მუშაობის შეფარდების, პარტიის კადრების იდეოლოგიური მომზადებისა და პოლიტიკური გამოწრთობის, ბოლშევიკური სიფხიზლის სულისკვეთებით მასების აღზრდის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის როლის საკითხები.

დიდი ლენინის მითითებათა საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა

სოციალიზმის აშენების გენიალური გეგმა. ამ გეგმის უმნიშვნელოვანესი რეზულტები იყო ჩვენი თვალწინაშე ჩვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. როგორც იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მოკლე ბიოგრაფიაშია აღნიშნული, სტალინმა დაასაბუთა, რომ:

1) მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის შექმნა უზრუნველყოფს სოციალიზმის მატერიალურ ბაზას და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას;

2) დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სოციალისტური დაგროვების დაუშრეტელი წყაროები ინდუსტრიის განსავითარებლად;

3) წინააღმდეგ კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციისა, რომელიც შენდება კოლონიური დაპყრობის, სამხედრო ძარცვის, კაბალური სესხებისა და მშრომელთა უღმობელი ექსპლოატაციის გზით, — სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ეყრდნობა წარმოების საზოგადოებრივ საკუთრებას და განუყრელად დაკავშირებულია მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან;

4) ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში აუცილებელია შრომის ნაყოფიერების გადიდება. თვითღირებულების შემცირება, ბრძოლა შრომის დისციპლინისათვის, მომქირნეობის რეჟიმის დაცვა და სხვ.;

5) სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის პირობები, განთავისუფლებული მუშათა კლასის შრომითი ენთუზიაზმი შესაძლებელს ხდის განვახორციელოთ ინდუსტრიალიზაციის ისტორიაში არნახული მაღალი ტემპები;

6) სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, მისთვის ტექნიკური

ბაზის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით.

დიდმა სტალინმა ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით შეიმუშავა და პრაქტიკულად განახორციელა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია. ახალი აქ, სტალინის ნაშრომებში, ის არის, რომ სტალინმა:

1) ყოველმხრივ დაამუშავა საკითხი სოფლად სოციალისტური მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმის შესახებ;

2) ცხადყო, რომ თანამედროვე ეტაპზე საყოლმეურნეო მშენებლობის ძირითად რგოლს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მართებულად შეთავსებულ იქნას ერთმანეთთან კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები;

3) დაასაბუთა გადასვლა კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე;

4) ცხადყო მტს-ების, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში დასაყრდენი პუნქტის მნიშვნელობა.

საბჭოთა ხალხი ამ მკაფიო საბრძოლო პროგრამით შეიარაღებული შეუდგა ჩვენი ქვეყნის სტალინურ ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. ამ დიდი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდი ენერჯია დაიბადა დიდ საბჭოთა ხალხში და სსრ კავშირი უმოკლეს ვადაში გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყანად განვითარებული უმსხვილესი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობებით. ჩვენს ქვეყანაში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ გაიმარჯვა სოციალიზმმა, რომელიც

ლენინიზმის ყოელისმძღვე იდეათა კოცხალი განსახიერებაა.

„ამხანაგებო, — ამბობდა სტალინი კიროვი, — როდესაც კლასობრივად ჩვენი პარტიის დამსახურებაზე, ჩვენი პარტიის წარმატებებზე, არ შეიძლება არა ვთქვათ ჩვენს მიერ მოზოვებულ ამ გიგანტურ გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორზე. მე ვლაპარაკობ ამხანაგ სტალინზე...“

ძნელია წარმოვიდგინოთ ფიგურა გიგანტისა, როგორიც არის სტალინი. უკანასკნელ წლებში, იმ დროიდან, რაც ჩვენ ულენინოდ ვმუშაობთ, ჩვენ არ ვიცით არცერთი მობრუნება ჩვენს მუშაობაში, არცერთი რამდენიმე დიდი წამოწყება, ლოზუნგი, მიმართულება ჩვენს პოლიტიკაში, რომლის ავტორიც იყოს არა ამხანაგი სტალინი, არამედ სხვა ვინმე. მთელი ძირითადი მუშაობა — ეს უნდა იცოდეს პარტიამ — ტარდება ამხანაგ სტალინის მითითებით, ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. საერთაშორისო პოლიტიკის ყველაზე დიდი საკითხები წყდება მისი მითითებით, და არა მარტო ეს დიდი საკითხები, არამედ თითქოს მესამეხარისხოვანი და თვით მეათეხარისხოვანი საკითხებიც აინტერესებენ მას, თუ კი ისინი ეხებიან ჩვენი ქვეყნის მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელს...

ამ ადამიანის მძლავრ ნებისყოფა, კოლოსალური ორგანიზატორული ნიჭი უზრუნველყოფს პარტიისათვის იმ დიდ ისტორიულ მობრუნებათა დროულად გატარებას, რომლებიც დაკავშირებულია სოციალი-



ზმის ძლევამოსილ მშენებლობასთან.<sup>1</sup>

ჩვენი ქვეყანაში სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებამ გამოიწვია ახალი კონსტიტუციის მიღების საჭიროება. სპეციალურმა საკონსტიტუციო კომისიამ სტალინის თემჯდომარეობით შეიმუშავა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ფართო განხილვის შემდეგ ერთსულოვნად მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა. ამ უდიდეს დოკუმენტს ხალხმა სტალინური კონსტიტუცია უწოდა და ეს არა მარტო იმიტომ, რომ იგი სტალინის კალამს ეკუთვნის, არამედ იმიტომ, რომ სოციალიზმის დიდი გამარჯვება, რაც საკონონმდებლო წესითაა განმტკიცებული ამ კონსტიტუციაში, მოპოვებულია დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

„ცნობილია, — აღნიშნა სტალინის სახელოვანმა მოწაფემ და თანამებრძოლმა ლ. პ. ბერიამ, — რომ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება, მისი შექმნის გზების მხრივაც, პრინციპულად განსხვავდება ყოველი სხვა მისი წინამორბედი საზოგადოებრივი წყობილებისაგან. თუ ეს უკანასკნელნი თავისი ეკონომიური შინაარსით სტიქიურად ყალიბდებოდნენ, სოციალიზმი შეიძლება აშენებულ იქნას მხოლოდ მასების შეგნებული მოქმედებით მეცნიერულად შემუშავებული გეგმის მიხედვით. ლენინი აღნიშნავდა სოციალიზმის აშენების ამოცანის განსაკუთრებულ სირთულეს და ამბობდა:

„ძნელი როდი იყო მეფის განდევნა — ამას სულ რამდენიმე დღე დასჭირდა. ძალიან ძნელი როდი იყო მემამულეთა განდევნა. ამის გაკეთება შეიძლებოდა რამდენიმე თვეში, არც კაპიტალისტების განდევნაა ძალიან ძნელი. მაგრამ კლასების მოსპობა გაცილებით

უფრო ძნელია; ჯერ კიდევ დარჩა/ყოფა მუშებად და გლეხებად საჭიროა, რომ ყველა მუშაობდეს ერთი საერთო გეგმით საერთო მიწაზე, საერთო ფაბრიკებსა და ქარხნებში და საერთო განაწესით. განა ადვილია ამის გაკეთება? თქვენ ხედავთ, რომ აქ არ შეიძლება ისე იოლად გადაწყვიტო საქმე, როგორც მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების განდევნის დროს“ (თხზ. ტ. XXX. გვ. 411).

სტალინური ეპოქა სწორედ ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენების ეპოქაა. ახალი ისტორიული ვითარების პირობებში, რომელიც მოითხოვდა სოციალიზმის მშენებლობის უაღრესად რთული თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას, ჩვენი ქვეყნის ხალხების წინაშე, მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის წინაშე, მთელი თავისი სიდიადით წარმოდგა ამხანავ სტალინის გენია.<sup>1</sup>

1938 წელს გამოვიდა წიგნი „საჯავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“, სტალინის მიერ დაწერილი და საჯავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული. ეს წიგნი ბოლშევიზმის მძლავრი იდეური იარაღია. იგი მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიას წარმოადგენს. ამ წიგნში სტალინური სიმარტივეთა და სიღრმით გაშუქებული და განზოგადებულია ლენინ-სტალინის პარტიის უმდიდრესი ისტორიული გამოცდილება, რისი ბადალიც არ ჰქონია და არა აქვს არც ერთ პარტიას მსოფლიოში. ამ წიგნის მეოთხე თავში უაღრესად მკაფიოდ და გენიალური სიღრმითაა გაშუქებული დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხები. თავის ნაშრომში „დიალექტიკუ-

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია. კომუნისმის გამარჯვებოთა დიდი შთამოვნებელი და ორგანიზატორი, ძვრნალი „ბოლშევიკი“, — 1949 წ. № 12, გვ. 33 — 34.

რი და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ ამხანაგმა სტალინმა მოგვცა „ყოველივე ზმის განზოგადება, რაც მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა შეიტანეს მოძღვრებაში დიალექტიკური მეთოდისა და მატერიალისტური თეორიის შესახებ, და შემდგომ განავითარა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრება მეცნიერებისა და რევოლუციური პრაქტიკის უახლოესი მონაცემების საფუძველზე...“

ი. ბ. სტალინის ნაშრომს „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელიც დაწერილია მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის უბადლო ოსტატის მიერ და რომელიც განაზოგადებს ბოლშევიზმის გიგანტურ პრაქტიკულ და თეორიულ გამოცდილებას, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყავს დიალექტიკური მატერიალიზმი; ეს ნაშრომი მარქსისტულ ლენინური ფილოსოფიური აზროვნების ნამდვილი მწვერვალია“<sup>1</sup>.

1939 წლის მარტში პარტიის XVIII ყრილობაზე თავის მოხსენებაში სტალინმა მოგვცა სსრ კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობის გენიალური ანალიზი და დასახა პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო ამოცანები კომუნისტის მშენებლობის საქმეში. ამ მოხსენებით სტალინმა კვლავ ახალი ნაბიჯი გადადგა წინ მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების საქმეში. სტალინმა, კონკრეტულად და პრაქტიკულად განაზოგადებდა რა ლენინური თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ, დაასაბუთა, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნის-

ტის აშენება საეხებით შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ სოციალური წინაპირობები არ იქნება კაპიტალიზმის განვითარების მოცეა. ამხანაგ სტალინის ეს დასკვნა ახალი თეორიით ამდიდრებს და წინსწევს ლენინიზმს, აიარაღებს პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს ახალი იდეური იარაღით, კომუნისტის გამარჯვებისათვის ბრძოლის დიადი პერსპექტივებით.

ი. ბ. სტალინმა მეცნიერულად განაზოგადა საბჭოთა სახელმწიფოს მდიდარი გამოცდილება და შექმნა მთლიანი და თანმიმდევრული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს, როგორც სოციალიზმისა და კომუნისტის მშენებლობის მძლავრი იარაღის შესახებ, სტალინის გენიამ მარქსიზმ-ლენინიზმის კავშირში შექმნილ განათა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნისტზე თანდათანობით გადასვლის გზები, გამოავლინა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ახალი კანონზომიერებანი და ახალი მამოძრავებელი ძალები.

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. მთელი ჩვენი ქვეყნის მატერიალური და სულიერი ძალების მაქსიმალური მობილიზაციის მიზნით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ხელშიც გადავიდა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ი. ბ. სტალინი.

მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს და მთელი საბჭოთა ხალხის ენერგია წარმართა უბოროტესი მტრის გერმანიის ფაშიზმის გასანადგურებლად.

დიდი სამამულო ომის დროს ი. ბ. სტალინმა ასეთი მგზნებარე სიტყვებით მიმართა საბჭოთა ხალხს: „დიდი ლენინი, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია, თბილისი 1937 წ. გვ. 164 — 165.

შეკქმნა, ამბობდა, რომ საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს სიმამაცე გამბედაობა, უშიშროება ბრძოლაში, მზადყოფნა იმისათვის, რომ ხალხთა ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ<sup>1</sup>.

„ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო! თქვენ შემოგყურებთ მთელი მსრფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუქს მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები... თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია... დაე გზარაედეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევა-მოსილი დროშა!...“

ლენინის დროშით — წინ, გამარჯვებისაკენ!<sup>2</sup>

ამრიგად, სტალინმა დიადი განმათავისუფლებელი მიზანი დაუსაბა საბჭოთა ხალხს, რასაც მოჰყვა ყოვლისმძლე ენერჯის წარმოშობა და ჩვენმა ქვეყანამ ლენინის დროშით, უდიდესი მხედართმთავრის გენერალისიმუს სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში გერმანელ და იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

სტალინის გამოსვლებსა და ბრძანებებში, რომელთაგანაც შედგენილ იქნა შესანიშნავი წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, საბჭოთა სამხედრო მეცნიერებამ, სოციალისტური სახელმწიფოს ლენინურმა მეთოდმა შემდგომი განვითარება კპოვა.

„ეს ჩვენი ბედნიერება იყო, — აღნიშნა ამხანაგმა ვ. მოლოტოვმა, — რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი —“

დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი. დიდი ბელადისა და ორგანიზატორის სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ ახლა შევუძღვებით მშვიდობიან მშენებლობას, რათა მივაღწიოთ სოციალისტური საზოგადოების ძალთა ნამდვილ აყვავებას და გაემაართლოთ მთელ მსოფლიოში ჩვენი მეგობრების საუკეთესო იმედები“.<sup>3</sup>

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩვენს სახალხო მეურნეობას უდიდესი ზარალი მიაყენეს. რომელიმე დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოს რომ ასეთი ზარალი მოსვლოდა, უშუალოდ ათეულ წლებით დაიხვედა უკან და უცილობლივ მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცეოდა. იმპერიალისტები ფიქრობდნენ, რომ ასე მოუვიდოდა სსრ კავშირსაც, მაგრამ საბოლოოდ დაიმსხვრა მათ იმედი; საბჭოთა კავშირმა, რომელიც გაძლიერებული და განმტკიცებული გამოვიდა ომიდან, ომისშემდგომ პერიოდში უდიდესი წარმატებები მოიპოვა სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის ყველა დარგში.

მამინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფროდაუფრო ძლიერად იკედებს ფეხს ეკონომიური კრიზისი, მცირდება სამრეწველო წარმოების მოცულობა, იზრდება უმუშევრობა და მშრომელთა სიღატაკე, საბჭოთა მრეწველობის საერთო პროდუქცია ომის შემდგომი სტალინური ხუთწლეულის განვილი პერიოდში ყოველწლიურად დიდდებოდა 20-ზე მეტი პროცენტით. სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1949 წელს 41 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის წარმოებას. სსრ

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. თბილისი, 1947 წ. გვ. 14.

<sup>2</sup> ქვე გვ. 44.

<sup>3</sup> ვ. მ. მოლოტოვი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 28-ე წლისთავი. 1945 წ. გვ. 21.

კავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ მთლიანად გასულ წელს გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა ვადაზე ადრე სრულდება. სახალხო მეურნეობისა და კულტურის აყვავებას მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების ახალი გაუმჯობესება მოჰყვება. ომის შემდგომ ხუთწლედში განხორციელებული ფულის რეფორმისა და მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების პირველი, მეორე და მესამე შემცირების შედეგად უზრუნველყოფილია მოსახლეობისათვის ყოველწლიურად 277 მილიარდი მანეთის მოგება, მატულობს საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარი, განუხრელად იზრდება მშრომელთა შემოსავალი, იზრდება ფართო მოხმარების საგნების წარმოება. ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი კანონია, კომუნისტიკისაკენ წინსვლის მამოძრავებელი ძალაა.

რამია იმის მიზეზი, რომ ჩვენში ადგილი აქვს მთელი სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობას და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის სისტემატურ გაუმჯობესებას, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებში ამის პირდაპირი საწინააღმდეგო სურათია?

მიზეზი — ჩვენი და კაპიტალისტების მეურნეობის ეკონომიურ სისტემათა განსხვავებაა.

მიზეზი — მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის უმწეობაა.

მიზეზი — მეურნეობის საბჭოთა სისტემის უპირატესობაა, კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით<sup>1</sup>.

ამრიგად, ჩვენი დიდი წარმატებების დაუშრეტელი წყარო, ჩვენთვის საზოგადოებრივ და სხვა-სხვაობრივ წყობილებაშია. კაპიტალისტური წყობილების წინაშე იმ წყობილების უდიდეს უპირატესობაშია, რომელსაც საუკუნეული ჩაუყარა დიდმა ლენინმა და რომლის ბრწყინვალე გამარჯვებაც უზრუნველყო დიდმა სტალინმა.

საბჭოთა სისტემის უდიდესი უპირატესობა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის წინაშე იმაშია, რომ მან ჩვენი ქვეყნის მშრომელები გადააქცია თავიანთი ბედის ბატონ-პატრონად, კაცობრიობის ისტორიაში პირველად აიყვანა უმაგალითო სიმადლეზე უბრალო ადამიანი, ნამდვილი მშრომელი, აქტიური შემოქმედებით საზოგადოების სასარგებლო შრომაში ჩააბა მილიონობით ადამიანები. რომლებიც წინათ კაპიტალისტურ მონობაში იტანჯებოდნენ. ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებულმა სოციალიზმმა მოძრაობაში მოიყვანა ახალი გიგანტური საწარმოო ძალები. ცხოვრებამ მთლიანად და სავსებით დაადასტურა ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები: „მ ხოლოდ სოციალიზმის დამყარებით დაიწყება სწრაფი, ნამდვილი, მართლაც მასობრივი წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში, მოსახლეობის უმრავლესობის, ხოლო შემდეგ მთელი მოსახლეობის მონაწილეობით“ (თხზ. ტ. XXI, გვ. 439).

ვ. ი. ლენინი თავის შესანიშნავ სტატიაში — „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ — სწერდა, რომ წინააღმდეგ კაპიტალისტური კონკურენციისა, რომელიც ბრმად, სტიქიურად მოქმედებდა ფინანსური თაღლითობითა და დესპოტიზმით სცვლის შეჯიბრებას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შეჯიბრებას და მხეცურად მუსრავს მშრომელთა უზარმაზარი მასის ინიციატივასა და ენერჯიას, — საბჭოთა საზოგადოებაში გაიშლება ახალი შემოქმედებით

<sup>1</sup> ვ. ი. სტალინი ლენინის საკითხები, 4 გამოცემა გვ. 471.

მამოძრავებელი ძალა — სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც გარდუვალი აუცილებლობით მოჰყვება შრომითი ენთუზიაზმი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ლენინი ხედავდა ჩვენი საზოგადოების ღრმა და დაუშრეტელი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს: „სოციალიზმი არა თუ არ აქრობს შეჯიბრებას, — გვასწავლიდა ლენინი, — არამედ, პირიქით, პირველად ჰქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას მართლა ფართოდ, მართლა მასობრივად, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყვანილ იქნას შრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშლონ თავისი ნიჭი, გამოაშკარაონ ტალანტი, რომლის წყარო ხალხში ხელუხლებელი და დაუშრეტელია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით სთელავდა, ჰქელავდა და ახშობდა“ (თხზ. ტ. XXII, გვ. 171).

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა ლენინის იდეები. სოციალისტური შეჯიბრება მთელი სიგრძე-სიგანით გაიშალა ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში. ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი სტალინისათვის გაგზავნილი ანგარიშები და მისალმებანი, რომლებიც ყოველდღე იბეჭდება ჩვენს გაზეთებში, მოწმობენ საყოველთაოსახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და მასების კომუნისტური შეგნებულობის მზარდ ძალას.

წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა და მეტადრე ამერიკის შეერთებული შტატებისა, სადაც ბურჟუაზიული კულტურა განიცდის დეგრადაციასა და რღვევას. სადაც იგი გადაქცეულია იმპერიალისტური რეაქციის მსახურად და სადაც ღრმად გაიდგა შხამიანი ფესვები რასიზმის კაცთმოძულე ფაშისტურმა, მხეცური ინსტიტუტებისა

და ყოველგვარი ჩაგვრის შესოტრე იდეოლოგიამ, — ჩვენს ქვეყანაში დიდი ლენინის დროშით, ამბავზე-სიტყვებზე ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებები გვაქვს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავების საქმეში.

მილიონები სწავლობენ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის გენიალურ ნაშრომებს; ლენინისა და სტალინის თხზულებათა ახალი გამოცემა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა მრავალ სხვადასხვა ენაზე ხდება, დიდ შესაძლებლობას აძლევს ხალხებს ღრმად შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმი.

მარქსიზმ-ლენინიზმის გრანტიციებურ საფუძველზე აღმოცენებული საბჭოთა კულტურის განუყრელი თვისებაა სოციალისტური პატრიოტიზმი, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისათვის, დიდი საბჭოთა ხალხისათვის ერთგული სამსახური. საბჭოთა პატრიოტიზმისათვის უცხო და მიუღებელია ყოველგვარი ქედის მოხრა ბურჟუაზიული კულტურის წინაშე. ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთებისა და უცხოურობისადმი მონური ქედის მოხრის წინააღმდეგ, და ყოველგვარ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ლენინ-სტალინის პარტია იყენებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცად იარაღს, რომელიც საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა.

იდეოლოგიის დარგში ბურჟუაზიული გაღვინის ყოველგვარი გამოვლინების გამოაშკარავებისა და დაძლევის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და კინოს საკითხებზე და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ჩატარებულმა ფილოსოფიურმა დისკუსიამ. ჩვენი პარტიის მიერ მიღებულ ზომებს მოჰყვა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში მხატვრული შემოქმედების

იდეური დონის ამოღება და მთელი იდეოლოგიური მუშაობის მკვეთრი გაძლიერება, მასების კომუნისტური აღზრდის ახალი აღმავლობა. საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება მისაწვდომია მშრომლებისათვის. იგი ღრმა გავლენას ახდენს ადამიანთა შეგნებაზე. იგი გადღის ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქითაც, შესანიშნავად ამუშებს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის დიად საქმიანობას და გამარჯვებული-ონერებელ გავლენას ახდენს მშრომელთა ფართო მასების შეგნებაზე.

რამ განსაზღვრა ჩვენი დიადი წარმატებანი ლიტერატურის, ხელოვნების, ბიოლოგიური მეცნიერების, ტექნიკის განდიობული აღმავლობისა და ჩვენი ცხოვრების განვითარების ყველა დარგში? ეს განსაზღვრა და განაპირობა ცხოველმყოფელი და უძლეველი ლენინიზმის იდეებმა. ეს იდეები გადაწყვეტ როლს თამაშობენ და მუდამაც ითამაშებენ ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს რევოლუციური განვითარების დიად საქმეში. მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენი გამარჯვებების დიადი დროშაა. იგი კომპასს წარმოადგენს ისტორიული გამარჯვებისაკენ ორიენტირებისათვის. „ექვს გარეშეა, რომ სანამ ჩვენ ამ მოძღვრების ერთგულნი ვრჩებით, სანამ ჩვენ ხელთ გვიპყრია ეს კომპასი, — გვექნება წარმატებანი ჩვენს მუშაობაში“ (სტალინი).<sup>1</sup>

მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება სასიცოცხლოდ აუცილებელია კომუნისტური საზოგადოების მშენებელთათვის, ჩვენი პარტიული და საბჭოთა კადრებისათვის, მთელი ჩვენი ინტელიგენციისათვის. „არის მეცნიერების ერთი დარგი, — გვასწავლის დიდი სტალინი, — რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის, — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების

შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, კერძოდვე არაუარეოლუციის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ“.<sup>2</sup>

მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც მზე-სავით ანათებს კომუნიზმის გზას, ყოველმხრივ განავითარა და ახალი მონაცემით გაამდიდრა ამხანაგმა სტალინმა.

სტალინიში სსრ კავშირის ხალხები ხედავენ თავიანთი გმირობისა და თავიანთი საყვარელი საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის განსახიერებას. სტალინის სახელი კომუნიზმის დიად გამარჯვებათა სიმბოლოა.

„ამხანაგ სტალინის სახელი გვერდში უდგას კაცობრიობის უდიდესი გენიოსების — მარქსის, ენგელსის, ლენინის სახელებს. მეცნიერული კომუნიზმის შექმნას კაცობრიობა უმადლის მარქსსა და ენგელსს, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას და საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების შექმნას კაცობრიობა უმადლის ლენინსა და მის ერთგულ მ. წაფეს — ამხანაგ სტალინს. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებას და ფაშისტური ბარბაროსებისაგან თავისი ცივილიზაციის გადარჩენას კაცობრიობა უმადლის ამხანაგ სტალინს“.<sup>3</sup>

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით პიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ჩვენმა ბრწყინვალე გამარჯვებამ გადაწყვეტი პირობები

<sup>1</sup> იქვე, გვ. 471.

<sup>2</sup> ლ. ვ. ბერი. კომუნიზმის გამარჯვებათა დიდი შთამავანებელი და ორგანიზატორი. უკრაინა „ბოლშევიკი“, 1949 წ. № 12 გვ. 34.

<sup>3</sup> ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც. გვ. 604.

შექმნა იმისათვის, რომ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების, ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ხალხებს შესძლებოდათ საკუთარ ხელში აეღოთ თავისი ბედი და შეექმნათ სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკები, რომლებიც წარმატებით შეასრულებდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს და დაადგებოდნენ დიდი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას.

სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკების წარმოშობით შეცვალა საერთაშორისო მდგომარეობა სსრ კავშირის სასარგებლოდ და კაპიტალისტური ქვეყნების საზარალოდ. წინათ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო გარემოცული იყო მტრულად განწყობილი კაპიტალისტური ქვეყნებით, ახლა ჩვენს ქვეყანას გვერდში უდგანან მეგობრულად განწყობილი დემოკრატიის ქვეყნები 600 მილიონი მოსახლეობით. დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით შეიქმნა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ძალების ძლევაში ბანაკი მსოფლიო მასშტაბით. „შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ, თუ იმპერიალიზმმა ახალი მსოფლიო ომი გააჩაღეს, ეს გარდუვალად გამოიწვევს ისეთ საყოველთაო წინააღმდეგობას მშვიდობის მოყვარე ხალხებისა და მთელი დემოკრატიული ბანაკის მხრივ, რომ ამას შედეგად მოჰყვება არა ამათუიმ აგრესიულ სახელმწიფოთა უბრალო დამარცხება, როგორც დღემდე იყო, არამედ მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი სისტემის ლიკვიდაცია“ (მოლოტოვი).<sup>1</sup>

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში, როცა ინგლის-ამერიკის კავშირი იმპერიალიზმზე გადაიქცა, შიშის მსგავსად ახალი იმპერიალისტური ომისათვის ემზადება, გაიხსენოთ დიდი ლენინის „წინასწარმეტყველური სიტყვები“:

„ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისმა და ამერიკამ — იმ ქვეყნებმა, რომლებსაც სხვებზე უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ დემოკრატიულ რესპუბლიკებად დარჩენილიყვნენ, — ისევე უცნაურად, უგუნურად შესტოპეს, როგორც ერთ ღროს გერმანიამ, ამიტომ ისინი ისევე სწრაფად, შესაძლოა კი უფრო სწრაფადაც, უახლოვდებიან იმ დასასრულს, რომელსაც ასე წარმატებით მიღწია გერმანიის იმპერიალიზმმა. ჯერ იგი არაჩვეულებრივ გაიბერა და ევროპის სამ მეოთხედზე გაიჭიმა, გასუქდა, მერმე კი იქვე გასკდა და უსაშინელესი სიმყარე დასტოვა და ამ დასასრულისაკენ მიჰქრის ახლა ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზმი“ (თხზ. ტ. XXII, გვ. 266).

შესანიშნავად ეღერს დიდი ლენინის სიტყვები კომუნიზმის უძლეველობისა და კაპიტალიზმის უძლურების შესახებ: „დაე, ბურჟუაზია ბორგავდეს და ცოფს ჰყრიდეს, სანამ გონება არ დაუბნელდება... ბურჟუაზია ისე იქცევა, როგორც იქცეოდა ისტორიის მიერ დასაღუბავად განწირული ყველა კლასი... ყველა შემთხვევაში და ყველა ქვეყანაში კომუნიზმი იწრთობა და იზრდება; კომუნიზმის ფესვი ისე ღრმადაა, რომ დევნა მას კი ვერ ასუსტებს და აუძლურებს, არამედ აძლიერებს“ (თხზ., ტ. XXV, გვ. 236).

ამხანაგმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვალს ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში გადაშალა კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. ეს პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი

<sup>1</sup> ეურნალ „ბოლშევიკი“ 1949 წ. № 12, გვ. 28.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, რათა დაახლოებით 15 წლის განმავლობაში მრეწველობის დონე ერთსამად გადიდდეს ომამდელ 1940 წელთან შედარებით, მიღწეულ იქნას ყოველწლიურად 50 მილიონამდე ტონა თუჯისა და 60 მილიონამდე ტონა ფოლადის გამოდნობა, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირისა და 60 მილიონამდე ტონა ნავთის ამოღება. ამ პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანას ყოველგვარი შემთხვევითობისაგან.

ამრიგად, ამხანაგმა სტალინმა გმირი საბჭოთა ხალხის წინაშე კვლავ დააყენა დიადი მიზანი, რომლისთვისაც უკვე შეიქმნა, სულ უფროდაუფრო ძლიერ-მოსილად იზრდება და გრანდიოზული მასშტაბით ვითარდება დიადი ენერჯია, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებას.

ჩვენს ქვეყანაში მძლავრი ტექნიკური პროგრესისა და მეცნიერების სწრაფი

ტემპით განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია ატომური ენერჯის დაუმოლოებელი დაუფლებები. წინააღმდეგ იმპერიალისტებისა, რომლებსაც ატომური ენერჯია ხალხთა გაყვლებისა და ექსპლოატაციის გაძლიერების იარაღად უნდათ გადააქციონ, საბჭოთა აღამიანების ხელში, რომლებსაც წინ მიუძღვით დიდი სტალინი, მეცნიერების მიღწევები და ახალი აღმოჩენები, მათ შორის ატომური ენერჯიის აღმოჩენაც, მძლავრი საშუალებაა შემდგომი პროგრესისა, რომელიც დაამტკიცებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

სტალინი ყველა ჩვენი გამარჯვების დიადი დროშაა.

სტალინი — ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი ძალის ცოცხალი განსახიერება, ყოველივე მოწინავესა და პროგრესის სიმბოლო.

სტალინი დიდი ლენინის უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობია.



დავით უსუფაშვილი

## პლ. მაიაკოვსკი და საზოგადოებრივი პროგრესული მწერლები

• მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიკალური პოეტად.

ა. სტალინი.



ერთერთ სალიტერატურო სადამო-  
ზე მაიაკოვსკის ჰე-ბოხეს, თქვენი ლექ-  
სები დიდხანს იცოცხლებს თუ არაო.  
მან უყოყმანოდ და გაბედულად უბა-  
სუხა: „ისინი მუდამ იცოცხლებენო“.  
და იქვე განმარტა: „ოქტომბრის რევო-  
ლუცია მარად იცოცხლებს. მე კი მისი  
პოეტი ვარო“.

ვლადიმერ მაიაკოვსკის სრული უფ-  
ლება და საფუძველი ჰქონდა თავისი  
თავი დიდი ოქტომბრის სოციალისტუ-  
რი რევოლუციის პოეტად გამოცხადე-  
ბინა. მან კომუნისმის დიადი საქმის  
სამსახურს შესწირა მთელი თავისი ნიჭი  
და ენერჯია. თავის უკვდავ ლექსებში  
ბრწყინვალედ წარმოსახა ოქტომბრის  
რევოლუცია, საბჭოთა სინამდვილე,  
ახალი ადამიანების აზრები და მისწრა-  
ფებანი.

მას შემდეგ, რაც 1905 წლის რევო-  
ლუციით გამოდევინებულ ქუთაისში მო-  
ესმა იროდიონ ევდოშვილის მეპრძოლი  
პანგი — „მეგობრებო წინ, წინ გას-  
წით!“ — პოეტმა თავისი ცხოვრება მტკი-  
ცედ დაუკავშირა შემტევ მუშათა კლასს  
და ბოლშევიკური პარტიის ბრძოლებს.  
ასეთ მომენტში საძულველი საზოგა-  
დოებრივი ურთიერთობის მოსასპობად

მას ხელთ ჰქონდა მარქსისა და ენგელ-  
სის, ლენინისა და სტალინის ნაწარმო-  
ებები. აქტიურად ეწაფებოდა პარტი-  
ულ ლიტერატურას.

მაიაკოვსკი ოქტომბრის რევოლუცი-  
ამდეც კი ბურჟუაზიული საზოგადოე-  
ბის დაუნდობელი მტერია. თავის სატი-  
რულ პოემებსა („დრუბელი შარელით“,  
„ომი და მშვიდობა“, „ადამიანი“) და  
ლექსებში ის ერთმანეთს უპირისპი-  
რებს საზოგადოების ორ ფენას და  
აღფრთოვანებით აღიარებს პროლეტა-  
რიატის მაღალ მორალურ თვისებებს  
ბურჟუა-კაპიტალისტებთან შედარებით.

მაიაკოვსკიმ ამახილა საზიზღარი პირ-  
ველი იმპერიალისტური ომის ბუნე-  
ბა. ნილაბი ჩამოგლიჯა კაპიტალისტებს,  
რომლებიც სასაკლაოზე მიერეკებოდ-  
ნენ მილიონობით მშრომელებს საყუ-  
თარი თავის გადასარჩენად.

ის შეებრძოლა ბურჟუაზიული ჰუმა-  
ნიზმის დამახასიათებელ თვისებებს,  
თვალთმაქცობასა და ორპირობას, სიც-  
რუესა და გაიფერობას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური  
რევოლუციის მაიაკოვსკი მთელი თავისი  
მგზნებარებით შეეგება. მისთვის არ

დამდგარა კითხვა — რევოლუცია მივიღო, თუ არ მივიღო. იგი მას შეხვდა როგორც ოქტომბრის რევოლუციის პოეტო.

სამოქალაქო ომის პერიოდში მიაკოვსკი აქტიურად იბრძოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად და ისროდა ფართო მასებისათვის გასაგებ ასეთ ლოზუნგებს:

„ანტისემიტი ანტანტამ ჰყოვა;  
ანტანტა არის ყანალთა ზროვა!“.

მისი პოეტური სიტყვა აღაგზნებდა ჩვენს მშრომელებს ბლოკადისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

რევოლუციის ტრიბუნის, მგზნებარე პოეტის მქუხარე ხმა გაისმოდა არა მარტო ოქტომბრის ბრძოლებისა და სამოქალაქო ომის ბარიკადებზე, არა მარტო მშვიდობიანი მშენებლობის დროს, არამედ იგი სტეჟდა სამამულო ომის წლებშიაც. ლენინგრადელი ქალიშვილი, რომელიც თავის თანამემამულეებთან ერთად სისხლით იცავდა გმირ ქალაქს — ლენინგრადს, იგონებდა რა ალყის დროს ცივ ზამთარს, სწერდა: „ჩვენ ყველანი, მე და ჩემი ამხანაგები. აღზრდილნი მიაკოვსკის ლექსებით, დიდი ხანია აღფრთოვანებულ მეგობრობას ვგრძნობთ მისდამი; როგორ გვეხმარებოდა, როგორ კარგად მუშაობდა და იბრძოდა იგი ჩვენთან ერთად ლენინგრადის ამ მძიმე ზამთარში... როგორ ეხმარებოდა მისი ლექსები ჩვენს ფიქრებსა და გრძნობებს. სიცივესა და ყინვაში ჩვენ ხშირად გვაგონდებოდა:

„...ის მიწა,  
რომელთადაც იყინებოდი,  
არ შეიძლება,  
რომ ოდესმე გადაიყვაროს.

და ჩვენ ეს გვიმსუბუქებდა მდგომარეობას!“

მიაკოვსკის ძლიერი პოეტური ხმა დღესაც, კომუნისმის დიადი შენების წლებში, მქუხარედ გაისმის.

დიდმა სტალინმა მიაკოვსკი დაახასიათა, როგორც „საბჭოთა მწიგნობარ-კეთესო, უნივერსული პოეტო, რევოლუციის ამ სიტყვებში ზუსტად არის გამოხატული ის უდიდესი სიყვარული და დაფასება, რომლითაც სარგებლობს მიაკოვსკის შემოქმედება მშრომელი ხალხის ფართო ფენებში. მიაკოვსკი იყო ახალი გზების გამკაფავი საბჭოთა პოეზიაში. მან დაამსხვრია ძველი ესთეტიკური ნორმები. შექმნა სრულიად ახალი სამყარო პოეტური მეტყველებისა და ფართო გზაზე გამოიყვანა რუსული პოეზია. თავისი დიდი პოეტური ნიჭი, შემოქმედებითი პათოსი და რევოლუციური აღტყინება მან მთლიანად მუშათა კლასის საქმის ინტერესებს დაუმორჩილა. მან გამოამეღავენა თავისი წრფელი პატრიოტიზმი. მას მაღლა აღმართულ ხელში ეპყრა საბჭოთა მოქალაქის პასპორტი და მტრების გასაკონებლად აცხადებდა:

„ა, წაიკითხეთ, შურით აღვისეთ,  
საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე!“

მიაკოვსკის მუდამ ეტყობოდა ორიგინალობა და გამბედაობა. საბჭოთა ეპოქის მწერალს შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს მიაკოვსკისაგან, მას შეუძლია ისწავლოს მისგან მტრის სიძულვილი და თავისი სამშობლოს სიყვარული, ისე, როგორც ეს დიდებულ პოეტს შეეძლო. მიაკოვსკი უადრესი სიძულვილით იყო გამსჭვალული კაპიტალისტური სისტემისა და ბურჟუაზიული ესთეტიზმის მიმართ. იგი ომს უცხადებდა ყოველგვარ უიდეობასა და აპოლიტიკურობას ლიტერატურაში.

მიაკოვსკის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უკავია თავისუფალი იდეალის ღირსების თემას. საბჭოთა პატრიოტიზმს. თავისი ცხოვრება მან თავიდანვე მშობლიური ხალხის ცხოვრებას დაუკავშირა. იგი ნათლად ხედავდა ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში ყველაზე მოწინავეს, ყველაზე მაღალს და აღტაცებით ეხმარებოდა თავისი მხატ-

ერული სიტყვით საბჭოთა ხალხის დიად წარმატებებს. მას ბრწყინვალედ ეხერხებოდა შთაბავებლად გამოეთქვა თავისი სიყვარული სამშობლოსადმი კომუნისმისადმი, პარტიისადმი.

მ. ი. კალინინი ამბობდა: „ჩემის აზრით, საბჭოთა ხალხისადმი სამსახურის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს მაიაკოვსკი. რევოლუციის მებრძოლად სთვლიდა იგი თავის თავს და ასეთი იყო თავისი შემოქმედების არსით, იგი ისწრაფოდა შეესისხლზორცებინა რევოლუციური ხალხისათვის თავის ნაწარმოებთა არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმაც, ასე, რომ მომავალი ისტორიკოსები უთუოდ იტყვიან, რომ მაიაკოვსკის ნაწარმოებნი ადამიანთა ურთიერთობის გარდატეხის დიად ეპოქას ეკუთვნიანო. ამიტომაც, ჩემის აზრით, მაიაკოვსკის უფლება ჰქონდა მიემართა მომავალი თაობებისათვის და ეთქვა:

„მე მოვალ თქვენთან  
კომუნისმის შორეულ მხარეს,  
არა მოლქსე — ესენინურ  
რაინდის მკვანე.  
ჩემი ლექსები გადაუღის  
წელთა მწვერვალებს,  
თავს გადევლება  
მეოსნებსა და მრავალ მთაერობებს.  
თქვენამდე მოვა ჩემი ლქსი,  
მგერამ ის მოვა,  
არა როგორც ვრძნობის თილისმა,  
ან ნემიზმატთან მოხვედრილი  
შაური ძველი,  
და არც ჩამქრალი ვარსკვლავების  
უცარ ელვით.  
ჩემი ლექსები შრომით გაკვეთს  
ეამთა ჯგებირებს,  
მოვევლინებათ მიმიედ, ჯიქურ  
და თვალხილულად,  
ისევე, როგორც შემოგვექრა  
დღეს წუასადენი  
ჯერ კიდევ რომის მონათავან  
ოფლმონადენი“.

ამ ამაყ განცხადებაში ჩვენ გვესმის დიადი ხმა ჩვენი ეპოქის, ჩვენი თაობებისა, რომლებიც ახალ საწყისებზე ახდენენ სამყაროს გარდაქმნას!“

ყოველი საბჭოთა მოქალაქისათვის ძვირფასი და მახლობელი მშობლიურ ქვეყნის მგზნებარე სიტყვები: *СИБИРОУМЯ*

„და ვით გაზაფხულს,  
კაცობრიობის,  
შრომით და ბრძოლით  
დაბადებულსა,  
ისევე ვუმღერო  
მე ჩემს სამშობლოს,  
ჩემს რესპუბლიკას აყვავებულსა“.

ბრძოლა ორ სისტემას შორის — სოციალისტურსა და კაპიტალისტურ სისტემებს შორის მაიაკოვსკიმ მხატვრული ვირტუოზობით აგვისაზა თავის შესანიშნავ ლექსებში. პოეტს კარგად ესმოდა საბჭოთა ქვეყნის ყოველმხრივი უპირატესობა ბურჟუაზიულ ქვეყნების წინაშე; ის კანონიერად ამაცობდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე კულტურით — საბჭოთა კულტურით. მაიაკოვსკი თავისი ხალხის დიად ხელოვნებას ბურჟუაზიული დასავლეთის ძირმომხალ დეკადენტურ ხელოვნებაზე გაცილებით მაღლა აყენებდა. იგი აღსაყესე იყო ეროვნული სიამაყის გრძნობით:

Я в восторге  
от Нью-Йорка города,  
Но  
Кенчонку  
не сдериу с виски.  
У Советских  
Собственная гордость:  
На буржуев  
Смотрим свысока.

მაიაკოვსკიმ ბევრი იმოგზაურა საზღვარგარეთ. მან მრავალი ქვეყანა მოიარა. ის საზღვარგარეთ მიდიოდა, როგორც ლექსის ბრწყინვალე ოსტატი, როგორც დიდი საბჭოთა პოეტი. დადიოდა ქალაქებში, ეცნობოდა ადამიანებს, სწავლობდა იმთ ცხოვრებას, ავირდებოდა ყველაფერს; სადაც უნდა ყოფილიყო. იგი თავს გრძნობდა საბჭოთა მოქალაქედ და ამაცობდა მით. მაიაკოვსკი ამერიკის შეერთებულ შტატებსაც ეწვია. მან მთელი თავისი პოეტური ხმით ამხილა ბურჟუაზიული ამერიკის ბინძური ბუნება, გვიჩვენა ამერიკელი იმპერიალიზმის ნამდვილი

სახე, მისი გახარწნილი და გადაგვარებული კულტურა, რასიზმი, კაცთმოძულეობა, სადაც ყველაფერი გამოჯნულია: თეთრებს აქვთ დოლარები, შავებს კი არა.

მაიაკოვსკის დიდბუნებოვან პიროვნებაში რასულმა დისკრიმინაციამ, უბრალო ადამიანების ყველფამ და ჩაგვრამ, რასაც ადგილი აქვს ამერიკაში, სამართლიანი აღმფოთება და ზიზღი გამოიწვია:

Что касается меня,  
то я бы  
лично,  
Я б Америку закрыл  
слегка почистил,  
а потом опять открыл—я  
вторично.

მაიაკოვსკის სასტიკად სძულდა კაპიტალისტური სამყარო:

«Посылаю  
к чертам свиньячьим  
все доллары  
всех держав».

„ამერიკის ენა, — სწერდა მაიაკოვსკი წერილში „ამერიკა“, — ბაბილონის გოდოლის შენების ენაა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ ენებს ურევდნენ, რათა არაფის გაეგო, აქ კი ურევენ, რათა ყველამ გაეგოს. ამის შედეგად ინგლისურიდან, ვთქვათ, გამოდის ისეთი ენა, რომელიც ყველა ერს ესმის, გარდა ინგლისელისა.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ ჩინურ დუქნებში შეგიძლიათ დაინახოთ წარწერა:

„ამ  
ლაპარაკობენ ინგლისურად  
და ესმით ამერიკულად“.

ამერიკელი თავის თავს უწოდებს თეთრს, რომელსაც ებრაელიც კი შეეკანიანად მიიჩნია, რომელიც ზანგს ხელს არ ართმევს; როცა ზანგს თეთრ ქალთან დაინახავს, ზანგს რევოლვერით ერეკება შინ, თვითონ დაუსჯელად აუპატიურებს ზანგ გოგონებს, ხოლო თეთრ ქალთან გავლილ ზანგს ლინჩის

წესით ასამართლებს, ე. ი. გლეჯს ხელებს, ფეხებს და ცოცხლად სწვავს კოცონზე...“

და შემდეგ წერილის სხვა ადგილას მაიაკოვსკი მიუთითებს: „შეიძლება მოხდეს, რომ შეერთებული შტატები გახდნენ უიმედო ბურჟუაზიული საქმის უკანასკნელი შეიარაღებული დამცველები,—მაშინ ისტორიას შეუძლია დაწეროს კარგი, უელსის ტიპის რომანი „ორი სამყაროს ბრძოლა“.

მაიაკოვსკის ხმა საბრძოლო მოწოდებად გრგვინადა და გრგვინავს დღესაც მთელს მსოფლიო ლიტერატურაში. მისმა ღრმად რეალისტურმა შემოქმედებამ გარდამქმნელი, კეთილმყოფელი ზეგავლენა იქონია საზღვარგარეთის პროგრესულ ლიტერატურაზე. ამ ზეგავლენის მეოხებით მსოფლიო ლიტერატურაში დეკადენტურ-ფუტურისტული ბუნდოვანების წინააღმდეგ მტიციდება სიმხნევე და ოპტიმიზმი. მაიაკოვსკის მზარდი შემოქმედებითი გავლენა მსოფლიო ლიტერატურაზე უკვე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია.

მაიაკოვსკის სახელოვან ლიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებს მსოფლიოს ბევრი თანამედროვე მწერალი, მათ შორის ამერიკელი მაიკლ გოლდი და ინგლისელი ჯეკ ლინდსეი, გერმანელი ანტიფაშისტის პოეტები ბეხერი და ვაინერტი, ჩინელი ემი სიაო, ზანგი ლენგსტონ ჰიუზი და ესპანელი სესარ არკონადა, პოლონელი პშიბოსი, ბულგარელი გეო მილევე, ხრისტო ვასილევე და ბევრი სხვა. თანამედროვე მსოფლიოს ბევრი პროგრესული მწერალი თავის თავს თვლის მაიაკოვსკის მოწაფედ და მიმდევრად.

ინგლისელი პოეტი ჯეკ ლინდსეი, ლაპარაკობს რა მაიაკოვსკის პოეზიის მსოფლიო მნიშვნელობაზე, ადარებს მას ძველი საბერძნეთის მწერლებს. ლინდსეის აზრით მაიაკოვსკი გვერდში უდგას ჰომეროსს, შექსპირსა და გოეთეს. მისი შემოქმედება წარმოადგენს

მობრუნების პუნქტს მსოფლიო პოეზიის ისტორიაში. ის არის მთელი დიდი ეპოქის კლასიკური გამოხატულება. მაიაკოვსკის გავლენა აშკარად სჩანს ლინდსეის პოეზიაზე. იმ დროს, როდესაც ინგლისელი პოეტები ოდენი და სპენდერი მებრძოლ სოციალურ თემატიკას მოწყდნენ და უიმედობაში, სასოწარკვეთილებასა და მისტიკაში ჩავარდნენ, ლინდსეი მასებთან ახლოს დარჩა და დასწერა პოემა, რომელმაც სახელი გაუთქვა მას და რომელშიც ნათლად იგრძნობა ინგლისელი პოეტის ძისწრაფება კვალდაკვალ გაჰყვეს მაიაკოვსკის პოლიტიკური პოეზიის ტრადიციებს.

მაიაკოვსკის პოეზია იყო ერთერთი საბრძოლო იარაღი ესპანელი ხალხისათვის მის ბრძოლაში თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ესპანელი პატრიოტები ხშირად ეწაფებოდნენ მათს ენაზე თარგმნილ მაიაკოვსკის ლექსებს.

დიდი გავლენა იქონია მაიაკოვსკიმ ჩინეთის რევოლუციურ პოეზიაზე. მისი ლექსები ფართო გამოხმაურებას პოულობენ ჩინელ პოეტებსა და ხალხში. ახალგაზრდა ჩინელი პოეტი მერვე სახალხო არმიის სახელოვანი ჯარისკაცი ტიან ცენი ომის წლებში წერდა საბრძოლო მარშებს მაიაკოვსკის პოეზიის რიტმისა და განწყობილების მიხედვით.

მაიაკოვსკი დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე ახალი დემოკრატიის ქვეყნების ლიტერატურაზე; ცნობილი ბულგარელი მწერალი ლუდმილ სტოიანოვი აღნიშნავს მაიაკოვსკის გავლენას ბულგარულ პოეტ გეო მილევზე, რომელიც გმირულად დაიღუპა ადგილობრივი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ის მაიაკოვსკის უწოდებდა „ბოლშევიკური რუსეთის ტრუბადურს“.

ბულგარელი პოეტი ზრისტო ვასილევს წერს: „მაიაკოვსკი ბულგარეთში ისევე პოპულარულია, როგორც პუშკინი, ლერმონტოვი და ნეკრასოვი. ახა-

ლი რევოლუციური პოეზიის წარმომადგენლებმა იგი დროთა განმავლობაში და იარაღად გამოიყენეს მსოფლიო პოეზიის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

მაიაკოვსკის ლექსები თარგმნილია მრავალ უცხოურ ენაზე. საზღვარგარეთის მოწინავე მწერლების აზრით, მაიაკოვსკიმ უდიდესი გარდატეხა მოახდინა მსოფლიო ლიტერატურაში, რადგან მან პირველმა დაუჯავშირა იგი რევოლუციის მოთხოვნილებებს. ამნიად მაიაკოვსკის შემოქმედება მისაბამი გახდა მსოფლიო პროგრესულ მწერალთათვის. რევოლუციის პოეტის მუშაობა, — ამბობდა მაიაკოვსკი, — არ ამოიწურება წიგნით. სამიტინგო სიტყვა, საფრონტო ლექსი, ერთდღიური აგიტაცია, ცოცხალი რადიოგამოსვლა, ლოზუნგი ლექსად — გაკრული ტრამეის ვაგონზე — თანაბარი, ზოგჯერ უძვირფასესი ნიმუშია პოეზიისა“.

თანამედროვე მსოფლიო პროგრესული ლიტერატურა იზრდება, ვითარდება და წინ მიდის. ყოველივე ეს ხდება ყველაზე რევოლუციური და ყველაზე იდეური ლიტერატურის — საბჭოთა ლიტერატურის მეოხებით, მაქსიმ გორკისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის ზეგავლენით.

მაიაკოვსკის იდეური, შემოქმედებითი გავლენა განსაკუთრებულია თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის ერთერთ უდიდეს პოეტზე — ლუი არაგონზე.

ყველაზე ღირსსახსოვარი მომენტი ლუი არაგონის ცხოვრებაში, როგორც თვითონ აღნიშნავს, მაიაკოვსკისთან შეხვედრა იყო. არაგონი წერს: „ეს მოხდა ასე. შემოდგომის ერთ საღამოს მონპარნასის კაფეში შევედი, ბევრი ხალხი იყო, უცებ ვიდაცამ დამიძახა; პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის მავიდასთან გიწვევსო. ის მართლაც იქ იყო, მივიხედე და ხელს მიქნევდა. ამ შეხვედრამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. პოეტმა, რომელმაც პოეზია იარაღად აქცია, შე მსოფლიოსთან დამაკავშირა“.



მაიაკოვსკი შემდეგ ხშირად იგონებდა საფრანგეთის ახალგაზრდა პოეტებს, განსაკუთრებით პოეტსა და პროზაიკოსს ლუი არაგონს. ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა არაგონში რაღაც მშობლიური იგრძნო და თვითონვე აღნიშნა, რომ არაგონსა და მის თანამეგობარ პოეტებს ახალი რევოლუციური პოეზია იზიდავდა და ხიბლავდა.

1930 წელს არაგონი საბჭოთა კავშირში ჩამოდის. სოციალიზმის დიდი ქვეყნის გაცნობა მასში გარდატეხას ახდენს. ის საფრანგეთში ბრუნდება სულ სხვა შეხედულებებითა და გრძნობებით აღჭურვილ ადამიანად. პოეტი გადაკრით ეთიშება სიურრეალიზმს.

მაიაკოვსკის პოეზიამ ლუი არაგონს ახალი შემოქმედებითი გზები გაუხსნა. ლუი არაგონისათვის მაიაკოვსკი „უდიდესი კვალიფიკაციის“ პოეტი გახდა. ის აქვეყნებს თავის რევოლუციურ წიგნებს: „წითელი ფრონტი“ (1931 წ.), „ვაშა ურალს“ (1934 წ.), „ბაშელის ზარები“ (1934 წ.). ეს წიგნები პოეტის მთელი არსებისა და შემოქმედების გარდაქმნას მოწმობენ.

ლუი არაგონი უკვე მოწინავე პოზიციებზე გამოდის. „ჩვენ ვიცავთ მომავლის კულტურას, ჩვენ შენთან ვართ დიადო მუშათა კლასო!“ — გაიძახის პოეტი. ასე იქმნება ლუი არაგონის მებრძოლი პოეზია, რომელიც მაიაკოვსკის რევოლუციური პოეზიის საფუძველზე აღმოცენდა.

მსოფლიო კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესზე 1935 წლის ივნისში ლუი არაგონი მკვნიბარე სიტყვით გამოვიდა. მან სთქვა: „პოეტებმა უნდა შესძლონ საბოლოოდ გასწყვიტონ კავშირი მათთვის სასიამოვნო ფანტასმაგორიის მძიმე ტვირთთან. მე მოვიტხოვ დავუბრუნდეთ რეალობას, ასეთია გაკვეთილი, რომელიც ჩვენ ვლადიმერ მაიაკოვსკიმ მოგვცა. ჩვენ ხალისით ვიღებთ საბჭოთა ლიტერატურის ლოზუნგს — სოციალისტურ რეალი-

ზმს“. ამ სიტყვებით ფრანგმა მწერალმა ნათლად გამოხატა კონფიქტული მოკიდებულება მაიაკოვსკის რევოლუციური პოეზიისადმი.

მაიაკოვსკის პოემების აშკარა გავლენა ატყვია ლუი არაგონის ლექსებს: „პარტიას“, „დიუნეერკის ლამეს“ და „ბაქანს“. ლუი არაგონს აფრთოვანებდა ის ფაქტი, რომ მისმა მასწავლებელმა, ჯენიოსმა პოეტმა მაიაკოვსკიმ კალაში ხიშტს გაუთანაბრა. ფრანგმა მწერალმა საპროგრამო დოკუმენტად მიიღო მაიაკოვსკის შესანიშნავი სიტყვები: „ხელოვნება პროლეტარიატისათვის სათამაშო კი არაა, არამედ იარაღია. ამიტომ გაუპარჯოს მკვნიბარე, შეუპოვარ ბრძოლას ახალი სოციალისტური ხელოვნებისათვის“.

მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ ლექსებში ლუი არაგონმა მკაფიოდ გამოთქვა ახალი საფრანგეთის მოწინავე პოეტების ღრმა სიყვარული და პატივისცემა ოქტომბრის რევოლუციის დიდი პოეტისადმი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ლუი არაგონმა, შემოიკრიბა რა იატაკქვეშ ფრანგული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები, აქტიური ბრძოლა გააჩაღა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. გერმანელი დამპყრობლების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში ყველგან ისმოდა ლუი არაგონის საბრძოლო მოწოდება, მისი მხატვრული სიტყვა სწრაფად იკაფავდა გზას მშობლიური ხალხის გულისაკენ. ლუი არაგონის მიერ ამ პერიოდში დაწერილი ლექსები, რომლებსაც იგი ხან გვარის მოწერითა და ხან კი მრავალრიცხოვანი ფსევდონიმით აქვეყნებდა, ფრანგული რევოლუციური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

ამ ლექსებში აშკარად იგრძნობა მაიაკოვსკის მძლავრი სული. მორის ტორეზმა ტყუილად კი არ უწოდა ლუი არაგონს „სამშობლოს პოეტი“. არაგონის ლირიკა ღრმა ოპტიმისტური ხასია-

თისაა, ის ხალხს ბრძოლისაგან მოუხმობს.

მაიაკოვსკის პოეზიით შთაგონებული პოეტი მხნედ შეჰყურებს თავისი ხალხის მომავალს. ის რწმენას გამოთქვამს, რომ საფრანგეთის მომავალი მის ხალხს ეკუთვნის. ლუი არაგონი მაიაკოვსკის მსგავსად ცდილობს კალამი ხიშტს გაუთანაბროს მისი ლექსების თვითეული სტროფი მიზანს ზედება, მტრის ბანაკში იგი ყუმბარასავით ვარდება.

საბრძოლო მოწოდებად ისმოდა ომის დროს არაგონის ლექსებიდან ფრანგ პატრიოტთა სიტყვები: ჩვენ ვკვდებით, მაგრამ საფრანგეთი რჩება. ლუი არაგონი ერთერთ თავის ლექსში რევოლუციური ტრადიციების მქონე ფრანგ ხალხს ასე მიმართავს: „იცოდეთ, თქვენ მარტო არა ხართ, რუსული სიმამაცე ძვირფასი მაგალითია ჩვენთვის“.

გასულ წელს ლუი არაგონი კვლავ ეწვია საბჭოთა კავშირს. მან მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის სვეტებიან დარბაზში, ხოლო გაზეთ „პრავედაში“ მოათავსა წერილი — „გარდაეკმნათ მსოფლიო და განემატკიცოთ შშვიდობა“, რომელშიც იგი აღნიშნავდა: „დღეს შშვიდობის მომხრეთა დროშის

ქვეშ მილიარდამდე ადამიანთა ხალხებს დღითიდღე სულ უფროდღა უფრო უკეთესით რომ მათი ბედნიერება თვით მათზეა დამოკიდებული და რომ მათ გზა ნაჩვენები აქვთ საბჭოთა ხალხების მიერ... ჩვენ ვისწავლით ლენინისა და სტალინისაგან, როგორ დაეამხოთ ხალხთა საპყრობილები“.

ლუი არაგონის ახალი რომანი — „კომუნისტები“ მოწმობს არა მარტო ამ მოწინავე მწერლის იდეურ ზრდას, არამედ მოწმობს აგრეთვე იმასაც, რომ ფრანგი მშრომელები იდეურად იზრდებიან. წინ მიდიან, აქტიურად იბრძვიან, რათა გახლენ თავიანთი სამშობლოს და მისი კულტურის ბატონ-პატრონნი და აშენონ თავიანთი ქვეყნის ბედნიერი მომავალი.

ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელოვანი ტრადიციებით აღზრდილი უცხოელი პროგრესული მწერლები დღესაც აქტიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან თავიანთ სამშობლოში. ექვი არ არის, რომ ისინი მომავალშიაც წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას, კვლავაც იქნებიან მოწინავე, მებრძოლ რევოლუციურ მწერალთა პირველ რიგებში.

გაზა რალიანი

## გიორგი ლეონიძე



გიორგი ლეონიძე საბჭოთა პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელია. მის შემოქმედების საგანძურში შედის მრავალი ბრწყინვალე ლექსი და პოემა, რომლებიც გამსჭვალულია თანამედროვეობის ღრმა გრძნობით. ამ ნაწარმოებებს ახასიათებს პოლიტიკური სიმანხილე, ხალხურობა და მაღალი პოეტური პათოსი. მაგრამ ეს ნიშნები თავიდანვე არ ახასიათებდა მის შემოქმედებას.

გიორგი ლეონიძის პირველი ლექსების შინაარსი უპირატესად გამოხატავდა იმხანად ქართულ ლიტერატურაში მოდერნისტული მიმართულებების ზეგავლენით გავრცელებულ იდეებს. შემოქმედებით ჯერ კიდევ წილგაუმარგებელი პოეტი ადვილად მოექცა თვითმიზნური ესთეტიზმის ტყვეობაში. მის მიერ ახალგაზრდობის წლებში დაწერილ ლექსებში ძალუმად იყო გამოხატული სევდა, გულგატეხილობა. იგი შეტყვევებდა ცხოვრებაზე ადრე გულგაცრუებული ადამიანის აზრებით. ახალგაზრდა პოეტის ეს მსჯელობა იყო უპირატესად უმწიფარი აზრის ნაყოფი, წიგნებიდან წამოღებული შეხედულებები და არა შედეგი ცხოვრების ღრმა გაგებისა და განსჯისა. ამ შემთხვევაში სინამდვილე მის წინაშე დაფარული იყო ლიტერატურული შაბლონით. ბევრი ამ ლექსთაგანი არც არის დამოუკიდებელი, მათში იგრძნობოდა გავლენა სხვა პოეტებისა, მოსჩანდა მოქველებული სტილური ტრადიციების

ნიშნებიც. შემთხვევითი როდია, რომ შემოქმედებითი დავაუკაცების წლებში გ. ლეონიძე აღარც კი იგონებს ამ ლექსებს და ისინი არც თავის კრებულებში შეუტანია. ეს ბუნებრივიცაა. მარტოოდენ ამ ლექსების ავტორი რომ ყოფილიყო გ. ლეონიძე, დიდიხანია დავიწყებული იქნებოდა მრავალ იმ პოეტებთან ერთად, რომლებიც მის გვერდით იბეჭდებოდნენ — „განათლებასა“ და „თეატრსა და ცხოვრებაში“.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გ. ლეონიძის ზოგიერთ ლექსში იმთავითვე მოსჩანდა ჯანსაღი სულისკვეთება:

„მეც მწამს... მეც ვიცი, დრო დავედგება  
 სამარადეთს სიხარულისა, —  
 არწივის ფრთებზე განიადდება  
 სევდა-ვარამი თბოლ გულისა,  
 და ნანგრევებზე აღიმართება  
 ტამარი ტურფა სიყვარულისა!

(„მეც მწამს“).

გ. ლეონიძის ლექსებში მოისმოდა წუხილი სამშობლოს მდგომარეობაზე და ზრუნვა მის უკეთეს მერმისზეჭამ ხასიათის მოტივებმა მიიქციეს მოხუცი ვაჟა-ფშაველას ყურადღება, მათი მეოხებით შენიშნა გენიოსმა მწერალმა ახალგაზრდა პოეტში ნიჭი და მამულის სიყვარულის გრძნობა, რაც მას დიდად მოეწონა. ამიტომ იყო, რომ მან გ. ლეონიძეს დაულოცა სამწერლო გზა, (ვაჟა-ფშაველა — „გიორგი ლეონიძეს“). შემდეგში, უკვე სახელმწიფოებრივი გ. ლეონიძის



ნიძე მადლიერების გრძნობით იგონებდა თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ შემთხვევას („იორის პირად“).

X გ. ლეონიძის მიერ სამწერლო მოღვაწეობის დაწყება დაემთხვა ქართულ ლიტერატურაში დეკადენტურ-სიმბოლისტურ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის გამოვლას, ამ ჯგუფის წარმომადგენელთა შეხედულებებში დასრულებული სახით გამოქვეყნდა ლიტერატურული დეკადანსის ძირითადი ნიშნები — გაქცევა ობიექტურ სინამდვილისაგან, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემათა უგულვებელყოფა, მისტიკური მისწრაფებანი. უსასო პესიმიზმი, უკიდურესი ინდივიდუალიზმი და „წმინდა“ ფორმის კულტივირება (ფორმალიზმი). დაშორდნენ რა საზოგადოებრივ პრობლემებს, „ცისფერყანწელები“ გამოდიოდნენ მოპხრედ ანტისაზოგადოებრივი, თვითმიზნური ხელოვნებისა, რომელიც მათი აზრით განკუთვნილი იყო მარტოოდენ „რჩეულთათვის“. „ცისფერყანწელებმა“ საბოლოოდ გასწყვიტეს კავშირი სინამდვილის ათვისებასთან და პოეზია ააგეს ირაციონალიზმის პრინციპზე. მათ შეხედულებებში მკვეთრ გამოხატულებას პოულობს ბრძოლა რეალისტური ხელოვნებისა და მისი ტრადიციების წინააღმდეგ. განმათვისუფლებელი იდეების, პუშკინიზმისა და დემოკრატიზმის ადგილი „ცისფერყანწელებთან“ დაიკირა თავისთავის გაღმერთებამ, ვიწრო-სუბიექტივისტურმა და ნიცშეანურ „ზეკაცის“ იდეამ. თავისი სოციალური საფუძვლებით „ცისფერყანწელები“ ბურჟუაზიულ-თავადანაურული ფენების იდეოლოგიას გამოხატავდნენ. „ცისფერყანწელთა“ გამოვლას საქართველოში ფართო საზოგადოებრივობა და კრიტიკა უარყოფითად, მძაფრი თავდასხმით შეხვდა. განსაკუთრებით სასტიკად დაესხა მას მარქსისტული კრიტიკა, რომელმაც ეს ჯგუფი მონათლა „უღრობობის გმირებად“, რეაქციის ხანის ანარეკლად.

ახალგაზრდა გ. ლეონიძე დაეკავშირდა ამ ჯგუფს. პირველ რიგში იგი ცდილობდა აეთვისებინა სიმბოლისტურ ცისფერყანწელების სკოლის პრინციპები და ევლო ამ გზით. გაეხსენოთ მისი ლექსები — „ოდა პიკასოს“, „ლიტანია“. „თბილისის სასაქლო“, „ვეფხი“ და სხვები; „ავტობოტრეტში“ იგი თავის-თავს აღარებდა რემბოს: „ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაციანი, რომის კედლებთან ურავანი და დინამიტი... არტაურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული, მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე“. ეს იყო მარტოოდენ პოეტური დეკლარაცია. ნამდვილად გ. ლეონიძე არ გაჰყვა დეკადენტური პოეზიის გზას. თუ რამდენად ნაძალადევი იყო გ. ლეონიძის „ცისფერყანწელობა“, ეს ნათლად მოჩანს მისი ლექსიდან — „ახალი მთვარე კახეთში“, რომლის პირველი ვარიანტი სიმბოლისტური ესთეტიკის მიხედვით იყო დაწერილი, მაგრამ სრულიად არ შეეფერებოდა პოეტის ბუნებას. თუ ყოფილ „ცისფერყანწელ“ პოეტთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი იყო დაღუპვისა და სიკვდილის კულტი, ბოჰემური ყოფის აპოლოგია, გ. ლეონიძის ლექსებში მოიხილდა სხვა, უფრო ჯანსაღი მოტივები. პოეტური დაეკავაძების წლებში დაწერილ ნაწარმოებთა უმრავლესობას ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივაკუთვნებთ დეკადენტურ-სიმბოლისტურ პოეზიას, ისინი ხასიათდებიან თავისებური სიჯანსაღით; გ. ლეონიძეს ამ ხანებშიაც ახასიათებდა პოეტური სახის სიმდიდრე და გამოკვეთილობა, რითმისა და რიტმის მრავალნაირობა, ნაციონალური კოლორიტი.

თავის მუშაობაში გ. ლეონიძე უმთავრესად გაჰყვა ძველი ქართული, უპირატესად ალორძინების ხანის პოეზიის ხაზს. მრავალი მისი ლექსი შეიცავს, თეიმურაზ პირველის, დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის და სხვა ძველ ქართველ პოეტთა გამოხმაურებას. ძველი



ქართული პოეტების „ფერფლიდან აღმოცენებული“ როგორც ამბობს თითონ, გ. ლეონიძე ცდილობდა მიეღო და განეგრძო მათი გზა. იგი ძლიერ ეტანებოდა შორეულ სახეებს.

ადრინდელ ლექსებში ჩვენ ვსუნთქავთ ნანგრევების სურნელებას, ვისმენთ გარდასულ ამბების თხრობას. მრავალ მის ლექსში ისტორიული სურათები ერთმანეთს უწყვეტად მიჰყვებიან. იგი უხვად იყენებდა არქაულ ისტორიულ-ლოკალური მნიშვნელობის სიტყვებსა და გამოთქმებს, სახეებსა და შედარებებს.

ისტორიულ თემებზე დაწერილ ლექსებში მკითხველი გრძნობს პოეტის ღრმა სიყვარულს თავისი ქვეყნის დიადი წარსულისადმი. იგი დრამატიულად აღიქვამს თავისი სამშობლოს წარსულს. ამ ლექსებიდან იხედება ტრაგიზმით აღსავსე ისტორია ქართველი ხალხისა; ორიგინალურ გააზრებაში გვაძლევს გ. ლეონიძე საქართველოს შორეული ცხოვრების ეპიზოდებს. ჩვენი მატინე — „ქართლის ცხოვრება“ მას მიაჩნია ამ განვლილი მძიმე სინამდვილის უტყუარ ანარეკლად:

„გაშაღო... ვველა ფურცალი  
არის ფოლადის ნაყარი,  
დაშხერეულ ხმალია ვღრილი,  
ღვეკათა ნამაჟიარი“.

ანალოგიურ წარმოდგენას ჩვენი ქვეყნის წარსულზე გ. ლეონიძე გვაძლევს ლექსში — „მეცამეტე საუკუნე“. იგი აგვიწერს ჩინგისყაენის განმანადგურებელ ლაშქრობას. ეს ლექსი მძაფრ შთაბეჭდილებას იწვევს. ამ ნაწარმოებიდან ცოცხლდება ძველი საქართველო თავისი სასახელო ბრძოლებით, გმირული შემართებით და უდრეკი ნებისყოფით.

ამ ისტორიული შემთხვევების მართებულ წარმოსახვას აძლიერებს ის, რომ პოეტმა ზედმიწევნით იცის თავისი ქვეყნის წარსული. საქართველოს ისტორიის მძაფრი შეგრძობა, ღრმა განცდა გასდევს გ. ლეონიძის მთელს შემოქმედ-

ბას. მაგრამ ეს არ არის გააღმწეოფერი, თვითმიზნური ათვისება. უფრო უმეტესად საშინელი წარსულის სურათებს იგი ყოველთვის აქარწყლებს აწმყო სინამდვილით. პოეტმა კარგად იცის, რომ წარსულის გამოხატვას აქვს თავისი დედებითი მხარეები. ამ გზით სურთ ადამიანებს გაიგონ, შეისწავლონ, და გაიანზრონ თავიანთი სამშობლოს და ხალხის ისტორია. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციონალური თვითშეგნების გაღვივებისა და განმტკიცებისათვის.



აღსანიშნავია გ. ლეონიძის ერთგვარი გატაცება აშუღურ-ყარაჩოდული მოტივებით.

აშუღურ-ყარაჩოდულ პოეზიას ორიგინული ძირები ქართული ლიტერატურაში არ ჰქონებია არასოდეს. ქართული პოეტური კულტურის მაგისტრალურ გზასთან დაკავშირებული მწერლები და მოღვაწეები არა თუ არ ღებულობდნენ ამ აშუღურ-ყარაჩოდულ სიმღერებს, არამედ გმობდნენ, ებრძოდნენ კიდევაც მას (სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვ.). პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა მთელი საპროგრამო ლექსი დაწერა, რომელშიც მკვეთრად იყო გამოთქმული მუხამბაზურ-აშუღური პოეზიის გზის უარყოფა: „მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა“, ვახ. ორბელიანის ამ სიტყვებს უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მას მოსწონს რუსთაველის კილო, „გაფურჩქნილი ვით ყვავილი ველისა, მოკაშკაშე, როგორც წყარო მდინარი, ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი“. ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ ქართული პოეზია საესე-ბით დააშორეს ამ აზიურ-არქაულ გზას

და გამოიყენეს ბუნებრივი, ორგანიზული და ქემიკალიური კულტურის დიდ სარბიელზე. მაგრამ მეოცე საუკუნეში ზოგიერთი პოეტი რატომღაც მაინც ცდილობდა ამ განვლილი, უარყოფილი გზის კვლავ აღდგენას. უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ეს ხდებოდა ზეგავლენით დეკადენტური ლიტერატურისა, რომელიც ეძებდა ყოველთვის უცხოურს, უჩვეულოს.

გ. ლეონიძემ კარგად იცის, რომ ნამკვდრევი პანგი ვერ ააღერებს ჩვენს ოცნებას, რომ „ახალ დღეს, ახალ ვარდს და გაზაფხულს ახალი ხმები გაეკოცნება“; ამიტომ „თბილისის ოსტატებში“ იგი მართებულად თვით ებრძვის აშუღურ-მუხამბაზურ პოეზიას. ამას რასაკვირველია, თავისი საფუძველი და გამართლება ჰქონდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთხანს თვითონ გ. ლეონიძე იყო მოქცეული ამ აშუღურ-ყარაჩოღული ლირიკის ტყვეობაში. განსაკუთრებით, სიყვარულის თემაზე დაწერილ ლექსებში მოისმოდა აშუღურ-მუხამბაზური პოეზიის ხმა. „თუ კი ვცხოვრობთ სიმღერების იმედით“, „საათნოვა“, „გულს ბუდე არ ჰქონია“, „მეტეხის თავზე“, „ავადულოთ მარგალიტი“ — გუბრუნებდნენ საიათნოვასაკენ. აქედანვე მომდინარეობდა მის პოეზიაში ძველი თბილისის თავისებური ეგზოტიკა. საზანდარი და ჭიანჭური, მემწვანნილე გიშერ თვალა ვირით, მეტივე და თივის ურემი, წყნეთური მაწვნის ქილა და ყოველივე ის, რაც ძველი თბილისის სურნელებას გვაგრძნობინებს, როგორც მუზეუმის ექსპონატები, გ. ლეონიძის მიერ გაიდვალბებულად წარმოიდგინებოდა. პოეტი შეყვარებული იყო ძველი თბილისის ამრდილზე და მათ იოლად ვერ ელეოდა.

„მაგრამ ლექსი ვადურჩება  
იმ ძველ ნაზრდილარს, —  
სახედარზე წითელ ბოლოცს  
და ჭიანჭრს შტირალს,

მეტეხს და თივის ურემს,  
წყნეთურ მაწვნის ქილას,  
მაშ, რა ვუყოთ პოეტურ  
ამ თბილისის დილას?

(„მაშ რა ვუყოთ, პოეტებო“).

აშუღურ-ყარაჩოღული მოტივებით გატაცება განვლილი პერიოდი გ. ლეონიძის შემოქმედებაში და ამჟამად საინტერესოა მართოდენ მისი შემოქმედებითი ევოლუციის გასათვალისწინებლად.

გ. ლეონიძის წარმოდგენით, სილამაზე მარადიული კატეგორიაა, მას „არ უწერია გადაშენება“. ნინო ჭავჭავაძე უკვდავია იმიტომ, რომ მასში იყო გამოხატული უმაღლესი, სრულყოფითი მშვენიერება. მისი მშვენიერება ახლაც უნათებს გზას პოეტს („ნინო ჭავჭავაძეს“). ამ მარადიული სიყვარულის იდეალს უმდერის იგი; „თუშის ქალი ალავერდობაში“, ჰიმნია ასეთივე მშვენიერებისა. ამ ლექსში თუშის ქალი მოსჩანს მთელი თავიკი შარავანდდით, რომელმაც მალულმად წარიტაცა პოეტის მთელი გრძნობა.

სიყვარული ამალღებს, აკეთილშობილებს ადამიანს. მის გარეშე ცხოვრება ერთფეროვანი და მოსაწყენი იქნებოდა. გულწრფელი და ლამაზი სიყვარული ადამიანებს მოუწოდებს საგმირო, სასახელო საქმისაკენ. გ. ლეონიძე სიყვარულს უწოდებს სიკბუტის გენიას, ოცნებისა და ლექსის დიდებას, რომ იგი დააეკაცა სიყვარულმა („თოლია“); მისთვის ვარდით ივსება მთელი ქვეყანა, როცა გვერდით სახემშუქარე სატრფო ჰყავს („მეტეხის თავზე“). პოეტის გულში მუდამ დილაა და ლექსებში — ვერცხლის წკრიალი, რადგანაც ტროროლასავით შეფრინდა მის გულში სიყვარული. ეს გრძნობა შეუჩერებლად დაჰქრის მის გულში, რომ სულს წამითაც არ მიეძინოს („ტროროლასავით შეფრინიდ გულში“).

„მთელ ცხოვრებას შენზე ფიქრით ვაივლი. უშენობას გული ვერ შეეთვისა, ნუშის წვერში რომ იფეთქებს ყვავილი, იქ მაქვს გული შენახული შენთვისა.“  
(„ხევაზე წარწერილი ლექსები“).

პოეტი თავის გრძნობის გამოხატვაში ყოველთვის მკვეთრი და პირდაპირია, მას არ ახასიათებს სენტიმენტალობა, ცრემლის ფრქვევა. „როგორც ხმალი, მშებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია, მე ვუმღერი ღამეს ზამბახებიანს და სიყვარულს ათაბაგის ქალი-სას“ („ნინოწმინდის ღამე“). ეს მოხეტქილი გრძნობა მიჰყვება გ. ლეონიძის სამიჯნურო ლექსებს. როდესაც იგი ქალისა და სიყვარულის თემაზე წერს ლექსებს, სიტყვები, სახეები თავისთავად, სტიქიურად წარმოიშვებიან. ამ გრძნობის გამოსახატავად მას დაუსრუტელი პოეტური მარაგი გააჩნია.

თუ გ. ლეონიძის ლირიკის წარმოდგენა შეუძლებელია ფერადოვანი სახეების გარეშე, ეს მით უმეტეს ითქმის მის სატრფიალო ლექსებზე.

„წყნეთურ ვარდში“ გ. ლეონიძე გადმოგვცემს ნ. ბარათაშვილის ერთ სამიჯნურო შემთხვევას. როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილი თავის უახლოეს მეგობარს — მიხეილ თუმანიშვილს 1838 წელს ერთ-ერთ პირად წერილში აცნობებს რამდენიმე დღით წყნეთში გამგზავრებას ვიღაც ბანოვანთან. გ. ლეონიძე ამ ცნობის საფუძველზე წერს მშვენიერ ლირიკულ ლექსს და ხატავს ნ. ბარათაშვილის გატაცების საგანს. ლექსი მდიდარია სახეებით და ღრმა ემოციების გამომწვევია.

გ. ლეონიძე მღელვარებით წერს ლექსებს ახალგაზრდობაზე, ეს მისთვის განსაკუთრებით დიადი და მიმზღველია. ამ თემას პოეტი მრავალგზისად უბრუნ-

დება. მისთვის ლექსი გახსნილია და ლექსი ერთია, ერთ ხუთწევრიანს ეძღვება სიყვანილი („სიკაბუჯე მბ—დწყქსმ ქრთია“); „სიკაბუჯის გარეშე ლექსს ვინ ძისცა დიდება“? („სიმღერა პირველი თოვლისა“). ამიტომ არის, რომ გ. ლეონიძე ასე მწვავედ განიცდის აზრს ახალგაზრდობის წასვლის, დაკარგვის შესახებ:

„გადავიღიან ღრუბლები,  
დავტრიან ოქროს ქვიშასა,  
წავა ლექსი და წაიღებს  
ახალგაზრდობის ნიშანსა“  
(„წავა ლექსი და წაიღებს“).

ეს განცდა პოეტისათვის მძიმეა, მაგრამ აქედან იგი მანც არ გადადის უიმედობასა და მწუხარებაში.

გ. ლეონიძის შეგნებაში ძალუმად არის შეტრილი ბავშვობის დღეების მოგონებანიც. იგი ნაზი, ლირიული სითბოთი იგონებს თავისი ცხოვრების გარიყრას („ოქროს წვიმა“).

ძღვეამოსილმა სოციალისტურმა მშენებლობამ, მისმა გამარჯვებამ, წინსვლამ, ღრმა და კეთილმოკმედებითი გავლენა იქონია გ. ლეონიძის პოეზიაზე, გაანთავისუფლა იგი განყენებული ქვერტისაგან, გადაპარბებული წიგნურობისაგან, გააუსო მისი ლექსები ახალი სასიცოცხლო შინაარსით.

გ. ლეონიძის პოეზიაში ნამდვილი იდეურ-შემოქმედებითი გარდატეხა გამომტლანდა ოცდაათიანი წლებიდან. ამ გარდატეხის სანიშნო ლექსებია — „მშვიგობით, სოფლის ორღობეებო“ და „სტალინის ქარხანაში“. ამ გარდატეხის ფორმულა გ. ლეონიძემ მოგვცა ნაწარმოებში — „სიკაბუჯე და ლექსი ერთია“. იგი შეეცადა გადაეფასებია თავის ძველი ესთეტიკური შეხედულებანი, ჩამოეყალიბებია პოეტის როლის ახლებური

ვაგება, ეჩვენებია შემოქმედის ადგილი ახალ ცხოვრებაში:

„უღამაზენი მხოლოდ ის არის,  
ვინც აესებულა თავის დროს ძალით—  
ადიდებული, დამწიფებული,  
ვანა, შდინარე, ვენახი, ქალი“.

გ. ლეონიძე იბრძვის იმისათვის, რომ შეეხება სიტყვას, რათა ის გაანათოს სამშობლოს შუქით, როგორც ეს მას ასწავლა ვაჟა-ფშაველამ. მოწინავე, საქვეყნო იდეების სამსახური ევალება პოეტს. ამ პოეტური მრწამსის განმტკიცებასა და გავრცელებას წარმოადგენს „გმირი და პოეტი“. გ. ლეონიძე იხსენებს საქართველოს წარსულს, ძველ ქართველ პოეტებს და მათ ბედს. ნ. ბარათაშვილს — „გული ჰქონდა მიმქარალი“, მისთვის — „დაეშალათ გაფრენა, მთების გადაპყენება“; ვაჟა-ფშაველამ — „გული ამოიკოდა, ცრემლის შხამში ნარწყვი და სიცოცხლე დალია, როგორც დამნაშავემა“; ა. წერეთელი ცრემლს აფრქვევდა, ხოლო ი. ჭავჭავაძე გმინავდა. მათ — „გულში ენოთ საკარე ლოდებშემონაყარი“, ისინი — „გმირს ეძებდნენ დღეის კაცს და გმირი იპოვეს“. ასეთებს ვერ ხედავდნენ თავიანთ თანადროელობაში. მაშინ მათ გახსნეს წარსულის აკლდამების კარები და ძველ გმირებს დაუწყეს მკვდრეთით გამოძახება: „სამშობლოს მზე ჩასული დასძრეს ძველი ქარებით და აჩრდილებს აკისრეს უკვდავ სხივთა წაღება“. მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოიტანა თავისუფლება. სიხარული და ბედნიერება, განიკურნა ძველი იარა, არწივთა ნაბუღარზე ახლა მძლავრი სიმღერა გაისმის, იშვა გმირთა თაობები.

გ. ლეონიძის შეგნებასა და შემოქმედებაში ეს აზრი უშუალოდ არის შესული. მას მტკიცედ სწამს, რომ ის, რისთვისაც საუკუნეებით იღვწოდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები, დღეს სინამდვილედ იქცა, ახლა მწერალს განუსაზღვრელი ასპარეზი აქვს

გადაშლილი ჭეშმარიტ შემოქმედებთათვის.

გ. ლეონიძეს ნათლად შეეხებოდა, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას არ შეუძლია მარტოოდენ წარსულით ცხოვრება, რომ ლიტერატურის დიდი ნაწარმოებნი შეიქმნენ როგორც პასუხი თავიანთი თანამედროვეების მოთხოვნილებებზე. გ. ლეონიძის პოეზია დღეს მიმართულია ცხოვრებისაკენ. იგი მიისწრაფის ღირიულ და ეპიურ სახეებში ჩააქსოვოს სოციალისტური თანამედროვეობის თემები.

ღირიკის ტრადიციული საზღვრების გაფართოებაში ხედავენ მოწინავე საბჭოთა პოეტები ნოვატორობის ერთერთ სტიმულს, სოციალისტური ეპოქის ახალი ტიპის ღირიკის შექმნისა და განითარების პირობას. ნამდვილად რეალისტური ღირიკა ყოველთვის ატარებს განზოგადოებულ ხასიათს. ასეთია ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის ა. წერეთლის და ვაჟა-ფშაველას ღირიკა. გ. ლეონიძეს თავის ახალ ლექსებში პირადული აპყავს სოციალურ მასშტაბამდე, სოციალურ პრობლემას ეხება, როგორც პირადას. ეს არის პრინციპული თავისებურება ახალი პოეზიისა, ეს განსაზღვრავს მის ხასიათს. მისი ღირიკა ბრძოლისა და გამარჯვების სიმღერაა.

ახალი ცხოვრების, მისი გმირების ჩვენებას, მათ პოეტურ ამეტყველებას აპყრობს გ. ლეონიძე დღეს მთელ თავის გულის ყურს, მთელს თავის პოეტურ შესაძლებლობას.

სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული წარმოადგენს საფუძველს გ. ლეონიძის პოეტური შემოქმედებისა. მას თავისთავი წარმოდგენილი აქვს თავისი ქვეყნის ერთგულ და მოსიყვარულე შვილად, რომელიც მზადაა სიცოცხლეც კი მსხვერპლად მიუტანოს მშობელ მხარეს:



„სამშობლო, ესუნთქავთ ერთ სუნთქვით, ერთ ცეცხლის ალზე ვიწვევით, ყოველ კალამზე, მე თუ ვაჭვი, ლექსად შენ ამოიწვი!“  
(„ჩემი იადვარი“).

მართლაც, რა მოვლენასაც არ უნდა ეხებოდეს გ. ლეონიძე, ყოველთვის სამშობლოს ღრმა სიყვარულის გრძობიდან გამოდის. ეს განცდა აძლევს პათოსის მის ლექსებს:

„გულის ფესვიდან მინდა გიმღერო, და თუ ვერ ვითხრა, როგორ მიყვარხარ, შენს თითველ ხეს, ბალახის ღეროს, ვაოცნი, ვხვდები, ვაბჯვი — მიყვარხარ!“  
(„სამშობლოს“).

ეს ლექსი ერთგვარად მოგვეგონებას ა. წერეთელს. ა. წერეთლისათვის სამშობლო იყო ხატი, რომლის გულისთვისაც იგი მზად იყო სანთელივით დამწვარიყო, დაფერფლილიყო. ასეთი კეთილშობილი ტრადიცია დაუტოვა ქართველ მწერლებს ა. წერეთელმა. მართალია, მას სულ სხვა ისტორიულ ვითარებაში უზღებოდა ცხოვრება, მაშინ მისი სამშობლო დამონებული იყო, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში იყო ქვეყნისა და ხალხის სამსახურის შეგნება. გ. ლეონიძეს კი უზღებდა მოღვაწეობა უკვე განთავისუფლებულ და ბედნიერ ქვეყანაში. ეს გარემოება პრინციპულად განასხვავებს ამ ორი პოეტის დამოკიდებულებას სამშობლოსადმი. ამას კარგად გრძობს გ. ლეონიძეც:

„ლექსო, რაღა კარგი ხარ, ლექსო, შენც დამყარგვიხარ, ვაოხრდი, გატიალდი, თუ სიტყვაში ჩავიჭრა სამშობლოს განთიადი!“  
(„მარად ბრწყინავს სამშობლო“).

სამშობლოს განთიადის შეგნებით არის გამსჭვალული გ. ლეონიძის მთელი პოეტური სამყარო. ეს შეგნება აძლევს მის ლირიკას ვაჟკაცურ ხასიათს:

„გულის ნათელი მე მიპოვია, ქართლის დიდების მე ვარ მამკვალა სამშობლო ჩემი გულისსა“  
(„სამშობლო — ჩემი ლექსი მამკვალა“)  
(„ვეფხვთ სამშობლოს“).

აღორძინებული და თავისუფალი სამშობლოს ძღაერება პოეტს ადფრთოვანებს ხალისიანი და სასიხარულო სიმღერებისათვის.

განსაკუთრებით სამამულო ომის წლებში გამოჩნდა გ. ლეონიძის პოეზიის პატრიოტული მგზნებარება.

გ. ლეონიძემ ამ წლებში შექმნა მართალი პატრიოტული შეგნებით გამსჭვალული მრავალი ღირსშესანიშნავი პოეტური ნაწარმოები. ქართველ მკითხველსაზოგადოებაში დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა—„არ დაიდარდო, დედაო“. 1943 წელს პოეტმა ტამანის ნახევარკუნძულზე ინახულა საფლავი უცნობი ქართველი მეომრისა, რომელიც გმირულად დაიღუპა ვერავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ფაქტმა შთააგონა მას ეს ლექსი, რომელიც მკითხველში სტოეებს იმის შეგნებას, რომ ქვეყნისა და ხალხის მოპირნახულე შვილი სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს, მისი სახე და საქმე მარად უკვდავია.

ცხოვრების მოვლენათა ასახვისას გ. ლეონიძე სდგას სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე. მის ამ რეალიზმში ძალუმად არის გამოვლენილი რევოლუციური რომანტიზმის ნიშნებიც.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა პატრიოტიზმით შთაგონებული სიმღერები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელის—დიდი სტალინისადმი. ქართველ საბჭოთა მწერლობაში მთელი სიმღერით გამოვლინდა ის განუსაზღვრელი სიყვარული და ერთგული-

ბა, რომლითაც გამსჭვალულია ჩვენი ხალხი გმირული ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადების — ლ ე ნ ი ნ ის ა და ს ტ ა ლ ი ნ ის ა დ მ ი. ერთი თემის გარშემო გაერთიანებული ეს ნაწარმოებში მრავალფეროვანია, როგორც შინაარსის, ისე ენარისა და ფორმის მხრით. საბჭოთა მწერლებისათვის ეს არის არა მარტო წმინდა ლიტერატურული თემა, არამედ განსაკუთრებული, უდიდესი ცოცხალი განცდა, რომლის სრულყოფილად გამოსახვისათვის იბრძვიან ისინი.

გ. ლეონიძის პოეზიაში ამ თემას განსაკუთრებით ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი. მის შემოქმედებაში არა ერთხელ პოულობს პოეტურ გამოხატულებას ამხანაგ სტალინის დიადი სახე. გ. ლეონიძემ ამ ციკლის ლექსებისთვის მონაბა ინდივიდუალური ხმა, შეიმუშავა პოეტური თქმის დამოუკიდებელი ხერხი, შექმნა მდიდარი და ორიგინალური მხატვრული საშუალებები. ამით ლექსის იდეურ სიმაღლეს მისცა შესაფერი მხატვრული ეფექტი.

საბჭოთა ეპიური პოეზიის საგანძურში შედის გ. ლეონიძის ეპოპეა „სტალინი. ბავშვობა და ყრობა“, რომელიც ეხება ბელადის სიჭაბუკის წლებს. ეს ნაწარმოები შეიცავს იდეათა და სახეთა ფართო წრეს, რომელიც ეპოქალურ მოვლენებს ცოცხლად და ღრმად აგვისახავს. ეპოპეაში თემა ლირიკულადაა გააზრებული და სწორედ ამიტომ არის, რომ ნაწარმოები განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ნათელი და ძლიერი სტრიქონები, სადა და მდიდარი ენობრივი მასალა არის მისი დამახასიათებელი თვისება. ნაწარმოებში ავტორი უპირატესად წარმოგიდგენს რეალურ-ისტორიულ გმირებს, საზოგადოებრივ მოვლენებსა და ყოფის კოლორიტულ სურათებს.

უპირველეს ყოვლისა. გ. ლეონიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ქვეყნის ბუნების გამოსახვას, სადაც

დაიბადა და აღიზარდა ბელადი. ქართლის სოფელი, მთები ტარსის მთებში, მთაწარის პორიზონტები, სწრაფი მდინარეები და მრისხანე ჩანჩქერები, რაც ასე მახლობელია გ. ლეონიძის პოეტური შემეცნებისათვის, ნაწარმოებში ჰქმნიან ფონს მთავარი თემის, ძირითადი სუბეტური ხაზის განვითარებისათვის:

„მთა მთაზე მოსხანს მაღლა,  
არწივის ჩრდილით ფარულა.  
თავზე თოვლგადანაყარი,  
წარღნიდან ამობარული.  
ხან სხანს შხის ამოსახელი,  
ხან შავი ღრუბლის ნახირი,  
მუხის, ნაღერის ხმას ერთვის  
ხმაღარტყმულ ვეფხვის ძახილს“.

ამ გარემოში, ამ ბუნებაში მცხოვრებ ხალხში მუდამ განმტკიცებული იყო მისწრაფება თავისუფლებისაკენ, რომლის სიმბოლიურ სახესაც ამირანი გამოხატავს:

„აქ დაბავს ამირანი,  
აქ დარტყეს რკინის ურო,  
სჯობს რომ ვიყო მიჯაჭული.  
ვიღრე მე ღმერთს ვემსახურო  
ხალხს ვადასცა გმირმა ცეცხლს  
და სინათლე ხალხის წილი;  
ხალხს ასწავლა ტანჯვა, ბრძოლა  
და ღმერთების სიძულვილი“

შემდეგ პოეტს გადავყავართ იმ ისტორიულ ვითარებაში, როცა ცხოვრება სიბნელით იყო მოცული, როცა ქვეყნად გამეფებული იყო ადამიანთა ჩაგვრა. ქართველი ხალხის ყოფას უფრო აუარესებდნენ უცხოელი თავდამსხმელები, რომელნიც სწვავენ და ანადგურებდნენ ჩვენს ქვეყანას. ქართველმა ხალხმა მრავალი საუკუნის მანძილზე სისხლისმღვრელ ბრძოლებში უცხოელ დამპყრობელთაგან დაიცვა თავის სამშობლო. საქართველოს ძველი ძეგლი მოწმენი არიან მამაცი ხალხის ბრძოლისა დამპყრობელ ურდოებთან. თავისუფლების სულისკვეთება ვერ ჩაკლა ვერც მეფის თვითმპყრობელობამ, რომელმაც საქართველო კოლონიად აქცია,

ვერც ხალხის შინაურმა მტრებმა, რომლებიც მეფის ჩინოფნიკებთან ერთად თავიანთი ხალხს ჯალათისა და სულის-შემზუთველი მოძალადის როლში ევლინებოდნენ.

ეპოპეაში ეს ისტორიული ფონი ფართოდ არის მოცემული.

მიუხედავად ასეთი მძიმე ცხოვრებისა, დამპყრობელთა სისასტიკისა, ხალხს მაინც ვერ წაართვეს „თავისუფლების ამაყი სული“. გადის საუკუნეები, იბადება ადამიანი, რომელიც ხალხის მრავალსაუკუნოვან მისწრაფებას თავისუფლებისადმი, სინამდვილედ აქცევს.

ბელადის სახე ნაწარმოებში ვადმოცემულია გმირულ ხაზებში. პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გარემოცვის რომანტიული ნიშნებით ჩვენებას. ბავშვის დაბადების ასახვას თან მოჰყვება ძველი ზნე-ჩვეულებების დამახასიათებელი სურათების აღწერა.

მამამ ბავშვის დაბადების დღეს ლხინი გადაიხადა. ყველანი იყვნენ მის სახლში და როგორც პოეტი ამბობს „ატენური ღვინით სეამდნენ მოსალოცავ სადღეგრძელოს.“ მამის უსაზღვრო შვებას იზიარებენ ბელისნები, რკინიგზის მუშები, მეტივეეები და თერძები, მესტიერეები და მჭედლები, რომელნიც შემოკრებილან ახლად გაბედნიერებულ ოჯახის გარშემო და ჩვილს უსურებენ ისეთ ადამიანად გახდომას, რომელსაც ეყვარება „ხალხი და ხალხის ყოველის-შემძლე ძალა“. საზეიმო სიტყვებით და სადღეგრძელოებით გამოხატავენ თავიანთ მზიარულებას ახლად დაბადებული ბავშვის პატივსაცემად ჯულაშვილების ოჯახში თავმოყრილი ადამიანები, სიმღერები და ხალხური მუსიკალური საკრავები აზიარულებენ ადამიანთა გულებს.

მშვენიერია პოემის ის ფურცლები, რომლებიც გვიხატავენ ბესარიონ ჯუ-

ლაშვილის და მისი მეუღლის — ეკატერინეს ღარიბ ოჯახში ახლომთილი ვაჟის აკვანთან შეკრებილნიშნობებს. სიყვარულმა შეჰყარა მეგობრები ჯულაშვილის ღარიბ კოხში. მაგრამ სიხარულს ერთვის ტკივილი დაკოდილი გულისა და ნაღვლიანი არიან სიმღერებში, რომლებსაც სტუმრები აკვანში მწოლ ჩვილ ყრმას უგალობენ.

დიდხანს გრძელდება გულთბილი საუბარი უბრალო ადამიანებისა. მოხუცი და ახალგაზრდა გლეხები, მჭედელი, ხურო, რკინის მუშა, — ყველა ესენი საუბრობენ თავიანთი მძიმე ცხოვრების შესახებ. ამ საუბარში ჩაერევა მესტიერი, რომელიც მღერის მომავალზე:

„სადღაც თურმე ძვეყანაა,  
 იქ არა ჰყავს გლეხებს მტერი,  
 მიწა არი ნაფოფსავსე,  
 უღვალი, უშრატლი!  
 იქ ღრუბელი კაცს არა მტრობს,  
 გული არვის იქ არ სტკივა,  
 გავლუჯა და ძალად რომევა,  
 ბატონობა არ გავივა!  
 იქ არ არის შედღუჭი,  
 მეფეური, ლუქის შონა,  
 მებეწური, ჩოქის მყრელი, —  
 იქ შრომაა ერთი წონა!  
 იქ წესური წესი არი,  
 — კაცი არი პირშინი, —  
 რადგან, ვინც სთესს, ვინც მუშაობს,  
 მოსავლიც მისი არი!“

რასაკვირველია, ამ სიტყვებში ჯერ კიდევ არ არის ნახსენები სოციალიზმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ხერხით გ. ლონიძე გვაძლევს ხალხის ოცნებას თავისუფალ და ბედნიერ მომავალზე, რომელიც შემდეგში სინამდვილედ აქცია დიდმა სტალინმა.

ეპოპეის მეორე კარში — „ბავშვობა“ — ავტორი გვიხატავს გმირის გამოსვლას შეგნებული ცხოვრების საბიელზე, მის პირველ შთაბეჭდილებებს. უფრო სრულად წარმოგვიდგება გმირის წრე, გარემოცვა, მისი ურთიერთობა



ადამიანებთან. იგი იზრდება დედის ალერსით და მამის მზრუნველობით გამთბარი. პოეტს შევეყვართ ბავშვის სულიერ სამყაროში. ამ კარის დასასრულს ჩვენ ვხედავთ სოსოს არაბავშვურად ჩაფიქრებულს ცხოვრების საკითხებზე. გ. ლეონიძე წარმოგვიდგენს სოსოს პორტრეტს, მის ხასიათს, ინტერესებს. ბავშვმა მიიღო და შეისისხლხორცა ყოველივე საუკეთესო მისი წარმომშობი ხალხისაგან, საქართველოს წარმტაცი ბუნებისაგან. მას მგზნებარედ უყვარს სიცოცხლე, უყვარს ძალა ადამიანში, თავათც ღონიერი და მარდი. ნაწარმოებიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ როგორ იზრდებოდა იგი, როგორი იყო ის წრე, რომელშიაც გაატარა მან ბავშვობა და ყრმობა. პირველ პლანზეა წამოწეული ბავშვის ცნობისმოყვარე და ნიჭიერი გონება, რომელიც მისწრაფის ყველაფერი გაიგოს, შეისწავლოს, მას ახასიათებს უაღრესად განვითარებული მეგობრული გრძნობა, პირდაპირობა, მორალური უმწიკველობა, ხასიათის სიმტკიცე, ბეჯითობა. იგი პირველი მოწაფეა, მაღლა დგას ამხანაგებზე, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მთელი ვატაცეობით ჩაერიოს გართობა-თამაშობაში, სადაც წინამძღოლად (არსენად, მინდიად, კობად) გამოდის, მისთვის უცნობი არ არის ხალხის ცხოვრების არც აწყობა, არც წარსული. ბავშვმა ადრე შეიგრძნო, რომ ქვეყანა ორ ბანაკად — მჩაგრულთა და ჩაგრულთა ბანაკად არის გაყოფილი. რაც დრო გადის, მით უფრო ყურადღებით უყვირდება იგი ხალხის გასაჭირს. მის შეგნებაში ჩაისახა ბრძოლის აუცილებლობის იდეა. ამ მხრივ ფრად დამახასიათებელია ყრმობაში შესულ სოსოს საუბარი გლეხებთან, რომელსაც იგი უნერგავს იმის რწმენას, რომ მშრომელთა ტანჯვას აუცილებლად ბოლო მოეღებო. ეპოპეის ამ ნაწილს გ. ლეონიძე კარგად ამთავრებს იმით, რომ აგვიწერს, თუ როგორ მღერიან გლეხები სოსოს მეთაუ-

რობით ხალხურ სიმღერებში — გლეხსა და გლეხსა ნამგაღმრთსა მწმუნსა მწმუნსა ტეთ ბარათაშვილსა... ბრძოლა მწმუნსა მწმუნსა ანათებენ მთელ სურათს.

ეპოპეაში ბევრგან არის აღნიშნული ძველი ცხოვრების სიბნელე და საშინელება, ხალხი გრძნობდა, რომ ამ მიმდევრობიდან გამოსვლა მას მხოლოდ ბრძოლის გზით შეეძლო. ხალხის ეს გამოღვიძება, მისი დარაზნება უკვე შემდეგ დროს ეკუთვნის, როდესაც ამხანაგი სტალინი მარქსისტულ-ლენინური შეგნებით შეიარაღებული რაზმავს მასებს თვითმპყრობელობის, ბურჟუაზიისა და მეშამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეპოპეის ეს ნაწილი თავდება ფართო პერსპექტივის გადმოძიებაში სიტყვებით:

„სხივკრებილი მზე ჩადის,  
ვარსკვლავიც შეიჭებება...  
მზე ჩადის...  
მზე ზეალ ამოვა,  
უფრო დიდი და ჩახჩახა“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეპოპეის შემდეგ ნაწილში სწორედ ეს მოვლენები იქნება ნაჩვენები. როგორც ვიცით, პოეტს სამ წინადა აქვს განზრახული ამ ნაწარმოების დაწერა.

უდავოა, რომ დიდი სტალინის ცხოვრების თემა, როდესაც მას მწერალი უდგება სრული შემოქმედებითი პასუხისმგებლობით, ძალზე ამდიდრებს და ამაღლებს მის შემოქმედებითს სამყაროს, აიძულებს მას მოგვეცეს საესებით დასრულებული სიტყვიერი და სახეობრივი გამოხატულება.

გ. ლეონიძემ შექმნა თავისებური რომანტიული მოთხრობა საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ბავშვობასა და ყრმობაზე. იგი შეეცადა თემის მაღალ-პოეტური საშუალებებით ჩამოყალიბებას. ძირითადად ეს მან კარგად მოახერხა. ნაწარმოებში არის ოსტატურად დაწერილი თავები, ცოცხალი და ძლიერი სცენები, რელიეფური ეპიზოდები, რომ-



ლებიც ღრმად იკრებიან მკითხველის გონებაში, რიტმული წყობითაც მრავალფეროვანია ის. მხატვრული თხრობის ეს გზა მეტ თავისებურებასა და სიცხოველეს აძლევს ნაწარმოებს; კარვად არის გ. ლეონიძის მიერ გამოყენებული ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი სიმკვეთრე და ჰარმონიულობა, პოეტური სახეების ორიგინალობა. მაგრამ ეს ნაწარმოები თავიდან ბოლომდე არ არის გამართული ერთნაირი სიძლიერით. მაღალ-პოეტურ და მხატვრულ სტრიქონებთან ერთად მასში არის გაუმართავი სტრიქონები და სახეები, ის არაა მოყვანილი სუვეტურ მთლიანობაში, სკარბობს მასში ლირიკული საწყისები. ცალკეული თავები მხოლოდ თემის მთლიანობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ლეონიძე ეპოპეაში შორდება სრულყოფილი პოემის ჩამოყალიბების პრინციპებს. როგორც ცნობილია, პოემას ახასიათებს გამოკვეთილი ფაბულა და სუვეტური განვითარება. მოვლენები, ადამიანები, სოციალური გარემო პოემაში წარმოდგენილი უნდა იყოს ტიპური ნიშნებით. სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ეს ეპოპეა ლირიკულ-ეპიურის ხასიათის ნაწარმოებია. ეს გზა მას უფრო ეხერხება პოეზიაში. ამიტომ ანალოგიურია მისი „ფორთოხალა“ და „ბერშოულაც“.

ეპოპეის იმ ნაწილში, რომელიც უკვე ცნობილია მკითხველისათვის, გ. ლეონიძე ჯერ კიდევ არ მოსულა ადამიანებისა და მოვლენების ისტორიული კონკრეტულობით ჩვენებამდის. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგ ნაწილებში ეპიური სიმბოლოებიდან და რომანტიკული პეროიკიდან გადავა სინამდვილის კონკრეტულ-რეალისტურ გამოხატვაზე.



გ. ლეონიძის მიერ ეპოპეაში ბელადის ბავშვობასა და ყრმობაზე დახატული 7. „მნათობი“ № 4

ზოგიერთი პოეტური სურათი საინტერესოა ფერთა მოზაიკურად დაგროვებით!

გიორგი ლეონიძე

„ბრწყინავს ზალი, ელავს ზალი, ფირუზქარი დაჩხვეული; უკრძნის მსხვილი მარგალიტი, ვაზი, ვარსკვლავ ჩახვეული... ოქროს წყალი, ატმის ლალი, ბროწეულის ყვავილები, თითქოს თონის ნავერცხალი, — ათენებენ ქართლის დილას, ტოროლების ტაშის კერაში, — მარწყვის ფერად, შინდის ფერად იღებება ვარაყრაჟი...“

შვენიერია ბუნების ეს სურათი. ასეთი ლამაზი პეიზაჟი გ. ლეონიძეს მრავალი აქვს. თავის ნაწარმოებში წშირად იგი მხატვრად გვევლინება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მკვეთრი და მრავალრიცხოვანი დეტალები მის ლექსებს აძლევენ ფერებით შესრულებული ნაწარმოების სახეს.

გ. ლეონიძე უშუალოდ განიცდის თავისი ქვეყნის ბუნებას, პირდაპირ ხელშესახები კონკრეტულობით ცდილობს მის გაცოცხლებას; იგი წარმტაცი პოეტური სახეებით აყალიბებს ბუნების ვრანდიოზულ სურათებს;

შეიძლება ითქვას, რომ გ. ლეონიძის პოეზიაში ეს დიდი სიყვარული, ინტიმობა და ერთიანობა ადამიანისა მთებთან, ტყეებთან, მდინარეებთან, კახეთის ყანებთან საესეებით ორგანიზებულია, იგი ნაირნაირი ფერებით ხატავს კახეთს:

„ყანა კახური, ათქვირებული და ყამირები ყარაისა, ვაზი თორმეტი ფურის ნაწველი, დასხმული ოქროს ბარძამივითა, წინანდლის ღვინო ღვდის რძინი; თაფლი კლდეებზე ჩამოღვენილი, ბროწეულის ტყე წყაროებთა, ცა — არწივების კლანით გარტყმული, მთები ფერადი დროშებივით, ნაციხარები ქვასისხლიანი... მხარე — ნათარი სამირკველების, მხარე — სარკინე ფალანგისა, მხარე — ვაზებში გამოხვეული...“

(„მხარე ვაზებში გამოხვეული“).

გ. ლეონიძის პეიზაჟური ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „ოლე“, რომელიც გამოხატავს მისი პოეტური განვითარების ადრინდელ საფეხურს. ამ ლექსით ისევე, როგორც მეორე ლექსით — „შავი ზღვის პირას შავი მუხა“, იგი ორიგინალურად ეხმაურება რომანტიკულ-ფილოსოფიური პოეზიის თემას. ლიპავის ნაპირას კლდეზე დგას განმარტობით ხე. იგი შიგნიდანვე გამოიწვევია „მარტოობის შხამით“, შიგნიდანვე გაბზარული და დახეთქილია კეცადის მარტო დგას, როგორც სახრჩობელა, თუმცა მაღალი მთები თვით მას აღრჩობენ; ცაში დაკიდებულ არწივს ჰგავს მომსხვრეული ფრთებით; ყველგან სიმკაცრე და საშინელება ესახება წინ — „გელანდება ნაჯახები და გრიგალი დამჯახები“; სეტყვას, თოვლს ის „დამდნარი ძვლებით ეგებება“, ქარიშხალს და მებს მისი მოთხრა უნდათ; ყინვის კარხი თვალს უჯაწრავს და ველარ უმზერს ლაქვარდს; „წვიმის შუბი გაღესილი“ გულზე უჯაყუნებს. მცხუნვარე მზისაგან ტყავი აქვს დამსკდარი; ირგვლივ ბუნება მზიარულებას ეძლევა, მაგრამ ეს სრულებით არ შეეხება მოწყენილ, განმარტობულ ოლეს. მარტოობა სულის სიმშვიდე კი არ არის, არამედ უდიდესი ტანჯვაა ბუნების ყოველი ელემენტისათვის, სულ ერთია ეს იქნება ადამიანი, ცხოველი თუ მცენარე. ამიტომ საზოგადოებასა და ტოლ-მეგობრებს უნდა შეაფაროს თავი ყოველმა არსმა, თუ სურს გადარჩეს დაღუბვას. პოეტი მიმართავს თავის საყვარელ ხეს — „რამო მიწას მიჰკედილო, ვასკერ, აიქროლე, მარტოობის არტახები გადახიე, ოლე!“ ეს ლექსი დაწერილია ლირიკული ექსპრესიით და ყურადღებას იქცევს არა მარტოდენ მჩქეფარე რიტმით, არამედ უჩვეულოდ მშვენიერი რითმებით და სახეებით.

„ოლე“, როდესაც ითარგმნა რუსულ ენაზე, გამოითქვა ის აზრი, რომ იგი თავისებურად ეხმაურება ლერმონტო-

ვის ცნობილ ლექსს „ფიქუს“. ეს მართალია, მაგრამ ეს თემა არ არის უცხო თვით მეცხრამეტე საუკუნის რუსული ნახევრის ქართული პოეზიისათვისაც. საკმარისია დავასახელოდ ნ. ბარათაშვილის შედევრი — „ჩინარი“. როგორც ცნობილია, ამ ლექსში არის ასეთი სტრიქონები: „განმარტობულს ფრიალო კლდეზე სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი...“ ამავე დროის მეორე პოეტი — მ. თუმანიშვილი თავის ელეგიურ ლექსში — „უღაბნო“ გვიხატავს „უღაბნოს ბნელს“ უმზუოს და გავერანებულს, ქარიშხლის საბრძანებლად გადაქცეულს, სადაც მოსჩანს განმარტოვებულს მაღალ კლდეზე „ციურ ცეცხლთ ჩამოიწვევარი“, გადმოკიდებული მწუხარე ხე დამკნარი შტოებით.

ნ. ბარათაშვილის ჩინარი და მ. თუმანიშვილის მწუხარე ხე დამკნარ შტოებით, არის სიმბოლო ადამიანის მარტოობისა. ეს იდეა გაიმეორა გ. ლეონიძემაც, მაგრამ ეს იდეა არ ლაპარაკობდა საბჭოთა პოეტის სასარგებლოდ.

მრავალფეროვანი და წარმტაცი ბუნება გ. ლეონიძემ განსაკუთრებით ძალუმიად ამეტყველა უკანასკნელი წლების ლექსებში. იგი არ ზოგავს ფერებსა და საღებავებს მის გამოსახატავად. ამიტომ თამამად შეგვიძლია მას ვუწოდოთ საქართველოს ბუნების მომღერალი. გ. ლეონიძის შემოქმედებაში გაბატონებული მხატვრული ხერხი — კონტრასტებია. უფრო ნათლად რომ გამოაჩინოს სოციალისტური ცხოვრების სიდიადე, მისი უპირატესობა, იგი ხშირად ძველ, საშინელ წარსულს იხსენებს. ეს მეთოდი აქვს მას გამოყენებული არა მარტო ლექსებში, არამედ თავის ვრცელ ნაწარმოებებშიც — „ფორთოხალა“ და „ბერშოულა“. „ფორთოხალაში“ კოლხიდის ფონზე იგი მოგვიხსენებს ქართველი გმირი ქალისა და დედის შესახებ, ამ საშინელ წარსულს პოეტი უპირისპირებს ახალ კოლხიდას, სადაც ყოველივე გარდაქმნილია და ადამიანთა ბედნიერ



სინამდვილეს გამოხატავს. ბუნებას ამ ნაწარმოებებშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

ხალხურობა და პათოსი, წრფელი გრძნობა და ფრაზის სიმსუბუქე, მდიდარი კოლორიტი და პეიზაჟების ხატვის თავისებურება, გ. ლეონიძის ამ ნაწარმოებებს ამორებს პოეტური ფორმის ტრაფარეტსა და შაბლონს.

გ. ლეონიძის ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არა თუ უგულვებელყოფს ხალხურ შემოქმედებას, არამედ განსაკუთრებულ ინტერესსა და სიყვარულს ამკლავებს მისდამი. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ პოეტური წინსვლის საქმეში ფოლკლორის თვალსაჩინო დახმარების გაწევა შეუძლია. ხალხური პოეზიის პრინციპები აქვს გამოყენებული მას თავის მრავალ ლექსში. ფოლკლორთან სიახლოვემ ბევრი რამ დადებითი შესძინა მის პოეზიას. ისევე, როგორც მრავალმა მნიშვნელოვანმა მწერალმა, გ. ლეონიძემაც ფართოდ აითვისა ხალხური შემოქმედების ფაბულები, სახეები, გამოთქმები და სხვა ელემენტები. იგი არის მწერალი, რომელსაც კარგად აქვს შესწავლილი მასალა და ოსტატურად იყენებს ამ პოეტურ ინვენტარს. გ. ლეონიძის პოეზიაში ხალხური ლექსის სტიქია ორგანიულად შეეზარდა მის შინაარსს, მის იდეურ მიმართულებას. ხალხური შემოქმედებისადმი მის ინტერესს არაფერი საერთო არ აქვს სტილიზაციასთან.

თავის ეპოპეას — „სტალინი“ გ. ლეონიძე ოსტატურად აფერადებს ფოლკლორული მეტაფორებით და ეპიტეტებით; საჭიროების შემთხვევაში მიმართავს ხალხურ პოეზიაში გავრცელებული მხატვრული სახის ჰიპერბოლასაც.

მის ლექსებს — „იხარე, ხალხო ძლიერო!“, „ქართველ მხედრებს“, „არ დაიდარდო, დედაო“ მეტ სიცხოველესა და პოეტურობას მატებენ მათში გამოყენებული ხალხური გამოთქმები; ხალხური პოეზიის ხმა მოისმის მის ისეთ ნაწარ-

მოებში, როგორიცაა — „სიმღერა პირველი თოვლისა“, „ოღუჯი, ჩქელსაჭრესა გადმოგიგდებ“, „მყვებრადღამე მსაქმელსა იაგუნდები“, „არწივები“. მაგრამ ხალხურ შემოქმედებასთან სიახლოვე შესამჩნევია არა მარტო ამ ლექსებში, არამედ გ. ლეონიძის მთელ შემოქმედებაში. უკვე იყო სხვის მიერ (ა. ქუთათელი) მითითებული, რომ ლექსი „შენი სახე, მიმთვარული და ნაზი“ დაკავშირებულია ხალხურ სიმღერასთან — „მთვარევე ნათელო, მაღალო, იალბუზისა მთისაო“; აგრეთვე, მეორე ლექსი — „მევის უბეში, ვის გულში შევიწავარდო“ — მომდინარეობს ხალხური სიმღერიდან — „ავფრინდები, შენთან მოვალ. შევარდენი შევიქნები“; გ. ლეონიძე თვითონ აღნიშნავს (იხ. „ლექსები“, 1939 წ. გვ. 53), რომ მისი „ციცარი“ ძველებური ხალხური სიმღერააო. ეს მართლაც ასეა. იგი ამ ლექსს იწყებს გავრცელებული ხალხური ნაწარმოების სიტყვებით: „გადამაგდე და დამკარგე, როგორც ჩერქეზმა ისარი“. ასევე უახლოვდება ხალხურ პოეზიას მისი ცნობილი ლექსები „ყვიჩაღის პაემანი“, „ავადღლოთ მარგალიტი“.

გ. ლეონიძე დაკავშირებულია ქართული კლასიკური პოეზიის წარმომადგენლებთანაც. ეს საესებით. ბუნებრივია. ლექსი — „მესხი ვარ“ თავისებურად ეხმარება „ეფესის ტყაოსნის“ ეპილოგის სტრიქონებს; მის „დავით აღმაშენებელს“ სათავე აქვს გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ იმ სტრიქონებში, სადაც საუბარია დავით აღმაშენებელზე: ა. წერეთლის „გოგია მეჩონგურედან“ დედის სიმღერის სტრიქონები: „ვაჰ, თუ გშია! ან გწყურია! ან გცივა და არა გხურავს... ვაი, თუ შენს ლამაზ თვალებს ყვავი ჰკორტინის და ყორანი“; გ. ლეონიძის პერიფრაზში აქვს მოცემული „ოღუჯი“ შემდეგნაირად: „ვაჰ, თუ გზაში დაიღალა, ვერ იარა სწრაფად; ვაჰ, თუ კვირას ვერ მოვიდეს, ვერც გამოჩნდეს შაბათს!“.



გ. ლეონიძის პოეზიაში შესამჩნევია გაშლილი ბრძოლა პოეტური ნოვატორობისათვის. ამას ყოველთვის გრძნობს მკითხველი მის ნაწარმოებთა კითხვის დროს. ეს მისი დიდი ღირსებაა და ეს თვისება გამოარჩევს მას მრავალი თანამედროვე პოეტისაგან.

იგი სერიოზულ შემოქმედებით მუშაობას აწარმოებს ქართულ პოეტური მეტყველების სიახლისათვის.

„ფორთოხალასა“ და „ბერშოულას“ ავტორი ქართული სიტყვის ბუნებას მთელი უშუალოდობით გრძნობს, ორგანიზულად არის შესული მის სტრიქონში. მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართულ საბჭოთა პოეზიაში გ. ლეონიძე გამოირჩევა, როგორც სიტყვის ოსტატი. მან გვიჩვენა თავის ლექსებში უდიდესი სიმდიდრე და მრავალფეროვნება ხალხური ენისა, მისი გამოსახულებითი ძალა, მისი ნიუანსები. ხალხის ენა მისთვის არ არის ეკოტიური რამ, არამედ ამოუღვეელი განძი, სიბრძნე, რომელსაც იგი ბლომად დაესესხა.

გ. ლეონიძე თვითონაც იბრძვის ორიგინალურ სიტყვათა წარმოებისათვის. ამ მხრით მას თავისებური მანერა აქვს. იგი ჰარბად ჰქმნის რთულფუძიან ახალ სიტყვებსა და ეპიტეტებს. მაგრამ ზოგჯერ სიტყვათა ეს წარმოება ძნელი ასათვისებელია, თვითმიზნურია. მისი ნეოლოგიზმები ყოველთვის არ არის გამართლებული. არ შეგვიძლია მივიღოთ ასეთი სიტყვები „დაღირსებული“, „იმედული“, „სიტყვა ტაშური“, „შუქი მტრედული“, „დავტირნეთ“, „წყალი მწყემსური“ და სხვ. ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ორგვარი სახის ნოვატორობა ენაში — სტილისტიკური ნოვატორობა და საკუთრივ ენობრივი ნოვატორობა. პირველი სახის ნოვატორები მისწრაფიან ლიტერატურულ ენაში შეიტანონ უკვე ხალხში ცნობილი,

გავრცელებული სიტყვები. ასეთი ჩუოი. ჰაეჰავადისა და აკ. წერეთლის ნოვატორობა. აქ ჩვენ ვამჩნევთ მწიფე უბა ახალი სიტყვების შექმნის პროცესს, რამდენადაც უბრალო სასაუბრო გამოთქმების გაბედულ შეტანას ლიტერატურულ ენაში. მეორე სახის ნოვატორები არ კმაყოფილდებიან მარტოოდენ ამით და თვით ქმნიან ისეთ სიტყვებს, გამოთქმებს, რომლებიც წინათ არ იყო ხმარებაში. მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა ზომიერებათა დაცვა, აზრიანობა.

გ. ლეონიძე საესე ფერებისა და სინათლის შემოქმედი, რომელსაც შეუძლია ააშენოს მრავალნაირი საუცხოვეო პოეტური შენობა. მისი ლექსები უმეტეს შემთხვევაში პლასტიურია, მას უყვარს ლექსისათვის ბრწყინვალე მორთულობა. მისი ლექსები გვაკვირებენ მეტაფორებისა და სახეების სიჭარბით. ქართულ საბჭოთა პოეზიაში იგი არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი და საკვირველი გამომგონებელი პოეტური სახეებისა და მეტაფორებისა. უმეტეს შემთხვევაში მისი მხატვრული თქმები ლამაზი და შინაარსიანია. სიტყვებისაგან იგი ქმნის მთელ მოზაიკას. ძველი, შორეული ცხოვრების დასახასიათებლად იგი ერთ შემთხვევაში ასე აღაპარაკებს თავის გმირს:

„შე ჩემ დროსაც ჩახახებდა,  
მაგრამ სახლში მედგა ღამე,  
შიარული ვაზაფხული  
შინ ვერას გზით შევიყვანე“.  
(„ფორთოხალა“).

შესანიშნავი პოეტური თქმაა და აზრიც ნათელი, მაგრამ სამწუხაროდ, მხატვრული სამკაულების ხმარებაში გ. ლეონიძემ ყოველთვის არ იცის ზომიერება. მას უპირატესად უყვარს გარეგნული სილამაზე.

ცნობილია, რომ რითმაში ბგერითი ინტონაციური მომენტი ჩამოყალიბებული უნდა იქნას ლოგიკურ-აზრობრივი ნიშნებით. გ. ლეონიძე ყოველთვის არ



უწევს ამ მომენტს ანგარიშს. თავიანთ-  
ცემა რითმისა, ზოგჯერ მის წარმოდგე-  
ნაში ჰქმნის რადიკალიზაციის უწყისობას.  
ვხედებით შემთხვევებს, როდესაც რით-  
მი თავისთავად იტაცებს პოეტს და ჯან-  
სალი აზრი დაბნელებულია.

განსაკვივრებელ მაღალ-პოეტური  
ფურცლების გვერდით, რომლებიც იტა-  
ციბენ მკითხველს, უშუალო შთაგონე-  
ბის ძალით, გ. ლეონიძის ნაწერთა კრე-  
ბულში გვხვდება სუსტი, გაუმართავი  
ლექსები.

მაგრამ როგორც არ უნდა გავაკრი-  
ტიკოთ გ. ლეონიძე, თანამედროვე ქარ-

თულ პოეზიაში იგი რჩება ლექსის ტემ-  
პარით ოსტატად, დრამატული მხარის  
და ხალხურ პოეტად. გიგალონიძე

ამგვარად, გ. ლეონიძის შემოქმედება-  
მოგვაგონებს დასაწყისში შეუმჩნეველ  
დაუწმენდავ ნაკადულს, რომელიც თა-  
ვის მსვლელობაში თანდათან დაიწმინდა  
და გადაიქცა დიდ მდინარედ, იგი დღეს  
მჭუხარედ მიემართება თავის გზაზე.  
დღეს იგი საუკეთესო საბჭოთა პოეტია,  
იგი მთელი თავისი შემოქმედებით და-  
კავშირებულია ცხოვრებასთან, ხალხ-  
თან.

## გიორგი მარჯულ

ქართული მწერალი მათე საუკუნისა<sup>1</sup>

2.

დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“  
დაარსების ისტორიისათვის.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ საშუალო საუკუნეთა დასაწყისში დასავლეთ-საქართველოს ქვეყნები გაერთიანებული იყო სახელმწიფოებრივ ერთეულში, რომელსაც ეწოდება ლაზეთის ანუ ეგრიის სამეფო (იგივე კოლხეთი).

ლაზეთის ეს სამეფო ამ დროისათვის საკმაოდ ძლიერსა და მნიშვნელოვან სახელმწიფოს და ამასთან მაღალ-კულტურულ ქვეყანას წარმოადგენს.

მე-4 — 6 საუკუნეებში ლაზეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზს განსაზღვრავდა მისი გეოგრაფიულ მდებარეობა ისეთ ზონაში, სადაც ერთი-მეორეს ხედებოდა პოლიტიკური ინტერესები ამ ეპოქის ორი დიდი იმპერიისა, აღმოსავლეთ-რომისა (ბიზანტიისა) და სასანიანთ ირანისა.

ლაზეთის სამეფოს ხელმძღვანელებს ამ ეპოქაში უხდებოდათ ელასტიური პოლიტიკის წარმოება ამ ორი მეზობელი იმპერიის მიმართ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მე-4 — 6 საუკუნეებში ლაზეთის სამეფო პოლიტიკურ კავშირში იმყოფება ხან ბიზანტიასთან, ხან ირანთან.

თუ რამდენად დაწინაურებული და მაღალ-კულტურული ქვეყანაა ამ დროს ლაზეთი, ეს შეგვიძლია გავითვალისწინოთ ამ ეპოქის ბიზანტიელი ავტორების ცნობებიდან. ერთ-ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსი მე-6 საუკუნისა შემდეგს სწერს ლაზეთის შესახებ:

„ლაზები — ძლიერი და მამაცი ხალხია და სხვა ძლიერ ხალხებსაც მბრძანებლობენ. ისინი ამყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომავდ მეტად ქედმალლობენ და უნდა ითქვას, არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ხალხებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფება<sup>2</sup>, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორკმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყალის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზით და სიცქვიტით... მას

<sup>1</sup> გაგრძელება „მნათობი“ №№ 10, 11 (1949 წ.) 1, 3 (1950 წ.).

<sup>2</sup> 562 — 582 წლებში, რა დროსაც ვეფხინის ეს ცნობა, ლაზეთის სამეფო ბიზანტიის ვაჟუნის სფეროში იყო მოქცეული.

შემდეგ, რაც არგოს ნავი მოადგა მათ ნაპირებს (ე. ი. იაზონისა და კოლხეთის მეფის აიეტის ხანის შემდეგ), ისინი (კოლხები — ლაზები) შეუდგნენ ნაოსნობა-მეზღვაურობას და ვაჭრობაშიაც დიდ სარგებლობას ნახულენოვნეს. დიდი ხანი მთელ ისინი სრულებითაც არ არიან ბარბაროსნი და არც მათებურ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან ურთიერთობის შედეგად ლაზებს შემოღებულ აქვთ სახელმწიფოებრივი წყობა და მათი ცხოვრება კანონებზე დამყარებით არის მოწყობილი. ასე რომ, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას... საკვირველსა და დაუჯერებელ ამბებს, რაც პოეტებმა ასეთის ხელოვნებით შეთხზეს აიეტის (ძველი კოლხეთის მეფის) შესახებ, შესაძლოა გადაჭრით ითქვას, რომ მათი (ლაზების) ეხლანდელ კითარება კიდევ უფრო უკეთესია, ვიდრე წარსული<sup>1</sup>.

ლაზეთის სამეფოს დიდი პოლიტიკური კრიზისის ხანა დაუდგა მე-6 საუკუნეში. ამ დროს, მე-6 საუკუნის 20-იანი წლებიდან მოკიდებული, იწყება დიდი და ხანგრძლივი ომები ბიზანტიისა და ირანის იმპერიებს შორის პოლიტიკური უპირატესობის მოპოვების მიზნით ლაზეთში. ეს ომები, რომელიც ორმოც წლამდე გაგრძელდა და რაც თვით ლაზეთის ტერიტორიაზე სწარმოებდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას, — იმით დასრულდა, რომ ლაზეთის სამეფო საბოლოოდ ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში რჩება.

ამის შემდეგ, მე-6 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული, ბიზანტიის იმპერია მკვიდრად გაბატონდება ლაზეთში, თანდათანობით ზღუდავს ლაზეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და აუქმებს „მეფობას“.

ბიზანტიამ მეფობის ინსტიტუტის გაუქმება ლაზეთში თავდაპირველად სცადა ძალიან მარტივი და უხეში საშუალებით, ზურგს უკან ვერაგულად მოწყობილი პოლიტიკური მკვლევლობის გზით. 554 წელს, როდესაც ჯერ კიდევ ომი სწარმოებდა ბიზანტიასა და ირანს შორის, ბიზანტიის მხედართმთავრებმა ვერაგულად მოჰკლეს ბიზანტიელთა მოკავშირე ლაზეთის მეფე გუბაზ II. ამან უდიდესი აღშფოთება და მღელვარება გამოიწვია ლაზეთში. სახალხო კრებაზე, რომელიც ლაზეთში გაიმართა პოლიტიკური მდგომარეობის გამო და სადაც ბჭობის საგანი იყო ორიენტაციის საკითხი, კრების მონაწილე ლაზი დიდებული აიეტი, ცნობილ ისტორიულ სიტყვაში, მოითხოვდა კავშირის გაწყვეტას ბიზანტიასთან და პირდაპირ ბრალსა სდებდა ბიზანტიის იმპერატორს იუსტინიანეს, რომ ეს ვერაგული მკვლელობა ლაზეთის ქვეყნის მეთაურისა თვით იმპერატორის შთაგონებით არის მოწყობილი<sup>2</sup>.

ბიზანტიის მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ლაზეთში დაწყებული მღელვარებისათვის, მოეწყო გასამართლება მკვლევლობის გამო და სიკვდილით დაესაჯა ლაზთა მეფის უშუალო მკვლელები — ბიზანტიელი მხედართმთავრები, ხოლო ლაზეთის ტახტზე მეფედ დაემტკიცებინა გუბაზ II-ის ძმა, წათე II.

<sup>1</sup> იხ. ავთია სქოლასტიკოსის ისტორია, III, 5.

<sup>2</sup> იხ. აიეტის სიტყვა ავთია სქოლასტიკოსის ისტორიაში, III, 9 — 10.



მაგრამ მას შემდეგ, რაც დასრულდა ომი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის და 562 წლის ზავის შედეგად ბიზანტია საბოლოოდ გაბატონდა ლეონტიუსის ხანტია, როგორც მოვიხსენეთ, თანდათანობით ზღუდავს ლაზეთის ფოებრივ დამოუკიდებლობას და აუქმებს ლაზეთში „მეფობას“. მეფობის ინსტიტუტის გაუქმება, როგორც ირკვევა, მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარა; ამ დროიდან მოკიდებული ლაზეთის ქვეყნის მეთაური აღარ ატარებენ „მეფის“ წოდებულებას.

ბიზანტიამ თუმცა გააუქმა „მეფობა“ ლაზეთში, მაგრამ ბიზანტიის მთავრობას მაინც ვერ დაუნახავს შესაძლოდ ლაზეთის პოლიტიკური ავტონომიის მთლიანად მოსპობა. ლაზეთი შედის ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში არა როგორც პროვინცია, ბიზანტიის თემა, არამედ როგორც ავტონომიური ერთეული რომლის სათავეში სდგას ადგილობრივი მთავარი, „ლაზეთის პატრიკიოსის“ (პატრიკიოს-მაგისტროსის) ტიტულით.



მომდევნო ხანის ისტორია დასავლეთ საქართველოს მე-6 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული მე-8 საუკუნემდე სრულიად შეუსწავლელია, და ამით აიხსნება, რომ დღემდე არ არის სწორ ისტორიულ პერსპექტივაში წარმოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი საშუალ საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა, როგორც არის დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსება მე-8 საუკუნეში.

ამის გამო ჩვენ მოგვიხდება აღვადგინოთ მაგისტრალურ ხაზებში ძირითადი მომენტები დასავლეთ საქართველოს ისტორიისა მე-6 — 8 საუკუნეთა მანძილზე.

თავდაპირველად შევჩერდებით დასავლეთ საქართველოს მმართველი მთავრების სიაზე.

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ მე-6 საუკუნის დასასრულს, 500-იანი წლების ახლო ხანებში, ლაზეთის მთავრების „პატრიკიოსების“ ხარისხი დაუმკვიდრებია ლაზთა ერთ გვარეულობას და ამის შემდეგ ეს ხარისხი ამ გვარის მემკვიდრეობით კუთვნილებად ხდება. ამ დროიდან დაედვა საფუძველი ლაზეთის მთავრების (პატრიკიოსების) ახალ დინასტიას.

ლაზეთის მთავართა ამ დინასტიის მთელმა რიგმა მოღვაწეებმა, როგორც შემდეგ გამოირკვევა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს დასავლეთ საქართველოს მომდევნო ხანის პოლიტიკურ ისტორიაში.

თვით დაარსება დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოსი მე-8 საუკუნეში ამ დინასტიის მოთავეობით მომხდარა და ეგრეთწოდებული „აფხაზთა“ დინასტია, ეს არის, როგორც შემდეგ დავინახავთ, იგივე დინასტია ლაზეთის მთავრებისა.

ამრიგად არ მომხდარა არავითარი „შეცვლა“ დინასტიებისა, მით უფრო არ მომხდარა არავითარი „შეცვლა“ ეთნიური ჯგუფებისა და „დაპყრობა“ დასავლეთ საქართველოსი აფხაზთა მიერ (ხოლო, რაც მთავარია, თვით აფხაზები, როგორ გამოირკვეა, იგივე ქართველები იყვნენ, იმავე საკუთრივ ქართულ ეთნიურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები — ქართვები, მეგრელები და სვანები).



ქართული ავთენტური წყაროები (პირველ რიგში „დივანი მეფეთა“, ისტორიული მემორანდუმი, გამოქვეყნებული მეფის ბაგრატ მეფის, საქართველოს გამაერთიანებელის, მიერ), და ამის გვერდით ჩვენს წინააღმდეგ ტიპური წყაროებისა (თეოდანე ეპითაღმწერელი, თეოდოსი განგრაელი), გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ სრული გენეალოგიური ნუსხა ამ დინასტიისა, რომლის წარმომადგენელი ჯერ ატარებენ ტიტულს ლაზეთის პატრიკიოსებისა, შემდეგ აფხაზეთის ერისთავებისა (როდესაც მე-7 საუკუნის ბოლო წლებში არაბები დაიპყრობენ დასავლეთ საქართველოს ძირითად ტერიტორიებს და ლაზეთის პატრიკიოსები გამაგრდებიან აფხაზეთში), ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ მეფეებისა (მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს ქვეყნები განთავისუფლებულ იქმნა უცხოელთა ბატონობისაგან).

ვინაიდან ჩვენ ქვემოთ არა ერთგზის მოგვიხდება მოვიხსენოთ ცალკეული მოღვაწენი ამ დინასტიისა, მოგვყავს აქ მათი გენეალოგიური ნუსხა, აღდგენილი ქართული და უცხოური წყაროების ჩვენებათა მიხედვით.

(იხ. გენეალოგიური ნუსხა 106 გვერდზე) 1.

გავცენოთ ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს — ლაზეთის მხარეების პოლიტიკური ისტორიის მთავარ მომენტებს მე-6 — 8 საუკუნეთა მანძილზე. წინასწარ რამდენიმე შენიშვნა ლაზეთის სამთავროს საზღვრების შესახებ.

ბიზანტიური წყაროების ჩვენებათა თანახმად, მას შემდეგ რაც ლაზეთის ყოფილი სამეფო ბიზანტიის ფარგლებში მოექცა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრები ამ მხარისა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ბიზანტიურ წყაროებში მე-7 საუკუნის 60-იან წლებში მოიხსენებიან ლაზეთის მთავარი გრიგოლი (რომელსაც წყაროებში ეწოდება „ლაზთა ქვეყნის ჰემმარიტად ქრისტესმოყვარე პატრიკიოსი და მაგისტროსი“, აგრეთვე „სახელოვანი და ღმრთივ-დაცული პატრიკიოსი და ღმრთივ მაგისტ-

1 ძირითადი წყაროები გენეალოგიური ნუსხისა:

ა) „დივანი მეფეთა“. — აქ მოიხსენებიან შემდეგნი მთავარნი, ერისთავნი და მეფენი, რომლებიც სიაში აღნიშნული გვაქვს ნომრებით: 1—4, 6, 7, 9, 10, 12—17, 20—25.

ბ) ჯუანშერის ქრონიკა. — მოიხსენება ლეონ I.

გ) შატრანე ქართლისა. — მოიხსენება ლეონ I და მეფეები, რომლებიც გენეალოგურ სიაში აღნიშნული გვაქვს ნომრებით: 14—17, 20—22, 22-ა, 23—25.

დ) გიორგი მეგრელი. — მოიხსენება მეფე დემეტრე II, ბაგრატ შაროელი (უფლისწული), ანასტასია-მეგრულისი (დედოფალი) და მეფეები კონსტანტი III და გიორგი II.

ე) თეოდოსი განგრაელი. — მოიხსენება მთავრები: გრიგოლი I და ბარნუკი (ლეზარნუკი) I და გიორგი I.

ვ) თეოდანე ეპითაღმწერელი. — მოიხსენება მთავრები ბარნუკი (ლეზარნუკი) I და გიორგი I.

ზ) კონსტანტინე პორფიროგენეტი იმპერატორი და ნიკოლოზ I კონსტანტინეპოლის პატრიარქი. — მოიხსენება მეფე გიორგი II.

ც) იოანე სიმეტა კათალიკოზი. — მოიხსენება მეფე კონსტანტი III.

თ) სტეფანოს ტარონელი. — მოიხსენება მეფეები კონსტანტი III და თეოდოსი III. დაწერილებითი განმარტება გენეალოგიური ნუსხისა, ქრონოლოგიის განსაზღვრით, წარმოდგენილია სპეციალურ ვესტურსში.




ქართული  
გენეალოგიური  
ზინელოგიური

ბენეალოგიური ნუსხა

ლაზეთის მთავართა (პატრიარქოსთა),

შემდგომ დასავლეთ სპარტოვილთა „აფხაზეთის“ მემკვიდრეთა.



\* 868—881 წლების მანძილზე დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ მეფეთა ტახტი უპყრია მეორე დინასტიის (შავლიანთა სახლის) მეფეებს: 18. თანე I-სა და 19. ადარნერსე I-ს.

როსი“), რომლის შემკვიდრეა ლაზეთის მთავარი ლეზარუკი ანუ ლაზარუკი (რომელიც ასევე „ლაზეთის პატრიკოსის“ ტიტულით მოიხსენიება)<sup>1</sup>. წყაროებიდან ირკვევა, რომ მათ დროს ლაზეთის სამთავროს ფარგლებში შედიოდა დასავლეთ საქართველოს იგივე ქვეყნები, რაც ძველად, ლაზეთის სამეფოს არსებობის დროს, სახელდობრ შემდეგი მხარეები:

ა) შიდა-ეგრისი და არგვეთი (ე. ი. თანამედროვე იმერეთი, სამეგრელო და გურია, ქობულეთ-ბათუმის რაიონით), — ვიდრე სკანდა-შორაპანის ხაზამდე აღმოსავლეთით და ქოროხის ხაზამდე სამხრეთით;

ბ) სვანეთი და თაკვერი (ე. ი. თანამედროვე სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი)<sup>2</sup>;

გ) აფხაზეთის მხარეებიდან ორი მხარე: აბსილეთი და მისიმიანეთი, აგრეთვე — „შუა სოფელი“ (მოქვისა და ღრანდის თემები). კერძოდ აქ, „შუა სოფელში“, იყო ერთ-ერთი რეზიდენცია ლაზეთის მთავრისა<sup>3</sup>.

რაც შეეხება საკუთრივ აფხაზეთს (ე. ი. ცხუმი-ბიჭვინთის მხარეს), ჯერ კიდევ ლაზეთის სამეფოს არსებობის დროს, მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში, იმპერატორმა იუსტინიანემ სცადა მისი გამოყოფა ლაზეთის სამეფოდან და უშუალოდ მისი ბიზანტიასთან დაკავშირება<sup>4</sup>. ასევე იმავე იუსტინიანეს დროს ეკლესიურადაც აფხაზეთი ცალკე ერთეულად იქმნა ჩამოყალიბებული.

ამის შემდეგ აფხაზეთის პროვინცია ერთგვარად განკერძოებულ ადგილს იკერს ლაზეთის მხარეთა შემადგენლობაში. იგი თუმცა ლაზეთის ქვეყნის ნაწილად ითვლება (და მოსახლეობის შემადგენლობითაც იგი ქართულია), მაგრამ პოლიტიკური გავლენა ბიზანტიისა აქ უფრო ძლიერია, ვიდრე ლაზეთის სხვა მხარეებში. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა აქ მე-6 საუკუნეში და ასეთი მდგომარეობა გაგრძელებულა იქ მე-7 — 8 საუკუნეებშიაც.

ბიზანტიის მფლობელობამ დასავლეთ საქართველოში, ლაზეთის სამთავროსა და აფხაზეთში ორი საუკუნე გასტანა. (პირველი პერიოდი ბიზანტიელთა მფლობელობისა გრძელდება მე-6 საუკუნიდან მე-7 საუკუნის ბოლომდე, ხოლო მეორე-გზის, არაბთა ხანმოკლე ბატონობის შემდეგ, დასავლეთი საქართველო ისევ ბიზანტიელთა მფლობელობის ქვეშ იმყოფება მე-8 საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე).

დასავლეთი საქართველოს, როგორც ამის შესახებ უკვე გვექონდა საუბარი, და როგორც ამას თითონ ბიზანტიელი ავტორები აღნიშნავენ, იმდენად დაწინაურებული და მაღალ-კულტურული ქვეყანაა ამ დროს, ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიციებით, რომ იგი ცხადია ასე ადვილად არ შერიგებია უცხოელთა ბატონობას.

თვით ბიზანტიაც, როგორც აღვნიშნეთ, ძალაუნებურად ანგარიშს უწყევდა ამ გარემოებას და ამით იყო გამოწვეული, რომ ბიზანტია იძულებული გახ-

<sup>1</sup> იხ. თეოდოსი განგრელი (ს. ყუხჩიშვილის გამოცემა, გეორგიკა, IV, გვ. 50, 49) და თოფანე ეპითაღმწერელის მატანე (ibid., გვ. 105).

<sup>2</sup> იხ. თეოდოსი განგრელი, გვ. 41 — 43.

<sup>3</sup> იხ. თეოდოსი განგრელი, გვ. 42, 44 — 48, 50.

<sup>4</sup> იხ. იუსტინიანეს ნოველა XXXI/XXVIII (ს. ყუხჩიშვილის გამოცემა, გეორგიკა, II, გვ. 198).

დარა შეენარჩუნებინა ლაზეთის ქვეყნისათვის ერთგვარი პოლიტიკური ავტონომია.

აღსანიშნავია, რომ ლაზეთის მთავრებს-პატრიციოსებს თავი დამოუკიდებლად უჭირავთ ბიზანტიის მიმართ, ისინი თავს სთვლიან ბიზანტიის არა ქვეშევრდომებად, არამედ ბიზანტიის მოკავშირეებად.

როგორც გადმოგვცემს ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ქამთაალმწერელი, ერეკლე კეისრის ხანაში, მისი ხანგრძლივი ლაშქრობის დროს აღმოსავლეთში (მე-7 საუკუნის 20-იან წლებში) ლაზები და აფხაზები (ე. ი. აფხაზეთის ქართველები), იბერიელებთან ერთად, ოფიციალურადაც ბიზანტიის მოკავშირეების-მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და სამხედრო თათბირების დროს ისინი თვით კარნახობდნენ სამხედრო გეგმებს. ხოლო როდესაც მათი გეგმა არ იქმნა განხორციელებული, ლაზები და აფხაზები, — როგორც გადმოგვცემს იგივე ისტორიკოსი, — „გამოეთიშნენ რომაელთა მოკავშირეობიდან და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდნენ“<sup>1</sup>.

მე-7 საუკუნის მანძილზე, როგორც ირკვევა, არა ერთგზის ჰქონია ადგილი კონფლიქტს ბიზანტიასა და ლაზეთის სამთავროს შორის. ასე, მაგალითად, თეოდოსი განგრელის თხზულებიდან, რომელიც მე-7 საუკუნის 60-იან წლებს ეხება, ჩვენ ვგებულობთ, რომ ამ დროს, 60-იან წლებში, ორგზის ყოფილა გადაყენებული ლაზეთის მთავრები.

უერთიერთობა ბიზანტიასა და ლაზეთის სამთავროს შორის მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ირკვევა, დიდად გამწვავებული ყოფილა; ეს მტკიცდება იმ ამბებიდან, რაც ამის შემდეგ, მე-7 საუკუნის დასასრულს დატრიალდა.

მე-7 საუკუნის მეორე ნახევრიდან ლაზეთის სამთავროს საზღვრებთან ჩნდება ახალი ძალა — არაბობა. ამ დროს არაბებმა მკვიდრად მოიდგეს ფეხი კავკასიაში და არაბთა ხალიფატი უშუალო მეზობელი გახდა ლაზეთის სამთავროსი.

მე-7 საუკუნის დასასრულს, 697 წელს, ლაზეთის სამთავროში მოხდა აჯანყება ბიზანტიის წინააღმდეგ ლაზეთის მთავრის გიორგი ბარნუკისძის მოთავეობით.

რა ვითარებაში მომზადდა და ჩატარდა ეს აჯანყება, ამის შესახებ ცნობები არ შენახულა; ირკვევა მხოლოდ, რომ აჯანყებულნი სცდილან გამოეყენებიათ ბიზანტიელების წინააღმდეგ არაბები.

ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ქამთაალმწერელი ამ აჯანყების გამო სწერს:

„697 წელს აჯანყდა (ბიზანტიის წინააღმდეგ) ლაზეთის პატრიციოსი გიორგი ბარნუკის-ძე და ეს ქვეყანა (ლაზეთი) არაბებს დაუქვემდებარა“.

როგორც მოვიხსენეთ, საისტორიო წყაროებში არ შენახულა ცნობები ამის შესახებ, თუ რა ვითარებაში მომზადდა და ჩატარდა აჯანყება, თუ როდის მიმართეს აჯანყებულებმა არაბებს, აჯანყების დასაწყისშივე, თუ შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ აჯანყებულნი საკუთარის ძალებით ვერ უმკლავდებოდნენ ბიზანტიელებს.

<sup>1</sup> იხ. თეოფანე ქამთაალმწერელი, იქვე, გვ. 97.

<sup>2</sup> იხ. თეოფანე ქამთაალმწერელი, იქვე, გვ. 105.



ყოველ შემთხვევაში აქ ხაზგასასმელია შემდეგი. ის გარემოება, რომ საშუალო საუკუნეთა იდეოლოგიის პირობებში, როდესაც ასეთი ვიწრომხედობა და სარწმუნოებრივ შეურიგებლობას, აჯანყებულნი დაკავშირდნენ „არაბებს ერთმორწმუნე ბიზანტიელების წინააღმდეგ, გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდი ყოფილა უკმაყოფილება ბიზანტიელთა საუკუნე-ნახევრის ბატონობით დასავლეთ საქართველოში.

აჯანყებულებმა ცხადია გარკვეული დაპირებანი მიიღეს არაბებისაგან. მაგრამ ეს დაპირებანი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ იქმნენ გამართლებულნი.

უახლოეს ხანებში გამოირკვა, თუ რამდენად შემცდარი იყო ის გზა, რომელიც აჯანყებულებმა აირჩიეს არაბებთან კავშირის გაბმით.

საქმე საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ არაბებმა გზა გაიხსნეს დასავლეთ საქართველოსაკენ.

არაბებმა ფაქტიურად დაიკავეს დასავლეთი საქართველო თითქმის მთლიანად, გარდა ზოგიერთი ზღვის სანაპირო ქალაქებისა, რომლებიც შეინარჩუნეს ბიზანტიელებმა.

ამრიგად 697 წლის აჯანყების შემდეგ ქვეყანამ არა თუ თავისუფლება ვერ მოიპოვა, არამედ ბევრად უფრო მძიმე განსაცდელში ჩავარდა. ბიზანტიელების მფლობელობა შეიცვალა ბევრად უფრო მძიმე უღელით, ბარბაროსი არაბების ბატონობით.

არაბების ბატონობამ დასავლეთ საქართველოში გასტანა ნახევარი საუკუნე, 697 წლიდან — მე-8 საუკუნის 40-იან წლებამდე.

თუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა არ ურიგდებოდა და წინააღმდეგობას უწევდა ბიზანტიელთა მფლობელობას, მით უფრო მძაფრი წინააღმდეგობა უნდა გამოეწვია არაბების ბატონობას, რომელიც აქაც, დასავლეთ საქართველოში, იმავე ბარბაროსულ სახეს ატარებდა, მოსახლეობის ისეთივე უსაზღვრო შევიწროებით, არაბთა ლაშქრის ისეთივე დამჯელი ექსპედიციებით, როგორც კავკასიის სხვა ქვეყნებში.

მე-8 საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში დასავლეთ საქართველოში გაიშალა ფართე მოძრაობა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

არაბთა საწინააღმდეგო ამ მოძრაობას ორგანიზებული სახე მისცა და სათავეში ჩაუდგა ლაზეთის მთავარი ლეონ I.

ლეონ I მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა მე-8 საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ლეონ პირველმა, როგორც არაბთა საწინააღმდეგო მოძრაობის ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, დიდი ღვაწლი დასდო თავის ქვეყანას.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა განხილვა და საერთო პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინება გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ლეონ I-ის მოღვაწეობა ხასიათდებოდა დიდი სახელმწიფოებრივი ტაქტით, პოლიტიკური ვითარების სწორი შეფასებით.

ლეონ I, მას შემდეგ რაც იგი შესდგომია არაბთა საწინააღმდეგო ბრძოლას, გასცლია შიდა-ეგრისს, სადაც მკვიდრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული

არაბებს, გადასულა ლაზეთის ქვეყნების ჩრდილოეთ სანაპიროზე აფხაზეთში და იქ გამაგრებულა.

მე-8 საუკუნის ოციან წლებამდე აფხაზეთი, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მხარეები, არაბების ხელში იყო. ამ დროს „სარკინო-ზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც“ — როგორც ეს აღნიშნულია თეოფანე ქათალმწერელის მატიანეში (ცნობა 717 წლის თარიღით).

ლეონ I-ს გაუნთავისუფლებია არაბებისაგან აფხაზეთის მხარეები, როგორც საკუთრივ აფხაზეთი, ისე აბსილეთი, მისიმიანეთი და სანიგეთ-ჯიქეთი.

ლეონ I-ს აფხაზეთის მხარეთა განთავისუფლებისათვის ბრძოლების დროს ასლო ურთიერთობა დაუმყარებია ბიზანტიასთან.

ლეონ I-სათვის, როგორც რეალური პოლიტიკოსისათვის, რასაკვირველია ამკარა უნდა ყოფილიყო, რომ იგი ვერ შესძლებდა ვერც აფხაზეთის მხარეების შენარჩუნებას, და ვერც შემდგომი ბრძოლის განგრძობას დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის არაბთა მსოფლიო იმპერიის — ომეიადების ხალიფატის წინააღმდეგ, თუ იგი არ დაემყარებოდა მეორე დიდ სავრთაშორისო ძალას ამ ეპოქაში, ე. ი. ბიზანტიის იმპერიას.

ამის გამო ლეონ I-ს პოლიტიკური კავშირი დაუმყარებია ბიზანტიასთან და უცვნია ბიზანტიის კეისრის სიუზერენიტეტი. ამავე დროს თვით ბიზანტიასაც გარკვეული ვალდებულებანი აუღია და კერძოდ ლეონ I-ის დინასტია უცვნია მემკვიდრეობით მფლობელებად არაბებისაგან განთავისუფლებული აფხაზეთის მხარეებისა — კეისრის ერისთავის (ერისმთავრის) — არქონტის ტიტულით.

ბიზანტიის სიუზერენიტეტის აღიარება ლეონ I-ს მიერ ეს იყო რასაკვირველია კომპრომისი, მაგრამ იგი ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მდგომარეობის სწორი შეფასებით, ეს იყო ნაკლები ბოროტება და ამასთან ერთად-ერთი გამოსავალი შექმნილს პოლიტიკურ ვითარებაში.

ამ გზით დაედვა საფუძველი ახალ პოლიტიკურ ერთეულს „აფხაზეთის“ სამფლობელოს, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა არაბთაგან განთავისუფლებული ლაზეთის ქვეყნის მთელი ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილი, — აფხაზეთის მხარეები, — საკუთრივ აფხაზეთი, აბსილეთი, მისიმიანეთი და სანიგეთ-ჯიქეთი ვიდრე ნიკოფსიამდე (ძველ ლაზიკამდე).

ლეონ I, მფლობელი ლაზეთის ამ ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროსი — აფხაზეთის მხარეებისა — სჩანს წარმატებით განაგრძობდა ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ.

რომ ლეონ I-ს მნიშვნელოვანი წარმატებისთვის მიუღწევია არაბებთან ბრძოლაში, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ლეონ I-თან ურთიერთობაში შესულან და კავშირი გაუბამთ ანტი-არაბული ფრონტის მეთაურებს იბერიაში (ქართლში), იბერიის მთავრებს მირსა და არჩილს.

არაბებს გადაუწყვეტიათ ერთხელ და სამუდამოდ მოესპოთ წინააღმდეგობის ეს კერა დასავლეთ საქართველოში. ამ მიზანს ისახავდა ის დიდი ლაშქრობა, რომელიც ჩაატარა დასავლეთ საქართველოში 736 — 738 წლებში ხალიფის მოადგილემ კავკასიაში ამირა მურვანმა, რომელსაც უმაგალითო სისასტიკის გამო ქართველმა ხალხმა სახელად შეარქვა „მურვან-ყრუ“.

არაბთა მხედრობამ, თვით მურვანის სარდლობით, ცეცხლითა და მახვილით გაიარა დასავლეთ საქართველოზე. როგორც მოგვითხრობს მემატიანე, მურვან-

მა „შემუსრა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი“ დასავლეთ საქართველოსი, კერძოდ დაანგოია ლაზეთის ყოფილი სამეფოს ძველი დედაქალაქი ცხენგოჯი (ხაქალაქევი) <sup>1</sup>.

დასავლეთ საქართველოს შიდა-ნაწილის (არგვეთისა და ქუბანის) სამეფების შემდეგ, მურვანი შეიჭრა აფხაზეთის მხარეებში, სადაც გამაგრებულნი იყვნენ ლეონ I და მისი მოკავშირეები იბერიის მთავარი მირ და არჩილ. შემატინანს სიტყვით მურვანის ლაშქარმა „შემუსრა და შეველო ზღუდე, საზღვარი კლისურისა, და შემუსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი“ <sup>2</sup>. არაბთა ლაშქარის ერთი ფრთა (სულეიმან ისამის-ძის სარდლობით) ავიდა მისიამიანეთში, აიღო და გაანადგურა ეგრეთ-წოდებული „რკინის-ციხე“ <sup>3</sup>.

ცხუმის აღების შემდეგ არაბთა ლაშქარი, მურვანის მხედართმთავრობით, წოდდა ანაკოფიის ციხეს, აფხაზეთის მხარეთა შუა ნაწილში.

აქ ანაკოფიის მიდამოებში შეჩერებულ იქმნა არაბთა ჯარის ეს მსვლელობა. გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც გაუმართეს არაბებს ანაკოფიის კედლებთან იბერიელებმა და აფხაზეთის შეერთებულმა ჯარებმა, გამარჯვება ერგო იბერიელ—აფხაზთა შეერთებულ მხედრობას.

ამავე დროს არაბთა ჯარში, როგორც სჩანს, ჰირიცი გაჩენილა. ამის შემდეგ მურვანი იძულებული გამხდარა უკან დაეხია აფხაზეთის მხარეებიდან <sup>4</sup>.

ასე დასრულდა მურვან-ყრუს ეს ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში, რომლის შემდეგ საბოლოოდ განმტკიცდა პოლიტიკური მდგომარეობა ამ ახალი პოლიტიკური ერთეულისა, — „აფხაზეთის“ სამფლობელოსი. არაბები თუმცა ამის შემდეგაც ფლობენ დასავლეთ საქართველოს ძირითად ნაწილს, მაგრამ ლაზეთის ქვეყნის ეს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — „აფხაზეთის“ სამფლობელო — საბოლოოდ თავისუფლდება არაბთა ბატონობისაგან.

ანაკოფიის ზემოთდასახლებული ბრძოლა ღირსსახსოვარი იყო კერძოდ იმის გამო, რომ აქ ერთად, ერთი დროშის ქვეშ იბრძოდნენ იბერიელები და აფხაზები (ე. ი. აფხაზეთის ქართველები). საერთო საქმისათვის ერთად დაღვრილი სისხლი იბერიელებისა და აფხაზებისა იყო საწინდარი საქართველოს ამ ორი მხარის, იბერიისა და ლაზეთ-აფხაზეთის, მომავალი პოლიტიკური ერთობისა.

•

ახალი მოსაბრუნე თარიღი დასავლეთ საქართველოს ისტორიაში იწყება მე-8 საუკუნის 40-იანი — 50-იანი წლებიდან.

მე-8 საუკუნის 40-იან წლებში არაბთა ხალიფატში, როგორც ცნობილია, იწყება დიდი შინაგანი არეულობა. ამირა მურვანი (მურვან-ყრუ), ომეიადების დინასტიის წევრი, 744 წელს მიდის კავკასიიდან სირიაში და ბრძოლებს შემდეგ იჭერს ხალიფის ტახტს. მაგრამ მღელვარება და არეულობა ხალიფატში ამით არ ოასრულებულა და თანდათან ძლიერდებოდა.

ეს შინაგანი არეულობა ხალიფატში დასრულდა ომეიადების დინასტიის დაცემით. მურვანი, უკანასკნელი ხალიფი ომეიანთა დინასტიისა, მოკლულ იქმნა 750 წელს.

<sup>1</sup> იხ. ჯუანშერის მატიანე, გვ. \* 419/201.

<sup>2</sup> იხ. ჯუანშერის მატიანე, იქვე.

<sup>3</sup> იხ. თეოდანე ეპითაღმწერელი, იქვე, გვ. 115.

<sup>4</sup> იხ. ჯუანშერის მატიანე, გვ. \* 420 — 424/201 — 204.



ამის შემდეგაც, უახლოეს წლებში, სანამ განმტკიცდებოდა მდგომარეობა ახლად დამკვიდრებული აბასიდების დინასტიისა, არაბთა ხალხთაგან მოკლებულია საშუალებას გამოიჩინოს აქტივობა ხალიფატის ისეთ შიშველ ნიჟარებში, როგორც იყო კავკასია.

ამავე დროს, იმ დიდი რეფორმების შედეგად, რომელიც ჩატარდა ბიზანტიაში გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის და დიდი მხედარმთავრის ლეონ III ისავრიელის (717 — 741 წ.) დროს, იწყება ნამდვილი აღორძინება ბიზანტიისა და მისი სამხედრო ძლიერების განუხრელი ზრდა. 740 წელს მოპოვებულ იქმნა დიდი გამარჯვება არაბებზე. ამის შემდეგ, ლეონ III-ის მემკვიდრის კონსტანტინე IV-ის დროს, 745 და 751 წლებში, ბიზანტიამ დიდი სამხედრო წარმატება მოიპოვა ხალიფატთან ომებში და იმპერიასთან შემოერთებულ იქმნა მნიშვნელოვანი ტერიტორიები სირიაში, მესობოტამიაში და სომხეთში.

რაც შეეხება საქართველოს ქვეყნებს, იბერიასა და დასავლეთ საქართველოს, ლაზიკა-აფხაზეთს, რომლებიც ჯერ კიდევ ხალიფატის ძლიერების ხანაში აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ არაბებს, ამის შემდეგ, როდესაც არაბთა ხალიფატს კრიზისის ხანა დაუდგა, თავს დააღწევდნენ არაბთა ბატონობას.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ სწორედ ამ დროს, მე-8 საუკუნის 40-იან — 50-იან წლებში, იბერიის მთავრის არჩილის დროს აღდგენილ იქმნა, თუმცა ხანმოკლე დროის მანძილზე (744 — 759 წლებში), იბერიის (ქართლის) დამოუკიდებლობა, „მეფობა ქართლისა“<sup>1</sup>.

ამავე დროს, მე-8 საუკუნის 40-იან — 50-იან წლებში მომხდარა დასავლეთ-საქართველოს განთავისუფლება არაბთა მფლობელობისაგან.

აქ, დასავლეთ საქართველოში, არაბთა წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს საერთო ფრონტი ბიზანტიის იმპერიისა და დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოსი.

მთავარი როლი დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებაში არაბთა ბატონობისაგან შეუსრულებია, როგორც ირკვევა, დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოსი, რომელიც, ჯერ კიდევ არაბთა მფლობელობის ხანაში გადაიქცა დასავლეთ საქართველოს თავისუფლების პირველ კერად.

რაც შეეხება ბიზანტიას, დახმარება ბიზანტიისა ამ შემთხვევაში, როგორც ირკვევა, არ ყოფილა იმდენად დიდი, ეს დახმარება სხანს უფრო პოლიტიკური თანაგრძნობით განისაზღვრებოდა, ხოლო რაიმე მნიშვნელოვანი მონაწილეობა თვით ბრძოლებში ბიზანტიას არ მიუღია (ყოველ შემთხვევაში არავითარი ცნობა არც ქართულ წყაროებში და არც ბიზანტიურ წყაროებში არ შენახულა იმის შესახებ, რომ ბიზანტიას ამ ეპოქაში ეწარმოებინოს რაიმე სამხედრო ოპერაცია დასავლეთ საქართველოში).

მას შემდეგ, რაც დასავლეთი საქართველო განთავისუფლებულ იქმნა არაბთა მფლობელობისაგან და ამრიგად ფაქტიურად ხელახლა გაერთიანდა ლაზეთის ყოფილი სამთავროს ქვეყნები და „აფხაზეთის“ მხარეები ერთ პოლიტიკურ ერთეულად „აფხაზეთის“ მფლობელის მმართველობის ქვეშ, — ბიზანტიას, როგორც „აფხაზეთის“ სამფლობელოს სიუზერენს, უცვნია მომხდარი ფაქტი და მოუხდენია ამ ახალი მდგომარეობის პოლიტიკური რეგლამენტაცია. ამის შემდეგ „აფხაზეთის“ მფლობელი ოფიციალურად არის ცნობილი როგორც მეთაური გაერთიანებული დასავლეთ საქართველოსი, ბიზანტიის სიუზერენიტეტის ქვეშ.

1 იხ. ზემოთ, თავი III (№ 10, გვ. 168 — 170).

ამ დროიდანვე ხმარებაში შემოდის დასავლეთ საქართველოს ზოგადი სახელწოდების სახით „ქვეყანა აფხაზეთისა“, როგორც დინასტიური ტერმინი, რამდენადაც „აფხაზეთის“ მფლობელი ამავე დროს არის მეთაური, მფლობელი და სავლეთ საქართველოსი.

არაბთა განდევნით დასავლეთ საქართველოდან მე-8 საუკუნის შუაწლებში დასრულდა პირველი ეტაპი დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისა.

ამის შემდეგ გადასაქრელი რჩება ისევ იგივე ძველი საქიბოროტო საგანი — ბიზანტიელთა ოპიკის თავიდან მოშორების საკითხი.

ეს მეორე საკითხიც გადაჭრილ იქმნა იმავე მე-8 საუკუნეში, საუკუნის დასასრულს.

სახელმწიფო მოღვაწე, რომლის დროს და რომლის ხელმძღვანელობითაც შესრულებულ იქმნა ეს ისტორიული აქცია — განთავისუფლება დასავლეთ საქართველოსი ბიზანტიის პოლიტიკური ოპიკისაგან — იყო დასავლეთ საქართველოს (იმავე „აფხაზეთის“) მფლობელი ლეონ II.

ლეონ მეორეს მიუღია „აფხაზეთის“ მფლობელის ხარისხი მე-8 საუკუნის 50-იან წლებში („მეფეთა დივანი“-ს ტექსტის მიხედვით დაახლოებით 753 წელს); ე. ი. იმ წლებში, როდესაც ბოლო ელებოდა არაბთა ბატონობას და საფუძველი ეყრებოდა დასავლეთ საქართველოს ქვეყნების გაერთიანებას ერთ პოლიტიკურ ერთეულად „აფხაზეთის“ მფლობელის მმართველობის ქვეშ.

ლეონ მეორის მმართველობა გავრცელებულა თითქმის ნახევარი საუკუნე („მეფეთა დივანი“-ს ტექსტის მიხედვით 753 წლიდან — 798 წლამდე).

ლეონ II-ის ამ ხანგრძლივი მმართველობის დროს მომხდარა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს პოლიტიკური კონსოლიდაცია და მდგომარეობის განმტკიცება.

ლეონ II, რომლის მფლობელობის ქვეშ გაერთიანებულია ყოფილი ლაზეთის სამეფოს ქვეყნები, არ კმაყოფილდება კეისრის ერისთავის (ერისთავარის) — არქონტის ტიტულით; ლეონ II, ვიდრე იგი გადაუდგებოდა ბიზანტიას და დამოუკიდებელ მეფობას აღადგენდა დასავლეთ საქართველოში, ამაზე ადრე, ჯერ კიდევ ბიზანტიის სიუზერენიტეტს ქვეშ, ლებულობს „მთავრის“ წოდებულებას.

„მთავრის“ ტიტულის მიღება ლეონ II მიერ მე-8 საუკუნის 80-იან წლებზე ადრე მომხდარა. იოანე საბანის-ძის თხზულებაში, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს 781 — 782 წლებში, ლეონ II უკვე „მთავრის“ ტიტულით მოიხსენება.

იოანე საბანის-ძის თხზულებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი წარმატებისათვის მიუღწევია დასავლეთ საქართველოს ლეონ II-ის ხანგრძლივი მმართველობის დროს. ქვეყანას უკვე მოუშუშებია ძველი ტერიტორიები. დასავლეთი საქართველო ამ დროს, იოანე საბანისძის სიტყვით, „კრძალულ არს შიშისაგან სარკინოზთისა“, ქვეყანა სარგებლობს მშვიდობიანი ცხოვრებით და მოწესრიგებული სახელმწიფოებრივი წყობით.

იოანე საბანის-ძის თხზულებიდან ჩვენ ვგებულობთ აგრეთვე, რომ ის კავშირი, რომელიც გაიბა იბერიასა და დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს შორის მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც იბერიელები და აფხაზები (აფხაზეთის ქართველები) ერთი დროშის ქვეშ იბრძოდნენ

არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ, გრძელდება მე-8 საუკუნის — მეორე სიქვარშიაც. იბერიელებს, რომელთაც ისევ უხდებათ ბრძოლის განგრძობა არაბთა წინააღმდეგ, ზურგი გამაგრებული აქვთ დასავლეთ საქართველში, ქართლის ერისმთავარს ნერსე II-ს, რომელიც მე-8 საუკუნის 80-იან წლებში განდგომას ამზადებდა არაბთაგან, როგორც ირკვევა, კავშირი ჰქონდა დამყარებული ლეონ II-სთან. (ნერსე ერისმთავარმა, განდგომის განცხადებამდე, წინასწარ დახიზნა თავისი ოჯახი დასავლეთ საქართველოში, ლეონ II-ის კარზე. უფრო გვიან, აქვე, დასავლეთ საქართველოში, ლეონ II-ის კარზე პოულობენ თავშესაფარს არაბთაგან ლტოლვილი იბერიელი ემიგრანტები) <sup>1</sup>. ეს ახლო კავშირი და თანამშრომლობა ძალაში რჩება შემდეგ ხანაშიაც <sup>2</sup>.

ლეონ II-ს, ვიდრე იგი ბიზანტიას გადაუდგებოდა და დამოკიდებულობას გამოაცხადებდა, ამაზე უფრო ადრე დიდი დიპლომატიური წარმატებისათვის მიუღწევია ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის ხაზით.

სახელდობრ ლეონ II-ის დროს მომხდარა შემოერთება კოლხეთის სამხრეთი სანაპიროსი — ტრაპიზონის მხარისა.

სამხრეთი კოლხეთი, ტრაპიზონის მხარე, რომელიც მოსახლეობის შემადგენლობის მხრით ძირითად ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, პოლიტიკურად მოქცეული იყო ჯერ რომის იმპერიის ფარგლებში (პირველი საუკუნიდან მოკიდებული), ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ-რომის — ბიზანტიის ფარგლებში.

საისტორიო წყაროების ჩვენების თანახმად მე-4 — 6 საუკუნეებში საზღვარი ბიზანტიასა და დასავლეთ საქართველოს „ლაზეთის“ სამეფოს შორის შემდეგი ყოფილა:

ა) ლაზეთის სამეფოს უშუალო სამფლობელოს სამხრეთი საზღვარი აღწევდა ქოროხისა და ზუფათის (ზოფას) ზონამდე. მე-5 საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორის ლეონ I-ისა და ლაზეთის მეფის გუბაზ I-ის დროს საზღვარად დადგენილი ყოფილა ციხე ზუფათი (თანამედროვე ზოფა თურქეთში, რიზე — ლაზისტანის სანჯაკში) <sup>3</sup>. შემდეგ, მე-6 საუკუნისათვის, საზღვარის ხაზი ოდნავ ჩრდილოეთით გადამოწეულა და გასდევდა თვით მდინარე ქოროხზე <sup>4</sup>.

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, თავი IV (№ 11, გვ. 124 — 125).

<sup>2</sup> მოვიხილოთ თანამშრომლობა იბერიის მეფე-კურაპალატის აშოტ I-ისა და დასავლეთ საქართველოს მეფის თეოდოსი II-ისა მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედში.

<sup>3</sup> პავლიოვსკის ძეგლში — დანიელ მესვეტის ცხოვრებაში — საზღვარის დადგენის გამო მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნულია:

... მოვიდა ლიბაზიანის (გუბაზი) მეფე აფხაზთა (ლაზთა) ხელად ლეონ მეფისა ბერძენთისა, ხოლო აქენდა ორთავე ამით მეფეთა საურავი რაზმე ქვეყანათა დაწყნარებისათვის და ზღვართა განყოფისა, სადამდის ირს საბერძნეთისა (ბიზანტიისა) ანუ მეგრელთა აფხაზეთის (ლაზეთის) სამეფოსა... და დასდევს საზღვრად ციხე ზუფათი\* (იხ. ზელნაწერი A-397, გვ. 400, და კ. კეკელიძის გამოცემა, *Историко-агиографические отрывки, Христианский Восток. 1913 г., т. II, вып. 2, стр. 188 — 190*).

<sup>4</sup> მე-6 საუკუნის ბიზანტიელი ავტორების ცნობით აფხარია (ქოროხის სამხრეთით) ბიზანტიის საზღვრებში ითვლებოდა, ხოლო პეტრია (ქოროხის ჩრდილოეთით) ლაზეთის ფარგლებში იყო მოქცეული.

ბ) ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ქორთხი-ხუფათის სექტორის სამხრეთით ვიდრე დაბა სურმენეს სექტორამდე, ე. ი. რიზე—ათინა—ერკემის მხარე (ტერიტორია თანამედროვე რიზე—ლაზისტანის სანჯაკისა) და მდებარეობს ბუფერულ ზონას ბიზანტიის იმპერიასა და ლაზეთის სამეფოს შორის. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით ამ მხარის მცხოვრებნი არც რომელთა (ბიზანტიელთა) და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომნი არ არიან, გარდა იმისა, რომ ისინი ქრისტიანები არიან და ლაზთა ეპისკოპოსები უწყებენ მათ მღვდელმთავრებს<sup>1</sup>. ამრიგად ეს ბუფერული ზონა ეკლესიურად ლაზეთთან ყოფილა დაკავშირებული.

გ) დაბა სურმენეს სექტორიდან იწყებოდა საკუთრივ ტრაპიზონის მხარის ტერიტორია, რომელიც ქალდიის (ხალდიის) სახელწოდებით არის ცნობილი და რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში იყო მოქცეული.

ასეთი იყო პოლიტიკური საზღვრები დასავლეთ საქართველოსი და ბიზანტიისა აღრეულ საშუალ-საუკუნეებში.

ზოლო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა შეცვლილა და ტრაპიზონის მხარე, რომელიც მოსახლეობის მხრით ძირითად ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, პოლიტიკურადაც გაერთიანებულია დასავლეთ საქართველოსთან (დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოსთან).

ბიზანტიის იმპერია, როგორც ირკვევა იძულებული გამხდარა ანგარიში გაეწია პოლიტიკურად უკვე გაძლიერებული დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“ სამფლობელოს) მოთხოვნისათვის და წასულა ასეთ დათმობაზე, რათა უზრუნველ ეყო ბიზანტიასა და დასავლეთ საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური კავშირი.

ზოლო თვით ეს ფაქტი, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, ლეონ II-ის დროს, ტრაპიზონის მხარე დასავლეთ საქართველოს ნაწილს შეადგენს,—დასტურდება მთელი რიგი წყაროებით.

პირველ რიგში აქ შევხერდებით მე-8 საუკუნის ავტორის იოანე საბანისძის ჩვენებაზე.

იოანე საბანისძის თხზულებაში, რომელიც 786 წლის ახლო ხანებში არის დაწერილი (ლეონ II-ის დროს), დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს საზღვრები ასეა აღნიშნული:

„საზღვარ მათდა არს ზღვა იგი პონტოისა (შავი ზღვა), სამკვიდრებელი ყრვალდვე ქრისტეანეთა, მისაზღვრამდე ქალდიისა. ტრაპიზონტი მუნ არს, საყოფელი იგი აფხარეისა, და ნაფსაის ნათსადგური“<sup>2</sup>.

როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმა „მისაზღვრამდე ქალდიისა“: შედიოდა თუ არა თვით ქალდია (ე. ი. ტრაპიზონის პროვინცია) დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოში, თუ დასავლეთ საქართველო მხოლოდ აღწევდა ქალდიის მიჯნამდე?

ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო აკად. ს. ჯანაშია და ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალდია (ტრაპიზონის პროვინცია) თითქოს არ შედიოდა დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“ სამფლობელოს) ფარგლებში“. წერილში „О времени и условиях возникновения Абхазского царства“ იგი სწერს:

<sup>1</sup> იხ. პროკოპი კესარიელი, De bello cothico (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ვეროკია, II, გვ. 95).

<sup>2</sup> იხ. იოანე საბანისძე, გვ. 66.

Абхазия в политическом смысле не простиралась южнее реки Чорохи и если ли она когданибудь ее достигала; в отношении понимания текста спор на наш взгляд исключается выражением памятника „მისაზღვრამდე ქალდიასა“ «до (т. е. Абхазия простирается до) границ Халдны», а перечисление некоторых прибрежных пунктов (Трапезунд и др.) дано в качестве географического определения Халдны. Под последним подразумевается Византийская провинция, входившая в изучаемый нами период к Армениак... Такое разграничение Халдны и Абхазии в рассказе современника вполне естественно; Халдны представляла собою непосредственную административную часть империи, а Абхазия—лишь вассальную зависимое княжество». <sup>1</sup>

ეს შეხედულება არ მართლდება.

ჯერ ერთი, არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს ტრაპეზუნტის პროვინცია ამ ეპოქაში შედიოდა „არმენიაკის“ თემაში. ს. ჯანაშია ამ შემთხვევაში იმეორებს ვ. ვასილიევსკის მიერ გამოთქმულს პიპოთეტიურ მოსაზრებას, რაც წყაროების ჩვენებით არ დასტურდება.

მაგრამ დავუბრუნდეთ იოანე საბანის-ძის ტექსტს.

იოანე საბანის-ძის ტექსტის ჩვენება, რომ დასავლეთ საქართველოს საზღვარი არისო შავი ზღვა „მისაზღვრამდე ქალდიასა“, როგორც ირკვევა ისე უნდა იქნას გაგებული, რომ ქალდია დასავლეთ საქართველოს ნაწილი ყოფილა. (ეს ისეთივე გამოთქმაა, როგორც მაგალითად შემდეგი: „საქართველოს აღმოსავლეთი მიჯნა უწყევს მისაზღვრამდე კახეთისა“).

რომ ტექსტის მხოლოდ ამნაირი გაგებაა სწორი, ეს უდავოდ დასტურდება მომდევნო წინადადებიდან: „ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ი მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაისა, და ნ ა ფ ს ა ი ს ნავთსადგური“.

რა პუნქტებია ეს პუნქტები და რისთვის ასახელებს მათ ჩვენი ავტორი?

იოანე საბანის-ძე აქ ასახელებს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სამ პუნქტს შემდეგის განრიგებით: 1) ყველაზე სამხრეთს; 2) ცენტრალურ პუნქტს; და 3) ყველაზე ჩრდილოეთს.

ყველაზე სამხრეთით მდებარე პუნქტია — ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ი;

ცენტრში მდებარეობდა ციხე-ქალაქი აფსარე (მდინარე კოროხის ზონაში, კოროხიდან 5 კილომეტრით სამხრეთით);

ხოლო ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პუნქტი დასავლეთ საქართველოსი იყო, როგორც ცნობილია, ნიკოფსია, იგივე ნაფსაის ნავთსადგური.

ამ რიგად იოანე საბანის-ძის ტექსტის შინაარსი შემდეგია. (მოგვყავს მთელი ტექსტის კომენტარებული თარგმანი ახალ-ქართულზე).

„საზღვარი მათი [ე. ი. დასავლეთ საქართველოს „აფსაზეთის“ სამფლობელოსი] არის შავი ზღვა [„ზღვა პონტოსი“], სამკვიდრებელი ქრისტიანეთა, სადამდისაც მიუწყევს ქალდიის თემის საზღვარი [„მისაზღვრამდე ქალდიასა“]. იქ [დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე] მდებარეობენ: ტრაპეზუნტი [სამხრეთ მიჯნასთან], აფსარი [შუაში] და ნაფსაის ნავთსადგური [ჩრდილოეთ მიჯნასთან]“.

სხვანაირი ინტერპრეტაცია ამ ტექსტისა შეუძლებელია.

მიემართოთ ამის შემდეგ სხვა წყაროებს.

რომ ტრაპეზუნტი და მისი პროვინცია მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს ფარგლებში შედიოდა, ამას ადასტურებს, გარდა იოანე საბანის-ძის თხზულებისა, მთელი რიგი სხვა საისტორიო წყაროების ჩვენებანი.

<sup>1</sup> იბ. ს. ჯანაშია, დასახლებული წერილი, ენიშის მოამბე, VIII, 1940 წ., გვ. 150.

2. აქტები მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებისა (რომელიც 787 წელს შესდგა), გვიჩვენებს, რომ ტრაპეზუნტი ამ დროს ეკლესიურად დეკავშირებულია დასავლეთ საქართველოსთან.

მე-7—8 საუკუნეებში, იმ ხანაში, როდესაც ტრაპეზუნტი უშუალოდ ბიზანტიის ფარგლებში შედიოდა, ტრაპეზუნტი ეკლესიურად ითვლებოდა პოლემონიის პონტოს მიტროპოლიის შემადგენლობაში (ამას ადასტურებს მე-7—8 საუკუნეთა ექთესისები)<sup>1</sup>. ხოლო როდესაც ტრაპეზუნტი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში შესულა, ეკლესიურად ტრაპეზუნტი გაერთიანებულა ლაზიკის მიტროპოლიასთან, რომლის ცენტრად ითვლებოდა ქალაქი ფასისი (ფოთი); ამ გაერთიანების შემდეგ ფასისი (ფოთი) და ტრაპეზუნტი ერთ მიტროპოლიას, ერთ საეპისკოპოსო კათედრას წარმოადგენს. ამას ადასტურებს მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების შემოთ-დასახელებული აქტები 787 წლისა, რომელსაც, სხვა მონაწილეებთან ერთად, ხელს აწერს: „ქრისტეფორე, ეპისკოპოსი ფასისისა ანუ ტრაპეზუნტისა“.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტალურ ჩვენებას, საიდანაც დასტურდება, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ტრაპეზუნტი დასავლეთ საქართველოსთან ყოფილა დაკავშირებული, და ფაზისთან (ფოთთან) ერთად ერთ ოლქს შეადგენდა, — პირველად ყურადღება მიაკცია ცნობილმა მეცლევარმა P. Peeters-მა<sup>2</sup>.

3. ამავე ეპოქის — მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელი მწერალი ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, რომლის ლიტერატურული მოღვაწეობა 780-იან წლებს ეკუთვნის (ე. ი. სწორედ იმავე ხანას, რა დროსაც ეკუთვნის იოანე საბანის-ძის თხზულება და 787 წლის საეკლესიო კრების აქტები), ტრაპეზუნტს მოიხსენებს არა როგორც ბიზანტიის პონტოს პროვინციის ქალაქს, არამედ მოხსენებული აქვს როგორც „ლაზეთის ქალაქი ტრაპეზუნტი“, იგი მას ლაზეთის—დასავლეთ-საქართველოს შემადგენლობაში სთვლის<sup>3</sup>.

4. დასასრულ აქ შევჩერდებით კიდევ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ჩვენებაზე, რომელიც მკვლევართა ყურადღების გარეშე არის დარჩენილი. მხედველობაში გვაქვს დასავლეთ საქართველოს აღწერილობა, რომელიც წარმოდგენილია სომხურ უსახელო გეოგრაფიაში, რომლის ტექსტი (არსებული რედაქციები) მე-8—9 resp. მე-9 საუკუნეს ეკუთვნის.

მოგვყავს ამ აღწერილობის ძირითადი ტექსტი მთლიანად; აქ ჩვენ ვკითხვლობთ:

„ოლხეთი ე. ი. ვერი არს ქვეყანა აზიისა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე [ლიხამდე], რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან...“

და იგი განიყოფება ოთხ მცირე ქვეყანად:

ა) მარ[გ]ველი-ვი;

<sup>1</sup> იხ. ნოტიციები IX და VIII (ექთესისების გამოცემა გ. Parthey-სა, ბერლინი, 1866 წ.).

<sup>2</sup> იხ. P. Peeters. Les Khazars dans la passion de S. Abo de Tiflis (Analecta Bollandiana, LI, fasc. I—II, 1934 წ., გვ. 45).

<sup>3</sup> იხ. იოანე კონსტანტინეპოლელი, ცხოვრება ანდრიასი, ბერძნული ტექსტი (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გეორჯია, IV, გვ. 58). — შედარებით ანდრიასი ცხოვრების ძველ ქართული ვერსია — ექვთიმე მთაწმიდელისა (მ. საბინინის გამოცემა, 1882 წ., გვ. 30), სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქი ტრაპეზუნტი „შენ არს (ე. ი. გაშენებული არს) სოფელსა მკვარელისას (ქვეყანასა ლაზოსას)“.

ბ) ეგრევეც, რომელ არს საკუთრივ ეგრი, ფაზისის მდინარის მისაზღვრელ, ამავე ხახელწოდების (ფაზისის) ქალაქითურთ;

ვ) ლაზი-ვი;

დ) ჭანი-ვი, რომელ არს ხალტეთი (ხალდია)...

აქვს ზეთი ქალაქი იანი, კოტა (= ქუთაისი), როდოპოლისი (= ვარდციხე), ათინა, რიზონი და სხვა მრავალი ნაეთხადგურნი, ე. ა. ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქნი, რომელთა შორის არს ტრაპეზუნტი<sup>1</sup>.

ეროვნული  
გეოგრაფიული

ამრიგად ამ ძეგლის ჩვენების თანახმად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შედიოდა პროვინცია ჭანი-ვი, იგივე ხალდია, და ქალაქები: ათინა, რიზე და ტრაპეზუნტი.

გადავდივართ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ როდის და რა ვითარებაში მოხდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, აღდგენა მეფობისა.

ცნობები ამის შესახებ დაცულია ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისა“.

მატიანის ცნობით, ლეონ II-ის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება მისი მომხდარა „რაჟამს მიუძღურდეს ბერძენნი“<sup>2</sup>.

ბიზანტიის ამ „მოუძღვრებას“, რაზედაც მიუთითებს მემატიანე, აღგილი ჰქონდა მე-8 საუკუნის დასასრულს, უკანასკნელი ორი ათეული წლების მანძილზე.

780 წელს გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი ლეონ IV და იმპერატორად გამოცხადებულ იქმნა მცირეწლოვანი (ათი წლისა) კონსტანტინე VI, ხოლო რეგენტად მისი დედა ირინე დედოფალი. დაწყებული ამ დროიდან ბიზანტია ხდება ასპარეზი ხანგრძლივი შინაგანი არეულობისა. ამას შედეგად მოჰყვა ბიზანტიის ყოფილი სამხედრო ძლიერების შესუსტება. 783 წელს ბიზანტიამ შესძლო მიეღწია ზავს არაბებთან მხოლოდ იმით, რომ თავს იღვა ყოველწლიური ხარკი არაბთა სასარგებლოდ. ამის შემდეგ ბიზანტიამ კიდევ განიცადა მარცხი ომებში არაბებთან და ბულგარებთან.

შინაგანი პოლიტიკური და სამხედრო კრიზისი ბიზანტიისა გრძელდება როგორც კონსტანტინე VI-ის მეფობის დროს (780 — 797 წ.წ.), ისე, კონსტანტინე VI-ის გადაყენების შემდეგ, მისი დედის ირინეს მეფობის დროს (797 — 802 წ.წ.).

ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“ სამფლობელოს) ხელისუფლებას მიუჩნევია, რომ დადგა ხელსაყრელი დრო იმისათვის, რათა აღდგენილიყო ქვეყნის დამოუკიდებლობა, რაც კოლხეთმა მთელი საუკუნეები იყო რაც დაჰკარგა.

<sup>1</sup> იხ. სომხური გეოგრაფია, 1881 წ., გვ. 27 — 28.

<sup>2</sup> იხ. მატიანე ქართლისა, გვ. \* 441/218.

ლეონ II გადასდგამს გადამწყვეტ ნაბიჯს. იგი გადაუდგება ბიზანტიას, გამოაცხადებს დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს<sup>1</sup> დამოუკიდებლობას და მიიღებს მეფის წოდებულებას.

ეს მომხდარა, როგორც ირკვევა წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან, 786 — 798 წლებს შორის<sup>2</sup>.

როგორ შეხვდა ამ აქტს ბიზანტია? ჩატარდა ეს აქტი უომრად და ბიზანტია მხოლოდ შეურიგდა მომხდარ ფაქტს?

როგორც ირკვევა, არა.

ბიზანტიას, რომელიც დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს სიუზერენი იყო, საფიქრებელია უნდა ჰყოლოდა, და როგორც ირკვევა ჰყოლია კიდევ, თავისი ჯარები დაბანაკებული დასავლეთ საქართველოში.

(ცნობილია, რომ ჯერ კიდევ შერ საუკუნეში, როდესაც ლაზეთის სამეფო ბიზანტიის მოკავშირედ ითვლებოდა, ბიზანტიას ჰყავდა თავისი მუდმივი ჯარები ლაზეთში არა მხოლოდ ომის დროს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც)<sup>3</sup>.

ლეონ II-ეს, როგორც ირკვევა, მოუხდა ბრძოლა დასავლეთ საქართველოში დაბანაკებულ ბიზანტიის ჯარებთან და მათი განდევნა დასავლეთ საქართველოს ფარგლებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიიდან განდგომის საქმე კარგად ყოფილა წინასწარ მომზადებული დასავლეთ საქართველოს ზელისუფლების მიერ.

ლეონ II-ეს, ფიდრე იგი გამოაცხადებდა განდგომის ბიზანტიიდან, ამაზე აღრე კავშირი დაუმყარებია ხაზარეთის სამეფოსთან, რომლის დინასტიასთან იგი ნათესავერ კავშირშიაც იმყოფებოდა (ლეონის დედა ხაზართა მეფის ასული იყო) და მიუღია ხაზართაგან სამხედრო დახმარება. მემატინე სწერს, რომ ლეონ II-ემ ხაზართა ჯარის დახმარებით „გააღგა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“<sup>4</sup>.

ამრიგად ლეონს მოუხდა დაპყრობა ბერძენთაგან დასავლეთ საქართველოს-ტერიტორიებისა (აფხაზეთისა და ეგრისისა ვიდრე ლიხამდე) და ამ ბრძოლებში მას დამხმარედ ჰყოლია ხაზართა ჯარები.

ბერძენთა გარნიზონების განდევნის შემდეგ დასავლეთ საქართველოდან ბიზანტიას აღარ უცდია განეახლებია ბრძოლა. როგორც ირკვევა, დასავლეთი საქართველო ამ დროს უკვე იმდენად მოდონიერებული იყო, რომ ბიზანტიას აღარ დაუნახავს შესაძლოდ ახალი სამხედრო ინტერვენციის მოწყობა დასავლეთ საქართველოში.

ასე იქმნა აღდგენილი დამოუკიდებლობა დასავლეთ საქართველოს ქვეყნებისა და დაიწყო ახალი ერა დასავლეთ საქართველოს ისტორიაში.

პოლიტიკური ცენტრი დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის“ სამეფო-სი არის ქუთათისი, ძველი ქალაქი კოლხეთისა. (უფრო გვიან, საქართველოს გაერთიანების შემდეგ, ქუთათისი ხდება სრულიად საქართველოს დედაქალაქად და ასეთად რჩება იგი დავით აღმაშენებლის ეპოქამდე, როდესაც დედაქალაქი ქუთათისიდან — თბილისში იქმნა გადმოტანილი).

<sup>1</sup> როგორც ირკვევა თანე სახანის-მის ტექსტიდან ლეონ II-ის განდგომა ბერძენთაგან და მეფის ტიტულის მიღება მომხდარა 786 წლის შემდეგ. ზოლო ლეონ ვარდაიციკლა 798 წლის აქლო (არა უგვიანეს 799 წლისა, ვინაიდან დემეტრე II, რომელიც გამეფდა ლეონის ვარდაციკლებიდან 27 წლის შემდეგ, უკვე მეფედ სწანს 826 წელს; იხ. ცხარება ვრიგოლ ხანძთელისა, გვ. 51 — 53).

<sup>2</sup> იხ. აგათია სქოლასტიკოსის ისტორია (ს. ყაუჩიშვილის გამოცემა, ვეროჯიკა, III, გვ. 187).

<sup>3</sup> იხ. მატინე ქართლისა, გვ. \* 441/218.





საქართველოს  
კომუნისტური  
პარტია

## 3.

ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლისა „აფხაზეთის“ სამეფოს შესახებ.

ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა — „აფხაზეთის“ სამეფოს  
ხელისუფლებისა.

გიორგი მერჩულის ძეგლი „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ შეიცავს ცნობებს დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს შესახებ მისი დაარსების მომდევნო ხანიდან, მე-9 — 10 საუკუნეებში.

გიორგი მერჩულის ძეგლში მოიხსენებიან დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს დინასტიის წევრები:

მეფე დემეტრე II (825 — 861 წ.წ.), ძე აფხაზეთის სამეფოს დამაარსებლის ლეონ II-ისა;

მეფე კონსტანტი III (893 — 922 წ.წ.);

მეფე გიორგი II (922 — 957 წ.წ.);

ბაგრატ შაროელი ხელმწიფე (უფლისწული);

ბევრეულისი — ანასტასია დედოფალი, ასული ბაგრატ შარიელისა, მეუღლე ადარნერსე ხელმწიფისა ბაგრატიონისა, აშოტ I-ის ძისა.

ძეგლში დასახელებულია დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს გეოგრაფიული პუნქტები, სავანეები:

1. უბეა, დაარსებული 826 წლის ახლო დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ მეფის დემეტრე II-ის მოღვაწეობით გრიგოლ ხანძთელის მიერ. ეს ისტორიული უბეა აფხაზეთისა არის თანამედროვე უბისი ზემო-იმერეთისა. უბეას სავანის წინამძღვარად გრიგოლ ხანძთელის მიერ დადგენილ იქმნა ილარიონ, მოღვაწე იერუსალიმის ქართული კოლონიისა, რომელიც ცნობილია მწიგნობარი ბიბლიოფილი ყოფილა.

2. ფერსათი — პუნქტი დასავლეთ საქართველოში, მდინარე ხანის-წყალის ხეობაში, დაბა ბაღდადის სანახებში. გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობის თანახმად, მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში ფერსათში არსებულა დედათა მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა ბევრეულისი-ანასტასია დედოფალი, ასული ბაგრატ შაროელისა. თვით ეს მხარე, როგორც ირკვევა, მთავრის (უფლისწულის) ბაგრატ შაროელის სამფლობელოს შეადგენდა, და ფერსათის ეს მონასტერი, სიანს, მთავრის სახლის სავანე იყო.

აღსანიშნავია, რომ ფერსათის ეს მონასტერი, რომელიც მოხსენებული აქვს გიორგი მერჩულეს მე-9 საუკუნეში, არსებულა შემდეგ ხანაშიაც, და იგი, უკვე გაუქმებული, მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად დაცული, მოხსენებული აქვს მე-18 საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილს.

ვახუშტი ბატონიშვილი სწერს: „ვარციხეს ზეით ერთის რიონს ხანის-წყალი, გამოსდის ფერსათს (მთას), მოდის ჩრდილო და მთავრის რიონს სამხრიდანვე. ამაზედ აღაშენეს... ციხე, და პირველ ეწოდა ადგილსა მას ბაღდადი... ამ წყალზედ, (ბაღდადის) ციხის სამხრით, ფერსათი“.

თის კალთას, არს მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი და აწ უქმო" (იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 150)<sup>1</sup>.

ეროვნული  
გინჯლოცონი

გიორგი მერჩულის ძეგლის აღნიშნული ცნობები დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს შესახებ, როგორც უძველესი უწყებანი ქართული ნაციონალური წყაროსი დასავლეთ საქართველოზე, ბევრნაირად ინტერესს წარმოადგენს ისტორიკოსისათვის.

მაგრამ მთავარი მაინც ეს არაა.

მთავარი ინტერესი გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებისა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აქ ვღებულობთ ახალ ჩვენებებს იმ მკვეთრი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესახებ, რომლის გამტარებელია დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს ხელისუფლება დღიდან ამ სამეფოს დაარსებისა.

ეს ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი, თავიდანვე მიმართულია უცხოეთის, ბიზანტიის გავლენიდან ემანსიპაციისაკენ. ეს ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა კერძოდ იმაში გამოიხატა, რომ ბერძნული ენა, რომელიც ბიზანტიის ხანგრძლივი მფლობელობის შედეგად გაბატონებული დასავლეთ საქართველოში როგორც მთავარი სახელმწიფო და საეკლესიო ენა, განდევნილ იქმნა და ბერძნულის ადგილი მთლიანად ქართულმა დაიკირა. ქართული ენა გამოცხადებულია ერთადერთ სახელმწიფო ენად, ქართული ენა გაბატონდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპარეზზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ბერძნული ენა განდევნილ იქმნა თვით ეკლესიიდანაც, აქაც ბერძნული ქართულმა შესცვალა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, თუ რა მონოპოლიური მდგომარეობა ეკირა ეკლესიას განათლების საქმეში საშუალ საუკუნეთა პირობებში, როდესაც განათლება და მწიგნობრობა უპირატესად ეკლესიის საფარს ქვეშ ვითარდებოდა, განათლებისა და მწიგნობრობის მთავარ ცენტრებს უმთავრესად მონასტრები და ეკლესიის გავლენის ქვეშ მყოფი სასწავლებლები და სკოლები შეადგენდნენ, — ადვილად წარმოსადგენია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნული ენის ნაცვლად ქართულის შემოღებას ეკლესიაში.

ეს უდიდესი მნიშვნელობის რეფორმა, შეცვლა ეკლესიაში ბერძნული ენისა ქართულით, შესაძლო ვახდა ჩატარებულიყო იმის შედეგად, რომ „აფხაზეთის“ სამეფოს ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც იერარქიულად დაკავშირებული იყო ბიზანტიის საიმპერიო ეკლესიასთან, კონ-

<sup>1</sup> ვახუშტის ამ ცნობის თანახმად ფერსათის მონასტერი გაშენებული ყოფილა არა თანამედროვე სოფელ ფერსათში (რომელიც ბაღდადის ჩრდილოეთით, ბარში მდებარეობს), არამედ ფერსათის მთის კალთაზე, ბაღდადის ციხის სიმახეთით. ფერსათის სახელწოდება ამ მონასტერს სწანს მიუღია ფერსათის მთიდან და არა თანამედროვე სოფელ ფერსათიდან. (არაა გამორიცხული, რომ თვით სოფელი ფერსათიც ამ დროს აქ, ფერსათის მთის კალთაზე იყო გაშენებული).

რაკი ეს ძეგლი მე-18 საუკუნეში ჯერ კიდევ მთლიანად ყოფილა შენახული, შესაძლოა იგი დღემდისაც იყოს ამა თუ იმ სახით დაცული. საჭიროა ამ კუთხის არქეოლოგიური მოხილვა დასავლეთ-საქართველოს ამ ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ძეგლის აღმოსაჩენად.

სტანტინეპოლის პატრიარქატთან, ჩამოაშორა კონსტანტინეპოლს და დაუკავშირა ქართლის (იბერიის) საკათოლიკოსოს.

ამრიგად ხანა „აფხაზეთა“ სამეფოსი ეს არის ეპოქა ქართულ-საქართველო-ფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში.

ამ ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მე-9—10 საუკუნეებში, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა საქართველოს გაერთიანება ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად, განმტკიცდა ქართველი ხალხის კულტურული ერთიანობა, რაც გახდა წინაპირობა ქართველი ხალხის შემდგომი პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

გიორგი მერჩულის თხზულებაში, რომელიც დაწერილია ეპოქაში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ დანაწილებულია სამეფო-სამთავროებად, წარმოდგენილია ფორმულა საქართველოს კულტურული მთლიანობისა, და ეს არა მარტო საეკლესიო ერთობის საფუძველზე, არამედ ენის ერთობის საფუძველზე, ვინაიდან ამ დროს ქართული ენა გახდა კულტურის საერთო ენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საერთო ენა მწერლობისა, ეკლესიისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგისა.

გიორგი მერჩულის ძეგლში ეს კლასიკური — თავისი ეპოქისათვის ფორმულა საქართველოს მთლიანობისა ასეა წარმოდგენილი:

„ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჭამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“<sup>1</sup>.

აქ საკიროა აღენიშნოთ, რომ ამ ფორმულაში ნიშანდობლივ ხაზგასმულია, რომ „აფხაზეთის“ სამეფო არის იგივე „ქართლი“.

როგორც ცნობილია ადრეულ საშუალო საუკუნეებში ქართლის სახელწოდებით აღინიშნებოდა იბერია (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველო, საკუთრივ ქართლი, კახეთითა და მესხეთით).

ხოლო ამ ფორმულით გიორგი მერჩულე სახელწოდებას „ქართლი“ სულ სხვა შინაარსსა და სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებს. გიორგი მერჩულე აქ გვეუბნება, რომ ქართლი ეს არის არა მარტო ეთნოგრაფიული ქართლი-იბერია, არამედ ფრიადი ქვეყანა“ (— დიდი ქვეყანა), მთელი საქართველო, სადაც კი ქართული ენაა მიღებული, სადაც კი ქართულითა ენითა „ჭამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

რომ ქართლის სახელწოდებით აქ იგულისხმება ძველ იბერიასთან ერთად „აფხაზეთის“ სამეფო, ეს სრულიად უდავოდ დასტურდება კერძოდ ბოლო განმარტებიდან: „სადაც ქართულითა ენითა ჭამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ამ დროს, როდესაც გიორგი მერჩულე სწერდა ამ სიტყვებს, მე-10 საუკუნის შუა წლებში, „აფხაზეთის“ სამეფოში უკვე ჩატარებული იყო რეფორმა ეკლესიისა და აქ „ქართულითა ენითა ჭამი შეიწირვოდა და ლოცვაი ყოველი აღესრულებოდა“. უფრო მეტიც. „აფხაზეთის“ სამე-

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 97.

ფოს ეკლესიაში არა თუ განდევნილი იყო ბერძნული და ქართული იყო გაბატონებული, არამედ თვით აფხაზეთის სამეფო ამ დროს გამხდარიყო ერთ-ერთი ცენტრი ქართული საეკლესიო მწერლობისა, აფხაზეთის სამეფოს მღვდელსუფლების საგანგებო მფარველობის ქვეშ. ასე, უფრო ადრე, ვიდრე დაიწერებოდა გიორგი მერჩულის თხზულება, „აფხაზეთის“ მეფის გიორგი II-ის (922 — 957 წ.წ.) დროს აფხაზეთში მოღვაწეობს განთქმული ქართველი მწერალი პოეტი — ჰიმნოგრაფი ივანე მინჩხი, რომლის საგალობელი, საეკლესიო ჰიმნები ქართულს ენაზე, დაწერილი აფხაზეთში, აქედან პოულობენ გავრცელებას საქართველოში. ივანე მინჩხის ეს მოღვაწეობა მიმდინარეობს აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის პირადი მფარველობით. ივანე მინჩხის ერთ-ერთ ჰიმნს (გალობას) დართული აქვს ასეთი წარწერა:

„ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდთა ვედრებითა აღუწერებანი მინჩხისადა“<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ ქართულ საეკლესიო მწერლობას აფხაზეთში მკვიდრი ნიადაგი ჰქონია ამაზე ადრინდელ ხანაშიაც, მე-9 საუკუნეში. ასე, აფხაზეთიდან არის ის გამოჩენილი ქართველი მწერალი (პოეტი) მე-9 საუკუნის დასაწყისისა, რომელსაც ეკუთვნის ჰაგიოგრაფიული პოემა მარტილოზა მიქაელ საბაწმიდელისა (— ნაწარმოები, რომელიც „აბუჯურა“-ს სახელით იყო ცნობილი, და რომელიც უფრო გვიან, „სიბრძნე ბალავარისა“-ს წიგნთან ერთად, ქართულიდან თარგმნა ბერძნულად განთქმულმა ქართველმა მწერალმა ეფთიმე მთაწმიდელმა)<sup>2</sup>.

ამის შემდეგ ჩვენ სპეციალურად შევჩერდებით საკითხზე, თუ როდის სახელდობრ, რა ისტორიულ ვითარებაში და რა სახით ჩატარდა ეს უღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს ისტორიაში, საეკლესიო რეფორმა, ანუ უფრო სწორედ რეფორმაცია დასავლეთ საქართველოს ეკლესიისა, მისი ჩამოშორება კონსტანტინეპოლის პატრიარქატიდან და ქართლის (იბერიის) საკათოლიკოზოსთან დაკავშირება, რაც მის ნაციონალიზაციას, გაქართულებას მოასწავებდა.

ეს საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გარკვეული არაა. ამ საკითხთა გასარკვევად შეტად მნიშვნელოვან ჩვენებას იძლევა კერძოდ გიორგი მერჩულის ძეგლი.

ვიდრე გადავიდოდეთ აქ აღმართულ საკითხებზე, წინასწარ რამდენიმე შენიშვნა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე ვიდრე რეფორმაციის ხანამდე.

დასავლეთ საქართველოში, როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით, ქრისტიანობა უმთავრესად დასავლეთიდან, რომის იმპერიიდან — ბიზანტიიდან გავრცელებულა. ქრისტიანობას დასავლეთ საქართველოში ფართე გავრცელება მიუღია უკვე მეოთხე — მეხუთე საუკუნეებში, ხოლო სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობა აღიარებულ იქმნა მე-6 საუკუნეში.

<sup>1</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., გვ. 145.

<sup>2</sup> იხ. პავლე ინგოროყვა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (ტურნ. „მნათობი“, 1939 წ., № 9, გვ. 116 — 119.

რაკი ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში უმთავრესად რომი-ბიზანტიიდან გავრცელებულა და რადგან მე-6 საუკუნეში, როდესაც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად იქმნა აღიარებული, დასავლეთი საქართველო ლაზეთის სამეფო — ბიზანტიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული, დასავლეთ საქართველოს ეკლესია იერარქიულად თავიდანვე ბიზანტიის ეკლესიასთან, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან დაკავშირებული აღმოჩნდა.

სახელდობრ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ბიზანტიის მფლობელობის ხანაში ჩამოყალიბდა სამი საეკლესიო ოლქი კონსტანტინეპოლის პატრიარქატის ფარგლებში:

1. ლაზიკის მიტროპოლია, რომლის ცენტრი იყო ქალაქი ფასისი (ფოთი), რომელშიაც შედიოდა ოთხი საეპისკოპოსო (გარდა თვით ფასისის მიტროპოლიისა):

ა) ქალაქ როდოპოლისისა ანუ ვარდციხისა (თანამედროვე ვარდციხე ქუთაისის ზონაში),

ბ) ქალაქ პეტრასი (ბათუმისა),

გ) დაბა ცაიშისა (ოდიშში),

დ) დაბა ძიღანევისა ანუ გუდაყვისა (თანამედროვე გუდავა, ილორის ზონაში);

2. აფხაზეთის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო, რომლის ცენტრი იყო ქალაქი ცხუმი (სებასტოპოლი);

3. ჯიქეთის (სამხრეთ ჯიქეთის ანუ აფხაზეთის ჯიქეთის) ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო, ცენტრით ქალაქ ნიკოფსიაში<sup>1</sup>.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფარგლებში ამ ეპოქაში, როგორც ცნობილია მხოლოდ ბერძნული ენა იყო მიღებული და დასავლეთ საქართველოს ამ საეკლესიო ოლქებშიაც ბერძნული იყო გაბატონებული.

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ როდის მოხდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაცია, მისი გამოყოფა კონსტანტინეპოლის პატრიარქატიდან და ქართლის (იბერიის) საკათალიკოზოსთან დაკავშირება.

ეს მომხდარა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში (825 წლის ახლო ხანებში, 825 — 845 წლებს შორის) ე. ი. უახლოეს პერიოდში მას შემდეგ, რაც გამოცხადებულ იქმნა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ამ ორ აქტს შორის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და საეკლესიო რეფორმაციას შორის — ორგანიული კავშირია, საეკლესიო რეფორმაცია ეს იყო მეორე აქტი, შემდგომი საფეხური დასავლეთ საქართველოს კულტურული ემანსიპაციისა.

რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყოფა კონსტანტინეპოლის პატრიარქატიდან და მცხეთის საკათალიკოზოსთან დაკავშირება მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარა, ამას ადასტურებს გიორგი მერჩულის ძეგლი და მასთან ერთად უცხოური წყაროების ჩვენებანი.

შეგვირდეთ ჯერ უცხოური წყაროების ჩვენებებზე.

<sup>1</sup> იხ. ექთესისების ჩვენება (იქვე, გვ. 125).

1. ბიზანტიური წყაროები: კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს კათედრათა ექთესისები (ნუსხები) მე-7 — 9<sup>1</sup> საუკუნეებისა.

ბერძნულ მწერლობაში ცნობილია მთელი წყება საისტორიო რომლებიც შეიცავენ საეკლესიო კათედრათა ნუსხებს, ეგრეთწოდებულ ექთესისებს. ამ ექთესისებში ჩამოთვლილია სხვადასხვა საპატრიარქოებში (კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის და ხვ.) შემავალი კათედრები.

ამ ექთესისების განხილვიდან ირკვევა შემდეგი:

ა) ყველა ექთესისებში, რომლებიც ეკუთვნიან მე-7 — 8 საუკუნეებს (ე. ი. ეპოქას, როდესაც დასავლეთი საქართველო ბიზანტიის სამფლობელოს შეადგენდა), დასავლეთ საქართველოს სამი საეკლესიო ოლქი, ე. ი. ლაზიკის (ფოთის) მიტროპოლია, ცხუმის (აფხაზეთის) საარქიეპისკოპოსო და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო აღნიშნულია როგორც შემავალი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში. (იხ. G. Parthey-ს გამოცემაში<sup>1</sup> ექთესისები, აღნიშნული ნომრებით: VII, IX, VIII და VI).

ბ) ყველაზე გვიანი დროის ექთესისი, სადაც დასავლეთ საქართველოს დასახელებული სამი ოლქი ნახვენება როგორც ნაწილი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსი, ეს არის ბასილი სოფენელის ნუსხა, შედგენილი 825 წლის ახლო ხანებში. (ამ დროს დასავლეთ საქართველოს დასახელებული სამი ოლქი ან ძველებურად შედის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში, ან-და, თუ ჩამოცილებულია, ეს ჯერ კიდევ ახალი დროის ამბავია, რომელსაც ჯერ არ მიუღია საერთო ცნობა, რის გამო ნუსხის შემდგენელი ამას ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევს და დასავლეთ საქართველონ დასახელებულ სამ ოლქს ისევ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ქვემდებარედ მიიჩნევს)<sup>2</sup>.

გ) ექთესისში, რომელიც გამოცემული აქვს H. Gelzer-ს<sup>3</sup> გვ. 550 — 559, და რომელიც მე-9 საუკუნეშია შედგენილი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფარგლებში უკვე აღარ არის აღნიშნული დასავლეთ საქართველოს დასახელებული სამი ოლქი, — ეს ოლქები ამ დროს კონსტანტინეპოლს ჩამოცილებული ყოფილა. აგრეთვე მეორე ექთესისში, რომელიც ეკუთვნის შემოთ დასახელებული (Gelzer-ის მიერ გამოცემული) ექთესისის შემდგომ ხანას, და რომელიც წარწერილია ბიზანტიის იმპერატორის ლეონ VI-ის (886 — 911 წ.წ.) სახელით, აგრეთვე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში აღარაა აღნიშნული დასავლეთ საქართველოს დასახელებული სამი ოლქი<sup>4</sup>. ასევე შემდგომი ხანის ყველა ექთესისებში, რომლებიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხას შეიცავენ, დასახელებული სამი ოლქი დასავლეთ საქართველოსი აღარ აღინიშნება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში.

ამრიგად ბიზანტიური ექთესისების მიხედვით ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს გამოყოფა კონსტანტინეპოლის პატრიარქატიდან დაახლოვებით მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარა (ყველა ნიშნებით 825 წლის ახლო ხანებში), რადგან ამის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ოლქები კონსტანტინეპოლის პატრიარქატის შემადგენლობაში აღარ მოიხსენებიან.

<sup>1</sup> Hieroclis Synecdemus et Notitiae graecae episcopatum, ბერლინი, 1866 წ.

<sup>2</sup> იხ. H. Gelzer, Ungedruckte und wenig bekannte Bistümerverszeichnisse der orientalischen Kirche, BZ, 1 (1892) 245 — 282.

<sup>3</sup> Abh. d. bayer. Akad. d. w. XXI Bd. III Abt., მიუნხენი, 1901 წ.

<sup>4</sup> იხ. G. Parthey-ს გამოცემა, გვ. 95 — 101.

2. აქ აღძრული საკითხის გამო მნიშვნელოვანია აგრეთვე ჩვენება, რომელსაც შეიცავს მატჩანე იოანე სომეხთა კათალიკოზისა (კათალიკოზად დადგენილ იქმნა 899 წელს; მატჩანე დაწერილია 924 წლის ახლო). ამ ისტორიკოსის ცნობებით მცხეთის (ქართლის) ეკლესიის მეთაური იყო მამათავაზარტოზელთა, გუგარელთა და ეგრისელთა<sup>1</sup>. ამრიგად დასავლეთი საქართველო (რომელიც იოანე კათალიკოზის მატჩანეში ეგრისის ანუ ეგერის სახელწოდებით აღინიშნება ხოლმე), მცხეთის საკათოლიკოზოს სამწყსო იყო. ირკვევა ამასთან, რომ ეს დაკავშირება დასავლეთ საქართველოს მცხეთის საკათალიკოზოსთან ბევრად უფრო ადრინდელი ამბავი ყოფილა, ვიდრე დაიწერებოდა იოანე კათალიკოზის თხზულება, რომ ამას ადგილი ჰქონია არა უგვიანეს მე-9 საუკუნის პირველი ნახევრისა<sup>2</sup>.

3. განვიხილოთ ამის შემდეგ გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენება. გიორგი მერჩულის ძეგლში აღნიშნულია, რომ ედრემ მაწყვერელმა, რომელიც 845 წლის ახლო ხანებში ქართლის კათალიკოზის მოსაყდრედ ყოფილა, ახალი ღონისძიებანი ჩაატარა ქართლის საკათალიკოზოში ანუ ქართლის ქვეყანაში; ხოლო იმის განსამარტებლად, თუ რა საზღვრებში იგულისხმება ქართლი, გიორგი მერჩულს მოჰყავს თავისი ცნობილი ფორმული იმის შესახებ, რომ ქართლი არის არა ეთნოგრაფიული ქართლი—იბერია, არამედ ფრიადი ქვეყანა, მთლიანი საქართველო, სადაც კი ქართული ენაა მიღებული, სადაც ქართულითა ენითა „ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. კერძოდ სპეციალურად დასავლეთ საქართველოს იგულისხმებს გიორგი მერჩულე, როდესაც საგანგებოდ უმატებს: „მხოლოი (მარტოოდენ) კვირიელისონი ბერძნულად ითქმის, რომელ არს უფალო წყალობა ყავნ...“ ე. ი. ბერძნული ლექსისახურება შეცვლილია ქართულით, და ბერძნულიდან მარტოოდენ ერთილა სიტყვა „კვირიელისინი“ არის შერჩენილიო.

ასეთია ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენება, რომელსაც შეიცავს აქ აღძრული საკითხის გამო გიორგი მერჩულის ძეგლი.

ამრიგად, თუ ჩვენ შევაჯამებთ ყველა იმ ცნობებს, რომელსაც იძლევა ამ საკითხის შესახებ ერთის მხრით გიორგი მერჩულე, და მეორის მხრით უცხოური წყაროები, ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ რეფორმაცია დასავლეთ საქართველოს ეკლესიისა, მისი ჩამოშორება კონსტანტინეპოლის პატრიარქატიდან და დაკავშირება მცხეთის საკათოლიკოზოსთან, მისი ნაციონალიზაცია და შეცვლა ეკლესიაში ბერძნული ენის ხმარებისა ქართული ენით.

<sup>1</sup> ახ. იოანე კათალიკოზის მატჩანე, 1912 წ., გვ. 65.

<sup>2</sup> იოანე კათალიკოზის ეს ვითარება, რომელიც მის დროს არსებობდა (ე. ი. დასავლეთ საქართველოს კავშირი მცხეთის საკათალიკოსოსთან) თავიდანვე არსებულ წესად მიაჩნია, (იგი მაგალითად კვირიონ კათალიკოზსაც, რომელიც მე-7 საუკუნეთა სიზღვარზე მოღვაწეობდა იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა მამათავარტოზელის) და ამრიგად მან არ იცის, რომ მე-8 საუკუნეებში, ვიდრე მე-9 საუკუნის დასაწყისამდე, დასავლეთ საქართველო კონსტანტინეპოლის სამპატრიარქოში შედიოდა. ცხადია ამის მიხედვით, რომ დასავლეთ საქართველოს დაკავშირება მცხეთასთან ბევრად ადრე მომხდარა, ვიდრე დაიწერებოდა იოანე კათალიკოზის თხზულება. იოანე კათალიკოზმა, როგორც მოვიხსენეთ კათალიკოზობა მიიღო 899 წელს (მატჩანე დაწერილია 924 წლის ახლო) და თუ დასავლეთ საქართველოს დაკავშირება მცხეთასთან მომხდარიყო თვით იოანე კათალიკოზის დროს, ან მის უახლოეს ხანაში, შეუძლებელია ეს არ სცოდნოდა ისეთს განათლებულსა და საქართველოსთან ახლო მდგომ პირს, როგორც იყო იოანე კათალიკოზი. ამის მიხედვით დასავლეთ საქართველოს მცხეთასთან დაკავშირება მე-9 საუკუნის პირველ ნახევარზე გვიან დროს ვერ მიეკუთვნება.

შომხდარა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ყველა ნიშნებით 825 წლის ახლო ხანებში, და ყოველ შემთხვევაში ეს რეფორმა დასრულებული ყოფილა 845 წლის უწინარეს პერიოდში, რა დროსაც ეკუთვნის გიორგი მერჩულის მით მოყვანილი ცნობა.

825 — 845 წლების მანძილზე, როდესაც ჩატარებულა ეს რეფორმა, დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს მეთაურია მეფე დემეტრე II, ძე ლეონ II-ისა (რომლის დროსაც აღდგენილ იქმნა დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობა). დემეტრე II გამეფებულა 825 წლის ახლო ხანებში და მისი მმართველობა გაგრძელებულა 861 წლამდე.

როგორც ირკვევა გიორგი მერჩულის ძეგლიდან, დემეტრე II იყო ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც ტარდებოდა ეს რეფორმა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

ასე, გიორგი მერჩულის ძეგლიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ დემეტრე II-ის მოღვაწეობით „აფხაზეთის“ სამეფოში არსდებოდა ქართული მონასტერ-სავანეები, რომლებიც ძველი დროიდანვე დამკვიდრებული ბერძნული გავლენის შენელებასა და ქართული მწიგნობრობისა ტრადიციების განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად.

გიორგი მერჩულის სიტყვით, დემეტრე II იბერია—მესხეთიდან აფხაზეთის სამეფოში სამოღვაწეოდ გადმოსულ პირებს „დიდითა პატივითა“ ღებულობდა, „ადგილსა კეთილსა“ დაამკვიდრებდა და „სამეწიბლად“ ქართულ სავანეთა „ფრიადსა საფასესა“ გაიღებდა.

ერთ-ერთი ასეთი ქართული სავანე დაუარსებია აფხაზეთის სამეფოში გრიგოლ ხანძთელს 826 წლის ახლო ხანებში, დემეტრე II-ის პირადი ინიციატივითა და თანამოღვაწეობით<sup>1</sup>.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართული სავანეების მოწყობის დროს ყურადღების ცენტრში პირველ რიგში და საგანგებოდ ქართული მწიგნობრობის საქმე ყოფილა. ასე მაგალითად გიორგი მერჩულე, მოგვითხრობს რა აფხაზეთში დაარსებული ქართული სავანის შესახებ, საჭიროდ მიაჩნია საგანგებოდ აღნიშნოს, რომ ქართული სავანის ახლად დადგენილი წინამძღვარი მწიგნობრობის ცნობილი მოღვაწე იყო, და რომ მას „აქენდეს კეთილნი წიგნნი“. ამავე დროს, გიორგი მერჩულის სიტყვით, თვით გრიგოლ ხანძთელსაც საგანგებოდ მიუძღვნია წიგნები ახლად დაარსებული სავანისათვის<sup>2</sup>.

ქართული სავანეები, ცენტრები ქართული მწიგნობრობისა, იყვნენ განმამტკიცებელნი ქართული მწერლობის და ქართული კულტურის ტრადიციებისა და ამდენად ეს სავანეები იყვნენ დასაყრდენნი იმ დიდი რეფორმის ჩატარების დროს, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაციას, და მასში — ბერძნულის ნაცვლად — ქართული ენისა და მწიგნობრობის დამკვიდრებას.

1. იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 51 — 56.

2. იხ. იქვე, გვ. 53.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ასეთი დიდი მასშტაბის რეფორმის ჩატარებას, განსაკუთრებით სასულსა-საუკუნეთა პირობებში, რელიგიური იდეოლოგიის ბატონობის ხანაში, ბუნებრივია დიდი სიძნელეები ელოებოდა. საქირო ხდებოდა საუკუნეებით დამკვიდრებული და რელიგიური ტრადიციით განმტკიცებული წესების დარღვევა.

უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ ელინოფილობისა და ძველი ტრადიციების დაცვის საფარველს ქვეშ მოქმედებდა ბიზანტიის პოლიტიკური აგენტურა, რომელიც სკდილობდა დაკარგული მდგომარეობის აღდგენას დასავლეთ საქართველოში. უშუალო ახლო კავშირი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე არსებობდა ადგილობრივ ეკლესიას და კონსტანტინეპოლის პატრიარქატს შორის, ცხადია ადვილებდა ბიზანტიის აგენტურის შენიღბულსა და მოხერხებულ მოქმედებას.

მაგრამ დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლებამ დიდ სიმტკიცეს იჩინა, იგი განუზრვლად ატარებს თავის ხაზს.

იმისათვის, რომ გაენელებათ ძველი ტრადიციების გავლენა და სათავეშივე მოესპოთ ბიზანტინოფილური წრეების საქმიანობა, დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლება გაბედულად ჩაატარებს შემდეგს რადიკალურ ღონისძიებას: იგი სპობს ძველად არსებულ საეკლესიო ცენტრებს, საეპისკოპოსო კათედრებს, და მათ ნაცვლად ახალ ცენტრებს აარსებს.

ასე მოსპობილ იქმნა შემდეგი ძველი ცენტრები, ძველი კათედრები, და მათ ნაცვლად დაარსებულ იქმნა შემდეგი ახალი ცენტრები:

ა) გაუქმებულ იქმნა აფხაზეთის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო ცხუმში (სოხუმში), ასევე გაუქმებულ იქმნა ნიკოფსიის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო და ამ ორი ძველი ცენტრის ნაცვლად დაარსებულ იქმნა ახალი ცენტრი ბიჭვინთის კათედრა.

ცხუმის და ნიკოფსიის კათედრებს, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი სარელიგიო ტრადიციები ჰქონდა. კერძოდ ცხუმის კათედრა ითვლებოდა დედად აფხაზეთის ეკლესიისა. აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცებასთან ერთად, აქ, ცხუმში, ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე დიდის მიერ აგებულ იქმნა საკათედრო ტაძარი, რომელიც მხარის მთავარ სიწმიდედ ითვლებოდა.

ბიზანტინოლოგი ი. კულაკოვსკი, რომელიც ეხება ცხუმისა და ბიჭვინთის კათედრათა ისტორიის საკითხებს, რომლისთვისაც გაუგებარი რჩება კათედრათა შეცვლის საკითხი, წერს:

„რა იყო მიზეზი, რომ ბიჭვინთას მიეცა უპირატესობა, როგორც კათედრას ცხუმის წინაშე, — უცნობი რჩება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ თავდაპირველად, სამ საუკუნეზე მეტი ხანი (მეექვსე საუკუნეიდან — მეცხრემდე) აფხაზებს ჰქონდათ თავისი სასულიერო ცენტრი არა ბიჭვინთაში, არამედ სებასტოპოლში, ე. ი. თანამედროვე სოხუმში“<sup>1</sup>.

ეს შენაცვლება კათედრებისა, რაც დღემდე არ იყო ახსნილი, დაკავშირებული ყოფილა, როგორც ეხლა ირკვევა, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაციასთან. აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლება, იმისათვის რომ მოეს-

<sup>1</sup> იხ. Ю. Кулаковский. Где был построен имп. Юстинианом храм для Авазгов. Археологическая известия и заметки, т. V (Москва, 1897 г.), стр. 36.

პო ტრადიციები ბიზანტინიზმის ამ ძველი ციტადელისა, იუსტინიანე იმპერატორის მიერ დაარსებული ცხუმის კათედრისა, არ დარიდებია რელიგიური ტრადიციის დარღვევას, გაუქმებია ეს ძველი რელიგიური ცენტრები. ამის ნაცვლად მოუწყვია ახალი ცენტრი ბიჭვინთაში. ამისთან, რათა გარეგნულის მხრითაც დაერქვია იუსტინიანე იმპერატორის მიერ აგებული ძველი კათედრალი, აქ ბიჭვინთაში აუგიათ ის გრანდიოზული, ბრწყინვალე ხელოვნების ძეგლი, — ბიჭვინთის საკათალიკოზო ტაძარი, რომელიც დღემდისაც შენახულა და რომელიც ქართული კლასიკური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის.

ბ) ასევე შეუცვლიათ აგრეთვე ძველი ცენტრები ლაზეთის მეტროპოლიაში. როდოპოლისის (ვარდციხის) კათედრა გატანილ იქმნა დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქში ქუთათისში. ამავე დროს გაუქმებულ იქმნა ზღვის სანაპირო ზონაში პეტრას (ბათომის) კათედრა და ბათომის მხარე დაკავშირებულ იქმნა ქუთათისთან<sup>1</sup>.

ძველი ცენტრების ეს შენაცვლება, რაც მე-9 საუკუნეში დაიწყო, გრძელდება შემდეგ ხანაშიც.

გ) აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის დროს (922 — 957 წ.წ.) გაუქმებულ იქმნა ზღვის სანაპირო ზონაში ფაზისის კათედრა, და იგი გადატანილ იქმნა შიდა მხარეში, ახალ ცენტრში ჭყონდიდში<sup>2</sup>.

დ) ასევე მათვე საუკუნის დასასრულს გაუქმებულ იქმნა ზღვის სანაპირო ზონაში ძილანევის (გუდაყვის) კათედრა და ისიც გატანილ იქმნა შიდა მხარეში, ახალ ცენტრში — ბეღიაში<sup>3</sup>.

ამავე დროს დასავლეთ საქართველოს შიდა მხარეებში არსდება მთელი რიგი ახალი კათედრები: მოქვი და დრანდა (აფხაზეთში), ცაგერი (ლენხუმში), ნიკოლოზ-წმიდა (რაჭაში), ხონი (ვაკე იმერეთში).

ასეთი იყო ის ღონისძიებანი, რომელიც ჩაუტარებია დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაციასთან, მის გაქართულებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, როგორც ირკვევა, აფაზეთის სამეფოს ხელისუფლება არ შეჩერებულა საუკუნეებით დამკვიდრებული და რელიგიური ტრადიციით განმტკიცებული წესების დარღვევის წინაშე ამ დიდი სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელების დროს.

<sup>1</sup> რომ ბათომის მხარე, ქვემო-აჭარით, ეკლესიურად ქუთათისის ოლქთან იქმნა დაკავშირებული და რომ ქუთათისის ოლქი ქვემო აჭარისა და ზემო-აჭარის მიჯნაზე ესაზღვრებოდა მესხეთის ტბეთის ოლქს, ეს ირკვევა შესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობიდან (იხ. მესხეთის საეპისკოპოსოთა წესბა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, 1907 წ., გვ. 77).

<sup>2</sup> იხ. მატიაწე ქართლისა, გვ. \* 452/229.

<sup>3</sup> იხ. მატიაწე ქართლისა, გვ. \* 471/245. რომ მატიაწე ქართლისა-ის ტექსტში დასახელებული გუდაყვა (თამანდროვე გუდავა ილორის ზონაში) არის იგივე ძილანევი, მოხსენებული ბიზანტიურ წყაროებში, ეს ირკვევა მე-11 საუკუნის ქართული ხელნაწერის A—97-ის გლობიდან. 9. „მნათობი“ № 4



## დასკვნები

ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას ცნობებისას დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს შესახებ.

წარმოდგენილი მიმოხილვიდან ამრიგად გამოიკვეთა შემდეგი:

1. დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც საშუალო საუკუნეებში აფხაზეთის (საკუთრივ აფხაზეთის მხარეების) სახელწოდებით არის ცნობილი, მოიცავდა ტერიტორიას კელასურის კედლიდან ვიდრე ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე), რაც თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეიცავს შემდეგ ერთეულებს: ეხლანდელი აფხაზეთის ასსრ-ის ჩრდილოეთ ნაწილს, ადლერის რაიონს, სოქის რაიონს და ტუაფსის რაიონს.

2. აფხაზეთის ტერიტორია ზემოთ-აღნიშნულ საზღვრებში (ე. ი. კელასურიდან ძველ ლაზიკამდე) — ისტორიულად ძირეული ქართული ქვეყანაა. ანტიკურ ხანას და საშუალო საუკუნეებში იგი დასახლებული იყო ქართველი ტომებით, სახელდობრ აქ მოსახლეობდა ქართველ ტომთა სამი შტო: მესხები (იგივე აფხაზები), კოლხები (მეგრულ-ლაზები) და სვანები.

3. დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის სამეფოს დაარსების ისტორია შემცდარად არის გაშუქებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

სახელდობრ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს დაარსების გამო ის შეხედულებაა მიღებული, ვითომც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი აფხაზების მიერ (რომლებიც არაქართული წარმოშობის ტომად არის მიჩნეული) და ვითომც ამის შემდეგ მომდევნო ორი საუკუნე (მე-9 — 10 საუკუნეები) ეს არის ერთგვარად „აფხაზური ერა“ დასავლეთ-საქართველოს ისტორიაში.

სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ მოხდარა.

ზოგორც ეს გამოიკვეთა საისტორიო წყაროების პრეციზული ანალიზიდან, დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო დაარსებული ყოფილა არა უცხო ტომის მიერ (დაპყრობის შედეგად), არამედ დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო შექმნილი იყო ქართველი ტომების მიერ და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის იყო ქართველი ტომი აფხაზები.

4. ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოსი (რომელიც წმინდა ქართული სახელმწიფოა), დღიდან ამ სამეფოს დაარსებისა, არის გამტარებელი მკვეთრი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა. ეს ქართულ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა კერძოდ იმაში გამოიხატება, რომ ბერძნული ენა, რომელიც ბიზანტიის ხანგრძლივი მფლობელობის შედეგად გაზატონებული იყო დასავლეთ საქართველოში როგორც მთავარი სახელმწიფო ენა, განდევნილ იქმნა და მისი ადგილი მთლიანად ქართულმა დაიკორა. ბერძნული ენა განდევნილ იქმნა აგრეთვე ეკლესიიდან და მის მაგიერ ქართული იქმნა შემოღებული. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც მანამდე ერთარქიულად დაკავშირებული იყო ბიზანტიის საიმპერიო ეკლესიასთან, კონსტანტინეპოლის პატრიარქატთან, ჩამოშორდა კონსტანტინეპოლს და დაუკავ-

შირდა ქართლის (იბერიის) საკათოლიკოზოს. ამრიგად ზანა დასაქმდა საქართველოს — აფაზეთის სამეფოს არსებობისა ეს არის ეპოქა ქართლის სამეფო მწიფობრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასაველეთ საქართველოში.

5. შედეგი ამ ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებისა იყო ის, რომ მე-9 — 10 საუკუნეებში, უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა საქართველოს გაერთიანება ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად, განმტკიცდა ქართველი ხალხის კულტურული ერთიანობა, რაც გახდა წინაპირობა ქართველი ხალხის შემდგომი პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

6. გიორგი მერჩულის თხზულებაში, რომელიც დაწერილია ეპოქაში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ დანაწილებულია სამეფო-სამთავროებად, წარმოდგენილია ფორმულა საქართველოს კულტურული მთლიანობისა, და ეს არა მარტო საეკლესიო ერთობის საფუძველზე, არამედ ენის ერთობის საფუძველზე, ვინაიდან ამ დროს ქართული ენა საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც კულტურის საერთო ენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამერეთ-იმერეთში, როგორც საერთო ენა მწერლობისა, ეკლესიისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგისა. გიორგი მერჩულე სახელწოდებას „ქართლი“ ზოგად კულტურულ შინაარსს ანიჭებს. გიორგი მერჩულის განმარტებით „ქართლი“ ეს არის არა ეთნოგრაფიული ქართლი-იბერია, არამედ „ფრიალი ქვეყანა“, მთლიანი საქართველო.

(გაგრძელება იქნება)

### 3. მატაპარიანი

## პაპიანი იმპერიალისტური რეაქციის საფასურში



თანამედროვე მსოფლიო ვითარება პირველ რიგში იმ დაძაბული ბრძოლით, ხასიათდება, რომელსაც მშვიდობისმოყვარე ხალხები საბჭოთა კავშირის მეთაურობით აწარმოებენ ახალი ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ. ომის გამჩალებელთა ინგლის-ამერიკულ ბანაკს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ხელმძღვანელობენ. ეს წრეები ყოველგვარ ზომებს ღებულობენ ყოველი ჯურის პროვოკაციებს მიმართავენ თავისი მზაკვრული ზრახვების განსახორციელებლად. ხალხთა ფართო მასების მობილიზაცია ახალი ომის გამჩალების იდეის გარშემო ყველაზე რთული ამოცანაა, რომლის გადასაწყვეტად კაპიტალისტური რეაქციის ბესევეურნი არაფერს არ იშურებენ.

კათოლიკური ეკლესია და მისი ცენტრი ვატიკანი უკანასკნელ როლს როდი თამაშობს ომის გამჩალებელთა გეგმებში. მსოფლიოში 380 მილიონი კათოლიკე<sup>1</sup>. ამ დიდი არმიის თავის მხარეზე გადაბირება ომის გამჩალებელთა ოცნებას წარმოადგენს. ეს ოცნება ძნელი განსახორციელებელია, რადგან კათოლიკეთა მასები არც სოციალურად, არც პოლიტიკურად ერთ მთლიან ბანაკს არ წარმოადგენენ, ინტერესთა სხვაობა აქ დიდია. ცნობილია, რომ, მიუხედავად პაპის სპეციალური ენციკლიკისა, მშვიდობიანობისათვის მებრძოლთა რიგებ-

ში საფრანგეთში აქტიურად მოღვაწეობს კათოლიკე აბატი ბულიე და მრავალი სხვა არა თუ რიგითი კათოლიკე, არამედ სხვადასხვა წოდების მქონე ღმერთმსახურნი. იტალიის კომუნისტური პარტიის რიგებში ბევრია მორწმუნე კათოლიკე. რაც შეეხება ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, აქ მდგომარეობა სულ სხვანაირად გვესახება. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან წარსულში კათოლიკური ეკლესია ძლიერი იყო ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, განსაკუთრებით კი პოლონეთში. ახლა ამ ქვეყნებში კათოლიკეთა უმრავლესობა უყოყმანოდ მხარს უჭერს ახალ წყობილებას და სახალხო მთავრობას. მაგრამ ნომინალურად კათოლიკენი ვატიკანს, რომის პაპს ექვემდებარებიან და რელიგიური კორპორაციული თვალსაზრისით ერთ გარკვეულ წრეს ეკუთვნიან. ამიტომ გასაგებია ის დაინტერესება, რომელსაც ამერიკის მმართველი წრეები კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის მიმართ იჩენენ.

გავლენიანი ამერიკელი გაზეთი „უაშინგტონ პოსტ“ ამას წინათ წერდა: „თავისი ისტორიის თანამედროვე სტადიაზე ამერიკის შეერთებული შტატები იმდენად არიან ჩართული ევროპისა და სოფლის საქმეში, რომ მათ აუცილებლად სჭირდებათ გამოიყენონ ვატიკანის გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე“ და განაგრძობს გაზეთი: „შეერთებული შტატები და ვატიკანი ერთნაირად არიან დაინტერესებულნი პო-

<sup>1</sup> П. М. Сегаль, Ватикан на службе у американской реакции, Москва, стр. 3 1948 г.

ლიტურჯი და ეკონომიური სტაბილიზაციის აჩქარებაში“. ძნელი გასაგები არ არის, თუ რა სტაბილიზაციაზეა აქ ლაპარაკი. „სტაბილიზაცია ნიშნავს კაპიტალიზმის შერყეული ძალების განმტკიცებას.

მრავალი საუკუნის მანძილზე რომის პაპი უძლიერესი ფეოდალი იყო, რომელიც მიწებს ფლობდა არა მარტო იტალიაში, არამედ ევროპის მრავალ ქვეყანაში, ამავე დროს ის კათოლიკური ეკლესიის ერთმმართველი იყო, რომელიც მთელ კათოლიკურ სამყაროს აერთიანებდა.

ფ. ენგელსი აღნიშნავს გარკვეულ როლს, რომელსაც კათოლიციზმი თამაშობდა საშუალო საუკუნეებში, ფეოდალური დაქსაქსულობის ეპოქაში.<sup>1</sup>

რას წარმოადგენს თავისთავად ვატიკანი?

ვატიკანი, როგორც „კათოლიკური ენციკლოპედია“ განმარტავს, „არის პაპის ოფიციალური რეზიდენცია რომში, რომელიც გაშენებულია ვატიკანის მთების ფერდობებზე. ფიგურალურად სტყუა ვატიკანი აღმნიშვნელია პაპისა და მთელ კათოლიკური ეკლესიის ძლიერებისა და ერთმმართველობის“.<sup>2</sup> კათოლიკეთათვის ვატიკანმა გარკვეული მნიშვნელობა მოიპოვა მას შემდეგ, რაც, ლეგენდის მიხედვით, ჩვენი წელთაღრიცხვის 67 წელს იქ თითქოს აწამეს მოციქული პეტრე.

ვატიკანი ყველაზე პატარა სახელმწიფოა მსოფლიოში. მისი ტერიტორია 44 ჰექტარს უდრის. ამ სახელმწიფოს ათასზე ცოტა მეტი ქვეშევრდომი ჰყავს. ვატიკანის ოფიციალური ენა ძველი ლათინურია. ვატიკანის სამოქალაქო მმართველი გუბერნატორია, რომლის განკარგულებაში არიან შუა საუკუნეე-

ბიდან მომდინარე სპეციალური ტანსაცმელში გამოწყობილი კეპუფედეები, რომლებსაც შვეიცარიულ კათოლიკურ კანტონებში აგროვებენ. ეს გვარდია სხვადასხვა, პირველ რიგში დიპლომატიურ აქციებთან დაკავშირებული ცერემონიებისათვის არის განკუთვნილი. რომის პაპობა უძველესი პოლიტიკური და რელიგიური ინსტიტუტია ევროპაში, რომელიც თავისი არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის.

რაც შეეხება რომის პაპის სახელმწიფოს, ის პირველად 781 წელს შეიქმნა და საუკუნეთა მანძილზე მან მრავალჯერ იცვალა ფერი, იგი ხან ისპობოდა, ხან კვლავ აღდგებოდა. თანამედროვე სახით ვატიკანის სახელმწიფო 1929 წელს დაარსდა მუსოლინისა და ვატიკანის სპეციალური, ე. წ. ლატერანის ხელშეკრულებათა საფუძველზე. ეს სახელმწიფო შედგება ვატიკანიდან, რომელიც რომის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს. აქ მოთავსებულია პაპის სასახლე, სხვადასხვა დანიშნულების შენობები, ზაღები, პეტრეს ცნობილი კათედრალი, რომელსაც იტალიის რენესანსის განთქმული ოსტატების რაფაელის, მიქელ-ანჯელოსა და სხვათა ქმნილებანი ამკობს.

ვატიკანს აქვს თავისი საფოსტო მარკები, საკუთარი ფული, ძლიერი რადიოსადგური, მის ტერიტორიაზე ვატიკანის საკუთრებაში მყოფი რკინიგზაც გადის.

ვატიკანში გამოდის რომის პაპის ოფიციალური ორგანო „ოსერვატორე რომანი“, რომელიც 1860 წელს დაარსდა.

პაპს ირჩევენ კარდინალთა შეკრებულება ე. წ. კონკლავი.

რომის პაპი ერთპიროვნულად სარგებლობს კანონმდებლობითი, აღმასრულებელი და სასამართლო უფლებებით. პაპის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს ვატიკანის სტატს-მდივანს, რომლის ფუნქციები შეიძლება შევადაროთ სა-

<sup>1</sup> ე. მარქსი და ფ. ენგელსი. ოხ. ტომი XVI, ნაწ. 1. გვერდი 295.

<sup>2</sup> ო. Avro Manhattan the catholic church against the twentieth century, London, 1947.

მოქალაქე მთავრობის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციებს ერთად აღებულს.

სტატუს-მდივანს ექვემდებარება რამდენიმე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დეპარტამენტი. მათში მთავარია საგანგებო საეკლესიო საქმეების კონგრეგაცია, რომელიც ხელმძღვანელობს დიპლომატიურ და პოლიტიკურ საქმეებს. ეს კონგრეგაცია კარდინალთა კომიტეტისაგან შედგება და მისი სტატუსი შეიძლება შევადაროთ ცივილური მთავრობის მინისტრთა კაბინეტს.

კარდინალები წარსულშიაც და ახლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კათოლიკური ეკლესიის საქმეთა გამგებლობაში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მრავალი წლის მანძილზე დადგენილი ტრადიციის მიხედვით კარდინალთა რიცხვი სამოცდაათი უნდა ყოფილიყო, აქედან ნახევარზე მეტი იტალიელები იყვნენ. მაგრამ ეს ტრადიცია დაირღვა. 1946 წელს პაპმა პიი XII უპირეცედენტო რამ ჩაიდინა, ერთბაშად 32 ახალი კარდინალი დანიშნა. აქედან იტალიელი მხოლოდ ოთხი იყო, დანარჩენები სხვადასხვა ქვეყნებს წარმოადგენდნენ — გერმანიას, ინგლისს, უნგრეთს, პოლანდიას, კუბას, პოლონეთს, კანადას, ჩინეთს და ასე შემდეგ. აღსანიშნავია ამერიკის კონტინენტის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ზრდა. ახალ კარდინალთა რიცხვში ოთხი ჩრდილოეთ და ექვსი სამხრედ ამერიკიდან არის. ამერიკის კონტინენტის, კერძოდ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების, კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელთა ასეთი დიდი რაოდენობით მოზიდვა შემთხვევითი როდია. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებში გადაინაცვლა ახლა მსოფლიო რეაქციის ცენტრმა და ვატიკანი მის უშუალო სამსახურში ჩადგა მთელი თავისი აპარატით.

აღსანიშნავია ერთი დეტალი/წინათ ახლო აღმოსავლეთში, სირიაში, ერთი კარდინალი იმყოფებოდა. როგორც ცნობილია, ახლო აღმოსავლეთის პლაცდარში ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური შტაბის გეგმებში გარკვეულ სტრატეგიულ როლს თამაშობს. ამ გარემოებას გაეწია ანგარიში ვატიკანში და ახლო აღმოსავლეთიდან დამატებით აირჩიეს კარდინალად სომეხი ვინმე აგაჯანიანი. ცნობილია, რომ სომხებს საუკუნეთა მანძილზე კათოლიციზმთან საერთო არაფერი ჰქონია, მით უმეტეს ახლა არაფერი აქვს მათ რომის პაპთან საერთო. ცნობილია, რომ მორწმუნე სომხებს თავისი საკუთარი გრიგორიანული ეკლესია აქვთ. ამ ეკლესიის პატრიარქი-კათალიკოსი ეჩმიაძინში იმყოფება და ის ითვლება სომხური ეკლესიის მეთაურად. მას ემორჩილებიან მორწმუნე სომხები, მრავლად განფანტული მსოფლიოში. ისიც ცნობილია, რომ გრიგორიანული ეკლესია მხარს უჭერს, პოლიტიკურ აქციას, რომელიც მიზნად ისახავს სომხეთის მიწების გაერთიანებას, განსაკუთრებით თურქთა მიერ მიტაცებულ მიწათა მშობლიური სომხეთისათვის დაბრუნებას. სომხეთის ამ მისწრაფებებს წინ აღუდგა ყველა რეაქციონერი მსოფლიოში, მათ შორის რომის პაპიც. ამ მიზნით იქნა არჩეული დემონსტრაციულად კარდინალად აგაჯანიანი, რომელიც მონა-მორჩილია ვატიკანისა და უსიტყვოდ ახორციელებს პაპის ბრძანებებს, კერძოდ სომხეთის მიწების ერთ საბჭოთა-სომხეთის სახელმწიფოში გაერთიანებისა და სომხების რეპატრაციის წინააღმდეგ იბრძვის. სწორედ ამ აგაჯანიანმა მიმართა პაპს მადლობის სიტყვით ახლადარჩეულ კარდინალთა სახელით<sup>1</sup>. პაპისათვის აშკარა ხდება, რომ მისი

1). О. А. Артуров. Ватикан и его политика. Москва, 1947 г.

მორჩილებიდან გამოვიდნენ აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ვატიკანს სურს აინაზღაუროს ეს დანაკლისი და აქტიურად იჭრება მსოფლიოს სხვა კუთხეებში.

ვატიკანის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს უწმიდესი კანცელარიის კონგრეგაცია, რომელიც წინათ ცნობილი იყო ინკვიზიციის სახელწოდებით. ეს კონგრეგაცია დაარსებული იყო 1229 წელს პაპი გრიგოლ IX მიერ. ინკვიზიციამ თავის აპოგეს მიაღწია 1478 წელს, როდესაც მეფე ფერდინანდმა და დედოფალმა იზაბელამ დააარსეს ცნობილი ესპანური ინკვიზიცია. ამ ბნელეთის მოციქულ ურჯუცთა საშინელი, ერუანტელის მომკვრელი დანაშაულებრივი საქციელი იმდენად ცნობილია, რომ ამ საკითხზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტი იქნებოდა. ვინ არ იცის ინკვიზიციის მიერ წამებულთა სახელები, ვის არ ახსოვს ჯორდანო ბრუნო, გალილეი, კოპერნიკი! ადამიანთა მეხსიერებიდან ვერაფერს ამოშლის საშუალო საუკუნეების კოცონებს, რომელთა ცეცხლის ალში დაიღუპა მრავალი ნიმუში ადამიანის ნააზრევისა და განცდილისა. აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ ინკვიზიცია ახლაც არსებობს, მისი სული კვლავ დასტრიალებს კათოლიკურ ეკლესიას. კათოლიკური გაზეთი „ოუნევერსი“ 1945 წელს იტყობინებოდა, რომ ფრანკისტულ ესპანეთში ციხეში ათავსებენ ადამიანს მხოლოდ იმიტომ, რომ ის კვირის წირვას არ დაესწრო და ხერეტენ პროტესტანტ მღვდლებს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ინკვიზიციის კონგრეგაცია შეუერთდა ინდექსის კონგრეგაციას. რა არის ინდექსი? ეს არის იმ წიგნთა სია, რომელთა კითხვა აკრძალული აქვთ კათოლიკებს. კათოლიკებს კი აკრძალული აქვთ ყო-

ველივე ის, რაც საუკუნეთა მანძილზე შექმნა ადამიანის გენიამ, შექმნილია, რმაზე ლაპარაკი, რომ აქრძალულია მსოფლისისტული ლიტერატურა, მშრომელი კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეთა და ბელადების მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის თხზულებანი, ყველაფერი რაც ჩვენ ქვეყანაში გამოიცა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ — აკრძალულ წიგნთა სიაში მოქცეულია ნაშრომები: დანტესი, ლაიბნიცის, კანტის, მილტონის, დეკარტესი, ვოლტერის, ჯონ ლოკის, ჯონ-სტუარტ მილის, პასკალის, ვიქტორ ჰიუგოსი, ეან-ჟაკ რუსოსი, ფორე ზანდის, სტენდალის, ემილ ზოლასი, ბოსიუტის, გოლდსმიტის, ანატოლ ფრანსის, მორის მეტერლინკის და მრავალი სხვა მოაზროვნის, მწერლის და კულტურის მოღვაწისა.

ცნობილია, როგორ ებრძოდა კათოლიკური ეკლესია ეგრეთწოდებულ ერესს, მწვალებლობას. მწვალებლობად კი ცხადდებოდა ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგებოდა ამ ეკლესიის დოგმას. კათოლიკურმა ეკლესიამ მოსპო და გაანადგურა ის უზარმაზარი კულტურა, რომელიც ათასის წლების მანძილზე თავდადებული შრომით ადა შემოქმედების აღმაფრენით შექმნა კაცობრიობამ. მეცსრამეტე საუკუნემდე ძალაში იყო განკიცხვა, რომელიც პაპმა გალილეის გამოუტანა.

კათოლიკური ეკლესია თანამიმდევრულად ებრძოდა ჯერ სეკულარიზმს, შემდეგ ლიბერალიზმსა და მოდერნიზმს, ახლა კი ყოველგვარ იარაღს ხმარობს სოციალიზმისა და კომუნისმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი გაშმაგებით და თავგამოდებით, როგორც ვატიკანი კომუნისმს ებრძვის, მას არ გაუღამქრია ამ ათასხუთასი წლის მანძილზე არც ერთი მოძღვრების, არც ერთი პოლიტიკური დოქტრინის წინააღმდეგ. ამ ასი წლის წინათ კ. მარქსი და



ფ. ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში“ აღნიშნავდნენ, კომუნისმის წინააღმდეგ მოლაშქრეთა ბანაკში რომის პაპი პირველთაგანიაო. კათოლიკური ეკლესია, როგორც ლენინი აღნიშნავდა, გადაიქცა „ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოდ“, რომელიც „ექსპულატაციის დაცვისა და მუშათა კლასის გაბრუნებას ემსახურება“.

კათოლიკური ეკლესია ობობას ქსელივით მოედვა მთელ მსოფლიოს. ვატიკანის ლოზუნგია: „კათოლიკები უნდა ოცნებობდნენ, გეგმავდნენ და მოქმედებდნენ მსოფლიოს მასშტაბით“. ამ პროგრამას ვატიკანი ახორციელებს მსოფლიოს ყველა კუთხეში გაბნეულ ბერმონაზონთა, მისიონერთა უზარმაზარ არმიით, იეზუიტების, დომინიკანელების, ფრანცისკანელების, ავგუსტინელების და მრავალი სხვა ორდენის საშუალებით. მისიონერი ჯამუშები მოდებული არიან მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს. ამ მისიონერებს, ბერმონაზვნებს ამზადებენ ათასგვარი სემინარიები, კოლეჯები და სხვადასხვა ჯუარის სასწავლებლები. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ვატიკანი კოლონიური და ნახევრად-კოლონიური ქვეყნებისათვის მისიონერების მომზადებას. 1945 წელს არსებობდა 400 სემინარია, სადაც კოლონიური ქვეყნებიდან გამოსული 16 ათასი სტუდენტი სწავლობდა. ამას გარდა ამ ქვეყნებში არსებობს 76 ათასი სკოლა, რომელიც 5 მილიონ კათოლიკურ ღმერთმსახურს ამზადებს. 1925 წელს რომში აკურთხეს პირველი ინდოელი ეპისკოპოსი, 1927 წელს — შვიდი ეპისკოპოსი ჩინეთისათვის, ერთი იაპონიისათვის. კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციის უზარმაზარ აპარატის დანამატს წარმოადგენს ბერებისა და მონაზვნების სპეციალური ორდენები. ამ ორდენთა შორის ყველაზე ცნობილია ეგნატე ლოიოლას მიერ დაარსებული იეზუიტთა ორდენი. სხვა ალტჰმათა შორის, რომელსაც ამ ორდენს

წევრები იღებენ, მთავარია ალტჰმა სრული მორჩილებისა. ეგნატე ველდებულია დაემორჩილეს ეგნატე კარგულს უყოყმანოდ, აბსოლუტურად ბრმად, უკრიტიკოდ. იეზუიტს არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი აზრი. მან უარი უნდა თქვას ყოველგვარ პირად თავისუფლებაზე. ეგნატე ლოიოლა მოუწოდებდა თავისი ორდენის წევრებს, რათა ქვევევარდომს არა მარტო იგივე სურვილები ჰქონოდა, რაც მის პატრონს ჰქონდა, არამედ მას ისე უნდა ეფიქრა. როგორც პატრონი ფიქრობდა, ორდენის წევრი ისე უნდა დაემორჩილოს პატრონს, რამდენადაც შესაძლებელია მორჩილება საერთოდ<sup>1</sup>.

„იეზუიტთა ორდენში მორჩილება ცვლის ყოველგვარ სურვილს და გრძნობას. მორჩილება აბსოლუტური და უყოყმანო. იეზუიტმა არ უნდა იფიქროს, არავითარი კითხვაც არ უნდა დაეხადოს მას, თუ რა მიზნებს ემსახურება მისი მოქმედება ან რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ მოქმედებას“<sup>2</sup>. აბსოლუტამდე აყვანილი მორჩილება იეზუიტთა ორდენის დამახასიათებელია, მაგრამ ბრმა მორჩილება უკლებლივ ყველა ორდენის წესდების პრინციპული მუხლია.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იარაღს წარმოადგენს პაპის ხელში ეს მრავალმილიონიანი არმია მისიონერების, ბერების და მონაზვნებისა. ამერიკელი პროტესტანტი ჟურნალისტი ტომას მორგანი, რომელიც 18 წელი ცხოვრობდა რომში, ამტყიცებს, ვატიკანი ყველაზე უფრო ინფორმირებული საერთაშორისო ორგანიზაცია არისო „დღე და ღამე პაპის წმინდა ტახტისაკენ მსოფლიოს ყველაზე შორეული კუთხეებიდან მოდის ცნობები კარგი და ავი. კათოლიკე სახელმწიფო მოღვაწე ხშირად პაპის ლეგატს უფრო ენ-

<sup>1</sup> H. P. Meils, Crux ansate

<sup>2</sup> Ranke, History of the Popes.

დობა, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელს. ვატიკანმა ხშირად ის იცის, რაც არავინ არ იცის“. მორგანი აღნიშნავს, პაპმა პიი XII ყველაზე უფრო ადრე გაიგო გერმანიის თავდასხმა პოლონეთზეო. შესაძლებელია ეს ეურნალისტური გადაჭარბება იყოს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ბერ-მონაზონთა ამ უზარმაზარ ჯამუშურ არმიას, მორგანის განცხადებანი სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული.

გარდა ამ ჯამუშური აგენტურისა, რომის პაპს 39 სახელმწიფოში ჰყავს თავისი ოფიციალური წარმომადგენელი, რომელთაც ნუნციები და ლეგატები ეწოდებათ. 25 სახელმწიფოში პაპს არა ჰყავს დიპლომატიური წარმომადგენელი, მაგრამ მათ ცვლიან სპეციალური სამოციქულოები, რომლებიც იმავე ფუნქციებს ასრულებენ, რასაც ლეგატები და ნუნციები. 46 სახელმწიფოს ჰყავს აკრედიტირებული თავისი წარმომადგენელი პაპთან ვატიკანში. ნუნციები, ლეგატები, მისიონერები პაპს აწვდიან მრავალფეროვან ინფორმაციას, მათი სამყოფელი ქვეყნების ეკონომიურ, პოლიტიკურ, ყოფაცხოვრების, კულტურულ აღწერილობას.

საქართველოშიაც, ადრინდელი ფეოდალური ხანიდან მოყოლებული ვიდრე მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, გაუჩრებელი ნაკადით მოედინებოდნენ მისიონერები, ბერები, ვატიკანის ოფიციალური თუ არაოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც დაწერილებით აღწერდნენ ჩვენს ქვეყანას და უხვ ცნობებს აწვდიდნენ პაპებს აქ არსებული მდგომარეობის შესახებ. გავიხსენოთ თუგინდ რუბრუკი, ფრანცისკანელთა ორდენის წევრი, ბერი ფლანდრიიდან, რომელიც საქართველოს ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ეწვია, ფრანგი იეზუიტი ავრილი, იტა-

ლიელი ბერი კასტელი, ესპანელი მღვდელი კუბერო, დომინიკანელი ბერი დორტელი, ისევ დომინიკანელი ბერი ფაენცი, პაპი პავლე V მიერ კავკასიაში მოვლენილი, თეათინელების ორდენის წევრი ბერი მისიონერი გალანო, ფრანგი იეზუიტი მღვდელი გრანჟე, რომელიც სამეგრელოში კათოლიციზმის პროპაგანდას ეწეოდა, დომინიკანელების ორდენის წევრი ბერი ლუკა ჯიოვანი, ისევ თეათინელების ორდენის წევრი ბერი მაჯიო<sup>1</sup> და მრავალი სხვა. ეს შავანაფორიანი ჯამუშები დაძრწოდნენ და მსუხაგ ცხოველთა მსგავსად დაეძებდნენ საკვებს იმპროვიზდელ დაქსაქსულ და დასუსტებულ ფეოდალურ საქართველოში. ამ მისიონერების ინტერესს, რა თქმა უნდა, მარტო რელიგიური, კონფესიური საკითხები არ შეადგენდა, ისინი უფრო ხშირად პოლიტიკური და საეკონომიკური მიზნებით იყვნენ გართულნი და ყველანი, როგორც წესი, პაპის ინფორმატორები და ჯამუშები იყვნენ. რომის პაპმა 1921 წელსაც გამოგზავნა საქართველოში თავისი წარმომადგენელი ეპისკოპოსი სმეტსი. ამ ეპისკოპოსმა მონაწილეობა მიიღო 1924 წელს მენშევიკების მიერ მოწყობილ ავანტიურაში და საქართველოს საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო გაეძევებინა ის ჩვენი ქვეყნიდან.<sup>2</sup> ვატიკანი ამის შემდეგაც არ ცხრებოდა მენშევიკური, ნაციონალისტური, ფაშისტური ემიგრაციასთან ერთად მოქმედებდა ჩვენი ხალხის წინააღმდეგ და ავზავნიდა თავის აგენტებს საბჭოთა საქართველოში კონტრ-რევოლუციურ მოღვაწეობისათვის.

<sup>1</sup> М. А. Поднекытов. Европейские путешественники XIII—XVIII в. в. по Кавказу. Тифлис 1935

<sup>2</sup> იხ. დიპლომატიური ლექსიკონი, ტომი 1, 1948 წ. გვ. 342.

მთელ რიგ ქვეყნებში ბერ-მონაზვნები პირდაპირ პოლიტიურ ფუნქციებს ასრულებენ. მაგალითად, ბელგიაში ბრიუსელის სენ-ვილისა და ფორეს ციხეებში ზედამხედველბად მონაზვნები არიან. უსიტყვონი, გაქვეყნებული სახით, როგორც ანტიღლები ისე დადიან ისინი სენ-ვილის უზარმაზარი ციხის აურიცხავ დერეფნებში, და ჯამუშურად იჭვრტებებიან სათვალურებში, რომ დაუყოვნებლივ მოახსენონ ციხის ადმინისტრაციას პატიმრის „დანაშაულები“, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ დაღლილი და დატანჯული ის რამდენიმე წუთით შეიძლება ჩამოგდეს სკამზე და შუბლი მაგიდაზე დადოს წასათვლემად. ზედამხედველობა ციხეებში ბერ მონაზვნებს დაკისრებული აქვთ საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში და მრავალ სხვა ქვეყანაში.

ვატიკანის სიმდიდრე აურაცხელია. თუ შუა საუკუნეებში, ფეოდალიზმის ეპოქაში, პაპი უდიდესი მიწისმფლობელი იყო და მისი დომენები მრავლად იყო გაბნეული ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, ახლა პაპი მფლობელია მრავალი აქციებისა უძლიერეს სამრეწველო კონცერნებში. პაპს ანაბარები აქვს კაპიტალისტური ქვეყნების წამყვან ბანკებში. ვატიკანი უძლიერეს ძალას წარმოადგენს მსოფლიო საბანკო სისტემაში. საფრანგეთში ვატიკანის კაპიტალი 200 მილიონ რამდენლ ფრანკს უდრის, ფრანკის თანამედროვე კურსის მიხედვით ეს ათეულ მილიონ დოლარს შეადგენს; პორტუგალიაში იეზუიტები კონტროლს უწყვენ ლისაბონის უძლიერეს ბანკს, „ბანკო ულტრამარინო“, რომელიც თავის მხრით კონტროლს უწყევს კონცესიებსა და პლანტაციებს პორტუგალიის კოლონიებში — მოზამბიკოში და ანგოლაში ვატიკანი მკიდროდ არის დაკავშირებული მორგანის ბანკთან. აქვს აქციები ისეთ კომპანიებ-

ში, როგორიცაა „სინკლურ რილ“. კანაკონდა კოპერ მაინინგ კორპორეციონი, პაპს ეკუთვნოდა სუენციუს ბრეტანის 1000 აქცია, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკელებმა შეიყიდეს. ესპანეთში იეზუიტებს უზარმაზარი ქონება აქვთ, კერძოდ ბარსელონაში, მადრიდში, სანტანდერში, სევილიაში. არგენტინაში, ქალაქ ბუენოს აირესის კომუნალურ საწარმოთა კაპიტალის უმრავლესობა ვატიკანს ეკუთვნის. ბრაზილიაში იეზუიტებს უჭირავთ უმთავრესი საფეიქრო და რეზინის წარმოებანი. ბოლივიაში მათ ეკუთვნის კალის საბადოები შვეიცარიაში იეზუიტები კონტროლს უწყვენ ელექტრომრეწველობის ყველაზე დიდ წარმოებებს. იტალიაში ვატიკანს მრეწველობაში ინვესტირებული აქვს 550 მილიარდი რამდენლ ლირა, ბანკებში კი ვატიკანს ანაბარები 400 რამდენლ ლირას უდრის. ვატიკანის სხვადასხვა სახის უძრავი ქონება შეფასებულია 380 მილიარდ ლირად<sup>1</sup>. იტალიელი მწერლის სალვიამინის გამოანგარიშებით სიმდიდრე, რომელიც პაპის პირად განკარგულებაშია, 750 მილიონ ვირვანქა სტერლინგს უდრის. ვატიკანს ეკუთვნის პინაკოტეკა (სურათების გალერეა), რომლის ღირებულების შეფასება ყოველად შეუძლებელია. ვატიკანის შემოსავლის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს მრავალგვარი შეწირულება. კათოლიკური ეკლესია ავალდებულებს მორწმუნეს სხვადასხვა რიტუალის შესრულებასთან დაკავშირებით შესწიროს ეკლესიას ან განძი ან ფულადი საჩუქარი. რომისაკენ, პეტრეს ეკლესიისაკენ ყოველწლიურად ათასობით მიმლოცავი მიედინება, რომელთა შეწირულება მილი-

<sup>1</sup> პეტრო სეკია. „ვატიკანი — იმპერიალიზმის დასაურდენია“, გაზეთი „მტკიცე მშვიდობიანობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის“, № 4.5. 11 1948 წ.

ონებს უდრის. ვატიკანი უზარმაზარი სავაჭრო ორგანიზაციაა, სადაც კომერციის თანამედროვე მეთოდებით არის ორგანიზებული ვაჭრობა ათასი ჯურის რელიკვიებით, სუვენირებით. გაცხოველებული ვაჭრობაა გაჩაღებული ცოდვათა მიტევების მიზნით. რაგინდ ცოდვას მოგიტევენთ რომის პაპი და მისი ეკლესია, თუ სათანადო საფასური იქნება გადახდილი.

კათოლიკური მსოფლიო დაყოფილია 1,300 ეპარქიად. ამ ეპარქიის სათავეში დგანან ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები, რომლებიც უშუალოდ რომის პაპს ექვემდებარებიან. ეს ქსელიც ფაქტიურად უზარმაზარი სავაჭრო ორგანიზაციაა, რომლის მეოხებით ხდება აუარება თანხების შეგროვება. 1945 წელს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კათოლიკებმა პაპის პროპაგანდის კონგრეგაციას „ძღვნად“ ორ მილიარდ რეასი მილიონი დოლარი გადასცეს. ეს ერთდროული დახმარებაა, სისტემატურად კი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მრავალი მილიონი დოლარი შედის პაპის ხაზინაში. ზოგიერთ მკვლევარის გამოანგარიშებით ახლა 80% ვატიკანის შემოსავლისა ამერიკიდან მოდის. ვატიკანი ცდილობს დამალოს ეს თვისი აურაცხელი სიმდიდრე, მაგრამ ეს სულ უფრო და უფრო ძნელი და შეუსრულებელი ამოცანაა.

რომის პაპი საუკუნეთა მანძილზე ყოველგვარი რეტროგრადობის, რეაქციის შავბნელი საქმეების სათავეში იდგა. მიუხედავად იმისა, რომ არე პაპს მოქმედებისათვის თანდათან მცირდება მსოფლიოში ტექნიკის, საერთოდ ცოდნის გავრცელების შედეგად, კათოლიკური ეკლესიის გავლენა მორწმუნე ადამიანთა ცხოვრების გარკვეულ სფეროში უძვეველია, ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ ვამხილოთ კათოლიკური ეკლესიის მზაკვრული პოლიტიკა.

თავი რომ დავანებოთ მორწმუნე წარსულს, ძველი საუკუნეების ამბებს და თვალი გადავაგლოთ უკანასკნელსა დღეებზე, აშკარა გახდება პაპის ქვეშაობითი როლი, როგორც რეაქციის უშუალო მსახურისა. მუშათა მოძრაობის გაძლიერების დღეებიდანვე, XIX საუკუნის ზეორე ნახევარში პაპმა სცადა ამ მისთვის ახალი მოვლენისათვის ბრძოლა გამოეცხადებინა ან, თუ ეს არ მოხერხდებოდა, ხელში ჩაეგდო ეს მოძრაობა. წყველ-კრულვამ, განციტხებმა, ენციკლიკებმა, რომელნიც მორწმუნეთ უკრძალავდნენ, არა მარტო მუშათა პოლიტიკურ ორგანიზაციებში, არამედ პროფესიულ კავშირებში მონაწილეობას, რომ არ ვაჭრა, პაპი მუშათა მოძრაობის გარდუვალობის გამო ახალ პოლიტიკას დაადგა. კათოლიკურმა ეკლესიამ ხელი მიჰყო კათოლიკური პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებას, კათოლიკური პოლიტიკური პარტიების დაარსებას, თუმცა კათოლიციზმის აზრიც და დოგმაც ითვალისწინებს, რომ მორწმუნეს ერთი ორგანიზაცია უნდა სწამდეს — ეკლესია. საუკუნეთა მანძილზე პაპებმა მსოფლიო გააყრუეს დეკლარაციებით, რომ ისინი არ ერევიან სამოქალაქო საქმეებში. ფაქტიურად კი სულ საწინააღმდეგო სურათი იყო. ძლიერი კათოლიკური პროფესიული ორგანიზაციები შეიქმნა საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, პოლონეთში ავსტრიაში და მრავალ სხვა ქვეყანაში. კათოლიკური პროფესიონების შექმნას და რომის პაპის შეჭრას მუშათა მოძრაობაში ბევრად შეუწყო ხელი რეფორმისტების გამცემლურმა პოლიტიკამ, რომელიც ჭადაგებდა პროფესიონების ვითომდა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, მუშათა პოლიტიკური პარტიების ვითომდა ჩაურევლობას პროფესიონების საქმეებში.

II ინტერნაციონალის ამ ტრედუნიონისტულმა პოლიტიკამ მისცა საშუალება პაპს გარკვეული გავლენა მოეპოვე-

ბინა მუშათა მოძრაობაში. კათოლიკური პოლიტიკური პარტიები უკვე XX საუკუნის ნაწიერება და ისეთ პროტესტანტულ ქვეყნებშიც კი, როგორც გერმანია იყო, ცენტრის კათოლიკურმა პარტიამ გარკვეული გავლენა მოიპოვა და წინაპიტილურულ ხანაში წამყვან როლსაც კი თამაშობდა სახელმწიფოს საქმეებში. ასეთივე მდგომარეობა იყო ავსტრიაში კათოლიკური პროფკავშირები, განსაკუთრებით კი მათი ხელმძღვანელობა, მუდამ შტრეიგერებების როლს ასრულებდნენ და ახლაც ისინი პროფმოძრაობის უკიდურეს რეაქციურ ფრთას ეკუთვნიან. ამ პროფკავშირების მეთაურები გამოდიან ინგლისის ტრედუნიონისტებისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული პროფორგანიზაციებთან ერთად მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის წინააღმდეგ და ომის გამძაღვებლთა ბანაკის შავბნელი საქმეების თანამონაწილენი არიან.

რა პოლიტიკას აწარმოებდა ვატიკანი ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე? როგორი იყო პაპის დამოკიდებულება ფაშისტური რეჟიმებისადმი?

რომის პაპის უშუალო და აქტიური მხარდაჭერით დაამყარა პირსისხლიანი ფაშისტური რეჟიმი ფრანკომ ესპანეთში.

როდესაც ფრანკომ იტალიისა და გერმანიის ფაშისტების დახმარებით 1939 წლის გაზაფხულზე სისხლში ჩაახრჩო ესპანეთის რესპუბლიკა, პი XII განაცხადა: მადლობა უნდა შეეწიროთ ღმერთს „ესპანეთში ღვთიური გაგნების ნების“ განხორციელებისათვის.

1939 წელს 17 აპრილს პაპმა პი XII რადიოთი მიმართა ფრანკოს ფაშისტებს. პაპი იუწყებოდა: „ღიდის სიხარულით მოგმართავთ თქვენ, საუვარელნო შვილნო კათოლიკური ესპანეთისა, გილოცავთ მშვიდობას და გამარჯვებას, რომლითაც ღმერთმა ისურვა

დაეგვირგვინებინა თქვენი ღვაწლი... სამოციქულო კურთხევას განიჭებთ თქვენ, კათოლიკური ესპანეთის რეჟიმის სახელმწიფოს მეთაურს (ე. ი. ფრანკოს, ვ. მ.) და მის განთქმულ მთავრობას“. არც ფრანკო დარჩენილა ვალში. ფრანკო ხოტბას ასხამდა ესპანეთის კათოლიკურ ეკლესიას, „რომელიც მონაწილეობდა ძველამოსილ ჯვაროსნულ ლაშქრობაში და აღფრთოვანებდა ნაციონალისტებს გამარჯვებისათვის“. ასე შეხმატბილებულად მოქმედებდნენ ესპანელი კათოლიკური ეკლესიის მღვდელმთავარი. „ეკლესია აქტიურად უჭერს მხარს სახელმწიფოს“—სიტყვა ტოლედოს არქიეპისკოპოსმა და ესპანეთის პრიმასმა დოქტორმა პლა-ი-დანელმა. ამას წინათ არქიეპისკოპოსმა გონსალესმა განაცხადა: „მხოლოდ ღვთიური განგების წყალობით აღიდგინა ესპანეთმა თავისი ძალა... ის როგორც კლდეს ისე ეყრდნობა კათოლიკურ ეკლესიას“.

პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით ფრანკოს რეჟიმი არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ის საჭიროა როგორც გარკვეული სამხედრო პლაცდარმი ამერიკელ და ინგლისელ ომის გამჩალებლთა ინტერესების თვალსაზრისით. ფრანკოს რეჟიმის ერთადერთი მორალურ დასაყრდენს კათოლიკური ეკლესია წარმოადგენს. ისიც არ უნდა დაევიწყოთ, რომ ესპანეთში მოიპოვება სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეული. ამ ნედლეულით სარგებლობდა ფაშისტური გერმანია. ახლა ეს ნედლეული მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფრანკოს რეჟიმის შენარჩუნების საქმეში. ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომელიც ომის გამჩალებლთ მეთაურობენ, ფრანკისტულ ესპანეთის მიმართ სრულიად გარკვეულ პოლიტიკას აწარმოებენ. მადრიდში, როგორც მექაში, ილტვიან სხვადასხვა რანგის ამერიკელი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მთავრო-



ბის პირდაპირი და შენიღბული აგენტები, ჩრდილოეთით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ პირველმა გადაწყვიტა დაერღვია გაერთიანებული ერების სპეციალური დადგენილება ესპანეთიდან დიპლომატიური წარმომადგენლების გამოწვევის შესახებ და ის აპირებს ფორმალურადაც აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა ფრანკოსთან. როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, პაპის ესპანური პოლიტიკა ვაშინგტონიდან არის ნაკარნახევი.

როგორი იყო პაპისა და მეორე ფაშისტი დიქტატორის მუსოლინის დამოკიდებულება? პაპისა და მუსოლინის დამოკიდებულება სრულ ურთიერთგაგებასა და ურთიერთმხარდაჭერაზე იყო დამყარებული.

პაპმა პი XI ბენიტო მუსოლინი გამოაცხადა „იტალიის ხალხის რაინდად“. ამავე პაპმა განაცხადა, რომ „არც ერთი კათოლიკე არ შეიძლება იყოს სოციალისტი და მოუწოდა ყველა კათოლიკურ ქვეყანას შეექმნათ კორპორაციული ფაშისტური სახელმწიფოები. სწორედ ბენიტო მუსოლინის დროს 1929 წელს ლატერანის ხელშეკრულებათა ძალით კვლავ აღდგა ვატიკანის სახელმწიფო. ვატიკანის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ზშირად მომხდარა, როდესაც სამოქალაქო ხელისუფლების მატარებელნი ზღუდავდნენ პაპის უფლებებს, ავიწროებდნენ პაპს, ემუქრებოდნენ პაპს, ემუქრებოდნენ მის პრეოგატივებს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება პაპობის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის დაქვეითება. დროთა ვითარებამ ისეთი გარემოებანი შექმნა, რომ პაპს არც კი შეეძლო ეფიქრა იმ უფლების აღდგენაზე, რომლითაც ის ოდესღაც, სამუშაო საუკუნეების გარკვეულ ეპოქაში სარგებლობდა. ვატიკანი საუკუნოების მანძილზე ცდილობდა მორწმუნეთა მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიაში გაერთიანებას და, როგორც ზე-

ვით ესთქევით, კატეგორიულად ებრძოდა რელიგიური პოლიტიკურ მმართველის შექმნის იდეას. მაგრამ მსგავსი მსგავსი უსიუტრმა აღმავლობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დამთავრების შემდეგ, სოციალიზმის იდეების ძლევამოსილმა წინსვლამ პაპი აიძულა კათოლიკური პოლიტიკური პარტიების შექმნისათვის წინააღმდეგობა არ გაეწია. კერძოდ იტალიაში შეიქმნა კათოლიკური პოლიტიკური პარტია „კათოლიკური მოქმედება“. ამ პარტიამ საგრძნობლად შეუწყო ხელი მუსოლინის ხელისუფლების მოპოვებაში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ერთ ხანს პაპი ცდილობდა დაყრდნობოდა უშუალოდ „კათოლიკური მოქმედების“ პარტიას და რაღაც ოპოზიციის მაგვარი შეექმნა მუსოლინისთვის. მაგრამ ეს დროებითი უთანხმოება მალე მიიჩქმალა და პაპმა საქვეყნოდ აღიარა, რომ „მუსოლინი განგებისაგან მოვლენილი აღამიანიოა“. მუსოლინი გაიძახოდა: „მე მინდა, რომ რელიგია მთელ ქვეყანაში გავრცელდეს, ვასწავლოთ ბავშვებს კათეხიზმო, რაჩივ მცირეწლოვანნი არ იყვნენ ისინი“. კათოლიკური ეკლესიის კავშირი ფაშიზმთან ისე შორს წავიდა, რომ მღვდლები ან პირდაპირ ღებულობდნენ ხელფასს ფაშისტური პარტიიდან, ამ ჯამუშებად მსახურობდნენ იტალიურ გესტაპოში, ეგრეთწოდებულ „ოვრაში“. არქივებისკოპოსი გორიცი მირგოტი ყოველთვის ურად ღებულობდა მუსოლინისაგან 10 ათას ლირას იმისათვის, რომ მხარი დაეჭირა ფაშისტური რეჟიმისათვის. პაპი მხარს უჭერდა მუსოლინის უკლებლივ ყველა საერთაშორისო აქციას. პაპმა დალოცა მუსოლინის ყაჩაღობა ესპანეთში, ეთიოპიაში. პაპის კურთხევით გამოემგზავრნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად იტალიური ლეგიონები. ისიც ცნობილია, რომ ამ კურთხევამ ვერ გადაარჩინა ფაშისტი მამლაცინეები

და სტალინგრადთან გარშემორტყმულნი, გაუბედურებულნი და გავერანებულნი წყველასა და კრულვას უთვლიდნენ პაპსაც და მუსოლინსაც. ფაშისტური რეჟიმის კრახის შემდეგ პაპის პირდაპირ აგენტურას იტალიაში ქრისტიანი დემოკრატები წარმოადგენენ. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეების პირდაპირი კარნახით პაპმა არაფერი დაზოგა და ყველაფერი იკადრა, რომ ქრისტიანი დემოკრატების პარტიას გაემარჯვა 1948 წ. საპარლამენტო არჩევნებში და მთავრობის სათავეში ისინი მომხდარიყვნენ. პაპი საქაოს უბედურებასა და საიქიოს ტანჯვას შეჰპირდა ყოველ ადამიანს, ვინც ხმას არ მისცემდა ქრისტიან დემოკრატებს. კათოლიკური ეკლესიის უზარმაზარი აპარატი, ათასობით მღვდელი, მონაზონი, — ყველაფერი მობილიზებული იყო უოლსტრიტის ამ ბრძანების შესასრულებლად. დეგასპერის დიდად დაეპოიანებულა პი მეთორმეტესაგან. რომ პაპი არა, ის ძალაუფლებას ვერ ჩაიგდებდა ხელში. დეგასპერის ანტიდემოკრატიულ, ანტიხალხური, იტალიის ნაციონალური ინტერესების გამყიდველთ პოლიტიკის სულისჩამდგმელი პაპია. პაპის კარნახით დეგასპერი პირდაპირ უმორჩილებს იტალიას ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. თუ იტალია ამერიკის პლაცდარმად იქცევა ხმელთაშუა ზღვაზე, ამისათვის პასუხს არა მარტო ქრისტიანი დემოკრატები დეგასპერი აგებენ, არამედ პირველ რიგში პაპი პი XII.

რაც შეეხება პაპის დამოკიდებულებას ჰიტლერთან, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ რამდენიმე გარემოება. სანამ ჰიტლერი ხელისუფლებას ჩაიგდებდა ხელში, გერმანიაში ვატიკანს მეტად ძლიერი, საკუთარი კრეატურა ჰყავდა ეგრეთ წოდებული «ცენტრის კათოლიკური პარტიის» სახით, რომელ-

საც ცნობილი კათოლიკე მოღვაწე ერც-ბურგერი და ბრიუნინგი ხელმძღვანელობდნენ. ბრიუნინგი ახლანდელსავე ამერიკაში ცნოვრობს და გამოირიცხული არ არის, რომ ის კვლავ ამოტივტივდება დასავლეთ გერმანიის მეტად ამღვრეულ პოლიტიკური ცხოვრების ზედპირზე. ცნობილია, რომ ცენტრის პარტიამ ჰიტლერს ვადასცა 1933 წელს ხელისუფლება. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ჰიტლერმა მოსპო ყოველგვარი პოლიტიკური პარტიები გარდა ფაშისტური პარტიისა. ჰიტლერის რისხვა თავს დაატყდა ცენტრის კათოლიკურ პარტიასაც. პირველ ხანებში პაპი თითქოს ოპოზიციაში ჩაუდგა ჰიტლერს. იგი იძულებული იყო ანგარიში გაეწია პარტიის რიგითი წევრებისათვის, პირველ რიგში ბავარიის შეძლებული გლეხებისათვის. რომლებიც ამ პარტიაში მრავლად შედიოდნენ და რომელთა პოლიტიკური თავმოყვარეობა შებღალული გამოდგა ჰიტლერის ბრძანებით კათოლიკური პარტიის დაშლის შესახებ. მაგრამ მცირეოდენმა დრომ განვლო და პაპის ეს მონივნებითი ოპოზიცია გაქრა. ცნობილი ფონ-პაპენის საშუალებით, რომელიც უბრალო კათოლიკე კი არაა, არამედ პაპის კამერგერია, ჰიტლერი უახლოვდება პაპს. ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო რაიხსტაგის ხანძარი, რომ ბერლინელი კარდინალი ბერტრამი ჰიტლერს სწერდა: «კათოლიკური ეპისკოპატი გულწრფელ სურვილს გამოხატავს ითანამშრომლოს ახალ მთავრობასთან». კოლიზიებს შემდეგაც ჰქონდათ ადგილი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ვატიკანი და რომის პაპი მსხვილი კაბიტალისტური ქვეყნების ინტერესთა თამაშის ობიექტს წარმოადგენს. ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები პაპს ხშირად ჰიტლერთან კავშირისაკენ აქეზებდნენ, ხან კი კონფლიქტში აბამდნენ მასთან. აქ პაპი უბრალო ტაქიმახარას როლში გამოდიოდა.

პაპსა და პიტლერს შორის სრული მარმონია მას შემდეგ დამყარდა, რაც ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. პაპი სპეციალურად შეუთანხმდა პიტლერს და საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გზავნიდა კათოლიკე მისიონერებს და მღვდლებს, რომელნიც სავსებით უჭერდნენ მხარს იმ საშინელ მხედრობას, რასაც ჩვენი ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სხადიოდნენ პიტლერელი ბანდიტები. საბჭოთა ჯარებს არა ერთი და ორი ასეთი მღვდელი, ბერი და მონაზონი ჩაუვარდათ ტყვედ ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ნაწილის განთავისუფლების დროს.

პიტლერს ვატიკანის მიმართ თავისი ანგარიშები ჰქონდა: მას სურდა პაპის ტახტზე გერმანელი ნაცისტი დაესვა, მაგრამ სანამ ამ სურვილს განახორციელებდა, მან პიი XII-სთან მონახა საერთო ენა, მით უმეტეს, რომ მუსოლინი მუდამ მზად იყო პაპსა და პიტლერს შორის შუამავალი ყოფილიყო. დღევანდელ ვითარებაში პაპი დასავლეთ გერმანიაში პროამერიკულ პოლიტიკას აწარმოებს და მხარს უჭერს ამერიკის აგენტურას. თუ 1933 — 1945 წლებში ის მორწმუნე გერმანელ კათოლიკებს პიტლერის მხარდაჭერისაგან მოუწოდებდა, ახლა ის მათ ამერიკელების მხარდაჭერისაგან მიუთითებს.

ცნობილია, რომ პაპი პიი XII აქტიურად უჭერს მხარს საფრანგეთის რეაქციულ ძალებს. დე-გოლს და განსაკუთრებით თავის პირდაპირ კრეატურას საფრანგეთში — კათოლიკურ პარტიას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდის საფრანგეთის ნაწიერია და ამერიკის შეერთებული შტატების ფარულ აგენტურას წარმოადგენს საფრანგეთში. სწორედ ამ პარტიის ერთ-ერთი ზელმძღვანელია ჟორჟ ბიდო, სხვადასხვა დროს საფრანგეთის პრემიერი თუ საგარეო საქმეთა მინისტრი.

პაპი მეთაურობს კლერკალურ რეაქციას სხვა ქვეყნებშიც — ვესტრიაში, და სხვა ქვეყნებშიც. *გიგლიოთიკა*

პაპი პიი XII მხარს უჭერს ჩინეთის რეაქციას, პირველ რიგში გაკორეზულ გომინდანს. 1946 წელს ახლად არჩეულ კარდინალთა შორის ერთი ჩინელიც იყო. ჩინელი იეზუიტების მეთაური პან-გო-ტაო მოუწოდებდა ამერიკელებს „ჩაბრა დაეწყოთ მესამე მსოფლიო ომი და ინტერვენცია ჩინეთში“.

ცნობილია, რომ ვიეტნამში ანამიტური კათოლიკური ეკლესია იბრძვის ვიეტნამის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, მხარს უჭერს ამერიკელებისა და ფრანგების მარიონეტ — იმპერატორ ბაოდაის.

რომის ქუჩებზე ათასობით დაძრწიან კათოლიკე მღვდლები. მათ შორის თქვენ შეხვდებით იაბონელებს, ჩინელებს, ზანგებს. სხვადასხვა ქვეყნიდან, ინდოელებს. შორეული როდეზიის მცხოვრებთ და მსოფლიოს მრავალი სხვა კუთხის წარმომადგენელთ. მთელი ეს ხროვა პაპის ჯამუშებისა იმპერიალიზმის აგენტების როლს თამაშობს კოლონიურ ქვეყნებში და აქტიურად ებრძვის ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა გამზავებით ებრძვის ვატიკანი საბჭოთა კავშირს და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღიდანვე რომის პაპებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს ჩვენს ქვეყანას. ჯერ კიდევ 1919 წლის 18 მარტს სტატს-მდივანმა კარდინალმა გასპერიმ პაპის სახელით პროტესტით მიმართა ჩვენს მთავრობას მღვდლებისა და მორწმუნეთა თითქოს დევნის გამო.

საბჭოთა-პოლონეთის ომის დროს 1919 — 20 წლებში ვატიკანის ნუნციმ ვარშავაში ახილი რატომ, მომავალმა პაპმა პიი XI, აქტიური მონაწილეობა



მიიღო წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პაპი ბენედიქტე XV კი სპეციალური ანტისაბჭოთა განცხადებით გამოვიდა. ვატიკანს სურდა რუსეთის დანაწილება და ის დაკავშირებული იყო ყველა თეთრგვარდიელ მთავრობასთან და მრავალ კონტრ-რევოლუციურ ორგანიზაციასთან, და პირებთან რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ იმ დროს. ამ თეთრგვარდიელთა წარმომადგენელი იყო ვატიკანში მრავალი წლის მანძილზე ვინმე ლისაკოვსკი.

1922 — 23 წლებში პაპი აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ; 1929 — 30 წლებში პაპმა პირველად აღიარა „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ; 1939 წელს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს პაპი გამოვიდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ფულადი დახმარებაც კი აღმოუჩინა ფინეთის რეაქციულ, ბურჟუაზიულ მთავრობას.

კათოლიკე პუბლიცისტი გაბრიელ ლუი ჟანე აღნიშნავს: „მას შემდეგ, რაც გერმანიის ჯარებმა რუსეთის ნაწილი დაიპყრეს, ვატიკანმა ხელშეკრულება დადო გერმანიასთან, რათა ამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარეგზავნა თავისი მისიონერები“.

აღსანიშნავია, რომ პაპი იაპონიასაც დაუახლოვდა. მან 1941 წელს მიიღო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაცუოკა და 1942 წლის მარტში დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა იაპონიასთან.

ახლახან გამოსულ წიგნში „შეთქმულება მშვიდობიანობის წინააღმდეგ“ ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი რალფ პარკერი საინტერესო ცნობებს გვაწვდის პაპის აგენტების მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირში სამამულო ომის დროს.

საფრანგეთის საელჩოს განკარგულებაში მოსკოვში გამოყოფილი ყოფილა ლუდოვიკოს საბელონის ეკლესია. ამ

ეკლესიაში მღვდელმსახურად ფრანგი და ამერიკელები ყოფილან, დანიშნულნი. ეს ფრანგი და ამერიკელები უწყებები ვატიკანის „რუსეთის სპეციალისტების“ იეზუიტების წრიდან იყვნენ წარმოგზავნილი. მათ შორის გამოირჩეოდნენ თურმე მღვდელი ნევე და ტისრანი, რომლებიც შემდეგ ვატიკანის ანტისაბჭოთა ჯამუშური ცენტრის ხელმძღვანელები გამხდარან.

ფრანგი დიპლომატი ჟან კატლა აღნიშნავს, რომ მან ურჩია შარბანტიეს, საფრანგეთის საელჩოს მრჩეველს მოსკოვში, შეეცევალა ამერიკული წარმოშობის მღვდელი ბრაუნი, რომელიც აღნიშნულ ეკლესიაში თავის ქადაგებებში საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილს უნერგავდა მსმენელებს.

ეს ბრაუნი, მღვდელი ლაბერჯი, ტომა და სხვა მრავალი ვატიკანის აგენტები ყოფილან, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ სიმპათიებს ფაშისტური გერმანიის მიმართ იმ დროს, როდესაც ჩვენი ხალხი სამეკდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებდა პიტლერელ ბარბაროსთა წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის და მსოფლიო ცივილიზაციას გადასარჩენად. ეს მღვდლები პირდაპირ დახმარებას და მხარდაჭერას პოულობდნენ საფრანგეთის, ამერიკის, ინგლისის მოსკოურ საელჩოებში.

ცნობილია ის სასტიკი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს ვატიკანი მთელი თავისი ძლიერი აპარატით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. კათოლიკური ეკლესიის ერთერთი აქტიური მოღვაწის უნგრელი კარდინალის მინძცენტის, პროცესმა ბუდაპეშტში აშკარად გამოამჟღავნა ის ჯამუშური როლი, რომელსაც თამაშობს კათოლიკე სამღვდელოების გარკვეული წრეები. მინძცენტი მხილებული იყო როგორც ჯამუში, პროვოკატორი, უნგრეთის ხალხის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების ორგანიზატორი და მე-

თავი, რომლის მთავარ ამოცანას უნგრეთში კაბიტალიზმისა და რეაქციის რესტავრაცია წარმოადგენდა.

ცნობილია ის აქტიური ბრძოლა, რომელსაც კათოლიკური ეკლესია აწარმოებს ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა იძულებული იყო მიეთითებინა კათოლიკური ეკლესიის მეთაურებისათვის რომ მთავრობა იძულებული იქნება გადაიჭრას ზომები მიიღოს, რათა აღკვეთოს კათოლიკური აგენტების ანტიხალხური პროვოკაციული მოღვაწეობა ჩეხოსლოვაკიაში.

ახლახან დამთავრებულმა 10 კათოლიკე მღვდლის პროცესმა პრადმა აშკარა გახადა, რომ ვატიკანის აგენტები ამავე დროს ჩ. ამერიკის შ. შტატების პირდაპირი ჯაშუშები და ტერორიზმის და დივერსიით ებრძვიან სახალხო მთავრობას.

ვატიკანი აქტიურ ბრძოლას აწარმოებს პოლონეთის დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთ-გერმანიის ომის მთელ მანძილზე პიტლერელი ჯალათების მიერ პოლონეთის ოკუპაციის დროს რომის პაპს კრინტიც არ დაუძრავს გერმანიის საოკუპაციო ჯარების მხეცობისა და ბარბაროსობის წინააღმდეგ. ამჟამად კი ვატიკანი აქტიურად უჭერს მხარს პოლონეთის რეაქციულ ემიგრაციას და აქეზებს კათოლიკე სამღვდლეობას სახალხო, დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ვატიკანის უშუალო მითითებით გამოვიდა 24 კათოლიკე ეპისკოპოსი დეკლარაციით პოლონეთის დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ. ეპისკოპოსი ადამსკი, რომელიც თავის დროზე მოუწოდებდა პიტლერულ ოკუპანტებთან თანამშრომლობისაგან და რომელმაც განდევნა პოლონური ენა თავის 10. „მნათობი“ № 10.

საეპისკოპოსოში, ახლა აქტიურად გამოდის პოლონეთის დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ რომის პაპმა გერმანულ მღვდელმთავრებს სპეციალურ მიმართვაში მოუწოდა დაბრუნებულ იყვნენ იმ მიწებზე, რომლებიც მიტაცებული ჰქონდათ გერმანელებს და პოლონელებს დაუბრუნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ასეთსავე აქტიურ ბრძოლას აწარმოებენ ვატიკანი და კათოლიკური ეკლესია რუმინეთში, ბულგარეთში ალბანეთში და სახალხო ახალი დემოკრატიის სხვა ქვეყნებში დემოკრატიული მთავრობების წინააღმდეგ.

ამავე დროს ინტერესს მოკლებული არ არის აღინიშნოს ვატიკანისა და ტიტოს კონტრრევოლუციური ფაშისტური ხროვის დაახლოება, რასაც ადგილი აქვს ამჟამად.

იტალიური გაზეთი „ჯორნალე დელა სერა“ გადმოგვცემს, რომ პაპის ნუნციატურის რეგენტი ბელგრადში ამერიკელი ჯოზეფ პატრიკ პარლეი ამჟამად რომში იმყოფება და სპეციალურ მოლაპარაკებას აწარმოებს რომის პაპსა და ტიტოს შორის კონკორდატის დადებისათვის. ეს ფაქტიც მეტად დამახასიათებელია ტიტოს ხროვის ფაშისტური პოლიტიკისათვის.

პაპმა პიი XII ამასწინათ სპეციალური ენციკლიკით დაწვევლა ყველა ადამიანი, რომელიც, არათუ იზიარებს კომუნიზმის იდეებს, არამედ იბრძვის მშვიდობიანობისა და პროგრესისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ვატიკანის ისტორიაშიც კი, რომელიც ცივილიზაციისა და პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლის განუწყვეტელ ჯაჭვს წარმოადგენს ეს ენციკლიკა უჩვეულო რამ არის. პიი XII დაწვევლა ასეული მილონი ადამიანი მსოფლიოში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იბრძვიან პროგრესისა, მშვიდობიანობისა და ცივილიზაციისათვის.

რით აინსება ვატიკანის ისტორიისათვისაც კი ასეთი უჩვეულო რამ? უმკველად ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატებში ომისგამჩაღებულთა მმართველი წრეების პირდაპირი კარნახითა და ბრძანებით. რით აინსება პაპი პიი XII დაუცხრომელი ბრძოლა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ? უმკველად ამავე გარემოებით.

სად უნდა ვეძიოთ ვატიკანისა და რომის პაპის ასეთი პირწაყარდნილი რეაქციული პოლიტიკის საფუძვლები? რასაკვირველია, არა მარტო ვატიკანის ისტორიულ ტრადიციებში. ვ. ლენინი აღნიშნავდა „ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისა და კლასობრივი ორგანიზაციის კავშირს რელიგიურ დაწესებულებათა ორგანიზაციებთან და რელიგიურ პროპაგანდასთან“<sup>1</sup>.

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისა და ვატიკანის დაახლოება ამ კლასობრივი ინტერესით უნდა აინსნას.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტანტული ეკლესია ვაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე კათოლიკური ეკლესია. თანამედროვე ამერიკელის მრავალი წინაპარი ევროპიდან სწორედ კათოლიკურ რეაქციას გაუბრძოდა და ახალ ქვეყანაში აფარებდა თავს. ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, ინგლისელებისა და ირლანდიელებისაგან შედგება და მათი უპირატესობა ხომ ანგლიკანური და პროტესტანტული ეკლესიის მიმდევარნი არიან. სწორედ ამიტომ იყო ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები პროტესტანტიზმის ციტადელად გამოცხადებული. ვატიკანი XVIII საუკუნის ბოლოდან აქტიურად იწყებს შეპირას ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მაგრამ მისი გავლენა მნიშვნე-

ლოვნად ძლიერდება მხოლოდ უკანასკნელ ხანებში.

ეროვნულმა პაპი მკვიდროდ ახმანდასწავს მრავალ ამერიკის მრავალ ფინანსისტ მაგნატთან და პირველ რიგში ცნობილ მორგანის ჯგუფთან. ვატიკანს, როგორც შემოთ აღენიშნეთ, ეკუთვნის კაპიტალი და აქციები სხვადასხვა ამერიკულ ტრესტებში, ეკრძოდ „სინკლერ ოილში“, „ანაკონდა კოპერში“ და მრავალ სხვა კაპიტალისტურ გაერთიანებაში.

კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში 15 ათასი ეკლესია, 770 პოსპიტალი, 369 საბავშვო ბაღი, 600 კლუბი და მრავალი სხვა დაწესებულება. კათოლიკური ეკლესიის ქონება ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში შეფასებულია 4 მილიარდ დოლარად. მისი წლიური შემოსავალი 8 მილიონ დოლარს უდრის.

1946 წელს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში ხუთი კარდინალი, 22 არქიეპისკოპოსი, 131 ეპისკოპოსი, 39 ათასი კათოლიკე მღვდელი მოქმედებდა. იქ 6000 იეზუიტი იმყოფება. სხვადასხვა „ძმთა“ და „დათა“ რელიგიურ ორგანიზაციებში 6721 „ძმა“, 139218 „და“, 40.000 ბერი და მონაზონია გაერთიანებული.

ღრმად აქვს გადგმული ფესვები კათოლიკურ ეკლესიას ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო განათლების ქსელშიც. ჩრდილო ამერიკის კათოლიკურ სკოლებში სწავლობს 2 მილიონი მოწაფე, 17,500 სტუდენტი. ნიუ-იორკის კათოლიკურ უნივერსიტეტში 5,450, ვაშინგტონის უნივერსიტეტში 2000 და ბოსტონის უნივერსიტეტში 3000 სტუდენტი სწავლობს.

ახალგაზრდათა კათოლიკურ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 16 — 18 წლის 300,000 ვაჟი და ქალი.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის 332 სხვადასხვა პერიო-

<sup>1</sup> ვ. ლენინი ობზ. ტ. XXVII III ვაშ. გვ. 168.

დული გამოცემა, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის, ვატიკანის კონტროლის ქვეშ იმყოფება.

მართო ერთმა კათოლიკურმა გამომცემლობამ „პაულისტ პრეს“ 1946 წელს 6 მილიონი ცალი წიგნი გამოსცა.

1939 წლის 23 დეკემბერს პრეზიდენტმა რუზველტმა პირადი წერილით მიმართა პაპ პიი XII. რუზველტი პიის მოუწოდებდა უფრო მკვიდრო კავშირი დაემყარებინა ვატიკანს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებთან როგორც სახელმწიფო, ისე რელიგიურ სფეროში. რუზველტს სურდა პაპი გამოეყენებინა თავისი პოლიტიკის მიზნებისათვის. პაპმა პიი XII პრეზიდენტს უპასუხა, რომ „შობის დღის არც ერთი ახალი ამბავი მას ისე არ გაახარებდა, როგორც ამგვარი წინადადება“ ასეთი ძლიერი ქვეყნის ასეთი გამოჩენილი ლიდერისა“. ამის შემდეგ რუზველტმა პაპის კართან ვატიკანში თავის პირად რწმუნებულად გაგზავნა ცნობილი მილიონერი მაირთნ ტეილორი. ეს ტეილორი ბერჯეგერ იყო მიღებული პაპის მიერ, აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებას. სხვათა შორის ტეილორმა პაპს უძღვნა თავისი პირადი სასახლე ფლორენციაში რომლის ღირებულება 500 ათას დოლარს აღემატება.

რუზველტმა პირადი რწმუნებული იმიტომ გაგზავნა პაპთან, რომ კონგრესში ძლიერია ოპოზიცია კათოლიციზმისადმი და ახალი დიპლომატიური სამსახურის დაარსებას კი სათანადო ასიგნება სჭირდებოდა, რომელიც კონგრესს უნდა დაემტკიცებინა; კონგრესის წევრები, უწყვედენ რა ანგარიშს ამომრჩევლების ტრადიციულ ანტიკათოლიკურ განწყობილებას, ამკარად არ დაუპირდნენ მზარს რუზველტს ვატიკანში სახელმწიფო წარმომადგენლის გაგზავნაზე.

რუზველტის სიკვდილის შემდეგ მაირთნ ტეილორი ტრუმენის პირადი

წარმომადგენელი იყო ვატიკანში და ფაქტიურად განაგებდა ვატიკანს. ამ ტეილორის შემთხვევაში ამერიკის რეაქციულმა ძალებმა ვატიკანი გადააქციეს თავის იარაღად ახალი მსოფლიო ომის განაღებისათვის ხალხთა მობილიზაციის საქმეში. უკანასკნელი ცნობებით მ. ტეილორი ტრუმენმა ამერიკაში დააბრუნა და ამჟამად მას ცვლის მისი მოადგილე ვინმე ტიტმენი. ამერიკის რეაქციულმა მმართველი წრეების ზრახვები ვატიკანის მიმართ შორს მიდის. მიუხედავად იმისა, რომ პაპი პიი XII მათ ერთგულად ემსახურება და პუნქტუალურად ასრულებს ვაშინგტონის დავალებებს, ამ წრეებს სურთ რომის პაპის ტახტზე ამერიკელი იყოლიონ.

ჩ. ა. შ. შტატების აგენტები როგორც ვატიკანში, ისე მის გარეთ აქტიურად იღწვიან იმისათვის, რომ რომის პაპობა ტახტზე დაულოცონ ცნობილ რეაქციონერს, საბჭოთა კავშირის მოსისხლე მტერს, ნიუ იორკის კათოლიკური ეკლესიის ყოფილი ეპისკოპოსს და ამჟამად კარდინალ სპელმანს. ერთ ხანს ამერიკელებს სურდათ სპელმანი ვატიკანის სტატუს-მდივანად, ე. ი. საგარეო საქმეთა მინისტრად დაენიშნათ, მაგრამ, როგორც ფრანგები ამბობენ, მადაჰამის დროს მოდისო. ამერიკელ მადაგასნილ რეაქციონერებს ვატიკანის მთლიანად გადაყლაპვა მოუნდათ, მისი უშუალო და პირდაპირი დამორჩილება.

შესძლებენ თუ არა ამერიკის მმართველი წრეები ამ თავისი ზრახვების განხორციელებას, ამას ახლო მომავალი დაგვიანახვებს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახლაც, როდესაც სპელმანი მხოლოდ კარდინალია, პაპი პიი XII უიმიოდ არც ერთ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო საკითხს არ სწყვეტს. სწორედ ეს სპელმანია შთამბრალბელი იმ აღვირახსნილი რეაქციული ომისგამწამებლური პოლიტიკისა, რომელსაც ახლა ვატიკანი აწარმოებს.

პრეზიდენტმა ტრუმენმა მოუწოდა ვატიკანს მსოფლიო პროგრესულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და ეგრეთ წოდებული „მარშალის გეგმისა“ და „ტრუმენის დოქტრინის“ განხორციელებისათვის ხელს შეწყობისაკენ. პაპმა პიი XII, როგორც ამის შესახებ გაზეთმა „კუსტიდიანომ“ განაცხადა, დადებითი პასუხი გაუგზავნა პრეზიდენტს და შეძლებისდაგვარად პაპი ამ თავის დაპირებას ასრულებს კიდევ. ჩვენ ამის დამადასტურებელი არა ერთი და ორი მაგალითი მოვიტანეთ ზევით.

ინტერესს არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ პაპის პროამერიკული პოლიტიკა, მისი აღვირაზსნილი ანტისაბჭოთა გამოსვლები არამცთუ არაერთარ წინააღმდეგობას არ ხვდება მემარჯვენე სოციალისტთა რიგებში, არამედ ეს გამცემლები პირდაპირ აქეზებენ პაპს და უყოყმანოდ უჭერენ მას მხარს. მემარჯვენე სოციალისტები არათუ მხარს უჭერენ ვატიკანის პოლიტიკას, არამედ, ბლიუმისა არ იყოს, კათოლიციზმის პრინციპებსა და ეთიკას სოციალიზმის პრინციპად აცხადებენ. მორწმუნე „სოციალისტი“ ბევენი, რომელიც პაპს არაფრით ჩამოუვარდება ომის გამჩალებელთა სამსახურში, ამას წინათ ვატიკანს ეწვია და პაპთან მო-

ლაპარაკებას აწარმოებდა. თავის მხრივ ვატიკანი აქტიურად უჭერს მხარს მემარჯვენე სოციალისტებს. ვატიკანი აქეზებდა სარაგატს, როდესაც მან 1947 წელს განხეთქილება მოაწყო იტალიის სოციალისტურ პარტიაში და დააარსა ეგრედწოდებული „იტალიის მშრომელთა სოციალისტური პარტია“. ყველა ქვეყანაში დამყარდა ასეთი თანამშრომლობა კათოლიკურ ეკლესიასა და მემარჯვენე სოციალისტებს შორის. ეს, რასაკვირველია, შემთხვევითი მოვლენა არ არის. ერთიც და მეორეც ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების აგენტურას წარმოადგენენ, ორივე ერთ ბატონს იმპერიალისტებს ემსახურება.

ასე ჩაუდგა სამსახურში ბნელეთის მოციქულთა ცენტრი — ვატიკანა — საერთაშორისო იმპერიალისტურ რეაქციას.

მაგრამ ამ რეაქციის შავბნელ და ბოროტ ძალებს წინააღმდეგ პროგრესული კაცობრიობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მეთაურობით იბრძვის საერთო მშვიდობიანობისათვის ამერიკის ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ.

ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული ბანაკის მებრძოლთა ამოცანაა ამხილონ ვატიკანის, კათოლიკური ეკლესიის რეაქციული როლი.

# ბიბლიოგრაფია



დ. შენგელაია „წითელი ყაყაღი“.  
საბჭოთაში 1949 წ.

დიდი სამამულო ომის თემაზე მრავალი ლირსმესანიშნავი ნაწარმოებები შეიქმნა, მაგრამ ამ თემისადმი ინტერესი ჩვენს მწერლობაში სრულიადაც არ განვლბებულა. საბჭოთა მწერლები კვლავ ცდილობენ თავიანთ ნაწარმოებებში ასახონ ჩვენი საბელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ის სიმტკიცე, ხალხის ის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და საბჭოთა პატრიოტიზმის ის მხურვალე გრძნობა, რომელმაც ყველაზე მკაფიო გამოხატულება პიკეა დიდი სამამულო ომის დამაბულ დღეებში.

დიდი სამამულო ომის თემაზეა დიწერილი დ. შენგელაიას ახალი რომანი — „წითელი ყაყაღი“.

რომანის სუვეტი მარტივია და შეიძლება მოკლედ გადმოიციეს: თბილისში ტკბილად ცხოვრობს ერთმანეთის მეზობლად ორი ოჯახი: არქეოლოგი სოლომონ დარაშელიძე თავისი ქალ-ყაყათ, — ინჟინერ არჩილითა და თითხმეტი წლის მაიკოთი, და ახალგაზრდა მწერალი ბეკან-დელაძე, თავისი მასწავლებელი დედით. სამამულო ომის დაწყებისთანავე შეგობრები — არჩილი და ბეკანი ფრონტზე მიეშურებიან. ბეკანი საფრონტო გაზეთის რედაქციაში მუშაობს; იგი დაიჭრება, მაგრამ განკურნების შემდეგ კვლავ ფრონტს უბრუნდება და ბერლინამდე სდევს მტერს; არჩილი კი გმირულად იღუპება. ფრონტიდან დაბრუნებული ბეკანი იბრავს მაიკოს, რომელიც წითელი ყაყაღის სახით რომანში სიცოცხლის, სილამაზისა და სიხარულის ემბლემადაა დასახული.

ამ სუვეტურად მარტივ ნაწარმოებში ავტორს მიზნად დაუსახავს ვერჩენის ჩვენი ქვეყნის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა, უბრალო საბჭოთა ადამიანების მდიდარი სულიერი სამყარო, მათი უსაზღვრო სიყვარული სიცოცხლისტრი სამშობლოსადმი.

დიდი სტალინის ბრძნული განსაზღვრით, „საბჭოთა პატრიოტიზმი კი არ სთიშავს, არამედ, პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად აყავნი-

რებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას“. ჩვენი ქვეყნის ამ ერთიან ძმურ ოჯახად შეკავშირებულ ეროვნებათა შვილები ერთმანეთის მზარდამზარ იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, თანაბრად ინაწილებდნენ ჰირსაც და ლხინსაც, უკანდახვეის სიმძიმესაც და შეტევის სიხარულსაც. „წითელი ყაყაღის“ გმირებს, რუს გოვონას — მაშენკას პუ ჰართველ მატახერიას, ციშპირელ სავგაროეს თუ თბილისელ ბეკან დელაძეს ისევე აწუხებთ მტრის ხელში მოხვედრილი სიყვეის ბედი, როგორც თვით იქაურ დობრობოტოცს... ბეკან დელაძის ფეხზე დადგომასა და პირველი ნაბიჯის გადადგმას თვით ბეკანზე უფრო მეტი მოუთმენლობითა და სიხარულით მისი მეგობრები ელიან... ქვეყნი მიწასთან გასწორებულ თვისი ბინის ვასალები ვადასავდებანვერ გაუმეტება პოდპოლკოვნიკ ზომენკოს და მოწყენით ათამაშებს ხელში. უბრალო საბჭოთა ჯარისკაცი სამსონა ბახტურიძე ასე მიმართავს მას: „ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, დღესასწაული ჩვენს ქუჩაში უკვე ჩამოდგა და იცოდეთ, კარგად იცოდეთ, რომ თქვენთვის ყველა ხალხის კარი ღიაა, იმ სახლთა ვასალები თქვენ იმიტომაც არა გაქვთ“... საბჭოთა ადამიანების სვეტაც სულიერ თვისებათა გამომატეველი ამგვარი დეტალები რომანში ხშირად გვხვდება.

„წითელი ყაყაღი“ დახატულია სამშობლოს გამარჯვებისათვის მებრძოლი უბრალო საბჭოთა ადამიანების რამდენიმე შესანიშნავი სახე. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია უიზიკურად ჯანსაღი და ზნეობრივად სვეტაცი რუს საბჭოთა ქალიშვილი — მაშენკა. ეს ჩვიდმეტი წლის გოგონა მზრუნველობით დასტრიალებს თავს დაპირალ საბჭოთა მებრძოლებს, ღამეებს ათებს მათს საათუმალთან, არ იშურებს საკუთარ სისულს მათთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ამბლებებზე და მიწიდეველია რომანის ის ადგილები, სადაც აღწერილია, თუ როგორ სწმენდს ჰირსი ოფლს

და ჩასწორებებს ათასგვარ სააღერსო სერტყვას ეს სათნო ვოგონა სიციხისაგან გაოგნებულ დაპრილებს, რათა როგორმე დაამშვიდოს ისინი.

ასევე მიმზიდველად ჰყავს ავტორის დახატული ვოლითი ქართული ლიტერანტა, კავალერისტი ასტაშურ მატაზერია. თუმცა ამ გმირის სახე მხოლოდ მისიპიტრის კედლებშია ნაჩვენები, ხოლო შემდეგ იგი მარტო ერთხელ, დიდუბის დროს, ვაიეღვებს მეთხველის თვალიან, მაგრამ ავტორმა მინც შესწლო მისი სახით სრულად დაეხატა გმირი საბჭოთა მეომარი.

ასტაშურ მატაზერია და მამუნკა რომანის ყველაზე სრულყოფილ სახეებს წარმოადგენენ. ასე სრულყოფილ ვერაა ბეჟან დაღლაძის სახე, რომელიც რომანში ამბის მთხრობლად გვევლინება (რომანი მთლიანად მისი პირთაა მოთხრობილი) და ამიტომ თითქმის მუდამ მკითხველის ყურადღების ცენტრში დგას. რომანის პირველი პირით თხრობისას რომ თავი შედარებით თავისუფლად ეგრძნო, ავტორის ბეჟანი გამოჰყავს როგორც შერალო, საფრონტო გახეთის მუშაი; ფრონტზე პრესის მუშაეთა საქმიანობის ჩვენება კი ავტორს მიზნად არ დაუსაბავს და ამიტომ ბეჟან დაღლაძის, როგორც ურნალისტის, საქმიანობა რომანში ძალზე მერთალად სჩანს. ვარდა ამისა, ფრონტზე გამგზავრებიდან დაპრამდე და განკურნებიდან სამამული ომის მიწურულამდე ბეჟანის საქმიანობის შესახებ რატომღაც ძალიან ცოტას გვტყობილბთ. ჰოსიტატალიც და ფრონტზედაც ბეჟანი უფრო მოვლენათა დამკვირვებელია, ვიდრე მათი უშუალო მონაწილე.

მამუნკასა და მატაზერიას ვარდა, რომანში შესანიშნავადაა დახატული ისეთი თითქოს მეორეხარისხოვანი პერსონაჟებიც, როგორცაა პოსპიტლის ლაღა აყულინა ივანოვნა, მოძრაობის მომწესრიგებელი რუსი ქალიშვილები, საბჭოთა არმიის რეიითი ჯარისკაცი სამსონა ბახტერიძე და სხვანი, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელის სახე ოდნავ პოეტისირებულია.

რომანის პირველი პირით თხრობამ ხელს შეუშალა ავტორის სრულყოფილ მოვლ რიც გმირთა სახეებზე: ცხადია, ერთი აღმანიანს თვალი უშუალოდ ვერ გასწვდებოდა რომანის გმირთა მთელ ცხოვრებას სამამული ომის პერიოდში. ამიტომაც, რომ ზოგი გმირი ერთბაშად ჰქრება რომანში და მისი სახეც დაუსრულებელი რჩება.

რომანში ბევრია ფსიქოლოგიურად ჩართული და დამაჯერებელი ადგილები, მაგრამ ზოგიერთი ექვი გვეპარება. რამდენად შენედა მთლიანად, მაგალითად, მტერთან ხელდახელ სწავდრომანსა ცოცხლო ბრძოლის დროს ბეჟანს გონებრივად არ სცილდებოდაც რომელიღაც მებრძოლის მისხარის ცალ ღიღზე დაკვირვებულ ტლანინ დამისზე ფიქრობდეს, თუ როდის ააწყდა მის იგი.

„წითელი ყუაჩოს“ ძირითადი ნაყოვნება ისაა, რომ მასში თითქმის სრულად არა სჩანს ბოლშევიკური პარტიის წარმართველი როლი. დ. შენგვლია თავისი ნაწარმოების გმირთა პარტიულობისა და საერთოდ პარტიული ორგანოების მუშაობის შესახებ ვაკვირთაც კი არას ამბობს.

დასასრულ, ნაყოვნებათაგან აღსანიშნავია ისიც, რომ დ. შენგვლია, რომელიც საერთოდ ცნობილია როგორც მდიდარი ლექსიკისა და ნათელი სტილის მქონე შერალო, „წითელი ყუაჩოს“ ენისაშიც სწრაფად დაუღვერობას იტყვის: ბევრი ფრაზა ბუნდოვანი ან ორაზროვნია, ხოლო ზოგიერთი სისწორეს მოკლებულია. სანიშნოდ დავმაცხოვრებელით რამდენიმე მაგალითთა: „ვეკენი პეტროვიჩმა თავის ახალგაზრდა მედიცინის დას თვალბში დაკვირვებით ჩააჩრდა“. ცხადია, ენობრივი შეცდომაა. „შემზარებული ლეშის, დამწვარი რკინისა და ბენზინის სუნე სუნთქვას თანდათან ამბიბუდნენ“. კიდევ მრავალი სხვა რამის სუნეც რომ ყოფილიყო, სუნე მინც ერთი იქნებოდა მასთან ზნა უფოლდ მზოლობათს რიცხვში უნდა დასმულიყო. „ტკივილებისაგან შევეწროვებულთა ხან თავდაპერილი კენესისა, ხან გაბმული გმირისა და ხან ყურთასმენის წამდებ ყვირილზე გული სიბრალულისაგან მეკუმშებოდა“. უნდა იყოს: „გმინესა, კენესასა და ყვირილზე“. ეს რომ შემთხვევითი შეცდომა არაა, მეორე მაგალითიდანაც სჩანს: „ამბახსა და ცხვირისკარტა ზომენკოს გვერდიო“, ამის ნაცვლად უნდა იყოს: „ამბახი და ცხვირისკარტა ზომენკოს გვერდიო“, „ჯარში რომ მივდიოდითო“, —ამბობს ჯარისკაცი სამსონა ბახტერიძე ფრონტზე. უნდა იყოს: „ჯარში რომ მივდიოდითო“, რადგან ის ამ სიტყვების თქმის დროს კვლავ ჯარშია. სტილისტურად სრულად უვარგისია: „თავი ისევ ზრდილად, თავდაპერილად გვირა“. ვანა ვინ იტყვის: „თავი თავდაპერილად უვირავსო“. ასევე: „ბენზარად ავიატებული ფიქრები თავს კიდვც გვაბებრებდა“, „წითელი ოდნავ იკვამლებოდა“, „ტანში ძრწოლისა და მრისხანების ყრუანტელი



მივიღო... "მისი ერთნაირი შეიძლება ითქვას, მაგრამ ძრწოლის ერთნაირი უაზრობაა. ქართულად ცუდად ვლერს ასეთი შემოკლება: „არტომზადება“ („სასარტილდობი მომზადების“ ნაცვლად).

გუგუბარია, რატომ არღვევს შერალი უკვე დაკანონებულ ქართულ ორთოგრაფიულ წესებს

და სწერს: „გოსპიტალი“, „გიტლეო“, „ქოლო ამავე დროს სპარსული პოეტის სახელის... ჭაი-მის ნაცვლად ხმარობს: „პრეტეს“ თოქეც ამ პოეტის სახელი სპარსულადაც ნათქმუნა და არა მით. ამას გარდა, წიგნში ძალზე ბევრი კორექტურული შეცდომაა.

ზურაბ ზუმბუკიძე.

ს. ყუბანეიშვილი „ყველი ჰართული ლიტერატურის მანსტრუატიანა“, ტომი მ-ა, გომოც. თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტისა. 1949 წ.



ამ წიგნში ზოგი სრული და ზოგიც ცალკეული ეპიზოდების სახით დაბეჭდილია უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კლასიკური და ხელახალი აღორძინების ხანის ლიტერატურული ძეგლების ერთი ნაწილი. სახელდობრ, ამ ტომში შეტანილია შემდეგი თხზულებები: „ამირანდარეჯანიანი“, „ამირანდარეჯანიანის“ დამატებანი, „ეუსრაშიანი“ (შემოკლებით), „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, „როსტომ-ზურაბიანი“ („როსტომიანის“ ნაწილი), „მეფეთა საღარო“, ესოპეს იგავარაკები, „მელის წიგნი“ და „ქილილა და დამანი“ (მორველი თავი).

როგორც ამ ჩამოთვლილი სათაურებიდან სწანს, ქრესტომათიის შემდგენელს დაუბეჭდავს ზოგიერთი თხზულება და არა ყველა. თავისთავად იკუთვნის მგება, რომ დანარჩენი, როგორც კლასიკური, ისე აღორძინების ხანის, ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც ქრესტომათიის ამ ნაწილში ვერ მოხვდნენ, სხვა ტომებში დაიბეჭდება. თითოეული ნაწარმოები იხსნება მოკლე და მკაფიოდ დაწერილი შესავალით, რომელშიც თხზულების შესახებ მოცემულია მოკლე ცნობები და დასაბეჭდებულა ძირითადი ლიტერატურა. წიგნს წამძღვარებელი აქვს სარჩევი და წინასიტყვაობა, დართული აქვს საკუთარ სახელთა საძიებელი და დოც. ივ. ჭავთარაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენა, რაც ს. ყუბანეიშვილმა წამოიწყო, უდავოდ მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმეა. მისი გამოცემა, გარდა იმისა, რომ ჩვენნი მომბოლოერი ლიტერატურის მთელი რიგი ძეგლები როგორც მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდება, თვით ამ ძეგლთა ტექსტების შეცნეირულ-ფილოლოგიური კვლევის თვალსაზრისითაც საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს.

გამოცემული ტექსტებიდან ამ ქრესტომათიაში პირველად იბეჭდება ქართული ლიტერატურის ე. წ. აღორძინების პერიოდის დიდაქტიკური ხასიათის ძველი — „მეფეთა საღარო“ (საქ. მუხრანის AA — 617 ხელნაწერის მიხედვით). დანარჩენი თხზულებები (როგორიცაა, მაგალითად, „ამირანდარეჯანიანი“, „ესრაშიანი“, „თამარიანი“ და სხვ.) გამოსულია სხვადასხვა გამოცემებად. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ გამოცემელმა დანარჩენი თხზულებები უშუალოდ გამოცემებიდან გადმოიჭედა და მით სამუშაო გააადვილა. პირიქით, გამოცემული ტექსტების შესწავლა გვიჩვენებს იმაში, რომ ს. ყუბანეიშვილს ამ ტექსტებზე სერიოზული, დამოუკიდებელი მუშაობა ჩაუტარებია, შეუსწავლია მის განკარგულებამო არსებული ხელნაწერები და შეძლებისამებრ ცდილა ამოთხა თხზულების ტექსტის ახალი სახით გამოცემას. მართალია, ის, „ესრაშიანის“ მეორე გამოცემის, ხოლო „თამარიანის“ და „აბდულმესიანის“ დიდი მეცნიერის ნ. მარის გამოცემით მიხედვით შექმდავს, მაგრამ მის მიერ გამოცემული „ამირანდარეჯანიანი“ არც ერთ გამოცემას აიმიოვებს, რედაქციულად განსხვავებული ტექსტი აქვს მას დაბეჭდილი იგრეთვე „ამირანდარეჯანიანის“ დამატებებისა და „მელის წიგნის“ გამოცემისთვისაც, რისთვისაც მას საკმაო მასალები შეუსწავლია. ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული ტექსტების მიღება უკრიტიკოდ შეიძლება და მის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებიც ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელია.

დოც. ს. ყუბანეიშვილს, როგორც ქრესტომათიაში შეტანილ თხზულებათა თანამედვერობიდან სწანს, არ დაუცავს ქრონოლოგიური პრინციპი, გამოუტოვებია კლასიკური ხანის ისეთი დიდი ძეგლი, როგორიც „ფეხმისტყაისანია“ და



„აბდულმესიანიდან“ „როსტომიანზე“ ვადასულა.

ჩემი აზრით, აჯობებდა, რომ კლასიკური ხანის ლიტერატურული ძეგლები, რომლებშიაც ამჟამის ქართული კულტურა, ცალკე ტომში, თუ ტომებში უოფილიყო ვაერთიანებული, ჯერ დაგვეთარგმნა კლასიკური პერიოდის ძეგლების ბევრად და შემდეგ ვადასულაყვით აღორძინების პერიოდის ძეგლების ბევრად. არ შეიძლება ერთგვარი უხერხულობა არ იგრძნოს მკითხველმა, როცა კლასიკური პერიოდის ისეთი შესანიშნავი ძეგლების გვერდით, როგორცაა „აბდულმესიანი“, „თამარინი“, „ამირანდარეჯანიანი“ და სხვ., დაბეჭდილია შედარებით მღარი ხარისხის აბსურდულები, როგორცაა „მელის წიგნი“, „მეფეთა სალარო“ და სხვ. ამ ძეგლებს შესაფერი ადგილი უნდა ჰქონოდათ გამოჩნდული. თუ ქრესტომათიის შემდგენელმა აუცილებელ საჭიროებამ მიიჩნია კლასიკური და აღორძინების ხანის ზოგიერთი თხზულების ამ ტომში გაერთიანება, მაშინ აჯობებდა, რომ აქვე შეეტანა „ვეფხისტყაოსნის“ და „სიბრძნის სიკრთის“ ცალკეული ეპიზოდები, პირველ რიგში მეტი ადგილი დაეთმო ორიგინალური ძეგლებისათვის და თავი შეეკავებინა არაორგანიზალური, ისეთი ხასიათის ძეგლის სრული სახით დაბეჭდვისაგან, როგორც „მელის წიგნი“.

ქრესტომათიაში გაერთიანებული თხზულებები, მათი ლიტერატურული ხასიათის მიხედვით, შეტანილია სხვადასხვა განყოფილებაში. მაგალითად, „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“ გაერთიანებულია „კლასიკური პერიოდის ეპოსში“. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მართებული არ იქნებოდა აქვე შეეტანა „ამირანდარეჯანიანის“ დამატებანი (ჯერმერ ხაზართა მეფისა დილარისა შეილისა ანბავი და სხვა), რომელნიც დაწერილია XVIII საუკუნეში. ამავე დროს, თუ შემდგენელმა, განყოფილებისა თუ ნაწილის დასათარებისას საჭიროდ მიიჩნია - პერიოდის ჩვენება (კლასიკური პერიოდის ეპოსი, კლასიკური პერიოდის ლირიკა), მაშინ სასურველი იქნებოდა, რომ მის ეს წესი დაეცა აღორძინების პერიოდისთვისაც. ამ ხანის ძეგლები აქ პერიოდის აღუნიშნავად გაერთიანებულია ორ განყოფილებაში (საგმირო ეპოსი, დიდებულები ეპოსი).

ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი, როგორც ამას გამოცემის აღნიშნავს (გვ. 1). დამყარებულია ოთხ უძველეს ხელნაწერზე, მაგრამ გამოცემაში ეს ხელნაწერები გამოყენებულია ისეთი ყოფილად მიუღებელი ზერხით, რომ მკითხველს არც ერთ მათავანზე არ რჩება სრული წარმოდგენა.

ტექსტი ოთხ ხელნაწერზეა დამყარებული, რომ ვიტყვი, ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტის შესწავლის შემდეგ მკითხველს უნდა დაუჩინოს ტექსტის დადგენაში მონაწილე ხელნაწერების შედგენილობა და წაკითხვის თავისებურებაზე. ამ გამოცემის მიხედვით მკითხველი ამ შრომ უნდა მიმდინარეობაში აღმოჩნდეს. საკითხავია, რაში გამოიხატა ოთხ ხელნაწერზე დამყარება? მხოლოდ იმაში, რომ გამოცემული ერთი ხელნაწერიდან მეორეზე გადაღის და აქა-იქ შენიშნავს, რომ აქედან ამაღამ ხელნაწერს აკლიათ? სიმწუხაროდ, ხელნაწერიდან ხელნაწერზე გადასვლა ვერ არის სათანადოდ გაფორმებული. იმ ტენსი შენიშვნებით, რაც აქა-იქ ტექსტს აქვს დართული, შეუძლებელია ვაერთკეთო, თუ რომელ ხელნაწერს ემყარება თხზულების ესა თუ ის ნაწილი. თუ ქრესტომათიის შემდგენელმა „მელის წიგნის“ გამოცემისას საჭიროდ მიიჩნია იმის ჩვენება, თუ რომელი ხელნაწერიდან რომელ ხელნაწერზე გადაღის (იხ. შენიშვნები, გვ. 291, 330 და სხვ.) და საჭირო შემთხვევაში გავიყვანა კიდევ ამ ხელნაწერთა განსხვავებული წაკითხვა, საკვირველია, რატომ ასე არ მოიქცა იგი „ამირანდარეჯანიანის“ დაბეჭდვისას? ვანა „ამირანდარეჯანიანი“ „მელის წიგნზე“ უფრო მეტად ღირსებისა და მნიშვნელობის ძეგლი არ არის?

გამომცემელი საჭიროდ სივლის ტექსტში აქა-იქ ესა თუ ის სიტყვა ჩაუმატოს. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ასეთი ხასიათის ოპერაცია სრულიად უეღვიბოა და გამოცემულს, იმდროინდელი ძეგლების ენის საჭირო ცოდნის თვალსაზრისით, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. მაგალითად, „მელის წიგნი“ (გვ. 290) ვკითხულობთ: „ხელმწიფე დასავლეთისა დაბანდა თავის სამეფოს ტახტსა, და შემოკრბნენ დიდებულნი თვისნი, ნახეს ხელმწიფის წვერში მცირე ზალა. მსახურთ მოახსენეს: ცხედავთ, ოქროს მიზანი ოქროს ხის რტოზედა ზის. ხელმწიფე ამ სიტყვას ვერ მიუხედა. წადა ერთი და წვერიდამ ის ზალა აართო“. ეფიჭრობთ, რომ აქ ყველაფერი გასაგებია. ვასაგებია ისიც, რომ წადა მსახური და არა სხვა ენიშნე. მიუხედავად ამისა, გამოცემულს უკანასკნელ წინადადებაში შეაქვს სიტყვა მსახური („მსახური წადა ერთი და წვერიდამ ის ზალა აართო“) და მით დარჩილია ტექსტის სილამაზე. თუ აქ ამ სიტყვის შეტანა საჭიროდ მივიჩნევდით, მაშინ იმდროინდელი ძეგლების ენის მიხედვით აჯობებდა „წადა მსახური ერთი“ და არა „მსახური წადა ერთი“.

„ჰილილა და დამანაში“ (გვ. 348) სწერია: „...არს საცადლითა და არს მოჭირვებითა საზოვარი არ იშობის, ლეთს მოწყალეზს უნდა

მიენდოს და მისგან კეთილის მონიჭებას მოელოდეს". გამომცემელს აქ შეორე „უნდა“ შეუტანია („მოწყალებას უნდა მიენდოს და მისგან კეთილის მონიჭებას უნდა მოელოდეს“), რითაც ვაუღუნავს ფრაზის მხატვრული ღირსება. აგრეთვე ამავე თხზულებაში (გვ. 382) ეკითხულობთ: „ერთი მომცრო ტბა იყო, და გზა დიდი შორს გაუვლიდა, მგზავრთა ხმა არა მისწვდებოდა, უმანყო კაცის გულსავეთ დაწმენდილი, სანახავად სამოთხის მსგავსი“. გამომცემელს მხედველობიდან გამორჩენია პირველსავე ფრაზაში წარმოდგენილი სიტყვა „იყო“ და ის ბოლოში მიუშვებია („სანახავად სამოთხის მსგავსი იყო“). ამის გამო, მას ნაცლად წაკითხვისა — „ერთი მომცრო ტბა იყო... სანახავად სამოთხის მსგავსი“, გამოუღის — „ერთი მომცრო ტბა იყო... სანახავად სამოთხის მსგავსი იყო“ და სხვ., რაც დაბლა სწევს ტექსტის მხატვრულ ღირსებას.

ასეთი მავალითების წარმოდგენა ბლომიად შეიძლება, მაგრამ ნათქვამითაც ცხადია, თუ როგორ სცოდანს გამომცემელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ს. ყუბანეიშვილი საზოგადოდ დიდი გულსუფრით ეპყრობა ზელნაწერთა წაკითხვას. ასეთი დამოყიდებულება თავისთავად აუცილებელია ზელნაწერებზე მომუშავეისათვის, მაგრამ არც ის ვარჯა, რომ ზელნაწერში დაშვებული შეცდომები ვერ გავივით,

ან მათ ყურადღება არ მივაქციოთ და გავსწორებად დავებქდით ისინი. ს. ყუბანეიშვილის გამოცემის მიხედვით „ქილენი... და...“ პირველი კარის დასათურება ასეთია: „ორენა კაცისა და მიუნდობელისაგან“. ამ დასათურებიდან არავითარი აზრი არ გამოდის. ავტორგაფიულ ზელნაწერში (S—31), საიდანაც თხზულების ტექსტია გადმოღებული, მართლაც ასევე ეს კარი დასათურებული (გვ. 42). მაშ, რა დაამავა გამომცემელმა, თუ მან აღნიშნული კარის დასათურება ისე დაბეჭდა, როგორც ეს ზელნაწერშია წარმოდგენილი? საქმე ის არის, რომ ზელნაწერის ამ ადგილას შეცდომაა დაშვებული. მეორე ადგილას კი (გვ. 10), სადაც წარმოდგენილია მთელი თხზულების კართა დასათურებანი, პირველ კარს ეწოდება: „რიდი ორენა კაცისა და მიუნდობელისაგან“. ამ დასათურების აზრი სავსებით ნათელია. ცხადია, გამომცემელს რომ უფრო კარგად შეესწავლა ზელნაწერის თავისებურებანი, მაშინ ის ასეთი შეცდომებისაგან დაზღვეული იქნებოდა.

ზენი შენიშვნები სრულიადაც არ ამცირებს დოც. ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ტრესტომათის ღირსებებს. როგორც ითქვა, მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმეა წამოწყებული. ჭარბელი მკითხველი კმაყოფილების გრძობით შეხედა ამ ტომის გამოჭყვევებას.

დავით კოხიძე.

**მასხვი გოგაძე — „ვისთან ხართ თქვენ, „კულტურის ოსტატნი“? სტატიების კრებული. გამომცემლობა „კომუნისტი“, 1940 წ. მთარგმნელი ა. ზუზუაძე, რედაქტორი ზ. ნანიბაშვილი.**



საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის პუბლიცისტური წერილებისა და მამფლტეტების კრებულის გამოცემით ვახუთ „კომუნისტის“ გამომცემლობამ კარგი საქმე გააკეთა.

კრებულში მოთავსებულია თითქმის ყველა ის წერილი, რომელშიაც მაქსიმ გორკის გამოქვეყნებული აქვს ამერიკის კაპიტალისტებისა და ინტელიგენციის ცხოვრება. მათი დაწერის შემდეგ დღევანდლამდე. მართალია, დიდმა დრომ განვლო, ქვეყნად ბერი რამ შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა ამერიკელ იმპერიალისტთა ცხოვრება. ისინი უფრო გააფთრებთ იბრძვიან თავისუფლებისა და ნაშღვლი დემოკრატიის

წინააღმდეგ და უფრო მონერ პირობებში აყენებენ თავიანთი ქვეყნის მშრომელებს.

ამერიკელ კორესპონდენტთა საპასუხოდ მაქსიმ გორკიმ დასწერა ცნობილი წერილი „ვისთან ხართ თქვენ“ „კულტურის ოსტატნი“ ამ ნაწარმოებში მწერალმა ამხილა ამერიკელ იმპერიალისტთა ზრახვები, მათი მისწრაფება ახალი ომისაკენ. ეს წერილი დაიწერა 1933 წელს — კრიზისის მძიმე წელს, და იგი, დიდმა პუშკინისტმა მწერალმა ხმა აღიმადლა ამერიკელ მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

გორკი მოუწოდებს კაპიტალისტთა მძიმე უღელქვემ მგმინავ მშრომელებს, რომ გადავიდონ მონობის უღელი და თავისუფლების დრო-

მა, ააფრილონ. მწერალი აქვე შეკრად აკრიტიკებს „ამერიკულ იდეალიზმს“ და ჰუმანიზმს. იგი სწერს: „ჩვენას ვიძლევი — კაპიტალიზტები გამოცხადებულ იქნან სოციალურად სამიშ ადამიანებად და ჩამოერთეთ კონება სახელმწიფოს სასარგებლოდ, ეს ადამიანები გადასახლებულ იქნან ოკეანის ერთერთ კუნძულზე და იქ დაიხოცონ შვიდად. ეს არის სოციალური საკითხის შეტად ჰუმანური გადაჭრა“.

„ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატნი?“ მრავალმხრივ საყურადღებო და პოლიტიკურად მახვილი ნაწარმოებია. მიუხედავად იმისა, რომ მისი დაწერის შემდეგ თურამეტმა წელსა განელო, მას დღეს ტრუმენის ამერიკისთვისაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. გორკის მიერ აწერილ შემაჩრუნებულ ამბებზე უფრო მეტი ზღბა დღევანდელ ამერიკაში, სადაც უმუშევართა რიცხვი დღითიდღე მატულობს, გათვლილია მშრომელთა უფლებები, გაღვივებულთა რასობრივი სიძულვილი და უოლ-სტრიტში მბრძანებლები ვაფთრებით ვმზადებიან ახალი ომისათვის.

მ. გორკი შენიშნავს, რომ ბურჟუაზია თავისი ინტერესების დასაცავად, მოგებისა და სიმდიდრის მოსაპყვებლად აჩადებს რასობრივ სიძულვილს და იწყებს ფერადკანიანთა შორის ომებსა და სისხლისმღვებელ შეტაკებებს. იგი თანამედროვე ბურჟუაზიასა და იმპერიალისტებს სრულიად სამართლიანად ადარებს შვეი ჰერის ბაცილებს.

„საუბრუნეთა განმავლობაში, — წერს გორკი, — შვეი ჰერი თითქმის ნორმალური მოგუნა იყო, მაგრამ შვეი ჰერი თითქმის გაჭრა და ახლა მის როლს დედაშიწებზე ასრულებს ბურჟუაზია, იგი წამლავს მთელ ფერადკანიან სამყაროს და მას მთელი თეთრი რასისადმი უდიდეს სიძულვილსა და ზიზღს უნერგავს. ნუთუ თქვენ, კულტურის დამცველნი, არ ფიქრობთ, რომ კაპიტალიზმი პროტყავილად იწყებს მტაცებლურ ომებს?“

ამერიკის თანამედროვე მწერლები და განსაკუთრებით ჰოვარდ ფასტი მთელი სისასისით ამხელენ თავიანთ რომანებში იმპერიალისტთა სიძულვილს ფერადკანიანი მშრომელებისადმი. ამერიკის ბურჟუაზიას, მშრომელთა მძარცველების ამ კასტას, როგორც გორკი შენიშნავს, თავი უკვე მოუღმა და იგი ინერციით განაგრობს მოქმედებას. გორკის თავის პაშფლავებსა და წერილებში შესანიშნავად აქვს აღწერილი ამერიკის ბურჟუაზიის მორალური და პოლიტიკური სიბილწე, მისი გადაკვარება და დაცუშულობა. ამერიკელი მდიდრები ზღაპრულ თანხებს ხარჯავენ თავიანთი ძალების შესანახად. მათთვის იმენენ ძვირფას შაგიდებს, საწოლებს, ჭურჭლებს, უდგამენ მათ ოქროს კბილებს,

რთვენ უძვირფასესი ქვების მთკებით და ტანისამოსით. 1944 წელს, როდესაც იმე მკინეარებდა და მილიონობით ამერიკელი მოქალაქე, ამერიკელმა კაპიტალისტებმა მისი მკინეარების გამოკვებისათვის დახარჯეს შვიდი მილიონი დოლარი, შეიძინეს სამი მილიონი დოლარის ნელსაცხებელი და სათამაშოები, ხოლო ძაღლებისათვის განსაკუთრებული ვასტრონომიული მალაზიების მოსაწყობად დახარჯეს ათი მილიონი დოლარი. ძაღლებისათვის მათ აქვთ მდიდრულად მოწყობილი სასაფლაოები, უდგამენ ძვირფას ძეგლებს. ყველაფერი ეს უდავოდ ვააკვირებს ჩვენს მკითხველს, მაგრამ ეს ფაქტია.

„რესპუბლიკის ერთერთი მეფე“ მ. გორკის საყურადღებო ნაწარმოებია. მასში აღწერილია მილიონერი, მისი ვარჯენობა, კულტურულ-პოლიტიკური შეხედულებანი და მისწრაფებანი. ეს ნაწარმოები ნათელ წარმოდგენას იძლევა ამერიკელ მილიონერებზე, რომელთა გონებაც ყოველმხრივ დასშული და მოშალულია. ამერიკაში ყოფნის დროს მაქსიმ გორკიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბურჟუაზიული კულტურის პრობლემებს. მწერალი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება, რომელიც ათასგვარი ახალ საომარ იარაღს ჰქმნის, დოლარის საიმედო მსახურია. გორკი თავის ზემოთდასახლებულ ნაწარმოებში მკაფიოდ ხატავს მილიონერის ტიპს. იგი რკინიგზის მეფეს, რომელთანაც მას ინტერვიუ ჰქონდა, ეკითხება:

„— რომელია თქვენი საყვარელი წიგნი? მე ჩვენების წიგნზე როდი ვლაპარაკობ...“

— მე ორი წიგნი მიყვარს — ბიბლია და მთავარი საბუხალტრო. ისინი ორივე თანაბრად შთააყვინებს გონებას. როცა მათ ხელში აიღებ, — გრძნობ, რომ მათში ჩამარხულია ისეთი ძალი, რომელიც ყველაფერს განიჭებს, რაც საჭიროა... ეს საესებით კარგი წიგნებია! ერთი წინასწარმეტყველებს დასწერეს, მეორე კი მე შეეკმენი, ჩემს წიგნში სიტყვა ცოტაა. იქ ციფრებია“ (გვ. 127 — 128).

ამერიკელი მილიონერი, ისე როგორც ყველა მილიონერი, ცდილობს ფულის საშუალებით ხელში ჩაიგდოს, როგორც ხალხის მატერიალური დოვლათი, ისე კულტურა. ამ მხრივ საინტერესოა გორკისა და მილიონერის საუბარში პაშფლავტის ერთერთ ადგილას:

— რას უშვებთ თქვენს ფულს? — მან იდნავ იჩინა მხარი, თულები აახამხამა და მიასუნა:

— ფულით კიდევ ფულს ვაკეთებ...

— რისთვის?

— რომ კიდევ ფული ვაკეთებო...



— ფულს როგორ აკეთებ?

— ა! მისმის! — სიქვა მან და ხელი ჩაიქნია — უზარალოდ. მე რკინიგზები მაქვს. ფერ-მერები საქონელს ამზადებენ. მე ეს საქონელი პაზარზე ვამაქვს. ვამოვიანებარებ რამდენი ფული უნდა დავუტოვო ფერმერს, შიმშილით რომ არ მოკვდეს და კვლავ იმუშაოს, დანარჩენს მივიღებ როგორც ვატანის ტარიფს. ძალიან მარტივი საქმეა...

— მთავრობა ხელს არ გიშლით? — მოყრძალებით ვკითხვ.

— მთავრობა? — განიმეორა მან, ჩაფიქრდა და შეუბღზე ხელი მოისვა. შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენაო, თავი ჩაიქნია. — აჰა... ისინი... ვაშინგტონში რომ არიან? არა, ისინი ხელს არ მიშლიან. ისინი ძალიან კეთილი ხალხია... მათ შორის არიან ზოგიერთნი ჩემი კლუბიდან, მაგრამ მათ იშვიათად ვხვდავ... ამიტომ ზოგჯერ კიდევ მივიწყდებიან. არა, ისინი ხელს არ მიშლიან, — გაიმეორა და მყისვე ცნობის-მოუვარებობით შეითხა:

— ვანა არიან ისეთი მთავრობანი, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანებს ფულის კეთებაში?

— დარცხვენა ევროპენი ჩემი შიამბოტობისა და მისი სიბრძნის გამო...

— არა, — წყნარად ეთქვა მე, ამაზე როდია... ფაქტია რა, შეონია, რომ ზოგჯერ მთავრობამ უნდა აერძალოს აშკარა ძარცვა...

— ეეე! — შემესიტყვა იგი, — ეგ იდეალიზ-მია. ეგ აქ მიღებული როდია. მთავრობას უფლება არა აქვს ჩაერხოს კერძო საქმეებში...

სწორედ ასეთი ფიქრებითა და მისწრაფებებით გამსჭვილული მილიონერებია დღეს უოლ-სტრიტიდან რომ იბრძვიან მსოფლიო ბატონობისათვის. მათ სურთ ფულით მთელი ქვეყანა შეისყიდონ. სულ რამდენიმე კაპიტალისტი ჰქვლიან მთელი ამერიკის სიმდიდრეს. მაგალითად, ქიბორტი პრევიელის ცნობილ მეფეს — დიუპონს დელავერის შტატში, ჰალქვარეთ, 24 მამული აქვს. ამ მამულებში მოსამსახურეთა და დამცველთა ისეთი არმია ჰყავს, რომლის რაოდენობაც დიდად აღემატება თვით ინგლისის მეფის კარის მოსამსახურეთა და დამცველთა რაოდენობას. დიუპონის ოჯახს თავისი საკურობებისათვის 500 აკრომობილი და 30 ხო-

მალდი აქვს. მის სასახლეთა ღირებულება 150 მილიონ დოლარს აღემატება. დიუპონს თავის ბაღისათვის მარტო ერთი წლის განმავლობაში 33 ათას დოლარად ღირებული ყვავილების ნერგები შეიძინა. მეორე კაპიტალისტს უნტერ-მეიერს ერთერთი თავის ბაღში 167 მყვავილეთა ევრომობი ჰყავს. საავტომობილო ქარხნის მე-პატრონე სლოუენმა თავისი ეკლის ცხენებს ერთ მილიონ დოლარად ღირებული საჯინიბო იუშენა.

ამერიკელ კაპიტალისტთა თავაშვებულობის ასეთი მაგალითები მრავლად მოპყავს ლანდ-ბერგს თავის შესანიშნავ წიგნში — „60 ამერიკელის ოჯახი“. მაქსიმ გორკიმ ამ წიგნზე ადრე ვაპოიტანა ხალხთა სამსჯავროზე ამერიკის წინდაცემულ კაპიტალისტთა ბინძური ცხოვრება. ამ მხრივ გორკის ეს წიგნი ბევრ კარგ და საინტერესო მასალას შეიცავს.

მაქსიმ გორკიმ კაპიტალისტური ამერიკის „დემოკრატიზმა“ და კეთილდღეობას ნიღაბი ჩამოხადა. ამერიკული იმპერიალიზმი, შენგონავს გორკი, მხოლოდ სიკვით ქაღაგებს ადამიანთა თანასწორფლდებობას, ხოლო საქმით მთელს ხელისუფლებას ოქროს ტომარა განაგებს. ბურჟუაზიული დემოკრატიის ქებულ ნიღაბში იმალება მსოფლიო მძარცველი, რომლის საბე და ნამდვილი ბუნება; ასე ოსტატურად დაგვიხატა გორკიმ თავის ნაწარმოებში.

„არსებითად ბანკიო ბანდიტისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, — წერს გორკი, — რომ ბანდიტში მიჩნეულია სისხლის სამართლის კანონით დასასჯელ მოქმედებად და იდენება კანონით, ხოლო ბანკიოში არა თუ კანონის მფარველობით სარეგულობს, არამედ ბანკიოები თვითონ კანონმდებლობენ, ე. ი. ჰქმნიან ისეთ კანონებს, რომლებიც ბანკიოში მართებს უადვილებს მოსახლეობის განაძარცვავდეს“.

მაქსიმ გორკის ეს წიგნი გულდამსმით უნდა წაიკითხოს ყველა ქართველი მოთხველში. იგი ძალზე დაგზმარება ჩვენს პარტიულ და კომ-კავშირულ აქტივს ბურჟუაზიული სამყაროს ცხოვრების შესწავლაში, იმპერიალისტების მისწრაფებათა გაგებაში. სტატეები და პამფლეტები კარვად არის თარგმნილი და რედაქტირებული.

ი. სიხარულიძე — „პარტიის სიმღერა“.  
საბლითბამი, 1949 წ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საბლითბამში გამოსცა ცნობილი საბჭოთა საბავშვო პოეტისა და სკართელის სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის ი. სიხარულიძის საბავშვო ლექსების კრებული — „ბურთის სიმღერა“. წიგნში, რომელიც შეიძინა განუფილებსაგან შესდგება, ოთხმოცამდე ლექსია მოთავსებული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი ლექსები: „პატარა ფიზკულტურელები“, „ჩემი ძმა“, „ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა“, „გამარჯვება, გაზაფხული“ და სხვა. მშობლიური შამისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძობა ყველაზე ფართოდ გამოხატულია ლექსში: „ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა“. ამ ლექსის შემდეგი სტრიქონები

„გვიყვარს ჩვენი საბჭოეთი,  
გვიყვარს ჩვენი მიწა-წყალი,  
გვიყვარს ისე, ვით უყვარვართ  
დიდი ბელადს და მამა სტალინს“

დიდი სტალინის სიყვარულით აღფრთოვანებული ბავშვების დრმა გრძნობის ცოცხალ დასახულებას წარმოადგენენ. ძლიერი სიყვარულით გამომწვეული განცდანი კარგად არის გადმოცემული აგრეთვე ლექსში: „ცხრა შიხის“. ლექსის ბოლო სტრიქონები:

„გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს,  
ვინც სწორი გზით გვატარებს,  
ვინც მშობლიურ მზრუნველობით  
თავს გვევლება პატარებს“

მძლავრად ეღერენ და ჩვენი ბავშვების ყვეოლ სურვილებს გამოხატავენ, იმ ბავშვების სურვილებს, რომლებიც ამხანაგ სტალინის ზრუნვის მეშვეობით დღეს თავისუფალ ქვეყანაში იზრდებიან. საბჭოთა ბავშვების შინაგან სამყაროს და ფსიქოლოგიას მკაფიოდ გამოხატავენ „პატარა ფიზკულტურელები“ სტრიქონებიც. ი. სიხარულიძის სოციალისტურ სამშობლოს სადიდებლად დაწერილი ლექსები ჩვენი ეპოქის სულით არიან გაფლენილი და პატარა მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ. თუ რამდენად უყვარს საბჭოთა ახალ-ზრდობას თავისი ქვეყანა, ეს კარგად ჩანს ლექსში: „ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა“. ამ ლექსში არაფერია ზედმეტი და არაბუნებრივი. ლექსის სტრიქონები: „ჩვენს მიწა-წყალს ვცავთ მტკიცედ, არც ერთ მტკაველს მტერს არ მივცემო“, მზნე და გულადი საბჭოთა ახალ-

ზრდობის მტკიცე ხასიათის მარჯვენელია. პოეტი საბჭოთა ბავშვებში სამშობლოს სიყვარულის გრძნობებს მხატვრულ სახეებში გამოხატავს, იგი ისეთ სურათებს ხატავს, რომ არ შეიძლება ბავშვის ყურადღება არ მიიპყროს. ნორჩი მკითხველს, ვასტკერის რა თავისი სამშობლოს ცას, სჯერა, რომ იგი ისე წმინდაა, როგორც ეს პოეტს აქვს აღწერა ლექსში „გამარჯვება, გაზაფხული“.

„რა წმინდაა სამშობლოს ცა,  
ბედნიერი, მაღალი  
გამარჯვება, გაზაფხული,  
სიცოცხლე ზარ აბალი!“

როგორც ვხედავთ ამ სტრიქონებში ის საუკეთესო გრძნობებია ჩაქსოვილი, რომლებსაც საბჭოთა აღმართი გულის სიღრმეში ინახავს და ყოველთვის თან ატარებს. სამშობლოს სიყვარულის წმინდა გრძნობები, რომელიც საბჭოთა ახალზრდობაში სოციალისტურმა სახელმწიფომ, საბჭოთა ოჯახმა და საზოგადოებამ გამოიძევა, პოეტის სხვა ლექსებშიც („ჩემი ძმა“ და სხვა), მკაფიოდ არიან გამოხატული. საბჭოთა მწერლობაში, მათ შორის საბავშვო ლიტერატურაში, შრომის საკეთხის განსაკუთრებული ადგილი უკავია. ცნობილია, რომ საბჭოთა სინამდვილეში, როგორც ამის მშრომელთა დიდი ბელადი ამხანაგ სტალინი აღნიშნავს, შრომა დიდი ხანია გადაიქცა „ღირსების საქმედ; დიდების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ“. საბჭოთა საბავშვო მხატვრულმა ლიტერატურამ მხატვრული სახეებით და სურათებით ბავშვებს უნდა გააცნოს, თუ რა პირობებში და ვითარებაში გადაიქცა შრომა ღირსებისა და დიდების, სიმამაცისა და გმირობის საქმედ. ამასთან ისიც უნდა აუხსნას, რომ მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოში შრომა ქმნის ლაშქარს და ბედნიერ ცხოვრებას. საბჭოთა მწერალი, როდესაც თავის პატარა მკითხველს აცნობს სოციალისტური შრომის მაღალ ღირსებას, მის ძალს აღმართა საზოგადოების ვარდამენის საქმეში, უნდა ეცადოს დაეხმოს შრომის გმირების რეალისტური, ტიპური სახეები. მხოლოდ საბჭოთა ეპოქის რეალური სურათები გამოიწვევენ ჩვენს ბავშვებში ინტერესსა და მიზმიანობის სურვილებს. ი. სიხარულიძის შრომის თემაზე დაწერილი ლექსებში კარგად არის გათვალისწინებული საბჭოთა ბავშვის მოთხოვნებები.

მართალია, ეს ლექსები კონკრეტულ მასალაზე არ არიან აგებული, მაგრამ შექმლებელია ნორჩმა მკითხველმა წაიკითხოს შემდეგი ლექსები: „ხურო“, „შეღლები“, „პატარები“, „ღურგლები“ და სხვა, რომ მას არ აღუბრას ამ ხელშიდან ერთი მათგანის შესწავლის სურვილი. ზემოთაღნიშნულ ლექსების მიზანდასახულობა ბავშვისათვის მისაწვდომ, მარტივ ფორმაშია მოქცეული, ამასთან ტენდენცია ნაძალადედ არ მოჩანს, რაც ნაწარმოებს ყოველფერო მერტ მიმზიდველობას მატებს. საერთოდ კი აღნიშნული ლექსები ბავშვებში შრომისადმი სიყვარულს იწვევენ. მეოთხე განყოფილებაში მოთავსებულ ლექსებიდან საყვანობოდ უნდა აღინიშნოს „პატარა მეოჯახენი“. ამ ლექსის გმირები საყვარელი და სათნო ბავშვები არიან, საუკეთესო მოსწავლენი და კარგი მეოჯახენი. პატარა მეოჯახენი აღფრთოვანებული არიან იმით, რომ მათ თავისი ასაკისდამიხედეთი ყველაფერი იციათ. „ყველა საქმე გვეჩხრება, რაც ჩვენს ასაკს შეეხება“, — სამაჟისი გრძნობით გველაპარაკებთან ნაზი და ფაქიზი გრძნობების მქონე ჩვენი საყვარელი ბავშვები. მათი შალალი შეგნებისა და ენერჯიულობის საუკეთესო მაჩვენებელია ავტორის შემდეგი სტრატეგია:

„რომ მოგრჩებით გაკეთილებს,  
სახლში საქმეს ვანაწილებთ!  
რამე საქმე ვითაკლოთ,  
ხომ გაგზდებით სასაცილო?!“

ამის მომდევნო სტრატეგიაში ოსტატურადაა მოთხრობილი, თუ რა საქმიანობას ეწევიან პატარა მეოჯახენი და როგორია განწყობილებით ეკიდებიან ისინი საქმეს. თუ როგორ აკეთობილილებს შრომა ბავშვს, ეს კარგად ჩანს აგრეთვე ლექსში „მეოჯახე ქეთინო“. პატარა ქეთინო, მაგრამ იგი უკვე მიჩვეულია საოჯახო საქმეების კეთებას. მან იცის საკუთარი თავისა და ოჯახის მოვლა. მას სახლში ყველაფერი რიგზე და სუფთად უწყევია. ერთი სიტყვით, ქეთინო ყოველმხრივ ქების აღიარებით, ყოველ ლექსში შრომისადმი ინტერესს აღიკველებს. ამ ლექსების სუბეტი კარგად მოფიქრებულია და დამაჯერებლად არის დამუშავებული, სიტყვიერი მარავით მდიდარია და ლექსის აზრი პატარა მკითხველს კარგად წვდება.

სამაშელო ომის კონივე დღეებში სამპოთა ბავშვებმა ბევრი კარგი და სასაშელო საქმე გააკეთეს. მკორწლოვანი ბავშვებიც კი, რომელთაც ასაკი ხელს არ უწყობდა თავიანთი წვლილი შეეტანათ შტრის განადგურების საქმეში, ვერაგი შტრის მიმართ დიდ სიძულვილს ამჟღავნებდნენ, მათდამი ზიზღს ამკარად გა-

მოხატადნენ. პატარა გივი, მაგრამ არ ნახეთ, რა დახატა მან: „ეს ხეა, ეს — სახლი, შავი თლით რომ დაეაბი ხეზე დიდი ტიღლი, იგი იციო, ფაშისტიო, თავზე ზედასე ქედი, ძაღლის თავი გამოავი, უკან — ძაღლის კუდი“. („პატარა მხატვრები“). გურკოც არ ჩამორჩენია გივის ფაშისტიისადმი სიძულვილის გრძნობების გამომჟღავნებაში. მასაც სძულს და ეზიზღება გაველურებული ფაშისტიები. იგი აღფრთოვანებულია იმით, რომ მისი გმირი მამა მტერს ელტვს და ანადგურებს. თინკოც მხატვარია, მან შტრის ის თვითმფრინავი დახატა, რომელსაც მიზნად დაუსახავს ჩვენს ტერიტორიაზე ფსანატი ჩამოსას. თინკომ იცის, რომ შტერი დესანტს ტყეში ჩამოსახმს, ამიტომ მან იქვე ხეით დათვი და შველი დახატა. იციო შტერი რას იზამენ თინკოს მიერ დახატული დათვები და შველები? როცა შტრის პარაშუტისტები დაეშვებიან „დაბურენ და შევამენ“. მეხოთე განყოფილებაში — „სკოლი-სკენ“, სულ რაღაცა ლექსია მოთავსებული. მათ შორის დიდი პათოსით და ძალადუტარაზიად არის დაწერილი შემდეგი ლექსები: „საათის სიშურა“, „დაბრუნება სკოლაში“, „სწავლის დაწყება“ და სხვა. აღნიშნულ ლექსებში ჩვენი ბავშვების ცოცხალი სახეა გამოხატული. კარგად არის ვაღმოკებული მათი მისწრაფება სწავლისადმი. ამ ლექსებში სურათები ისე ბუნებრივად, სრულყოფილად არიან ვადამოლი, რომ შექმლებელია ბავშვის გონებაზე არ იმოქმედონ და ხელი არ შეუწყონ მის აღზრდა-განვითარების საქმეს. ლექსი „დედა-ინა“ შრობიური ენისადმი განუზომელ სიყვარულს გასწავლის და ი. გოგებაშვილის „დედა-ინის“ შალად ღირსებას ვეკონობს. ლექსში „სიმინდის ყანა“ სოფლის წარმტაცი სურათებია დახატული. გივი კოლმურერებს ყანაში ესტუმრია. მან თავისი თონიკ დაატრიალა იქ. ამასთან გივიმ ყანაში თან წაიღო წიგნები და:

„კოლმურერებს უკითხავს  
ზღაპრებს და იგავ-არაკებს,  
ლექსებს წარმოსთქვამს ზეპირად,  
ხმატბილად ჩაარაკაკებს“.

გივი სამავალითო ბავშვია, მაგრამ არა მარტო გივია სამავალითო და საყვარელი ბავშვი, არამედ ლადოც, საერთოდ ი. სიხარულიძის გმირები დადებითი თვისებების მატარებელი ბავშვები არიან. სრულად სამართლიანად წერს წიგნის წინასიტყვაობის ავტორი მ. ბურჭულაძე, რომ: „ილია სიხარულიძის ლექსების პერსონაჟები ყველანი დადებითი ბავშვების ტიპებს წარმოადგენენ. მწერალს არ უყვარს უარყოფითი ბავშვების ჩვენება. იგი ცდილობს საღი თვისებების, საღი ქვეყნების მტონჯ ბავ-

შეების დახატვით ჩაუნერგოს პატარა შვითხვე-  
ლებს მისწრაფება დაემსგავსონ მათ, მიბაძონ  
კარგს სანქმში, კარგს ქცევებში". ცხადია  
ა. სიხარულიძის მისწრაფება შემთხვევითი ხა-  
სიათის როდია. მისი პოეზია საზრდოს საბჭო-  
თა სინამდვილიდან ლებულობს, საბჭოთა ცხოვ-  
რება კი ჩვენს ბავშვებს სულიერად და ფიზი-  
კურად აფაქიზებს, ავაჯაყებს. ი. სიხარულიძე  
სწორედ ასეთი ბავშვების ხასიათის ამსახველი  
შეწარალა.

პოეტი საბჭოთა ბავშვების ხასიათის ასახე-  
ისს წარსულ ამბებს კი არ მოგვეთხრობს, ბავ-  
შვის ყურადღებას ძველი ამბებით კი არ იმე-  
რობს, არამედ აწყუთა. პოეტის გმირები სი-  
ცოცხლით სავსე ბავშვებია, რომელთაც ყო-  
ველდღიურად ვხვდებით და ჩვენს თვალწინ იზ-  
რდებიან. ამასთან უნდა ითქვას, რომ ი. სიხა-  
რულიძის საბავშვო ლექსები დატვირთული  
არ არის მეორეხარისხოვანი ღებღებებით. შე-  
რალი ზედმეტ ეპიზოდებსაც გაურბის, სურა-  
თებს მკაფიოდ და სადად ხატავს. პოეტის  
მეორე დახატულ სურათებში საბჭოთა ბავშვის  
არამარტო დღევანდელ სახეს ვხვდებით, არამედ  
ხვალინდელსაც. საბჭოთა ბავშვის ხვალინდელი  
სახე მის ლექსებში ჩანს როგორც აწყვის შე-  
დეგი, შვითხველი მასში ნათლად ზედავს კოჟუ-  
ნიზმის მომავალ აქტიურ მშენებელს, შეგნ-  
ებულ მოქალაქეს და ნამდვილ საბჭოთა პატ-  
რიოტს.

ი. სიხარულიძე თავისი ლექსების სუფრის  
აგებისას ბავშვის გონებრივ შესაძლებლობას  
თვალისწინებს, ამიტომ იგი სუფრეს არ არ-  
თულებს, არ ხლართავს. ბავშვის მოქმედება და

მისწრაფება მის ლექსებში გამოხატულია უბრა-  
ლოდ, სადად, მაგრამ უაღრესად დამჯერებ-  
ლად და მიწილდევლად. საერთოდ ქვეყნულ-  
ხერხებულად იყენებს ფერებს, სიტყვებს  
და სურათებს ხატავს. ამის შედეგია, რომ  
მისი ლექსები კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ.  
პოეტის ენა გამართულია. ბავშვების საყვარელ  
მწერალს არ უყვარს რთული და მძიმე სიტყვ-  
ების ხმარება. იგი მკაფიოდ აცნობს ბავშვებს  
მოვლენებსა და სავენებს. მისი სიტყვა და საუ-  
ბარი ბავშვებისათვის სავსებით გასაგებია.  
განსაკუთრებით აღსანიშნავია შედეგად ვარ-  
უდილებაში („კენკრა და ტკალატი“) — მო-  
თავსებელი ლექსები. ბავშვები ამ ლექსებ-  
ში გებულობენ, თუ დროის რომელ პერიოდში  
შეიფლება ან სად და როგორ პირობებში იზრ-  
დება მათი და მარწყვი, მოცივი და ასკილი,  
ჭინჭარი და ზღმარტი და სხე. — აგრეთვე  
იმას, თუ რა სარგებლობა მოაქვთ მათ აღმია-  
ნისათვის. ყველაფერი ეს ისე მოხერხებულად  
არის აღწერილი, რომ შეუძლებელია ბავშვში  
ბუნების შესწავლის ინტერესი არ გამოიწვიოს.  
ამ ლექსებშიაც უბრალო და მსუბუქი სიტყვ-  
ებია შერჩეული. არც ერთი მისი ლექსი ვაუბ-  
რალღებული და პრიმიტიული არ არის. ამი-  
ტომია, რომ ი. სიხარულიძის ლექსები პატარა  
შვითხველის ყურადღებას იპყრობენ. პოეტი  
დიდ ყურადღებას აქცევს ლექსის წყობას, მის  
მხატვრულ ფორმას.

ი. სიხარულიძის საბავშვო ლექსების წიგნი  
ჭიჭრასი საჩუქარია ბავშვებისათვის.

ვლ. არბიშიძე

### 3. ს. ონიანი. „ლენინი და სტალინი საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ“. სახელგაში. 1940 წ.

★

ს. ონიანის შრომა „ლენინი და სტალინი  
ინტელიგენციის შესახებ“ შესდგება შესავლი-  
სა და ხუთი თავისაგან. თითოეულ თავში სა-  
კითხის კარგი ცოდნით ვაღმოცემულია და გა-  
შუქებულია ინტელიგენციის შესახებ მარქსის-  
ტულ-ლენინური შეხედულებანი და ის გამანა-  
დგურებელი პრბოლები, რომელიც მარქსიზმ-  
ლენინიზმის კლასიკოსებმა ჩაატარეს ინტელ-  
გენციაზე ზეკლასიური, ანტიიმპერიული შე-  
ხედულებების წინააღმდეგ.

პირველ თავში დახასიათებულია ცარიზმის  
მტრული დამოკიდებულება პროარესულ მოაზ-  
როვნეთა მიმართ. ვაღმოცემულია რევოლუ-  
ციამდელი რუსეთის ინტელიგენციის სოცია-  
ლური შემადგენლობის, მისი ისტორიული რო-  
ლის და მისი ამოცანების საკითხები, ნაწევრ-  
ებია ბელინსკის, ვერცევის, დობროლუბოვის,  
ჩერნიშევსკის ისტორიულ დამსახურება პრო-  
არესული იდეების გამოშვებებისა და იმ  
ღეაწლის შესახებ, რომელიც მათ მიუძღვით

რუსეთში მარქსისტული მსოფლმხედველობის გამარჯვებისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში.

პირველ თავშივე მოკლედ ხაზგასმულია ლენინისა და სტალინის ეს შეუნდებელი ბრძოლები, რომელიც მათ ჩაატარეს ნარკომინების, „ლევალური მარქსისტების“, „ეკონომისტების“ და სხვა ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, მარქსისტული მსოფლმხედველობის გამარჯვებისათვის.

მეორე თავში ავტორი ვადმოგვეცნოს ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის როლს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ვატარების პერიოდში, რომელიც მათ შეასრულეს კაცობრიობის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის გენიალური წინამძღოლობით.

ავტორი ვადმოგვეცნოს ოქტომბრის რევოლუციის დროს ინტელიგენციის ორად გათიშვის ფაქტებს: ინტელიგენციის „ავალიდიცირებულა ზედაფენა“, მკიდროდ დაკავშირებული ბურჟუაზიისა და შემამულეთა ინტერესებთან, კონტრრევოლუციის იდეურის მედროშის როლში გამოვიდა, ხოლო ინტელიგენციის პატარა ნაწილი, რომელიც თავისი სოციალური წარმოშობითა და პირადი მდგომარეობით რუსეთის მშრომელ მასებთან იყო დაკავშირებული არა მარტო მივსალმა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერის დასაწყისს, არამედ ბურჟუაზიისა და შემამულეთა წინააღმდეგ სამკედრო-სასაბოტაჟო ბრძოლებში აქტიური მონაწილე გახდა.

პარტია, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ვადამწყვეტ ბრძოლებს აწარმოებდა რეპრესიული ინტელიგენციის შემოტევის წინააღმდეგ. მთელი რიგი დეკრეტებით შლიდა მათს კონტრრევოლუციურ კავშირებს და იგერიებდა ინტელიგენციის სამოტაქს, ხოლო ინტელიგენციის მესამე ნაწილი მერყეობდა არა მარტო ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და ვატარების დროს, არამედ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგაც. სანამ ის არ დაჩრქუნდა სოციალისტური წყობილების სიმტკიცეში და მის უპირატესობაში ბურჟუაზიული წყობილების წინაშე.

მაგრამ პარტია ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მთლიანად კი არ უარყოფდა ძველ ინტელიგენციის გამოყენებას, არამედ, როგორც ავტორი მოხდენილად მიეთითებს, დიდ ვერადღებებს აქცევდა მათი შეგნებული ნაწილის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე ვადმოყვანას, მათ ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის და ხალხთა ფართო მასებთან დაკავშირებას.

ძველ ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხში პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების შეუპოვარი ბრძოლების წინაშე უმტკიუნობდა პარტიის შენით ორ ფაქტორზე: ჩინური იმთა წინააღმდეგ, რომლებიც ძველ სპეციალისტებს ვადამარბებული წოდებით ეპყრობოდნენ და უარყოფდნენ ახალი ინტელიგენციის შექმნისათვის ბრძოლებს, აგრეთვე იმთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელადებით უარყოფდნენ რევოლუციამდელი ინტელიგენციის გამოყენებას.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინისა და სტალინის წინამძღოლობით დავმოძველ ინტელიგენციასთან დამოკიდებულების, ზემოთაღნიშნული ორივე შეხედულება, როგორც სოციალიზმისათვის მტრული შეხედულება და მიიღო ყველა ზომები ოქტომბრის რევოლუციამდელ ინტელიგენციაზე დიდერენული მიდგომისა და მათი ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის გამოყენების შესახებ.

„ყველა ამ ღონისძიებთა შედეგად, — აღნიშნავს ავტორი, — რაც ბოლშევიკებმა ლენინისა და სტალინის შეთაურობით განახორციელეს ძველი ინტელიგენციის ჩასაბმელად ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ინტელიგენციის საგრძნობმა ნაწილმა შეიგნო საბჭოთა წყობილების იდეური უპირატესობა ძველ შემამულურ ბურჟუაზიულ წყობილებასთან შედარებით და მასში მოხდა გარდატეხა“. (გვ. 57).

მესამე თავში ავტორი არცევის შეუპოვარ ბრძოლებს, რომელიც პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაატარა ლენინისა და სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ინტელიგენციის შესემწმელად. საჭირო იყო თვისობრივად ახალი ინტელიგენცია, რომელიც სისხლითა და ხორციით იქნებოდა დაკავშირებული სოციალისტურა სახელმწიფოს ორი მთავარი შემოქმედი კლასების, — მუშათა კლასისა და გლეხობის, — სასაბოტაჟო ინტერესებთან.

ყოფილ მეფის რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებით ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდა და განმტკიცდა ახალი სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელსაც ესპირიტუბოდა თავის შემდგომი განმტკიცებისა და საბოლოო გამარჯვებისათვის, არა მარტო სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოციალისტური კოლმქტივიზაცია, არა მარტო პროლეტარული რევოლუციის გრავალში დაზადებული უძვეველი საბჭოთა არმია, არამედ კულტურულ-მეცნიერული ძალების ახალი არმია — საბჭოთა ინტელიგენცია.

ყოველ ვაბატონებულ კლასს, — გვასწავლის დიდი სტალინი, — ჰეავდა თავისი საკუთარი



ინტელიგენცია. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასსაც აუცილებლად უნდა შეადგეს თავისი საწარმოო ტექნიკური ინტელიგენცია". („ლენინიზმის საფუძვლები" გვ. 427).

სსრ კავშირმა დიდი სტალინის ინიციატივით და ზღმძვინვარებით შექმნა თავისი საკუთარი ინტელიგენცია — საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც წარმოადგენს ოქტომბრის პროლეტარული რევოლუციის უდიდეს მონაპოვარს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში კულტურული რევოლუციის გატარების დარგში. ეს არის პარტიისა და ხელისუფლების უდიდესი გამარჯვება დიდი საბჭოთა მრავალეროვანი, მრავალმილიონიანი ხალხის სუღერა კულტურისა და იდეოლოგიის სფეროში. საბჭოთა ინტელიგენცია დაკავშირებულია ჩვენს დიდ ხალხთან სისხლითა და ხორციით და, როგორც შრომის ავტორი მიუთითებს „ხალხის ფიქრებით ფიქრობს და ხალხს სუნთქვით სუნთქავს".

ამ თავში ავტორს მოჰყავს მრავალი სტატისტიკური მასალები და დამაჯერებელი ფაქტები იმის შესახებ თუ, როგორ იზრდებოდა და მტკიცდებოდა ყოველწლიურად საბჭოთა ინტელიგენცია, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივადაც სოციალისტური, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცებასთან ერთად. შრომაში კარგად არის გადმოცემული საბჭოთა ინტელიგენციის ხალხურება, რომ სწავლა-განათლება, კულტურა და ზელოვნება საბჭოთა კავშირში გამარჯვებული მუშათა კლასის, გლეხების და ინტელიგენციის კუთვნილებად გადაიქცა.

საბჭოთა ინტელიგენციის დიდი არმიის მორალურ-პოლიტიკური და იდეური ძალა იმაშია — იგი ხალხს წაადიდნა გამოსული, ხალხთან ორგანულ კავშირშია და მას ემსახურება. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ინტელიგენციასა და ხალხს შორის უფსკრული კი არ არის და ინტელიგენცია გამატარებულ ექსპლუატატორულ კლასებს კი არ ემსახურება იძულებით, როგორც ამას ადგილი აქვს ბურჟუაზიული წყობილების პირობებში, არამედ იგი ხალხთან სისხლითა და ხორციითა დაკავშირებული და ნებაყოფლობით და ხალხით ანხორციელდება ხალხის ნება-სურველს. როგორც დიდი სტალინი ვასწავლის, საბჭოთა ინტელიგენცია ამსახველია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სახელმწიფოებრივი წყობილების მატერიალური და სულიერი კულტურისა, ჩვენში მეცნიერება „ხალხს კი არ ემთხვევა, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარი, რო-

მეღაც მომსახურებას უწევს ხალხს, არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხელმძღვანელობს და სტალინის სოციალისტური შედეგების შესახებ". გვ. 269).

კავშირბრძობის ისტორიაში არც ერთი გამატარებელი კლასი და მისი პარტია არ ცდილობდა შეცნობა, კულტურა და ზელოვნება ხალხისათვის მისაწვდომი გაეხადა, ისე, როგორც ამას ადგილი აქვს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. „წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი გენია მხოლოდ იმისათვის ჰქმნიდა, — მიუთითებდა ლენინი, — რომ ზოგისათვის მიეცა ტექნიკა და კულტურის ყველა საკეთი. სხეებისათვის მოეხსო სახელად აუცილებელი განათლება და განვითარება. ახლა ტექნიკის ყველა სასწავლო, კულტურის ყველა მონაპოვარი მთელი ხალხის მონაპოვარი გახდება და ამიერიდან ადამიანის მთელი გენია არასოდეს აღარ გადაიქცევა ძალიანობის საშუალებად, ექსპლუატაციის საშუალებად". (ლენინი ტ. XXII გვ. 225 რუს. გამოც.)

გ. ი. ლენინის ეს ვენიალურე განსაზღვრა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში დიდი ხანია განმორციელდა დიდი სტალინის ზღმძვინვარებით, სსრ კავშირში მთელი მატერიალური დოვლათი და მისი ამსახველი სულიერი კულტურა, მეცნიერების, კულტურის, ზელოვნების მიღწევათა ყველა მონაცემი ჩვენი დიდი ხალხის კუთვნილება გახდა.

ამ მიზართულებითაა გაშლილი და ფაქტური მასალით ნათლად წარმოდგენილი ვინაინის შრომის შესამე თავი, რომელიც მკითხველს აძლევს საშუალებას გაეცნოს არა მარტო საბჭოთა ინტელიგენციის წარმოშობისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის ისტორიას, არამედ საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებით მუშაობის ბრწყინვალე გზას, რომელიც მან განვლვ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, სოციალიზმის გამარჯვებისა და ჩვენი მრავალმილიონიანი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის ბრძოლებში.

შეოთხე თავში ავტორის მიერ თვალსაზრისიდან ნაწვევებია საბჭოთა ინტელიგენციის მრავალფეროვანი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც ჩვენმა ინტელიგენციამ ჩაატარა დიდი სამამულო ომის პერიოდში პიტლერულ გერმანიაზე და იაპონიის იმპერიალიზმზე ძლევამოსილი გამარჯვებისათვის ბრძოლებში. ავტორი სათანადო ფაქტებით ცხადჰყოფს საბჭოთა ინტელიგენციის წარმოქმნა როლს ფრისტური გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურების საქმეში. საბჭოთა ინტელიგენცია ზურგსა და ფრონტზე ჩვენი დიდი ქვეყნის მუშათა კლასთან და გლეხობასთან

ერთად აღსდგა სამშობლოს დასაცავად. საბჭოთა ინტელიგენციამ სამამულო ომის მრისხანე ბრძოლებში, სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი მატერიალური და სულიერი გამოცდის წლებში, გვიჩვენა ეკონომიურ-პოლიტიკური და მორალური ერთიანობა, პატრიოტიზმი, თავდადება და გმირობა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას არ სცილდება.

საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი არმია: შრეწველობაში, ტრანსპორტზე, საკომუნისტურ მინდვრებზე, საკვლელო-სამეცნიერო დაწესებულებებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, კულტურისა და ხელოვნების ყველა უბანზე, ცეცხლის ზაზზე და მტრის ზურგში, პარტიზანთა რაზმებში გვიჩვენებდა პატრიოტიზმს, თავგანწირულობის და გმირობის უმაღლო ნიმუშებს, რომელმაც ბრწყინვალე ფერცილი ჩასწერა დიდი სამამულო ომში გამარჯვებამთა გმირული ბრძოლების ისტორიაში.

„ჩვენი ინტელიგენცია, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — გმირულად შიშის ნოკტორიზმის გზით ტექნიკისა და კულტურის დარგში, წარმატებით აწვითარებს თანამედროვე მეცნიერებას, შემოქმედებით იყენებს მის მიღწევებს წითელი არმიისათვის საბურველის წარმოებაში. საბჭოთა ინტელიგენციამ თავისი შემოქმედებითი შრომით ფასდაუდებელი განაღვი შეიტანა მტრის განადგურების საქმეში“ (სტალინი, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, გვ. 177).

ავტორი მთელი საბჭოთა ინტელიგენციის ღვაწლთან ერთად ამუშავებს საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის როლსაც, რომელმაც ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და მეცნიერების მრავალ დარგში თავისი შემოქმედებითი შრომით ხელი შეუწყო და დაამჭარა მტრის განადგურება. „არ არის მეცნიერების ისეთი დარგი, — დასძენდა ამხანაგი კ. ჩარკვიანი, — რომელშიაც ქართველი მეცნიერები არ მუშაობდნენ, ომის განმავლობაში მათ ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი წითელი არმიისათვის დახმარების გასაწევად“ („ბოლშევიკი“ № 2, 1946 წ. გვ. 24).

უკანასკნელ თავში ვ. ონიანი მკითხველის ყურადღებას აბრუნებს საბჭოთა ინტელიგენციის

უახლოეს ამოცანებზე და იყენებს საკ. პ. (მ) ც. კის ისტორიულ დოკუმენტებს იდეოლოგიურ ფრონტზე. მუშაობის შესახებ, მიუთითებს იმ დიდ საბჭოთა რაზმზე, რომელიც დიდმა სტალინმა დაუსახა 1946 წლის 9 თებერვალს წინასაარჩევნო კრებაზე თავის მატორიულ სიტყვაში მოღვ ჩვენი ხალხს და მორიგეებში საბჭოთა ინტელიგენციის სოციალისტური-კომუნისტური გვიანტური მსვლელობისა და გრანდიოზული მშენებლობის საქმეში.

ავტორი იძლევა ანტიპატრიოტიზმისა და უგვარტოპო კოსმოპოლიტიზმის მკაცრ კრიტიკას და მოუწოდებს რევოლუციური სიფხიზლის შემდგომი გამაზვლების აუცილებლობისაკენ, უცხოური მეცნიერებისადმი მონურად ქედის მოზრის წინააღმდეგ და ამორალური გამოვლინების ბოლშევიკურად დაძლევისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკეთებით აღზრდისათვის ბრძოლისაკენ.

შრომის დადებით მხარეებთან ერთად ახასიათებს ცალკეულ დეფექტებიც. შრომის ზოგადი ხასიათის ნაკლად ჩვენის აზრით უნდა ჩაითვალოს ის ვარაუდა, რომ შრომა საერთოდ და განსაკუთრებით მისი პირველი ორი თავი ადამიანთულია ციტატებით. მეორე სახის დეფექტად უნდა ჩაითვალოს განმეორებები არა მარტო ერთნაირი აზრებისა, არამედ ერთი და იგივე თარიღებისა და წყაროების საბელწოდებებისა, რაც ამძიმებს საკითხავ მასალას.

შრომაში ადგილი აქვს ცალკეულ სტილისტურ ზარვეზებსაც. მაგალითად, „სიტყვებით გამოხატავდნენ“, „ეჭახდა“ (გვ. 5), „არა ერთხელ მოუცლია“, „დასმული აქვს გზები ზელოვნებისაკენ“ (გვ. 6), „მოწინავეთა დაწინაურება“ (გვ. 76) „იმპერიალისტური გამოხატულებები“ (გვ. 4), „უმაღლესი შეგნებით“ (გვ. 107) და სხვა.

ვ. ონიანის შრომა დიდ დაბზარებას გაუწევს მკითხველთა ფართო მასებს, განსაკუთრებით მასწავლებლებსა და სტუდენტებს საერთოდ ინტელიგენციის და კერძოდ საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ მარქსიზმის კლასიკოსების შეხედულებათა შესწავლის საქმეში.

### 3. სიზრასვილი

## ახალი ნიშნები



### სახელგამი

- გაბაქიანი ტაბიძე — ლექსები. მე-6 ტომი. 379 გვერდი, ფასი 20 მან.  
 გიორგი ქუჩიშვილი — ლექსები, ტ. მე-2, 306 გვ., ფასი 15 მ.  
 გიორგი ლეონიძე — სამეორი, პოემა. 172 გვ. ფასი 10 მან.  
 ფ. ჯავახიშვილი — საქართველოს ისტორია (11—15 საუკუნე), 282 გვ., ფასი 15 მან. 50 კაპ.  
 დ. მონქაძე — სურამის ციხე, მოთხრობა, 101 გვ., ფასი 3 მან.  
 თ. დონაშვილი — განთიადი. რომანი, 273 გვ., ფასი 12 მან. 50 კაპ.  
 მივსხვის კრებული — მოთავსებულია შ. ლაღიანის, ს. შანშიაშვილის, ვ. დარასელის, ვ. შატ-ბერაშვილის, ილო მოსაშვილის, მ. ჯაფარიძის, ი. ვაყელის, დ. ანთაძისა და შ. დუმბაძის, თ. დონაშვილის, ლ. ქუბარაძის პეესები. 737-გვ. ფასი 25 მან.  
 სიმონ ქვარაძე — დიდი ზოურავი, ისტორიული რომანი, 411 გვ. ფასი 20 მან.  
 ვლ. ერისთავი — შეფუტკრეობა, 404 გვ. ფასი 23 გვ.  
 ალ. ჯაფარიძე — რჩეული ნაწერები, 512 გვ. ფასი 25 მან.  
 სულხან-საბა ორბელიანი — სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი, 586 გვ. ფასი 25 მან.  
 ბტენდალი — წითელი და შავი. რომანი. თარგ. გერონტი ქიქოძისა, 620 გვ. ფასი 24 მან.

### საბავროთა მწერალი

- დიდ სტალინს — ლექსთა კრებული, 188 გვ. ფასი 10 მან.  
 ბონდო კეშელაძე — ლექსები. 73 გვ. ფასი 4 მან.  
 ნიკოლოზ ჩაჩავა — სიცოცხლს ვუმღერ, ლექსები, 58 გვ. ფასი 9 მან. 50 კაპ.  
 ზოზარდ ფახტი — უკანასკნელი საზღვარი. რომანი, თარგმანი სერგო კლდიაშვილისა, 290 გვ. ფასი 14 მან.

### საპლიტბაში

- ნ. გოგოლი — მასის ლამე. მოთხრობა, თარგ. დ. დეკანოზიშვილისა, 84 გვ. ფასი 4 მან.  
 ს. პეღიაძე — ფლვის მბრძანებელი. მოთხრობა. თარგ. ზ. ვოშაძისა, 117 გვ. ფასი 8 მან.  
 კარბე მუმლაძე — ყირაშის მიწაზე, მოთხრობა, 120 გვ. ფასი 8 მან.  
 დედო ქიაჩელი — ხეთიანის საიდუმლოება. მოთხრობა. 48 გვ. ფასი 3 მან.  
 ვიორჯი კაპაჩიძე — ჩვენი სკოლის უმეწიელები. 29 გვ. ფასი 3 მან.  
 ალექსანდრე ხაჯაია — ორი ზღაპარი, 18 გვ. ფასი 2 მან.  
 იაკობ გოგებაშვილი — ცხრა ძმანი ზურზეულიძენი. 9 გვ. ფასი 1 მან.  
 ბ. კავერიანი — ორი კაპიტანი. რომანი. თარგ. ნ. ქუჭუყაშვილისა, 358 გვ. ფასი 16 მან.  
 ი. ლიქტანოვი — ცეროდენა. მოთხრობა. თარგმანი შ. გვიწიძისა, 356 გვ. ფასი 17 მან.  
 ამბერკე ვაჩეჩილაძე — აკაკი წერეთელი. მონოგრაფია. 171 გვ. ფასი 8 მან.  
 ზორის ჩხეიძე — მამამ შაქარი დათესა, მოთხრობები, 29 გვ. ფასი 1 მან. 50 კაპ.  
 ალიო ადამია — მესხეთის გაზაფხული. ლექსები. 79 გვ. ფასი 6 მან.  
 მარიჯანი — ნელი ცირკში, 20 გვ. ფასი 1 მან.  
 ა. ხაზურაშვილი — თომიკოს საჩუქარი, მოთხრობა, 244 გვ. ფასი 12 მან.  
 ალ. შიქაბერიძე — ელინური მითები, 184 გვ. ფასი 10 მან.  
 ვ. ივანიშვილი — უკუეო ყორანი, ზღაპარი, 12 გვ. ფასი 1 მან. 50 კაპ.  
 ვიორჯი ლეონიძე — სტალინი. ეპოპეა. ზაქვილია და ყრმობა. 189 გვ. ფასი 15 მან.

- პოლიო აბრამია — მელა და ცხვარი, იგავი, 16 გვ. ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ე. ბლაიტონი — სამედიცინო-მედიკალური ტომი. ზღაპარი, თარგმანი მერაბ მჭედველიძისა, 40 გვ. ფასი 4 მან.
- ვ. ზედგინიძე — ფრამიტებილი ფრინველი. მოთხრობები, 120 გვ. ფასი 5 მან.
- ღ. კეიჩიაძე — საბავშვო მოთხრობები, 64 გვ. ფასი 3 მან.
- გ. ნატროშვილი — ილ. ყაზბეგი, ცხოვრება და შემოქმედება, 80 გვ. ფასი 3 მან.
- გრიგოლ აბაშიძე — რუსთავეის შერცხლები, პოემა, 10 გვ. ფასი 3 მან.
- კ. გოგიაშვილი — ჩვენი ბავ, ლექსები, პოემები და პიესა, 20 გვ. ფასი 3 მან.
- ს. ძღუწი — ლექსები, 55 გვ. ფასი 5 მან.
- ლეო ქიაჩელი — ნატურისტული. მოთხრობები, 84 გვ. ფასი 6 მან.
- ო. ჯანგულაშვილი — მოედუარო, მოგვიხარია. ლექსთა კრებული, 60 გვ. ფასი 4 მან.
- მაცვალა მრეველიშვილი — ჯეჯილში. ლექსები და პიესა, 52 გვ. ფასი 3 მან.

### „ხელოვნება“

- კ. ს. სტანისლავსკი — თეატრალური ხელოვნება, წერილების კრებული, შედგენილი და თარგმნილი შ. კილსანოვიძისა და გ. ფრონისპირელის მიერ, 206 გვ. ფასი 9 მან.
- ს. გერსამია — აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი, 143 გვ. ფასი 7 მან.

### „საქართველოს სსრ მცხ. აკადემია“

- ვახტანგ ბერიძე — ქართული ხელოვნების ისტორიის გავლბების წინააღმდეგ (რუსულ ენაზე), 92 გვ. ფასი 5 მან.
- შალვა აფხაძე — აკაკი ზორაია, მონოგრაფია, 127 გვ. ფასი 7 მან.
- შალვა კვანციაძე — მოსე თოიძე, მონოგრაფია, 116 გვ. ფასი 8 მან.



|   |     |
|---|-----|
| პლ. მაიაკოვსკი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ნაწევები პოეზიადან, თარგმანი<br>ი. აბაშიძისა             | 83  |
| სერგო კლდიაშვილი — რთველი, მოთხრობა, გაგრძელება   | 2   |
| კონსტანტინე ბაშკაშვილი — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი შესრულებულია<br>ძელუბა                  | 6   |
| კოსტანტინე შახტი — თავისუფლების გზა, რომანი, გაგრძელება, თარგმანი ინგლისური-<br>დან გივი ფეხინიასი  | 21  |
| პლატონოვი მაიაკოვსკი — ლექსები, თარგმანი ირაკლი აბაშიძისა და<br>კონსტ. ლორთქიფანიძისა               | 33  |
| ლიტერატურული კრიტიკის გაუხამსების წინააღმდეგ („პრავდს“<br>30 მარტის წერილი)                         | 57  |
| ბრ. ბრეხტე — ლენინიზმი გვინათებს კომუნიზმის გზას, წერილი  | 62  |
| დავით შანჩულაძე — ვლ. მაიაკოვსკი და სახელგარკეთილი პოეტის პორტრეტი<br>ბი, წერილი                    | 80  |
| შალვა რაფინი — გიორგი ლენინი, წერილი  | 87  |
| პავლე ინგოროვა — გიორგი შერტლე, წერილი, გაგრძელება  | 102 |
| მ. შაშაშვიანი — ვატიკანი იმპერიალისტური რეაქციის სამსახურში, წერილი                                 | 132 |
| ზურაბ კუშხუაძე — დ. შენგელაია — „წითელი ყაჩაღი“, ბიბლიოგრაფია                                       | 149 |
| დავით კობახიძე — ს. ყუბანეიშვილი — „ძველი ქართული ლიტერატურის ქრეს-<br>ტომათა, ტ. II“, ბიბლიოგრაფია | 151 |
| კლ. გომბაძე — შაქსიმ გორკი — „ვისთან ხართ, თქვენ, კულტურის ოსტატნი?“,<br>ბიბლიოგრაფია               | 153 |
| პლ. ართემიძე — ი. სიხარულიძე — „ბურთის სიმღერა“, ბიბლიოგრაფია                                       | 156 |
| მ. სიმონიძე — ე. ონიანი — „ლენინი და სტალინი საბჭოთა ინტელიგენციის შე-<br>სახებ“, ბიბლიოგრაფია      | 158 |
| ახალი წიგნები   | 162 |



პასუხისმგებელი რედაქტორი  
ირაკლი აბაშიძე  
სარედაქციო კოლეგია:

ბიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), ლევან ასათიანი,  
შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსა-  
შვილი, შალვა რაფინი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიკოვანი,  
ოთარ ჩხეიძე, სერგი შილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV-50 წ. ნაბეჭდ ფორმათა ჩაოდენობა 10 1/4 ფ.  
შ 00057. შეჯ. № 290. ტირაჟი 5.500.

საქ. სსრ შინაგარე საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის,  
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი  
სიტყვის კომპანია, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности, изда-  
тельств и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

